

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ესმა მანია

ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები ილია  
ჭავჭავაძის ზეპირი მეტყველების ნიმუშებისა და წერილობითი  
ჩანაწერების შესახებ

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის  
დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი  
ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თელავი

2019 წელი

## სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I.....	15
ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა ტექსტოლოგიური კვლევა.....	15
§1. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ავთენტურობის საკითხი .....	15
§2. ფრაგმენტულ ზეპირ გამოსვლებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია.....	28
§3. ტექსტოლოგიური კვლევები ზეპირ გამოსვლათა შენიშვნებისა და კომენტარების შესადგენად .....	34
თავი II.....	43
ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემათმცოდნეობითი კვლევა.....	43
§1. ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემის მნიშვნელობა .....	43
§2. ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემის პრაქტიკა.....	54
§3. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოქვეყნების საგამომცემლო კონცეფცია.....	61
თავი III.....	66
ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ტექსტოლოგიური კვლევა.....	66
§1. ილია ჭავჭავაძის კალიგრაფია.....	68
§2. ხელნაწერის ამოკითხვასთან დაკავშირებული სირთულეები .....	77
§3. კვლევები ჩანაწერების დათარიღებისათვის .....	97
§4. კვლევები ჩანაწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციისათვის .....	101
§5. კვლევები ჩანაწერების კომენტარებისათვის .....	107
თავი IV.....	116
ილია ჭავჭავაძის ჩანაწერების გამოცემათმცოდნეობითი კვლევა .....	116
§1. უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების აკადემიურად გამოცემის საერთაშორისო პრაქტიკა.....	116
§2. სუბსტრატისა და საპუბლიკაციო ერთეულის დიფერენცირება .....	126
§3. ილია ჭავჭავაძის ჩანაწერების ხასიათი და აკადემიურად .....	128
გამოცემის კონცეფცია .....	128
დასკვნა.....	148

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა .....	158
პერიოდული პრესა.....	162
საარქივო მასალები.....	166

## შესავალი

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. ფასდაუდებელია მისი, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე. ამიტომ ქართველი ხალხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მის წერილობით, როგორც მხატვრულ, ისე დოკუმენტურ მემკვიდრეობას.

ილია ჭავჭავაძის ცალკეულ თხზულებათა გამოცემა პერიოდულ პრესასა და კრებულებში 1857 წლიდან დაიწყო [„ცისკარი“, 1857, 7, N1]. მისი ნაწარმოები („გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“) წიგნად პირველად 1867 წელს გამოიცა [ჭავჭავაძე, 1867], ხოლო რაც შეეხება მწერლის თხზულებათა კრებულებს, ოთხ ტომად, ავტორისავე აქტიური მონაწილეობით, 1892 წელს დაიბეჭდა [ჭავჭავაძე, 1892].

მწერლის გარდაცვალების შემდეგ, ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ გედევანიშვილმა მიიწვია თვალსაჩინო ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ გედევანიშვილი და სხვ. და მათი დახმარებით 1914 წელს გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომი [ჭავჭავაძე, 1914]. საგულისხმოა, რომ მეცნიერთა ამ ჯგუფმა გულმოდგინედ იზრუნა იმაზე, რომ შეგროვილიყო მწერლის ხელნაწერები და ბიოგრაფიული დოკუმენტები, ჩაეწერათ თანამედროვეთა მოგონებები და ა. შ. სწორედ მათი დამსახურებაა ბევრი ისეთი მასალისა და ინფორმაციის ჩვენამდე მოღწევა, რომლებიც იმ დროისათვის მიმოფანტული და დასაკარგად განწირული იყო. მიხეილ გედევანიშვილისეულ I ტომში შედის მწერლის მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები. განზრახული იყო კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოცემაც, მაგრამ შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებისა და 1922 წელს მიხეილ გედევანიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო გამოცემა შეწყდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა ითავა ახლად დაარსებულმა გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“, რომელმაც დაბეჭდა დიდი მწერლის თხზულებათა ათი ტომი პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელის რედაქციით [ჭავჭავაძე, 1925-1929]. ამ

გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა მწერლის არაერთი მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტი და მათი ცალკეული რედაქციები. ტექსტებს ახლდა სამეცნიერო აპარატი ავტოგრაფების აღწერილობითა და საინტერესო კომენტარებით. მოგვიანებით ამავე მასალის ბაზაზე გამოიცა ხუთტომეულიც.

1987 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებამ. გამოცემას ამაზდებდა პროფესიონალთა დიდი ჯგუფი: ზურაბ ჭუმბურიძე, გურამ შარაძე, ლევან ჭრელაშვილი, რუსუდან კუსრაშვილი, ეთერ შარაშენიძე, ლეილა სანაძე, იზა დობორჯგინიძე, მანანა იამანიძე, თეიმურაზ ჩავლეიშვილი, ლამარა გვარამაძე, ლამარა მეგრელიშვილი, ცისანა ყიფშიძე, ლამარა შავგულიძე, ნორა კოტინოვი, მაია ნინიძე, ნანა ფრუიძე, ნათელა ჩიტაური, ელისაბედ ზარდიაშვილი, ჯულიეტა გაბოძე და მანანა კვატია. დღეისათვის დაბეჭდილია მწერლის თხზულებათა თვრამეტი ტომი, რომლებშიც შესულია მხატვრული თხზულებები, თარგმანები, პუბლიცისტიკა, პირადი და საქმიანი წერილები. წინა გამოცემის ათი ტომიდან ტექსტების მოცულობის ოც ტომამდე გაზრდა ძირითადად გამოიწვია პერიოდულ პრესაში მწერლის მიერ ხელმოუწერლად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიების დამატებამ, რომელთა ატრიბუციაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ტექსტოლოგ ლევან ჭრელაშვილს.

აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით საგულისხმოა მისი ტირაჟის საკითხი. თუ პირველი სამი ტომი 80-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, 2008 წლიდან მისი რაოდენობა თითქმის 267-ჯერ შემცირდა და მხოლოდ 300-300 ეგზემპლარი დაიბეჭდა. იმის გამო, რომ თავდაპირველად ტირაჟი დიდი იყო, ეს აკადემიური გამოცემა გარკვეულწილად პოპულარული გამოცემის ფუნქციასაც ითავსებდა, რაც გავლენას ახდენდა საგამომცემლო კონცეფციაზე. იმ მოტივით, რომ წიგნით დაინტერესდებოდნენ არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ რიგითი მკითხველები და მოსწავლეები, ზოგჯერ მწერლის მიერ გამოყენებული არასწორი გრამატიკული ფორმები და მართლწერა კორექტირდებოდა, რუსული ტექსტები იბეჭდებოდა არა სლავური, არამედ თანამედროვე მართლწერით და სხვ., რაც აკადემიური გამოცემის პრინციპებიდან გადახვევაა.

ამ გამოცემის პუბლიცისტიკის ტომებში ჩართულია სხვადასხვა თავყრილობაზე მწერლის მიერ წარმოთქმული ვრცელი სიტყვები, მაგრამ ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოქვეყნება დაგეგმილი არ ყოფილა. ეს გადაწყდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანზე მუშაობისას, როდესაც პროექტის ხელმძღვანელმა მათა ნინიძემ ყურადღება მიაქცია ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ და მწერლის პირად ბიბლიოთეკაში დაცულ მნიშვნელოვან მასალას, რომელიც აკადემიური გამოცემის გარეთ რჩებოდა.

კლასიკოსთა თხზულებების სრულ აკადემიურ გამოცემებში უნდა დაიბეჭდოს მათ მიერ შექმნილი ყველა სახის ტექსტი: მხატვრულიც და დოკუმენტურიც, დასრულებულიც და დაუსრულებელიც, ცალსახად მისიც და „სავარაუდოც“. სწორედ ამიტომ განვიზრახეთ, რომ გამოცემაში შეგვეტანა დღემდე გამოუქვეყნებელი ისეთი მასალა, როგორცაა სხვადასხვა სხდომასა და თავყრილობაზე წარმოთქმული ფრაგმენტული სიტყვები და მწერლის პირად არქივში დაცული ჩანაწერები: სტატიისა თუ ზეპირი გამოსვლის ავტოგრაფული მონახაზები, ამონაწერები სხვათა წიგნებიდან, ამ ამონაწერებისათვის დაძებნილი პარალელები და შენიშვნები, მინაწერები წიგნებსა და სხვათა ტექსტებზე და ა. შ. რამდენადაც ეს მასალა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და დღემდე გამოუქვეყნებელია, მათი კვლევა უაღრესად აქტუალურია.

აკადემიური გამოცემის სტრუქტურას საფუძვლად უდევს ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი, ზემოთ ჩამოთვლილი მასალა კი არც ერთ კონკრეტულ ჟანრს არ განეკუთვნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარადიგმატულ რიგში ნულოვანი მარკერიც მონაწილეობს, შეიძლება ითქვას, რომ აქ თავს იყრის ტექსტები ნულოვანი ჟანრობრივი მახასიათებლით. მსგავს ჭრელ მასალას უცხოურ აკადემიურ გამოცემებში ბეჭდავენ განყოფილებაში „სხვადასხვა“ (miscellaneous). ჩვენს შემთხვევაში, მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, მას დაეთმობა არა მხოლოდ განყოფილება, არამედ ცალკე ტომი, რომლის ძირითადი ნაწილი უკვე მომზადებულია. სადისერტაციო ნაშრომი იწერებოდა მე-19 ტომის მზადების პროცესში, სწორედ ამიტომ კვლევა ემპირიულ მასალას ემყარება და მნიშვნელოვანწილად ასახავს ჩატარებულ პრაქტიკულ სამუშაოს. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები და დასკვნები გამოყენებული იქნება ზემოხსენებულ ტომში.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი მიზნად ისახავდა მეცნიერთა მიერ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ამ სპეციფიკური მემკვიდრეობის – ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებისა და სხვადასხვა სახის ჩანაწერის ტექსტოლოგიურ კვლევას და მათი აკადემიურად გამოცემის კონცეფციის შემუშავებას. განსახილველი ფრაგმენტული გამოსვლები ჩართულია სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, სამეურნეო საზოგადოებისა თუ სხვა თავყრილობის შესახებ იმჟამინდელ პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და მიმოხილვებში; კერძო ჩანაწერები და ამონაწერები დაცულია მწერლის პირად არქივში, მინაწერები კი, ძირითადად, მისი პირადი ბიბლიოთეკის წიგნების გვერდებზე. შესაბამისად, სადისერტაციო კვლევა ეხება ილია ჭავჭავაძის ორ, რადიკალურად განსხვავებულ ინტელექტუალურ პროდუქტს: ერთი მხრივ, მის ზეპირ გამოსვლებს, როგორც საჯარო და სამოქალაქო აქტივობის ამსახველ მასალას და, მეორე მხრივ, მის კერძო ხასიათის ჩანაწერებს, როგორც მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის განკუთვნილ, არასაპუბლიკაციო ტექსტებს.

უბის წიგნაკების ჩანაწერებში ხშირად გაერთიანებულია სხვადასხვა წარმომავლობის უამრავი შემოქმედებითი თუ სამოქალაქო იმპულსი და ჩანს, რომ ავტორი საკუთარი შეგრძნებებისა და გარემოს ფხიზელი მოყურადეა. მისი ნააზრევი ირეკლავს არა მხოლოდ მის პირად ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს, არამედ ისტორიულ-კულტურულ გარემოსა და მიმდინარე მსოფლიო პროცესებსაც. შესაბამისად, ცხადია, როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის წერილობითი მემკვიდრეობის ამსახველი დღემდე გამოუქვეყნებელი ამ ფართო და მრავალშრიანი მასალის აკადემიურად გამოცემას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი კლასიკოსის შესახებ არაერთი მონოგრაფია და გამოკვლევა დაწერილა, ამ სპეციფიკური წყაროების მონაცემები საგულისხმო სიახლე იქნება როგორც მისი პორტრეტის შესავსებად, ისე იმ გარემოს შესაფასებლად, რომელშიც მწერალს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ილია ჭავჭავაძის კერძო ჩანაწერებში დაცულია მონაცემები მისი მეტად მრავალფეროვანი ინტერესების შესახებ. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიხმოთ მისთვის საინტერესო ლიტერატურის მეტად ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ისტორიას, ცივილიზაციის განვითარების

ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ბულალტერიას, ღირსების საკითხებს ფილოსოფიასა და სამართალში, ნებისყოფის წვრთნის საშუალებებს, შუა საუკუნეების ქალთა პრობლემებს, სამკურნალო მცენარეების გამოყენების გზებს, ყველა დროისა და ერის ზღაპრებს, ლეგენდებს თუ გადმოცემებს, მეყვავილეობას, თევზჭერას, ძაღლების წვრთნას, მეფუტკრეობას, მღრღნელების გამრავლების პრევენციას და მრავალ სხვა სფეროს. მწერალი იღებდა ინფორმაციას არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ რუსულად თარგმნილი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და საყოფაცხოვრებო ლიტერატურიდან. წიგნების ჩამონათვალთან ერთად ჩანაწერებში ვხვდებით საჭირო ლიტერატურის მოძიების კონკრეტულ გზებსაც – წიგნის გამყიდველთა და მაღაზიების მისამართებს.

კერძო ჩანაწერებიდან ჩანს არა მხოლოდ ინტერესთა სფეროები, არამედ ის ყოფითი, ცხოვრებისეული ასპექტებიც, რომლებითაც არცთუ იშვიათად იყო დაკავებული მწერალი. ამიტომ დღიურებში ხშირად გვხვდება ჩანაწერები სამშენებლო მასალებზე, უახლეს ტექნიკაზე, სამეურნეო საშუალებებსა და სხვ. მაგალითად, გვხვდება ინფორმაცია იაფ სამშენებლო საღებავებზე, ალიზითა და კუპრით სახლების მშენებლობაზე, ჰოლანდიურ საჟაზე, კარ-ფანჯრების ზომებზე, შინაურ საქონელზე, მოსამსახურეების, მუშებისა და ხელოსნებისათვის მისაცემ თანხებზე და სხვ.

კერძო ჩანაწერები კარგად წარმოაჩენს ილია ჭავჭავაძის ინტენსიურ დაკვირვებას ლინგვისტურ მასალაზე, მაგალითად, ზმნურ ფორმებზე („ვინახულე“, „ვიბარგულე“, „ვიმარხულე“, „ვიდგომილე“), ობიექტური პირის ნიშნის მადიფერენცირებელ მნიშვნელობაზე პარონიმის შემთხვევებში („მიყიდე“ – „მიჰყიდე“, „ფლავს“ – „ჰფლავს“, „ყრიან“ – „ჰყრიან“, „დევს“ – „ჰ/სდევს“, „ჰშველის“ – „შველის“ და სხვ.), რუსულ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისებზე („მცოდინარობა“ – „знание“, „ბაქანი“ – „терраса“, „პეიტრობა“ – „умничание“) და სხვ. მწერალი გამუდმებით ეძებს და ინიშნავს საინტერესო ლექსიკურ და გრამატიკულ ფორმებს ქართულ ფოლკლორში.

ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა წიგნიდან გადმოღებული ვრცელი ამონაწერები, მათთვის დამებნილი სხვა ავტორთა პარალელებითა და საკუთარი



კომენტარებით საუკეთესოდ წარმოაჩენს ამა თუ იმ თემაში გასარკვევად მის მიერ გამოვლენილ პასუხისმგებლობის გრძნობასა და სკრუპულოზურობას.

მწერლის მიერ დამუშავებული წიგნების ავტორებს შორის არიან სხვადასხვა დარგის ცნობილი წარმომადგენლები: კარლ მარქსი, რუდოლფ შტამლერი, ლუი ბრენტანო, კარლ ბიუხერი, ფერდინანდ ლასალი, გიორგი პლექხანოვი, ჯონ სტიუარტ მილი, ჰერბერტ სპენსერი, ტომას მასარიკი, გუსტავ შმოლერი, ოგიუსტ კანტი, ფრიდრიხ ენგელსი, ლესტერ უორდი, ადამ სმიტი და მრავალი სხვა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ავტორებისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღების მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე ბრმად არავის აზრს იზიარებდა. მისი კრედიო იყო: „თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, შეამოწმე და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისგან აღმოჩენილი და ნაკვლევი“ [ჭავჭავაძე, 1987, 223]. ამას ადასტურებს ცნობილ ავტორთა ციტატებისათვის დართული კრიტიკული შენიშვნებიც.

ჩანაწერები არის პირველწყარო, ავთენტური მასალა, ე. წ. „დაწნეხილი“ მონაცემი, რომელიც შეიცავს შემდგომი გაფართოების დიდ პოტენციალს. მწერალი ამ ორბიტაზე შეუზღუდავად მართლაც საკუთარ თავთან, ამიტომ ძალდაუტანებლად ქმნის საკუთარი ცხოვრების კონტურებს, აფასებს თავის უნარებსა და მისწრაფებებს, საზღვრავს სურვილებსა და შესაძლებლობებს. ტექსტოლოგს სწორედ კერძო ჩანაწერების საშუალებით შეუძლია იმაზე დაკვირვება, რამდენად რეალიზებულია მოაზროვნე.

ზოგიერთი კერძო ჩანაწერი მნიშვნელოვანია ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქციისათვისაც, რადგან შიდა თუ გარე იმპულსები, რომლებიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ ტექსტის შექმნას, ხშირად ირეკლება ცალკეულ ჩანაწერში. უფრო მეტიც, კერძო ჩანაწერებში შეიძლება შეგვხვდეს ყველა ის ნიშნული, რომლებიც ასახავს ჩანაწერის რეალიზების ეტაპებს. შეიძლება შეგვხვდეს ისეთი იმპულსებიც, რომელთა ხორცშესხმა ვერ მოახერხა, ან ვერ მოასწრო ავტორმა. ეს არის მოღვაწის ცხოვრების ერთგვარი ფართო გეგმა, რომელიც მისი განვითარებისა და რეალიზების ხარისხის შეფასების საშუალებასაც იძლევა.

ამ სახის მასალასთან მიმართებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის საკუთარ თავთან კომუნიკაციის ფორმებისა და მეთოდების იდენტიფიკაცია. აქ ტექსტოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების მიჯნად შეგვიძლია მივიჩნიოთ კერძო ჩანაწერების, ერთი მხრივ, არაცნობიერი და, მეორე მხრივ, კოგნიტური შრეები. თუ ტექსტოლოგიის ასახვის საგანია ავტორის ცნობიერი, ინტელექტუალური შრე, ფსიქოლოგიის არეალში რჩება არაცნობიერი ასპექტები (წამოცდენები, აბსტრაქციები, გრაფიკული რეფლექსიები, ტექსტის ალოგიკური ორგანიზების შემთხვევები, გრაფოლოგიურ მონაცემთა ცვალებადობა და სხვა არაერთი ნიშანი). რაკი, ზოგადად, არგუმენტირებული საუბარი საკუთარ თავთან მოიცავს მიზნის ფორმირების, პროცესის დაგეგმვის, მართვისა და უკუფექტის მეთოდებს, ყველა ამ ეტაპის არსებობა იმთავითვე სავარაუდო იყო ჩვენს საკვლევ მასალაშიც.

კერძო ჩანაწერების ტექსტოლოგიური კვლევა გულისხმობდა ტექსტის ამოკითხვას, სხვა ტექსტებთან მისი მიმართების განსაზღვრას, კომპოზიციური ლოგიკის დადგენას, ტექნიკური და ლინგვისტური მახასიათებლების კანონზომიერებების გარკვევას, დათარიღებას, პირთა იდენტიფიკაციასა და შენიშვნებისა და კომენტარების მომზადებას. გამოცემამთცოდნეობითი კვლევა კი ითვალისწინებდა მსგავსი მასალის საგამომცემლო აკადემიური პრაქტიკის შესწავლასა და კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის ამ ტექსტების აკადემიურად გამოქვეყნებისთვის საგამომცემლო კონცეფციის შემუშავებას. რამდენადაც ეს მასალა უნდა დაიბეჭდოს მწერლის თხოულებათა ოცტომეულის მე-19 ტომში, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ არ დარღვეულიყო გამოცემის ზოგადი, ფუნდამენტური პრინციპები. მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მოგვიხდა მისი განსხვავებულად სტრუქტურირება, მაგრამ სამეცნიერო აპარატის ძირითადი ელემენტები უცვლელად დავტოვეთ და, რამდენადაც გამოცემის მცირე ტირაჟი უკვე პროფესიონალ მკითხველს გულისხმობს და არა ფართო საზოგადოებას, შევეცადეთ, უფრო მკაცრად დაგვეცვა აკადემიური გამოცემის პრინციპები.

ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა თავისი დროის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თითქმის ყველა საკითხის განხილვაში. პერიოდულ პრესაში

გამოქვეყნებულმა მიმოხილვებმა, ანგარიშებმა და რეპორტაჟებმა შემოგვინახა ამ განხილვების დროს მის მიერ წარმოთქმული სიტყვები. ზოგჯერ პრესაში ეს მასალა პერიფრაზის ან მოკლე ანოტაციის სახითაც ქვეყნდებოდა. მათგან შევარჩიეთ მხოლოდ ისეთები, რომლებშიც პირდაპირი ციტირების ფორმა იყო გამოყენებული. ბუნებრივია, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს პუბლიკაციები მართლაც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ილია ჭავჭავაძის ნათქვამს, მაგრამ, რამდენადაც მასალა მწერლის სიცოცხლეშივე ქვეყნდებოდა, აზრის არასწორად გადმოცემის ან დამახინჯების შემთხვევაში, მწერალი აუცილებლად მოახდენდა რეაგირებას. ასეთი შემთხვევები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში არაერთგზის გვხვდება [ნინიძე, ამირხანაშვილი, 2017, 101, 103, 518, 544]. საგულისხმოა კიდევ ერთი რამ – რაკი რეპორტაჟებსა და მიმოხილვებს აქვს მკითხველში სხდომის, პროცესის დასწრების ეფექტის მიღწევის მისწრაფება, ეს შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ შეხვედრების ემოციურ ტონალობას, რაც უდავოდ საინტერესოა.

თუ მსოფლიო მასშტაბით მეტ-ნაკლებად არსებობს ჩანაწერების გამოცემის პრაქტიკა, ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოცემის პრეცედენტის მიძიება გაგვიჭირდა. შესაბამისად, თავად მოგვიხდა საგამომცემლო სტრატეგიისა და კონცეფციის შემუშავება.

საჯარო გამოსვლები განიმარტება, როგორც საზოგადოებრივად აქტუალური საკითხის ორატორული და ზემოქმედებითი ეფექტებით მკაფიოდ ადრესირებული წარდგენა საზოგადოების წინაშე უშუალო, პირდაპირი გზით. ის ფრაგმენტული გამოსვლები, რომლებსაც ვიკვლევდით, კლასიკური სახით ვერ თავსდება ამ განმარტებაში, რადგან მასზე გადამწყვეტ მნიშვნელობას ახდენს არა ავტორის წინასწარი ინტენცია, არამედ გარემო და კონტექსტი.

თუ სხვადასხვა სხდომაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული ვრცელი მოხსენებები ორატორული ხელოვნების ნიმუშებია, ფრაგმენტული სახის ზეპირ გამოსვლებში მის ამ არაჩვეულებრივ უნარს ემატება დებატების წარმართვის ხელოვნებაც. ის ისე ახერხებდა ლოგოსის, ეთოსისა და პათოსის ბალანსირებას, თითქოს ორატორული ხელოვნების საგანგებო სკოლა ჰქონდა გავლილი. მწერალი მარჯვედ იყენებდა რიტორიკის იმ ხუთ უმთავრეს კანონს, რომლებიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჩამოაყალიბა მარკუს ტულიუს ციცერონმა [Цицерон, 1972, 142].

მწერალი იდეალურად ფლობდა ენობრივ ქსოვილს, ხმის ტემბრსა და მიმიკა-ჟესტიკულაციას. თანამედროვეები აღფრთოვანებული იყვნენ სხვადასხვა სხდომაზე მის მიერ გამოვლენილი მოსმენის კულტურით, სიღინჯით, თავშეკავებულობით, გამჭრიახობით, მოსწრებული სიტყვით, მოხდენილი ტროპებითა და რიტორიკული ფიგურებით, მიხვრა-მოხვრით და ხმის ტემბრის გონივრული მონაცვლეობით. ილია ჭავჭავაძის, როგორც ორატორისა და პოლემისტის, უნარები შესანიშნავად ჩანს იმ მასალაში, რომელიც გავაანალიზეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ. ეს ტექსტები მეცნიერთა კვლევის არეალში დღემდე არ მოქცეულა. შესაბამისად, ჩატარებული სამუშაო ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილი შესწავლისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გამოსაქვეყნებელი ტექსტებიდან და მომზადებული სამეცნიერო აპარატიდან მკითხველს შეეძლება მიიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის, არამედ მისი გარემოცვის, როგორც თანამოაზრეების, ისე მოწინააღმდეგეების შესახებაც, ნაშრომს დამატებითი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ენიჭება.

ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში, რაც მასობრივი ხასიათი მიიღო ნებისმიერი სახის წერითი მემკვიდრეობის გასაჯაროება-პუბლიკაციამ ბეჭდური გამოცემების სახით, სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გამოცემამ სპეციფიკური მეთოდებისა და პრაქტიკული მიდგომების შემუშავების საჭიროება შექმნა. დიდმა ისტორიულ-კრიტიკულმა გამოცემებმა გარკვევით აჩვენა სხვადასხვაგვარი გამოცემათმცოდნეობითი მიდგომის მნიშვნელობა [Plachta, 2006, 8]. ეპოქაში, როდესაც პრიორიტეტულია გახსნილობა-ღიაობა სამართლებრივი და ეთიკური ნორმებით, აქტუალურია მუდმივად განვითარებადი გამოცემათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება და პირადი მონაცემების შემცველი ტექსტების პუბლიკაციის პერსპექტივებზე მსჯელობა [Endres, Pichler, Zitte, 2013, 173]. მიუხედავად ამ სახის მასალის მზარდი პოპულარობისა, ჟანრად დღემდე არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ აშკარად იკვეთება ამის სამომავლო პერსპექტივა. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებისა და კერძო ჩანაწერების ჟანრობრივი ჩამოყალიბებულობის გამო, მათ შეგვიძლია მარგინალური მასალა ვუწოდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების კერძო ჩანაწერების საერთო მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მათი პროტოკოლოზობა, სქემატურობა, ესკიზურობა, პოტენციური ადრესატის არარსებობით გამოწვეული დამატებითი აღწერითი და განმარტებითი კომპონენტებისგან განტვირთულობა, ამ მასალის განზოგადება და ერთ სისტემაში მოქცევა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები მაჩვენებელია მისი მსოფლმხედველობითი და ფასეულობითი სისტემის პირდაპირი, გაუშუალებელი წყაროსა და ავტორის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ვექტორებისა. ამასთან, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ანგარიშები, მიმოხილვები და რეპორტაჟები კიდევ ერთ საგულისხმო მონაცემს – ფსიქოლოგიურ გარემოს – ათვალსაჩინოებს. ამ პუბლიკაციებში საკმაოდ მკაფიოდ ჩანს განხილვებში მონაწილე საზოგადოების დამოკიდებულება ილიასადამი და პირიქით, ილიას დამოკიდებულება მათადამი, მათი პროფესიული და სამოქალაქო ურთიერთობების ტექნიკა და ეთიკა, შეფასებებისა და ტენდენციების გამოხატვის გზები და მეთოდები.

დღესდღეობით, როცა ტექსტოლოგიის, როგორც, ერთი მხრივ, სამეცნიერო დისციპლინისა და, მეორე მხრივ, წინასაგამომცემლო პრაქტიკული საქმიანობის პრინციპები და მეთოდოლოგია ციფრული ჰუმანიტარიის განვითარების მძლავრი ტემპების გამო, დინამიკურად ცვლად, გადამუშავების პროცესშია, როცა აქტუალურად დგას დღის წესრიგში ტექსტოლოგიის ამოცანების დადგენა-დაზუსტება და ამ სამეცნიერო დისციპლინის ტერმინოლოგიური ბაზით უზრუნველყოფა, კიდევ უფრო რთული იყო ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ჩანაწერების ერთ, თუნდაც მაღალფორმალისებულ სისტემაში მოქცევა.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამ ორი, განსხვავებული რაკურსის – ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებისა და ჩანაწერების ანალიზი და დაკავშირება მის სხვა ტექსტებსა და აქტივობებთან, ერთი მხრივ, ავსებს მის პორტრეტს და, მეორე მხრივ, არაერთ ისეთ საზოგადოებრივ ფაქტსა თუ ტენდენციას ჰფენს ნათელს, რომელიც მკითხველთათვის დღემდე უცნობი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი მასალა მეტად რთული და მრავალფეროვანი იყო, სწორი სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის შერჩევის გზით მოხერხდა მისი ლოგიკური სტრუქტურირებაც და ფუნდამენტური შესწავლაც. შესაბამისად, ხელთ გვაქვს არა მხოლოდ კვლევის პროცესისა და შედეგების ამსახველი სადისერტაციო ნაშრომი, არამედ აკადემიური გამოცემისათვის მომზადებული მდიდარი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი ტექსტების კორპუსი.

## თავი I

# ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა ტექსტოლოგიური კვლევა

### §1. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ავთენტურობის საკითხი

ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა მე-19 საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წამოწყებაში, უფრო მეტიც, ძალიან ხშირად თავად იყო მათი ინიციატორი. შესაბამისად, მას ხშირად უხდებოდა საზოგადოების წინაშე საჯარო გამოსვლა. მწერლის თითოეული ეს სიტყვა ორატორული ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასია მისი არა მხოლოდ ვრცელი, კომპოზიციურად შეკრული ზეპირი გამოსვლები, არამედ ის მოკლე და ფრაგმენტული სიტყვებიც, რომლებითაც ის გამოდიოდა სხვადასხვა სხდომასა და საქმიან შეკრებაზე. ეს მასალა განსხვავებული სპეციფიკისაა. იგი მეტწილად პოლემიკური ხასიათისაა და ილია ჭავჭავაძის ნააზრევს ახალი კუთხით წარმოაჩენს. ამ მასალის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ აკადემიურ გამოცემაში შეგვეტანა ის მოკლე სიტყვები და რეპლიკები, რომლებსაც ის წარმოთქვამდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ შეკრებაზე: თავად-აზნაურთა ყრილობაზე, სათავადაზნაურო ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, დრამატული საზოგადოების, სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების და სხვა სხდომებზე. ამ გამოსვლებმა ჩვენამდე მოაღწია პრესის პუბლიკაციების სახით. ისინი ჩართულია პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და მიმოხილვებში.

ილია ჭავჭავაძის წერილობითი მემკვიდრეობის ეს ნაწილი კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ავტორის ინტერესთა ვრცელ არეალს: საბანკო საქმის ღრმა ცოდნას, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში გარკვეულობას და სხვ. რაც მთავარია, მისი თითოეული აქტივობა განპირობებულია ხალხის ინტერესების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით. მაგალითად, „ცნობის ფურცელის“ ერთ-ერთ ნომერში [„ცნობის ფურცელი“, 1905, 2, №2788] გამოქვეყნებულ სხდომის ანგარიშში ჩართულია ილია ჭავჭავაძის ასეთი რეპლიკა: „თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რამე, უნდა გავიცნოთ ხალხი და იმისი აზრი. იმას ვთხოვლობთ, რომ

მოგვეცეს საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმისი აზრები და მოთხოვნილება. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასები, მიმართულების განურჩევლად“. მეტწილად, სწორედ ხალხის ინტერესების ცოდნა იყო ილია ჭავჭავაძის წარმატებულობის ერთგვარი საძირკველიც.

ფრაგმენტული გამოსვლები საინტერესოა ინტერაქტიულობის თვალსაზრისითაც: არათუ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებს, არამედ ერთიან ვრცელ სიტყვებსაც კი არა აქვს ინტერაქციის ისეთი პოტენციალი, როგორც სხდომაზე წარმოთქმულ თუნდაც მცირე რეპლიკებს. რამდენადაც ანგარიშების ავტორები ხშირად დეტალურად აღწერენ სხდომის პროცესს, ისინი მიმართავენ რეპრეზენტაციის არა მხოლოდ ქრონოლოგიურ ხაზს, არამედ პარალელურად მიმდინარე მოვლენებსაც – წამოცდენებს, წამოძახებებს, ჩაცინებას, ფეხზე წამოდგომის, დარბაზის დატოვების ფაქტებს დაამოულოდნელ გარემოებებზე სხდომის წევრთა მყისიერ რეაგირებებსაც. მაგალითად, „ივერიის“ ერთ ნომერში დარბაზში მიმდინარე მოვლენებისადმი აუდიტორიის რეაქციის შესახებ ვხვდებით მიმომხილველის ასეთ ჩანართებს („სთქვით, სთქვით!“; „გეყოფათ, გეყოფათ!“; „ჯანდიერმა სთქვას“ – ყვირიან ერთნი, მეორენი არა ნდომულობენ“ [„ცნობის ფურცელი“, 1905, 2, №2788]; „მერე კიდევ სხვა საგნებზე ჩამოვარდა კამათი, მაგრამ კრება დაიღალა, გვიანი იყო, მეხუთე საათი დაიწყო და საორშაბათოდ, დილის 9 საათისთვის გადასდევს“ [„ცნობის ფურცელი“, 1903, 4, №2150]). ასეთი ჩანართები ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას გამომსვლელისა და სხდომაზე შექმნილი ვითარებისადმი. შესაბამისად, საგაზეთო პუბლიკაციებიდან ჩვენთვის ცხადი ხდება არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის გამოსვლების შინაარსი, ინტერესები, არგუმენტაციის სისტემა, გამოყენებული რიტორიკული ფიგურები, არამედ ამ გამოსვლების შედეგად შექმნილი განწყობები, უკუგებები, მისი ავტორიტეტულობისა და გავლენის დონე, კორექტულობის ხარისხი, კრიზისული ვითარებიდან გამოსავლის გზების პოვნის უნარი და ა. შ. ამ და ბევრი სხვა თვალსაზრისით, ფრაგმენტულ გამოსვლებს მართლაც შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს.

პრესის პუბლიკაციებში დაბეჭდილია აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ცალკე სიტყვები ბანკის ფუნქციების, ხარვეზების, წარმატებების, სამომავლო



პერსპექტივებისა და სხვ. შესახებ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლაში – „ილია ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული 3 თებ. თფილ. თავად-აზნაურობის კრებაში“ [„დროება“, 1875, 2-3, №16] საკმაოდ ვრცელია, დეტალურად აღწერს სათქმელს და შედგება 1677 სიტყვისგან, სრულად არის მოკლებული ინტერაქციის პოტენციალს, მისი ჟანრული ფორმატის გამო, დამსწრე საზოგადოების მხრიდან უკუგების არც ერთი შემთხვევა არ არის აღწერილი. პუბლიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ეს იბეჭდება როგორც სიტყვა, მიმოხილვებსა და ანგარიშებში კი – როგორც პროცესის ნაწილი.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე შესანიშნავი ორატორი იყო. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მისი გამოსვლები ყოველთვის გაჯერებული იყო არგუმენტებით, ლოგიკით, ცოცხალი მაგალითებით და პოლემიკური ეფექტებით, გასაკვირი არ არის, რომ ისინი უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. ეს ეფექტი ჰქონდა მის გამოსვლას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად დაგეგმილ, წინასწარ მომზადებულ სიტყვას წარმოთქვამდა საპატიო სტუმრების წინაშე, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების დაკრძალვებზე, ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის პროექტების საფუძვლის ჩაყრისას და ა. შ., არამედ ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც რომელიმე სხდომაზე ილიას დაუგეგმავი გამოსვლის შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგარა და ხანგრძლივი ტაშით გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება ორატორის სიტყვის მიმართ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის გამოსვლის შემდეგ ხშირად გვხვდება საგაზეთო პუბლიკაციებში მიმოხილველების ასეთი ჩანართები: „საზოგადოებაში ხანგრძლივი ტაშის-ცემა ასტყდა. მთელი კრება ფეხზედ წამოსდგა“ [„ივერია“, 1891, 1-3, №114], ან კიდევ: „საშინელი ხანგრძლივი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი“ [„ივერია“, 1894, 2-3, №102] და ა. შ.

მიმოხილველთა ტექსტებიდან ზოგჯერ ჩანს თვით ორატორის განწყობაც ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმის წინ ან საუბრის პროცესში. მაგალითად, 1893 წელს, როდესაც გავრცელდა ხმები, რომ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი გიმნაზიის ნაცვლად სამეურნეო სკოლის დაფინანსებას აპირებდა, თელავში გამართულ მევენახეთა შეკრებაზე ილია ჭავჭავაძეს მოულოდნელად დაუსვეს კითხვა ამ ინფორმაციის სარწმუნოობასთან დაკავშირებით. მიმოხილვის ავტორი ილია ზარაფიშვილი ასე აღწერს საზოგადოებისა და მწერლის რეაქციას: „ამ კითხვამ

შეაფერხა საზოგადოება და თვით თავად ი. ჭავჭავაძის სახეზედ გამოიხატა ფრიადი მწუხარება, ეგონებოდა კაცს, საშინელს გვემას ან ტკივილს ჰგრძნობსო. რამდენიმე წამმა დუმლით გაიარა. ეს, მგონია, თვით ჯოჯოხეთის წამები იყო თავად ილია ჭავჭავაძისათვის“ [„ივერია“, 1893, 2, №127]. თავად ილია ჭავჭავაძის გამოსვლის შინაარსიდან ვიცით, როგორი სრული და არგუმენტირებული პასუხი გასცა მან ამ კითხვას, მაგრამ, ვფიქრობთ, საინტერესოა მისი ის ადამიანური რეაქცია, რომელიც მიმომხილველმა აღწერა ამ პუბლიკაციაში.

აკადემიურ გამოცემაში ფრაგმენტული გამოსვლების პუბლიკაციისას ძირითადი პრობლემაა ტექსტის ავთენტურობის საკითხი. როგორც ვთქვით, ჩვენი საკვლევი წყარო მე-19 საუკუნის პრესის ისეთი სპეციფიკური პუბლიკაციებია, რომლებიც ასახავს სხდომის პროცესს, სხდომაში კი არაერთი ადამიანი მონაწილეობს. შესაბამისად, საგაზეთო პუბლიკაციაში გაერთიანებულია სხვადასხვა ორატორის სიტყვით გამოსვლა პირდაპირი ნათქვამის, პერიფრაზის თუ კომბინირებული ინფორმაციის სახით.

მაგალითად, „ცნობის ფურცელში“ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების 22-23 მაისის სხდომის ანგარიშში გამომსვლელთა სიტყვები სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი [„ცნობის ფურცელი“, 1901, 2, 2-3, №1472, 1473]. პუბლიკაციის ავტორს სულ მოუყვანია 31 გამოსვლა. მათგან 25 პირდაპირი ნათქვამის, 4 პერიფრაზის და 2 რამდენიმე პირის ნათქვამის შეჯერებული პერიფრაზის სახით არის გადმოცემული (იხ.: დანართი N1). გამოსვლათა ამ სახით გადმოცემის არგუმენტად, სავარაუდოდ, უნდა მივიჩნიოთ მათი ხანგრძლივობა – პირდაპირი ნათქვამის სახით გადმოცემული 25 შემთხვევიდან, სიტყვათა რაოდენობის თვალსაზრისით, ყველაზე ვრცელია ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი გამოსვლა. ის მოიცავს 80 სიტყვას, რომელთა წარმოთქმასაც საშუალოდ 25-30 წამი სჭირდება. პერიფრაზით კი მიმომხილველს გადმოცემული აქვს ილიას კიდევ ერთი გამოსვლა, რომელსაც, როგორც თავად მიუთითებს, ნახევარი საათი დასჭირდა. იქვე გვხვდება დროის ხანგრძლივობის მითითების მეორე შემთხვევაც – „თავ. ვ. ს. მიქელაძემ ამის შემდეგ დიდხანს ილაპარაკა“. როგორც ვნახეთ, ანგარიშში მოხმობილი ყველაზე ვრცელი პირდაპირი ნათქვამის ხანგრძლივობა 60-ჯერ ნაკლებია პერიფრაზით გადმოცემული ერთ-ერთი

გამოსვლის რეალურ დროზე. სავარაუდოა, რომ, უმეტესწილად, მიმოხილვის ავტორი საკუთარ თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას ვრცელი ტექსტების გადმოცემის სიზუსტეზე და ამის გამო მიმართავს პერიფრაზირების მეთოდს.

მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ძირითად ნაწილში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული ის სიტყვები, რომლებიც მიმოხილველებს ციტატის ფორმით აქვთ წარმოდგენილი, მაგრამ რამდენადაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ის აზრებიც, რომლებიც პერიფრაზის სახით არის მოხმობილი, შევეცადეთ, რომ ისინი კომენტარებისთვის გამოგვეყენებინა და სამეცნიერო აპარატში შეგვეტანა.

სხდომებზე სიტყვით გამოსვლების ავტორისეული, წერილობითი ტექსტების არსებობის ალბათობა, ბუნებრივია, ძალიან მცირეა. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავყრილობებზე ილიას, როგორც ყოველთვის, საპასუხისმგებლო სტატუსის (თბილისის სათავადაზნაურო - საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე) მქონე ან ავტორიტეტულ პირს, საკმაოდ ცხარე კამათებში უწევს მონაწილეობა, რაც შეფასებითი ხასიათის გამოსვლებში, ჩანართებსა თუ რეპლიკებში ზოგჯერ საკმაოდ ემოციური ტონალობებით ხასიათდება. ასეთი ჩანართების წინასწარ მომზადება კი შეუძლებელია. მწერლის გამოსვლები სიტუაციურია და მათ არ მოეპოვება წინასწარი ავტორისეული წყარო. ამ გამოსვლების ტექსტური ფორმატი, როგორ უკვე აღვნიშნეთ, ეკუთვნით პერიოდული გამოცემების რეპორტიორებს, პუბლიცისტებსა და ჟურნალისტებს.

პუბლიცისტურ ჟანრთა თეორიაში საჯარო სხდომების ასახვის ორი გზაა მითითებული: რეპორტაჟი და ანგარიში. ორივე ინფორმაციული ჟანრია. პირველის კონცეპტუალური მახასიათებელი დასწრების ეფექტის აქტუალიზაციაა, რაც აწმყო დროის, მოკლე წინადადებებისა და მოქმედების გამომხატველი სიტყვების ხაზგასმით ხერხდება, მეორისა კი – ასახვის საგნის (სხდომის პროცესის) თანმიმდევრული, დეტალური აღწერით წარსულ დროსა და თხრობით ფორმატში. სხდომის რეტროსპექტული ასახვის ეს ორივე ფორმა ემსახურება საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნილებას – საქმის კურსში ყოფნის ინსტინქტს, რაც ადამიანს დაცულობის შეგრძნებას უჩენს და აძლევს საშუალებას, გეგმაზომიერად იცხოვროს [კოვაჩი, როზენსტილი, 2006, 23] რეპორტაჟი და ანგარიში ყველა სხვა

ჟანრზე მეტად ქმნის ამის ეფექტს. სწორედ ამიტომ უთმობდა იმდროინდელი პრესა ანგარიშგასაწევ ადგილს სხდომების ასახვას.

ბუნებრივია, ჟანრული კრიტერიუმების დაცვა მე-19 საუკუნის ჟურნალისტიკისათვის არ არის მკაფიოდ ნიშნული, თუმცა ჩვენთვის ეს ხაზგასმა საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ რა ფორმატში ცდილობს პერიოდული პრესის თანამშრომელი ზეპირი გამოსვლის ტექსტის მოდელირებას. ერთი რამ ცხადია, „ივერიის“ გვერდებზე სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის სხდომების ანგარიშები ე. წ. ღერძულ მოვლენას წარმოადგენს. ასეთად მასობრივი კომინიკაციის თეორეტიკოსები მიუთითებენ ისეთ მოვლენას, რომელიც არა მარტო მოცულობით, არამედ მოულოდნელობით ან დრამატიზმით უნდა იყოს გამორჩეული და უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივ პროცესებში მიმდინარე სიღრმისეულ ძვრებს, კრიზისს და ა. შ. [სურგულაძე, 2003, 139]. ჩვენს შემთხვევაში ასეთად სწორედ სხდომების რეკონსტრუირებული პუბლიკაციები გვევლინება. ჩვენი დაკვირვებით, ამ პუბლიკაციებში ეკლექტურად არის გამოყენებული ორივე ჟანრის ელემენტები. თუმცა „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ასეთი ანგარიშის ავტორად მოხსენიებულია „რეპორტიორი“ [„ივერია“, 1897, 1-2, №8], შესაბამისად, პუბლიკაციებში დეკლარირებულად უფრო რეპორტაჟული ტექნიკაა აქცენტირებული. ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის მიმომხილველი ილია ზარაფიშვილი გულწრფელად აღიარებს, რომ ყველაფრის ისე დაბეჭდვა, როგორც შეკრებაზე ითქვა, ვერ მოახერხა („მჭერ-მეტყველური წყობილ-სიტყვაობა და საზოგადოდ სისრულე არ არის დაცული“), მაგრამ ის კი შეძლო, რომ აზრი არსად შეეცვლა [„ივერია“ 1893, 2-3, №125].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბანკის წლიური კრებების დოკუმენტირებისა და არქივირების სხვა გზებიც იარსებებდა, ბუნებრივია, შედგებოდა ოქმი (როგორც ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემთხვევაში ხდებოდა), მაგრამ ის, სავარაუდოდ, ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა რეპორტაჟის თუ ანგარიშის ავტორისათვის. სხდომათა ანგარიშები „ივერიაში“, ძირითადად, მეორე-მესამე დღეს იბეჭდებოდა. ასეთ მოკლე დროში სათანადოდ გაფორმებული ოქმი ჟურნალისტიკისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, სტენოგრაფიული ჩანაწერები კი იმდროინდელ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული.

გვხვდება შემთხვევა, როდესაც ილია ჭავჭავაძე პოლემიკური სტატიის სქოლიოში წყაროდ რუსეთში ჩატარებულ სამიწათმოქმედო ბანკების მმართველთა ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშებს (1891-1892 წლები) უთითებს, მწერლის პირად ბიბლიოთეკაშიც ინახება რამდენიმე სტენოგრაფიული ანგარიში. შესაბამისად, ინფორმაციის ასეთი წყარო ქართველ ჟურნალისტებსაც რომ ჰქონოდათ, ერთგან მაინც იქნებოდა მითითებული. ზოგადად, მსგავსი სიახლეები საქართველოში რუსეთზე უფრო გვიან იკიდებდა ფეხს. მაგალითად, ფოტოგრაფია რუსეთში 1830-იანი წლების ბოლოს შემოვიდა, საქართველოში კი თითქმის 40 წლის შემდეგ. შესაძლოა, ვივარუდოთ, რომ თუ ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ტექნიკის შემოსვლას საქართველოში, როგორც ფოტოგრაფიაა, 40 წელი დასჭირდა, სტენოგრაფიის ტექნიკის დანერგვას ამ ვადაზე ნაკლები დრო არ დასჭირდებოდა.

ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ტექსტების აკადემიურ გამოცემაში გამოქვეყნების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი სწორედ ის არის, რომ ეს სხდომები ილიას სიცოცხლეშია გამართული და მას ნანახი აქვს „ივერიის“ ყოველი ნომერი. ეს სარწმუნოა, მით უფრო, იმის გამო, რომ გაზეთი „ივერია“, რომელშიც არის გამოქვეყნებული ამ ფრაგმენტული გამოსვლების უმრავლესობა, სწორედ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოიცემოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ იგი რამე უზუსტობას შენიშნავდა თავის გამოსვლებთან დაკავშირებით, მას გაზეთის დაბეჭდვამდე შეაცვლევინებდა. რა თქმა უნდა, თუ რომელიმე პუბლიკაციაში მისი სიტყვები ზედმიწევნით ზუსტად არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტობრივი უზუსტობები არ ახლდა, ილია ჭავჭავაძე ამას არ გააპროტესტებდა, მაგრამ თუ თავისსავე გაზეთში გამოსაქვეყნებლად მიუტანდნენ სხდომის ანგარიშს, რომელშიც მისი სიტყვა სტილურად გაუმართავად, შეკვეცილად, მთავარი აქცენტების უგულებელყოფით იქნებოდა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, იგი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ ტექსტი გამართულიყო და მიახლოებოდა იმას, რაც რეალურად წარმოთქვა.

ტექსტის ავთენტურობის საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ საინტერესო შემთხვევას წავაწყდით: თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის 1897 წლის 23 იანვრის სხდომის ანგარიში მეორე დღეს, 24 იანვარსვე, დაიბეჭდა. ეს ანგარიში შეიცავდა ილიას მხოლოდ ორ გამოსვლას (201 სიტყვა, მთელ ანგარიშს კი სულ ეკავა A-3 ფორმატის ნახევარი). „ივერიის“ მომდევნო, 25 იანვრის ნომერში კი

დაიბეჭდა 23 იანვრის სხდომის ხელახალი ანგარიში შემდეგი წინასიტყვაობით: „გუშინდელს „ივერიაში“ დაბეჭდილა თავად-აზნაურთა საგანგებო კრების ანგარიში, მოყვანილია სხვადასხვა ორატორის სიტყვები და ამ სიტყვებში ისეთი შეცდომებია, რომ გეგონება, ესიამოვნოთ იმათ, ვისი სახელით არის ნათქვამი. ზოგი სიტყვა მთლად არ არის მოყვანილი და ზოგიც სულაც არ ჩაურთავს რეპორტიორს, თუმცა საყურადღებოა არიან. იტყვიან, თუ ეგრეა, რედაქტორმა რად მისცა ნება, რომ ამისთანა ანგარიში დაებეჭდაო. საყვედური სამართლიანია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს რედაქტორის უნებურად მოხდა: ანგარიში ისე მიეცათ სტამბაში ასაწყობად, რომ რედაქტორისთვის არ უჩვენებიათ, არც ეს არის შესაწყნარებელი მიზეზი, არც ეს არის საბუთი გამართლებისა, მაგრამ რას იზამთ? ნათქვამი აქვთ რედაქციაში თანამშრომელთ, რომ არავითარი სხვის შესახები ამბავი არ დაიბეჭდოს რედაქტორის დაუკითხავად. მაინც და მაინც ისე გამოვიდა, რომ ეს ანგარიში დაუკითხავად დაიბეჭდა და რედაქტორი იძულებულია, ყველას ბოდიში მოუხადოს“ [„ივერია“, 1897, 1-2, №8].

ამ შესავლის შემდეგ, დაპირებისამებრ, გამოქვეყნებულია ანგარიში, რომელშიც ილია ჭავჭავაძის 4 გამოსვლაა (978 სიტყვა, მთელი ანგარიში გაგრძელებით ქვეყნდება ორ ნომერში და საერთო ჯამში იკავებს A-3 ფორმატის 2 გვერდზე მეტს). მეორე ანგარიშში ილია ჭავჭავაძის ტექსტის სიტყვათა რაოდენობა თითქმის 5-ჯერ აღემატება პირველში გამოქვეყნებულს. ბუნებრივია, პირველს არაერთი ფაქტი აკლია მეორესთან შედარებით.

ამ ამონარიდში საგულისხმოა ორი რამ: პირველი, მიმომხილველისა თუ რეპორტიორის შეცდომაზე მითითება, სარედაქციო პრინციპების შეხსენებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტატუსის თვალსაზრისით, მხოლოდ გამოცემის რედაქტორს შეეძლო. რედაქტორი კი ამ დროს ილია ჭავჭავაძე იყო. ეს ფაქტი ტექსტის ავთენტურობის მყარი და ანგარიშგასაწევი არგუმენტია. თუ ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს ასეთი მკვეთრი რეაქცია ჰქონდა არასწორად დაბეჭდილ რეპორტაჟზე, ბუნებრივია, სხვა დროსაც რომ ყოფილიყო მსგავსი მაგალითი, აუცილებლად გაასწორებინებდა.

და მეორე, ამ ამონარიდში მკაცრ სარედაქციო პრინციპად არის მიჩნეული ის, რომ „სხვის შესახები ამბის დაბეჭდვა“ ხდება მხოლოდ რედაქტორის

ზედამხედველობით. ეს კი ხაზს უსვამს იმას, რომ „ივერიის“ რედაქცია ზედმიწევნით ყურადღებით ეკიდებოდა სხვისი ნათქვამისა და სხვის შესახებ ინფორმაციის პუბლიკაციას. ისეთ კონფრონტაციულ გარემოს, როგორც განსაკუთრებით 1890-იანი წლების ბოლოს სათავადაზნაურო ბანკის სხდომები წარმოადგენდა, მხოლოდ ასეთი ზღვრულად ზუსტი, ეთიკური და კორექტული მიდგომები სჭირდებოდა. სხვისი ნათქვამის კეთილსინდისიერად გადმოცემა ილია ჭავჭავაძეს ბეჭდვითი საქმის მნიშვნელოვან პრინციპად მიაჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა სხდომებზე სხვათა ფრაგმენტულ ზეპირ გამოსვლებს, რომელთა საბოლოო ბეჭდური ვარიანტი ავტორის ხელიდან არ გამოდიოდა.

რედაქტორის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ჩარევას გამორიცხავს ისიც, რომ მისდამი ოპოზიციურად განწყობილ გაზეთებშიც კი არასოდეს გამოთქმულა უკმაყოფილება „ივერიაში“ დაბეჭდილი სხდომის ანგარიშების უზუსტობასა ან მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. მთავარი კი ის არის, რომ ილია ჭავჭავაძე ასეთ რამეს თავის თავს, თავის ღირსებას არ ჰკადრებდა, რასაც ზემოთ მოყვანილი ამონარიდიც ადასტურებს.

ტექსტის ავთენტურობასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ფაქტორია ის, რომ ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის“ გამომცემელი და რედაქტორი. თუკი „ივერიაში“ პირდაპირი ნათქვამის სახით მისი ვრცელი სიტყვები იბეჭდებოდა, რასაც, როგორც არაერთგზის დასტურდება, ძირითადად, თავს არიდებდნენ სხდომის ანგარიშის ავტორები და მიმომხილველები, ამის ინიციატორი და სიზუსტეზე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო თავად ილია ჭავჭავაძე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაკი საჯარო სიტყვით გამოსვლისაგან განსხვავებით, ფრაგმენტული სიტყვით გამოსვლების წინასწარი წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება და, ბუნებრივია, მისი არსებობის ალბათობა ძალიან მცირეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტექსტების სიზუსტეს ილია ჭავჭავაძე თავად აკონტროლებდა.

ანგარიშის ზემოთ მოყვანილი შესავალი კი გვაფიქრებინებს, რომ ბანკის (ძირითადად, წლიური) სხდომა მაღალი საზოგადოებრივი ღირებულების მოვლენა იყო და მისი პუბლიცისტური რეპროდუქციის საქმეს „ივერიის“ რედაქტორი და თანამშრომლები ზედმიწევნით კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ პუბლიკაციების უმეტესობა ბუნებრივად ექცეოდა

ილიას, როგორც რედაქტორისა და ავტორის, თვალსაწიერში, რაც ამ ტექსტების ავთენტურობის ერთგვარი გარანტია.

საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი: თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძე საკუთარ გამოსვლებში ხშირად იყენებს ციფრებს. მაგალითად, ამ 67-სიტყვიან ფრაგმენტში („აქ აგერ ხელთ მიჭირავს ფინანსთა სამინისტროს წერილი, რომლიდგანაცა სჩანს, რომ დონის ბანკს 1873 წ. გაუცია 345, 000 მან. სესხი, შემდეგ 161,000 მანათისა, 439,000-სა, 33,000-სა, 18,000-სა, 180,000 და სხ. ს.-პეტერბურგის ტულის ბანკს 1873 წ. გაუცია 6 მილიონის სესხი, 1874 წელს - 2 მილიონისა, 1875 წელს 3 მილ. და ასე მეტ-ნაკლებობით. წარმოიდგინეთ, ამის მიუხედავად, ამ ბანკის მმართველობას ჯამაგირი 27,000 მ. აქვს და ამას გარდა, აგენტებს კიდევ 18,000 მან. აძლევს“) წლებისა და თანხების რაოდენობის ამსახველი 15 ციფრია მოყვანილი. ბუნებრივია, როდესაც საქმე ამას მოითხოვს, ციფრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ რეპორტაჟის ავტორი თავის რედაქტორს, ილია ჭავჭავაძეს, იმ ჩანაწერს გამოართმევდა, საიდანაც ის ამ ციფრებს კითხულობდა, ან მათ სიზუსტეს თავად რედაქტორი გააკონტროლებდა საბოლოო გადახედვისას.

რაც შეეხება იმას, ხომ არ ცდილობდნენ „ივერიის“ მიმომხილველები, რომ სხდომის ანგარიშები თავიანთი რედაქტორის სასარგებლოდ, შელამაზებულად წარმოეჩინათ, უნდა ითქვას, რომ ანგარიშებში ხშირად ვხვდებით ცალკეული პირებისა და ზოგჯერ ჯგუფების მხრიდანაც ილია ჭავჭავაძისადმი უპატივცემლობის გამოხატვის ფაქტებს, მაგრამ ეს მასალა შეუფერხებლად ქვეყნდებოდა მის გაზეთში. „ივერიის“ ერთ ნომერში ილია ჭავჭავაძის გამოსვლა გაწყვეტილია ამ ჩანართით: „ერთი კუნჭული კრებისა: არ გვინდა, გვეყოფა, ირლანდია აქ რა მოსატანია“ [„ივერია“, 1892, 1-3, №110]. ამ შემთხვევაში საზოგადოების რეაქცია მოჰყვა ილია ჭავჭავაძის მოხმობილ მაგალითს ინგლისელებსა და ირლანდიელებს შორის გამწვავებული ურთერთობის შესახებ. როდესაც ირლანდიელები ინგლისელებთან ვერაფერს გახდნენ, დაიწყეს პარლამენტის სხდომების გაცდენა და წესრიგის დარღვევით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელს უშლიდნენ პარლამენტის მუშაობას. ეს შედარება ილიას დასჭირდა იმისათვის, რომ ემხილებინა ბანკის წევრთა მხრიდან შედარებით



უმნიშვნელო საკითხისათვის დიდი ყურადღების მინიჭება და ამით მთავარი თემისათვის თავის არიდება.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, იყო შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლებს ფაქტობრივი უზუსტობებით აქვეყნებდა ესა თუ ის გაზეთი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში მწერალი მოითხოვდა შეცდომების საჯარო გასწორებას.

მიუხედავად იმისა, რომ ვერაფრით დავამტკიცებთ იმ რეპორტაჟებისა და მიმოხილვების აბსოლუტურ სიზუსტეს, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებია ჩართული, პრეცედენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათში არსებითი უზუსტობის შემჩნევის შემთხვევაში, მწერალს საშუალება ჰქონდა, უკმაყოფილება გამოეთქვა და შეცდომის გამოსწორება მოეთხოვა. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აპროტესტებდა ილია ჭავჭავაძე თავისი ზეპირი გამოსვლებისა და წერილობითი ტექსტების არასწორ პუბლიკაციას ან ინტერპრეტაციას პრესაში, მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

1876 წლის 7 მარტს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი რედაქტორისადმი, რომელშიც ის აპროტესტებდა გაზეთის ადგილობრივი ქრონიკის კორესპონდენტის მიერ საქონლის მიტაცების წინააღმდეგ გასატარებელ ზომებთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული მოსაზრების არასწორ ინტერპრეტაციას და შეცდომის გასასწორებლად უგზავნიდა თავის რეალურ შეხედულებას ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით [„Тифлисский Вестник“, 4, 1876, № 53].

1876 წლის 23 მაისს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ მათთან გამოქვეყნებულ წერილებს რუსული გაზეთი „კავკაზი“ დამახინჯებულად ბეჭდავდა და მაგალითისათვის მოყვანილი იყო ილია ჭავჭავაძის წერილი „უ. ნ. ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“, რომელიც რუსულ გაზეთს, რატომღაც, ნეკროლოგად მიუჩნევია და „ივერიის“ დაცინვა დაუწყია, ცოცხალ ადამიანებს „ნეკროლოგებს“ უწერენო [„დროება“, 1876, 2, № 50].

1907 წლის 30 მარტს გაზეთ „ზაკავკაზიეში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის საპროტესტო წერილი, რომლითაც მან მიმართა გაზეთ „რუსის“ რედაქტორს მის გაზეთში დაბეჭდილი იმ ინფორმაციის გამო, თითქოს ილია ჭავჭავაძე სიტყვით

გამოსვლას აპირებდა სახელმწიფო საბჭოს სესიაზე კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის, იმჟამად გარდაცვლილი გრიგოლ გოლიცინის ხსოვნის პატივსაცემად. რედაქტორისადმი მიმართვაში მწერალი აღნიშნავდა, რომ ინფორმაცია არასწორი იყო და მოითხოვდა ამის შესახებ განმარტების გავრცელებას არა მხოლოდ გაზეთ „რუსის“, არამედ ყველა იმ გაზეთის მიერაც, ვინც ეს ყალბი ინფორმაცია გადაბეჭდა. ამ გაზეთების რიცხვში იყო „ზაკავკაზიეც“ და ამიტომ ეს საპროტესტო განცხადება მანაც გამოაქვეყნა [ჭავჭავაძე, 2012, 252].

1905 წლის 9 მარტს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „წერილი რედაქციის მიმართ“ (იმჟამად გაზეთის რედაქტორი უკვე გრიგოლ ყიფშიძე იყო), რომელშიც მწერალი აპროტესტებდა ამავე გაზეთის წინა დღის ნომერში გამოქვეყნებულ, ვითომ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს 6 მარტს გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით გამართულ თავადაზნაურთა თათბირზე [ჭავჭავაძე, 2007ზ, 453-454]. იგი წერდა: „ბატონო რედაქტორო! გუშინდელს „ივერიაში“ (№20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე და, სწორედ მოვახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი. ბევრს სხვას რომ არ გამოვუდგე, საკმაოდ ვრაცხ მარტო ორი მაგალითი მოვიყვანო, რომელთა შორის ერთი ისეა გადმოცემული, რომ მისი გამგონი ან გიჟებში ჩამთვლის, ან მტკნარ სულელობაში ჩამომართმევს. ...ღმერთი-რჯული, – ჯერ ჭკუიდან არ შევმცდარვარ, რომ პრტყელი და ყოვლად უმსგავსო სულელობა გამომეთქვა. მე ეგ კი არა ვთქვი, მე ეს მოვახსენე კრებას: ...აი, ჩემი აზრი. თქვენც თვითონ, ბატონო რედაქტორო, მიხვდებით, – რომ ეს ჩემი აზრი და თქვენის გაზეთის მიერ გადმოცემული, ერთი და იგივე არ არის და „შუა უზის დიდი ზღვარი“. აი, მეორე მაგალითიც, საცა ჩემი ნათქვამი აზრი თუმცა უმსგავსოდ გადასხვაფერებული არ არის ზემოხსენებულისამებრ, მაგრამ ისე შეკვეცილია და ბოლომოგლეჯილი, რომ თავისი ფერი აღარ შერჩენია...“

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, გლეხმა ვასილ კირვალიძემ, გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში გაზეთი „ივერია“ გარდაცვლილის დევნაში დაადანაშაულა [„კვალი“, 1900, 62, N4]. როდესაც „ივერიის“ ყოფილმა თანამშრომელმა, გიორგი ლასხიშვილმა, ეს უსაფუძვლო ბრალდება უარყო [„კვალი“, 1900, 133-136, N9], ვასილ კირვალიძემ უპასუხა, რომ მას

101 ადამიანი უჭერდა მხარს, რასაც ხელმოწერითაც ადასტურებდნენ [„კვალი“, 1900, 190-191, N12]. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე სტატიაში „პატარა საუბარი“ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით იუმორით წერდა: „გნებავთ, საქართველოში თუნდა ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუთუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა! თუ კაცი თვითონ ნულია, გლეხია, თუ თავადი, ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელჩართულად გაგვიმწკრიოთ, მაინც ნულია და ნული“ [„ივერია“, 1900, 3, N65].

იმ პერიოდში სოციალ-დემოკრატები მასების ეგზალტირებას და მართვას ყველა პრობლემის სოციალურ ჭრილში გადატანით ახერხებდნენ. ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ისე მიაწოდა საზოგადოებას, თითქოს მწერალი მთელ ხალხს „ნულებს“ უწოდებდა. მწერლის მიერ 101 ხელმომწერის კრიტიკა მან საზოგადოების გმობად წარმოაჩინა და დაასკვნა: „რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მაშ ყველა წყალწაღებული ყოფილა“. [„კვალი“ 1900, 219-220, N14]. ეს ცრუ ინტერპრეტაცია ილია ჭავჭავაძემ გამოააშკარავა თავის სტატიაში „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“. ნოე ჟორდანიას მიერ თავისი აზრის არგუმენტირებულობის საჩვენებლად ზემოხსენებულ ფრაზაში ყოველგვარი ლოგიკის გარეშე ჩასმულ კავშირს „რადგანაც“ ილია ჭავჭავაძემ სატირული კომენტარი გაუკეთა: „კაი მოგეცათ, კაი „რადგანაც“ ეგ იყოსო“ და თავისი გულისტკივილი ამ სიყალბესთან დაკავშირებით ასე გამოთქვა: „კირვალბის ავტორიტეტობისა და საქართველოს ერის წარმომადგენლობის საბუთად „კვალმა“ ას ერთის კაცის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოგვიდგინა ქვეყნის სასაცილოდ... მე [ამ] ას ერთს კაცზე ვთქვი ნულები არიან-თქო და ბ-ნი ჟორდანია-კი... ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რიდაცისათვის საქართველოს ხალხს... იმედია, ამას არ შეარჩენთ „ახალმოსულსაო“ [„ივერია“, 1900, 1-2, N81].

ყველაზე მეტი ტყუილი, რაც ილია ჭავჭავაძის შესახებ მისივე სიცოცხლეში გამოქვეყნდა, იყო ჟურნალ „მოგზაურის“ სტატიაში „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება (გლეხთა მდგომარეობა და ილია ჭავჭავაძე), რომელსაც ხელს თბილისელი მედუქნე, „ვ. ნ.“ (ივანე ნაცვლიშვილი) აწერდა, მაგრამ რომლის უკანაც ისევ სოციალ-დემოკრატები იდგნენ. ამ სტატიაში უკვე ილია ჭავჭავაძის მხოლოდ

ზეპირი ან წერილობითი გამოსვლები კი არ იყო დამახინჯებული, არამედ შეთხზული იყო ჭორები მისი, როგორც პიროვნების, ულმოხელობისა და უსამართლობის შესახებ [„მოგზაური“, 1905, 209-211, N13]. ბუნებრივია, მწერალს არც ეს ცილისწამებები დაუტოვებია რეაგირების გარეშე. თავის ვრცელ და ამომწურავ პასუხში „ნუთუ?“ მან ფაქტობრივი მტკიცებულებების მოხმობით ისე გააბათილა ჟურნალ „მოგზაურის“ ბრალდებები, რომ არავითარი ეჭვი არ დატოვა მათში სიმართლის მცირე მარცვლის არსებობის დასაჯერებლადაც კი [„ივერია“, 1905, 1-4, N68].

ზემოხსენებული მაგალითები ნათლად მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძე გამომხაურების გარეშე არ ტოვებდა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების არასწორ, დამახინჯებულ პუბლიკაციას ან მასზე შეთხზულ ცილისწამებებს, რომლებიც ქვეყნდებოდა მის სიცოცხლეში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში. შესაბამისად, ის რეპორტაჟები და მიმოხილვები, რომლებშიც მისი ფრაგმენტული ხასიათის გამოსვლებია დაბეჭდილი და რომელთა მიმართაც ასეთი კრიტიკული შენიშვნები არ გამოთქმულა, მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად უნდა აღვიქვათ და შევიტანოთ მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში. ამას არგუმენტად ისიც ემატება, რომ ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები ავთენტურ წყაროებად მიიჩნევა. ეს ლოგიკურად არის, რადგან ცოცხალი პიროვნების შესახებ არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებს რომც გაეხდებოდათ, მწერალი ამას რეაგირების გარეშე არ დატოვებდა.

## **§2. ფრაგმენტულ ზეპირ გამოსვლებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია**

იმის გამო, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ზეპირი გამოსვლები ჩართულია რეპორტაჟებსა და მიმოხილვებში, რომელთა მოცულობაც შეზღუდულია, გამომსვლელები და გამომსვლელთა მიერ მოხსენიებული პირები უმეტესწილად ინიციალებითა და გვარებით არიან აღნიშნული. უფრო მეტიც, ზოგჯერ გვარის წინ სიტყვა „თავადის“ შემოკლებული ფორმა „თ.“ ან „ბატონის“ აბრევიატურა „ბ.“ წერია, რომელიც მკითხველს შეიძლება პიროვნების სახელის ინიციალი ეგონოს. ჩვენ საგანგებოდ სრულად ვეცნობოდით ამ და მომიჯნავე სხდომების ჩანაწერებს, რომ

სადმე ამ პირთა სრული სახელები გვეპოვა და შემდეგ მათი ბიოგრაფიული მონაცემები მოგვეძიებინა. ზოგ შემთხვევაში ამ გზით ვადგენდით პირის ვინაობას, მაგრამ როცა ეს წყაროები ვერ გვეხმარებოდა, მივმართავდით „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანესა“ და აკადემიური გამოცემის პუბლიცისტიკის ტომებს, სადაც ზეპირ გამოსვლებში წამოწეული თემები უფრო გაშლილად არის ხოლმე წარმოდგენილი. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

ილია ჭავჭავაძე თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1892 წლის 13 მაისის კრებაზე [„ივერია“, 1892, 2-3, №103] ახსენებს „ბ-ნ გაბაშვილის“ მიერ მოხმობილ მაგალითებს. იმისათვის, რომ შეგვეძლებოდა პირის იდენტიფიცირება და გაგვერკვია, რა მაგალითებზეა საუბარი, საჭირო გახდა წინა სხდომების მიმოხილვების გაცნობა. დავადგინეთ, რომ საუბარია იმხანად დუშეთში მომსახურე სამხედრო ექიმ გრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილზე (1854-1916), რომელმაც იმის დასამტკიცებლად, რომ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველ ორგანოს კიდევ ერთი თანამშრომლის დამატება არაფრად სჭირდებოდა, მოიხმო დონის, ბესარაბიისა და რუსეთის იმპერიის სხვა ბანკების მაგალითები. მისი თქმით, მათ იმდენივე ან ორიოდ წევრით მეტი ჰყავდათ ქართულ ბანკთან შედარებით, მაგრამ ბევრად უფრო დიდი რაოდენობით საბანკო ოპერაციებს უძღვებოდნენ. ამავე დღის გამოსვლაში ნახსენებია „ბ-ნ ხუდადოვის“ მიერ სხვისი სიტყვების გამეორება. ამ პირის ვინაობის დადგენა და იმის გარკვევა, თუ რა სიტყვების გამეორებაზე იყო საუბარი, ასევე მოხერხდა საგაზეთო მიმოხილვების დაწვრილებითი განხილვის შედეგად. მწერალი გულისხმობს ექიმ ნიკოლოზ ალექსის ძე ხუდადოვის (1849-1907) მიერ ივანე მაჩაბლის მხარდასაჭერად მისი სიტყვების გამეორებას ბანკის მოგებასთან დაკავშირებით. ამავე გამოსვლისას ილია ჭავჭავაძე ახსენებს „თ. ვაჩნაძეს“. გამოცდილებით უკვე ვიცოდით, რომ შემოკლება „თ.“ აქ სიტყვა „თავადის“ აბრევიატურა იყო და არა პიროვნების სახელის ინიციალი. ამიტომ არ გაგვეკვირვებია, როდესაც ძიებამ მიგვიყვანა პოლკოვნიკ ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძესთან, რომელიც ცოლის მხრიდან ივანე მაჩაბელს ენათესავებოდა და დებატების დროს მის მხარეს იჭერდა ხოლმე.

მომდევნო დღის გამოსვლაში [„ივერია“, 1892, 2-3, №104] ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს „როტმილდის“ გამონათქვამი: „მდიდარი ის-კი არ არის, ვისაც დღეში ერთი

მილიონი შემოსავალი აქვს და ერთ მილიონსა და ხუთ მანეთს-კი ჰხარჯავს, არამედ ის, ვინც ხუთს მანეთს იღებს და ოთხს ჰხარჯავსო“. ბუნებრივია, დავინტერესდით, როტშილდების საგვარეულო დინასტიიდან კონკრეტულად რომელმა თქვა ასეთი რამ და ილია ჭავჭავაძემ მისი სიტყვები ციტირების სახით გაიმეორა თუ პერიფრაზი მოიყვანა. ინტერნეტის საძიებო სისტემების გამოყენებით მივაგენით დინასტიის ფუძემდებლის, მაიერ ამშელ როტშილდის (1744-1812) ამ გამონათქვამს რუსულ ენაზე: „Богат не тот, кто много получает, а тот, кто много сберегает“ („მდიდარია არა ის, ვინც ბევრს იღებს, არამედ ის, ვინც ბევრს ზოგავს“). როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ ფრაზას ინტერპრეტაცია გაუკეთა ციფრების დამატებით, რომ უფრო იოლი აღსაქმელი გაეხადა, მაგრამ, ბუნებრივია, არსი არ შეუცვლია. ამავე გამოსვლაში [„ივერია“, 1892, 2-3, №104] საკრედიტო ორგანიზაციების წესების სიმკაცრის აუცილებლობასთან დაკავშირებით, მწერალი ასევე ინიციალების გარეშე ახსენებს „ბლიოხს“. დავადგინეთ, რომ საუბარია პოლონური წარმოშობის მეცენატსა და ბანკირზე – ივანე სტანისლავის ძე ბლიოხზე (1836-1901).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1892 წლის 17 მაისის კრებაზე [„ივერია“, 1892, 2-3, №108] ილია ჭავჭავაძემ ყურადღება გაამახვილა „მ. ვ. მაჩაბლის“ ნათქვამის აბსურდულობაზე. გავარკვეით, რომ საუბარია აგრონომ მიხეილ (მიშო) ვახტანგის ძე მაჩაბელზე (1858-1927), რომელიც აქტიურად ერთვებოდა საბანკო საკითხებთან გამართულ დებატებში თავისი ნათესავის, ივანე მაჩაბლის, მხარდასაჭერად. იმავე წლის 19 მაისის გამოსვლაში [„ივერია“, 1892, 1-3, №110] ილია ჭავჭავაძე ახსენებს „ჯანდიერის საქმეს“. მისი წერილების გამოყენებით დავადგინეთ, რომ საუბარია ძმებზე – ზაალ, ალექსანდრე და ვლადიმერ ივანეს ძე ჯანდიერებზე. ბანკმა პირველ ორ ძმას, თანხის დროულად შეუტანლობის გამო, მამული გაუყიდა. ივანე მაჩაბელი ამტკიცებდა, რომ ეს ბანკის დაუდევრობით მოხდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ თავის გამოსვლაში ეს უსაფუძვლო ბრალდება მთლიანად გააბათილა. ამავე სიტყვაში იგი აპელირებს „თ. ავალიშვილის“ ორი დღის წინანდელ გამოსვლაზე. საგაზეთო მიმოხილვებისა და დამატებითი წყაროების საფუძველზე დავადგინეთ, რომ საუბარია სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთ დირექტორზე - დავით ივანეს ძე ავალიშვილზე (1845-1897).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1892 წლის 11 აგვისტოს სხდომაზე [„ივერია“, 1892, 2, №172] წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ახსენებს თავად „გურამიშვილს“, რომელიც წესის შეცვლის წინააღმდეგ გამოვიდა. ყურადღებით შევისწავლეთ ამ და წინა სხდომების მიმოხილვები და გავარკვიეთ, რომ საუბარია მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეზე, ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმაზე – დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილზე (1857-1926).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1893 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გამოსვლისას [„ივერია“, 1893, 2-3, №39] ილია ჭავჭავაძე ახსენებს ბატონ „კობიაშვილის“ სიტყვას მამულის გადაგირავებისა და კონვერსიის ურთიერთმიმართების შესახებ. გავარკვიეთ, რომ საუბარია ამავე ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრ ალექსანდრე იოსების ძე კობიაშვილზე (1857-1918).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1894 წლის 26 მაისის სხდომაზე [„ივერია“, 1894, 2-3, №112] სამედიატორო სასამართლოსთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე ახსენებს თავად „თარხნიშვილს“. გაირკვა, რომ საუბარი უნდა იყოს სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთ დირექტორ, გენერალ-მაიორ გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავზე (1841-1911), რომელსაც მოსთხოვეს სამედიატორო სასამართლოში საქმის განხილვა, მაგრამ უსასრულოდ გაუჭიანურეს და ერთი წლის განმავლობაში სასამართლოს წევრებიც კი არ აურჩევიათ. 1895 წლის 15 მაისის სხდომაზე [„ივერია“, 1895, 2, №102] ილია ჭავჭავაძე ახსენებს ბატონ „ცხვედაძეს“. კვლევამ ცხადყო, რომ საუბარია სათავადაზნაურო სკოლის ზედამხედველი კომიტეტის წევრ ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე ცხვედაძეზე (1845-1911).

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1896 წლის 24 აპრილის სხდომაზე [„ივერია“, 1896, 3, №89] ილია ჭავჭავაძე საუბრობს „კეზელის“ თვითნებურ საქციელზე. თუ გავითვალისწინებთ ერთ-ერთი სხვა სხდომის ანგარიშში მითითებულ ინიციალს – „დ.“, საუბარი უნდა იყოს პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეზე – დავით ივანეს ძე კეზელზე (1854-1907). იმავე წლის 27 აპრილის სხდომაზე [„ივერია“, 1896, 1, 1-2, 2-3, 2-4, 2-3, №93-97] ილია ჭავჭავაძე ახსენებს „თ. ნ. ორბელიანს“ და „დ. ი. მუსხელიშვილს“, რომლებიც ავრცელებდნენ

ხმებს, თითქოსდა ფინანსთა მინისტრის შენიშვნებში ძალზე უარყოფითად იყო შეფასებული თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მუშაობა. გავითვალისწინეთ, რომ შემოკლება „თ.“ ორბელიანის გვარის წინ სიტყვა „თავადის“ მნიშვნელობით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული და დავიწყეთ მოკვლევა ამ პირთა იდენტიფიკაციის მიზნით. მწერლის თხზულებათა მე-16 ტომში გამოქვეყნებულ რუსულენოვან ტექსტში „В особенную канцелярию министерства финансов по кредитной части, правления тифлисского дворянского земельного банка объяснение“ [ჭავჭავაძე, 2018, 238], რომელიც ასევე საბანკო საკითხებს ეხება, არაერთგან ვნახეთ ამ პირთა სრული ინიციალები და სახელები. ასე დავადგინეთ, რომ საუბარია იურისტ ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანზე (1845-1925), რომელიც 1901 წლიდან საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა და არტილერიის გენერალ-მაიორ დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილზე (1838-1913). ორივე მათგანი ცდილობდა, რომ ილია ჭავჭავაძე ბანკისთვის ჩამოემორებინა [ჭავჭავაძე, 2018, 270]. სწორედ ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანმა გაგზავნა რუსეთის ფინანსთა სამინისტროში საჩივარი ილია ჭავჭავაძისა და თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წინააღმდეგ, რომლის ზედამხედველი კომიტეტის წევრიც თავად იყო 1893 წლამდე. ამავე სხდომაზე მწერალი ახსენებს „სარაჯოვის“ მამულს. დავადგინეთ, რომ საუბარია ცნობილ ქართველ მეწარმესა და მეცენატ დავით ზაქარია ძე სარაჯიშვილზე (1848-1911).

ზოგჯერ ზეპირ გამოსვლაში ესა თუ ის პირი მოხსენიებულია მხოლოდ თანამდებობის ან საქმიანობის აღმნიშვნელი საზოგადო სიტყვით, გვარის მიუთითებლად. 1896 წლის 27 აპრილის სხდომაზე [„ივერია“, 1896, 1, 1-2, 2-3, 2-4, 2-3, №93-97] ილია ჭავჭავაძე ახსენებს რევიზორის მოხსენებას. მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მე-16 ტომში დაბეჭდილია ამ რევიზორის სახელზე დაწერილი განმარტებითი ბარათი და მითითებულია მისი ვინაობაც. ეს არის რადომის სამიწათმოქმედო საკრედიტო ორგანიზაციის მრჩეველი ევსტათე ევსტათეს ძე დობეცკი (1856-1919), რომელიც რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ 1895 წელს მოავლინა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის რევიზიისათვის. მომდევნო დღის სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ორჯერ ახსენებს მინისტრს, გვარის მიუთითებლად. კონტექსტიდან გამომდინარე გავარკვიეთ, რომ



საუბარი უნდა იყოს ფინანსთა მინისტრზე, 1892-1899 წლებში კი რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო გრაფი სერგეი იულის ძე ვიტე (1849-1915).

პუბლიცისტიკის ამავე (მე-16) ტომის მეშვეობით გავარკვეეთ, რომ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა 1894 წლის 23 მაისის კრებაზე [„ივერია“, 1894, 2-4, №110] ილია ჭავჭავაძის მიერ მოხსენიებული ტატიშვილი უნდა იყოს გიორგი ტატიშვილი [ჭავჭავაძე, 2018, 341]. მართალია, მის გვარს ტექსტში აქვს შემოკლება „ბ.“, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სიტყვა „ბატონის“ აბრევიატურაა და არა სახელის ინიციალი. დადგინდა, რომ ეს პიროვნება ივანე მაჩაბლის ცოლისძმის, 1890-იან წლებში გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლ გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილის (1861-1929), ახლობელი იყო და ბანკის წევრთა სხდომებზე ძალიან აქტიურობდა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საბანკო საკითხებთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაპირისპირება ყველაზე მწვავე ფაზაში იყო, მათ კიდევ ერთ ახლობელთან – ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილთან ერთად თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში დაიქირავეს 70 კაცის ადგილი, ივანე მაჩაბლის მხარდასაჭერად გორის რაიონიდან ჩამოსული ხმის მიმცემებისთვის და რამდენიმე დღის განმავლობაში თავიანთ კმაყოფაზე ჰყავდათ ისინი. აღმოჩნდა, რომ სხდომის თავმჯდომარე დიმიტრი მუსხელიშვილი საკითხების გადაჭრის დაჩქარებაზე, ერთი მხრივ, იმიტომაც ზრუნავდა, რომ ოპოზიციას ძვირი უჯდებოდა ამ ხალხის შენახვა.

სასოფლო საზოგადოების წევრთა 1902 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე [„ივერია“, 1902,2, №267] გამოსვლისას ილია ჭავჭავაძე ახსენებს „შულცე დელიჩის საკრედიტო დაწესებულებებს“. აქ საუბარია გერმანელი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწე ჰერმან შულცე დელიჩიზე (ნამდვილი გვარი – ფრანც ჰერმან შულცე), რომელმაც 1849 წლიდან გერმანიაში (თავდაპირველად თავის მშობლიურ ქალაქ დელიჩში) შექმნა ურთიერთდამხმარე საკრედიტო ამხანაგობები. იმავე სხდომის საგაზეთო მიმოხილვაში არასწორად არის მოხსენიებული კიდევ ერთი ფინანსისტის გვარი, რომელიც რამდენჯერმე მეორდება და ყველგან შეცდომით. რაიფფაიზენის (*Raiffeisen*) ნაცვლად წერია „რაფაიზენი“. სხვადასხვა წყაროსა და სამიუზო სისტემის დახმარებით მაინც შევძელით ამ პირის იდენტიფიცირება. საუბარია გერმანელ საზოგადო მოღვაწეზე, ფრიდრიხ ვილჰელმ რაიფფაიზენზე

(1818-1888), რომელმაც 1864 წელს გერმანიის პირველი სასოფლო კოოპერატიული საკრედიტო ბანკი დააარსა.

სამეცნიერო აპარატის კომენტარებსა და საძიებლებში ინფორმაციის შესატანად ტექსტში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დადგენა მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნაა.

### **§3. ტექსტოლოგიური კვლევები ზეპირ გამოსვლათა შენიშვნებისა და კომენტარების შესადგენად**

ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები მკითხველისთვის იოლად აღსაქმელი რომ იყოს, საჭიროა კონტექსტის – სხდომის თემატიკის, განმაპირობებელი მიზეზების, დამსწრე საზოგადოების, სხდომათა დარბაზში შექმნილი განწყობების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხვა დეტალების – განმარტებას. ბუნებრივია, იმისთვის, რომ გასაგები იყოს ერთი სრული პუბლიცისტური ერთეულიდან ასე იზოლირებულად ამოღებული ფრაგმენტები, სამეცნიერო აპარატის ნაწილში ამ საკითხების საფუძვლიანი ახსნაა საჭირო. აპარატი მკითხველს უნდა უზრუნველყოფდეს ორი სახის განმარტებით: შენიშვნით, რომელშიც აისახება სხდომის რაობა, დრო და ადგილი; კომენტარებით, რომელთა საშუალებითაც მკითხველს მიეწოდება ყველა აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით.

შენიშვნა, ფორმის თვალსაზრისით, გადაუტვირთავი, შედარებით სტანდარტული და ფორმალურია. მაგალითად, ასეთი: „კრებაზე განიხილეს საკითხები ბანკის მმართველი ორგანოსთვის მეოთხე წევრის დამატებისა და ბათუმსა და ბაქოში სააგენტოების გამართვის შესახებ“; „კრებაზე განიხილეს მამულების შეფასების სისტემის პრინციპები, ასევე საკითხი მსესხებლებისთვის შეღავათების მინიჭების შესახებ“; „კრებაზე განიხილეს ბანკის მმართველობის მოხსენება დივიდენდის გაუქმების შესახებ, ასევე 1892 წლის ბანკის ხარჯთაღრიცხვა და ბანკის შუამავლის (აგენტის) საჭიროების საკითხი“ და ა. შ. როგორც ვხედავთ, თოთოეულ შენიშვნაში მოყვანილია ერთი, ორი ან სამი ისეთი თემა, რომლებსაც უშუალოდ უკავშირდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები.

მიუხედავად ამისა, გვექონია ისეთი შემთხვევები, როდესაც შენიშვნის არეალი უფრო ფართო ყოფილა, ვიდრე ილია ჭავჭავაძის სიტყვით გამოსვლის თემა. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქვა სიტყვები: „მე უნდა, ბატონებო, ვისარგებლო იმ უფლებით, რა უფლებაც ყოველ მოწმეს კანონით მინიჭებული აქვს: როდესაც მას ჰკითხავენ ისეთი პირის შესახებ, ვისთანაც უსიამოვნება აქვს, ის თავის თავს გადაიყენებს. ამისათვის გთხოვთ ნუ მათქმევინებთ“ [„ივერია“, 1894, 2-3, N102]. (ამ პირში იგულისხმა ივანე მაჩაბელი, რომელსაც უშუალოდ უკავშირდებოდა სხდომაზე განხილული საქმე. მასზე საუბარს ილია ჭავჭავაძემ დუმილის უფლების გამოყენებით აარიდა თავი (ეს სურვილი იქვე საჯაროდ განაცხადა და რეპორტიორმაც პირდაპირ ნათქვამად მოიყვანა პუბლიკაციაში). მწერლის ამ განცხადების გარდა, ბუნებრივია, რეპორტაჟში არ შესულა მისი არც ერთი სიტყვა. მიუხედავად ამისა, შენიშვნაში მოკლედ აღვწერეთ სხდომის ძირითადი საკითხები, რათა წარმოჩენილიყო, თუ რა საკითხის განხილვისას და რა გარემოებების გამო შეიკავა თავი ილია ჭავჭავაძემ საუბრისგან. ეს მისი პორტრეტის არცთუ უმნიშვნელო შტრიხია.

რეპორტაჟებსა და ანგარიშებში ასახული სხდომების უმრავლესობა თემატურად მეტად მრავალფეროვანია, რაკი, ძირითადად, საუბარია თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა წლიურ კრებებზე, იქ წლის განმავლობაში დაგროვილ არაერთ პრობლემურ საკითხზე მიმდინარეობდა მსჯელობა. ზოგადად, სხდომის ანგარიშში შესული ყველა თემის ჩამოთვლა, თუ ის უშუალოდ ილია ჭავჭავაძის სიტყვასთან არ არის კავშირში, საჭიროდ არ მივიჩნიეთ. მაგალითად, ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც ასახავს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სხდომას, საუბარია შემდეგ საკითხებზე: თბილისში უნივერსიტეტის დაარსება იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი, სამეურნეო სასწავლებლისა თუ პოლიტექნიკუმის; რა სახით დაებრუნებინათ თავადაზნაურთა ბანკის დამფუძნებელთათვის თანხა; რა რეაგირება ჰქონოდათ დრამატული საზოგადოების თხოვნაზე დარჩენილი ვალის პატიების შესახებ და სხვა. ამ სხდომის დასასრულს თავადაზნაურობამ ილია ჭავჭავაძეს ფეხზე წამოდგომით გადაუხადა მადლობა 30 წლის განმავლობაში სათავადაზნაურო ბანკის მუშაობის ისე წარმართვისათვის, რომ ამ დაწესებულებამ მოახერხა არაერთი მამულიშვილური და საქველმოქმედო საქმის

გამდლოლა. კრების დასასრულს ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა სამადლობელი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში კი, რაკი მისი სიტყვა სრულად განყენებულია სხდომაზე წამოყენებული სხვა თემებისგან, შენიშვნაში მხოლოდ ამ ბოლო თემით შემოვიფარგლეთ. როგორც ვხედავთ, სამეცნიერო აპარატის ეს კომპონენტი დამოკიდებულია უფრო ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული სიტყვით გამოსვლების შინაარსზე და არა, საზოგადოდ, სხდომებზე განხილულ თემებზე.

რაც შეეხება კომენტარებს, ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტულ ზეპირ გამოსვლათა ხასიათი კომენტარების თავისებურ სისტემას მოითხოვს. რამდენადაც საქმე გვაქვს არა გაბმულ ტექსტთან, რომელსაც ერთ ნაკადად წარმოთქვამს ორატორი და აწყობილია მეტ-ნაკლებად განსაზღვრული არქიტექტონიკით, არამედ ფრაგმენტულთან, რომელიც გაპირობებულია წინავითარებით და ფორმირებულია სხდომის პროცესში წარმოქმნილი სიტუაციური მოთხოვნების შესაბამისად. ეს ფრაგმენტულობა და სეგმენტირებულობა კი ართულებს აღქმას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების წარმომავლობა იმდენად თავისებურია, რომ ყველაზე სრულყოფილი კომენტარების სისტემის გამოყენების შედეგადაც კი შეუძლებელია ამ ფრაგმენტებისგან მივიღოთ მონოგენური ტექსტური ფაქტურა. აკადემიური გამოცემის მიზანი ეს იმის გამო არ არის, რომ წყარო, თავისი ბუნებით, მოკლებულია ერთიან კომპოზიციურ ჩონჩხს და მას სეგმენტურობის ნიშნები ყოველთვის რჩება. შესაბამისად, ამ წყაროს კომენტარის მიზანი ეს ვერ ექნება. ამ შემთხვევაში კომენტარების მიზანია თითოეული ფრაგმენტის, როგორც დასრულებული ელემენტის, მიტანა მკითხველამდე. ასეთ ვითარებაში კომენტარის ფუნქციაა, ერთი მხრივ, ტექსტში მოცემული რთულად გასაგები ფრაზების, ცნებების, ტერმინების განმარტება, მეორე მხრივ კი, იმ კონტექსტის ახსნა, რომელმაც განაპირობა ეს გამოსვლა. მაგალითად, როდესაც ილია ჭავჭავაძე წარმოთქვამს ამ ფრაზას: „ხელს მოვიჭრი, თუ ვინც „მართალიას“ იძახის, ესმის, რაზედ იძახის...“ [„ივერია“, 1894, 2-4, N110] – გულისხმობს დამსწრეთა შეძახილს „მართალია“, რაც მოჰყვა მიხეილ მაჩაბლის რეპლიკას – „გააჩერეთ თ. ჭავჭავაძე“. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძის აკადემიურ გამოცემაში შესული ამ რეპლიკის კომენტარში ვსაუბრობთ წინავითარების ამსახველ, სულ მცირე, სამ შრეზე: 1. ილიას სიტყვა; 2. მიხეილ

მაჩაბლის რეპლიკა, შეეჩერებინათ ილია და ვ. დამსწრე საზოგადოების რეაქცია, რომ მართალი იყო მაჩაბელი და სიტყვა გაეწყვეტინებინათ ილიასთვის. ილია ჭავჭავაძის საკომენტარო რეპლიკა მეოთხე ქრონოლოგიური შრეა, რომელიც კომენტარმა ასახა.

მუშაობის პროცესში ერთ გამოცდილებას ჩავუყარეთ საფუძველი: თავდაპირველად, იმისთვის, რომ მომიჯნავე ტექსტების ინფორმაციული გავლენების ქვეშ არ აღმოვჩენილიყავით და ჩვენც მკითხველის პოზიციაში (ის თავდაპირველად, ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში იზოლირებულად ამოღებულ ფრაგმენტულ გამოსვლებს ეცნობა) ჩავმდგარიყავით, ვეცნობოდით არა სხდომის პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ სრულ მიმოხილვას, არამედ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლებს და ასე, ნედლი მასალიდან ამოგვქონდა ტექსტის გაუგებარი ან რთულად გასაგები პასაჟები. ვსვამდით პოტენციურ კითხვებს, რამ განაპირობა, ან რას შეეძლო გამოეწვია ეს გამოსვლა, რაზე პასუხიც ხელს შეგვიწყობდა ფრაგმენტის სრულად აღქმაში. შემდეგ კი ვუბრუნდებოდით სრულ ანგარიშსა თუ რეპორტაჟს და ვიწყებდით მუშაობას გაურკვეველი მონაკვეთების კომენტირებაზე. ასეთ დროს ზოგჯერ ვიფარგლებოდით გამოცემის იმავე ან იმ დღეებში გამოცემული ნომრებით, ხშირად კი კომენტარებისთვის ეს წყარო არ იყო საკმარისი და მივმართავდით სხვა გზებსა და საშუალებებს.

1892 წლის 13 მაისს გამართულ თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა კრებაზე [„ივერია“, 1892, 2-3, N103] ილია ჭავჭავაძის ორმა გამოსვლამ 10 კომენტარი მოითხოვა. ამ ათიდან მხოლოდ სამი ეხება განსახილველი თემის რეალურ არსს, დანარჩენი შვიდი კი ასახავს წინავითარებას. გარდა იმისა, რომ მოხსენიებულ პირთა ვინაობა სრულად არის განმარტებული არა ზოგადი ანოტირების მეთოდით, არამედ უშუალოდ სხდომის თემასთან კავშირის თვალსაზრისით. კომენტარებში გახსნილია ყველა იმ პირის ვინაობაც, რომლებიც ნაცვალსახელით იყო მითითებული. მიმართებით და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელურ ფორმებს კი ილია ჭავჭავაძე ხშირად იყენებს მისადმი ოპოზიციურად განწყობილ პირთა სახელების ხსენების თავიდან ასარიდებლად. მაგალითად, ამ ანგარიშში ჩართულ გამოსვლებში მიმართავს ასეთ ფორმებს: „ვისაც მაგალითი მოჰყავს, იმან ყოველ მხრივ უნდა გაითვალისწინოს ეს მაგალითი“

(შენიშვნა ეხება გრიგოლ გაბაშვილს და მის მიერ მოყვანილ ცალმხრივ მაგალითს); „კრებაში ვილაცა თავმჯდომარეობს და არავის არაფერს ათქმევინებს“ (კრებას თავმჯდომარეობდა ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე იმაზე მიანიშნებს, რომ რეალურად სხვა მართავდა სიტუაციას); „ზოგიერთმა განაცხადა“ (იგულისხმება ივანე მაჩაბელი, რომელმაც განაცხადა, რომ ბანკის მოგება 5 000 მანეთია).

სხდომაზე მიმდინარე პოლემიკისას ილია ჭავჭავაძის სიტყვების საკვანძო, არსობრივი მომენტების განმარტებას ეხება სამი კომენტარი: „ესრედ წოდებული ნორმალური დაფასება“ (იგულისხმება საბანკო სარგებლობაში არსებული მიწების სტანდარტული შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც რუსეთის ყველა რეგიონის მიწას განსაზღვრული კატეგორია ჰქონდა მინიჭებული); „მმართველობას ისე არა აქვს გაძნელებული საქმე“ (საუბარია რუსეთის ბანკების მმართველების უფრო მსუბუქ მდგომარეობაზე იმის გამო, რომ იქ მიწის შეფასების სტანდარტული სისტემა მოქმედებდა, ქართულ ბანკში კი მსგავსი სისტემატიზაცია არ არსებობდა და დამფასებელს მის გარეშე უნდა განესაზღვრა ფასი); „მიწის საკუთრების საბუთები... უდავოა“ (საუბარია რუსულ სინამდვილეში საბანკო საქმის მოქნილობაზე, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ მოწესრიგებული იყო დოკუმენტაცია მიწის საკუთრების შესახებ, საქართველოში კი ამ საკითხის გარკვევის პასუხისმგებლობაც მიწის შემფასებელს ეკისრებოდა).

არის შემთხვევები, როდესაც კომენტარში განმარტებულია წმინდა საბანკო ტერმინები: „უნდა მოვახდინოთ კონვერსია“ – ნაგულისხმევია საბანკო ოპერაცია – სესხის ან ფასიანი ქაღალდის პირობების ცვლილება (პროცენტის შემცირება, ვადის გაზრდა და ა. შ.) [„ივერია“, 1895, 1-3, N104]. „20%, რომელიც ახლა დივიდენდად იხარჯება“ – ნაგულისხმევია დაბანდებული კაპიტალის მიერ მოტანილი მოგების ნაწილი [„ივერია“, 1892, 2, N106].

ილია ჭავჭავაძე გამოსვლებისას ხშირად მიმართავს იუმორსა და ირონიას. ამის მაგალითია ზემოთ განხილულ ანგარიშში [„ივერია“, 2-3, 1892, N103] ნახსენები ფრაზა: „ვგონებ ოდნავაც არის გადააჭარბებს“ – კომენტარში ვკითხულობთ, რომ

„ავტორი ირონიით საუბრობს ივანე მაჩაბლის მიერ ბანკის წლიურ მოგებად 42 000-ის ნაცვლად დასახელებულ 5 000 მანეთზე“.

ასეთ პასაჟებს ვხვდებით სხვა გამოსვლებში. მაგალითად, ფრაზა – „დიად მხიარულათ გახლავარ“ – კომენტარში განმარტებულია როგორც ილიას პასუხი მიხეილ მაჩაბლის რეპლიკაზე – „რა მხიარულადა ბრძანდებით, ბატონო კნიაზო, გუშინდელს აქეთ“, რომელშიც მინიშნებაა წინა დღეს ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძის არჩევაზე 989 ხმით 334-ის წინააღმდეგ [„ივერია“, 1894, 2-3, N112]. ილია ჭავჭავაძის პასუხი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის ზუსტად ხვდება მოწინააღმდეგის ირონიულ ტონალობას და იმავე იარაღით განაგრძობს ბრძოლას.

ილია ჭავჭავაძის მიერ იუმორით ნათქვამ ფრაზას – „თუნდა მთელი არტილერია დააყენოთ წინ“ [„ივერია“, 1892, 2-3, N107], უძლოდა დიმიტრი მუსხელიშვილის გამონათქვამი იმის თაობაზე, თითქოს ძალას მიმართავდნენ მისი მოსაზრების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც აუცილებელია, ბანკმა აგენტები აიყვანოს. ამ მოსაზრებას ილია ჭავჭავაძემ მართალაც ძლიერი არგუმენტები დაუპირისპირა და ბოლოს დასძინა: „რა ძალის ხმარებისას ჰბრძანებს ბ-ნი მუსხელიშვილი? თუ ჭკუის ძალის ხმარების შესახებ ჰლაპარაკობს, ეს ძალა ყოველთვის ძალადვე დარჩება, იმას ვერაფრით მოსპობთ, ვერავითარის საშუალებით, თუნდა მთელი არტილერია დააყენოთ წინ... ყოველთვის ეგრეა, როდესაც ორი ჭკუა შეხვდება ერთმანეთს, ერთი, რომელიც ძლიერია, მეორეს დასჩაგრავს და დაიმორჩილებს... ჩვენ აგენტი არა გვსურს იმიტომ, რომ არ გვინდა მოგატყუოთ. აგენტს რომ სარგებლობის მოტანა რისამე შეეძლოს, პირ-იქით, ჩვენ უფრო ორიგ ხელით მოვეჭიდებოდით, რადგან ჩვენც საქმეს შეგვიმსუბუქებდა და გაგვიადვილებდა. მაგრამ გვერწმუნეთ, რომ აგენტი, ზარალს-კი იქნება, მაგრამ სარგებლობას არაფერს მოგვიტანს“. სწორედ არგუმენტების სიმყარე იყო ის ძალა, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა სხდომის მონაწილეებზე და რომელიც არ მოეწონა ინიციატივის ავტორს. ილია ჭავჭავაძემ დიმიტრი მუსხელიშვილის პროფესიაზე (ის არტილერიის გენერალი იყო) მინიშნებით ხაზი გაუსვა, რომ ლოგიკაში მას არტილერიის გენერალიც ვერ აჯობებდა და რომ საერთოდ არ არსებობდა ლოგიკაზე ძლიერი ძალა.

სხდომის ანგარიშიდან [„ივერია“, 1894, 2-3, N102], რომელშიც მხოლოდ ერთხელ ჩართულა ილია ჭავჭავაძე, ძირითად ტექსტში შეგვაქვს მხოლოდ ეს ფრაგმენტი: „ყველაზე, უფრო, ბატონებო, მ. მაჩაბელმა დამიკრა ტაში; ვიცი ეგ რაც არის, ძალიან კარგად ვიცი და ამისათვის უნდა მოგახსენოთ, ჩემდა უნებურად აქეთ იქით მივიხედე: დიდი სისულელე ხომ არა ვსთქვი რამეო!...“ ბუნებრივია, შესაბამისი კონტექსტის გარეშე გამოსვლის არსის გაგება შეუძლებელია.

კომენტარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სიტყვით გამომსვლელის იმ არსებითი პასაჟების შეტანა სამეცნიერო აპარატში, რომელიც მიმომხილველმა პუბლიკაციაში არაპირდაპირი ნათქვამის სახით შეიტანა, ან რაიმე ფორმით მინიშნა. კომენტარში ავსახეთ, რომ ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ გამოსვლას სხდომის საგაზეთო მიმოხილვაში უძლოდა მისი სიტყვის შემდეგი, საკმაოდ ვრცელი პერიფრაზი, რომელზედაც დაუკრავს ტაში მიხეილ მაჩაბელს: „თ. ი. ჭავჭავაძემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომლითაც ამტკიცებდა, რომ სანამდის თ. ივ. მაჩაბელი შამოვიდოდა, ყველაფერი რიგიანად და წესიერად იყო; როცა ეს მოვიდა, ყველაფერი განხეთქილება, შური მას შემდეგ გაჩნდა ჩვენს ბანკშიო. შემდეგ მიუგო პასუხი ყოველ იმ მუხლებზე, რომელნიც თ. ივ. მაჩაბელმა მის საბრალმდებლოდ წარმოადგინა; სთქვა, თუ ვინ არის ბანკში წრფელი მოღვაწე, რომელიც საზოგადო ინტერესების თვალთ ზომავს საქმეს, ვინ არის ბეჭდვის სიტყვის ღრმა პატივისმცემელი; როგორ საქმეებზე სწერს თ. მაჩაბელი თავის განსაკუთრებულ აზრებს და რომ ის აზრები სრულიად მავნებელნი და დამარღვეველნი არიან ბანკის ინტერესებისათვის და სხვათა შორის ამით დააბოლოვა: კიდევ ბევრს ჩამოგითვლიდით, მაგრამ ჯერ ესეც საკმარისიაო; ეხლა თ. მაჩაბელმა წარმოსთვა თქვენს წინაშე, ჩასწეროს ჩემიც ბრალდებულებად და თქვენ მიერ ამორჩეულმა კაცებმა გაარჩიოსო. მაგრამ ეს პირობაც დაიდვასო, რომ ჩვენ შორის ვინც გამტყუნდესო, ხელი მოაწეროს, რომ თავის დღეში საზოგადო ასპარეზზედ არ გამოვიდეს“ [„ივერია“, 1894, 2-3, №102).

საქმის რეალური ვითარება ასეთი იყო: თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა საერთო კრებაზე ოპოზიციური დაჯგუფება უკვე აშკარად აცხადებდა, რომ მათი მიზანი იყო დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან, რომელსაც, მათი თქმით, ბანკი არასწორი მიმართულებით მიჰყავდა. ვრცელი,



მაგრამ არაარგუმენტირებული სიტყვით გამოვიდა მიხეილ მაჩაბელი. ოპოზიციონერები ამტკიცებდნენ, რომ მათ გარეშე ბანკი დაილუპებოდა, მაგრამ ვერ მიუთითებდნენ, ილია ჭავჭავაძის პრინციპებიდან რა იყო ბანკისთვის საზიანო და რას სთავაზობდნენ საზოგადოებას მათ ნაცვლად. თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძემ კრებას გააცნო ზუსტი ციფრები იმის დასამტკიცებლად, თუ რით შემოიფარგლებოდა ივანე მაჩაბლის დამსახურება ბანკის წინაშე და გამოვიდა წინადადებით, რომ მისი და ივანე მაჩაბლის საბანკო საქმიანობა შეესწავლა საგანგებო კომისიას და ის, ვისაც დამნაშავედ ცნობდნენ, სამუდამოდ ჩამოშორებოდა საზოგადოებრივ ასპარეზს. ილია ჭავჭავაძის ამ ხანგრძლივმა გამოსვლამ გააბათილა გამგეობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები.

აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი, მიმომხილველს სტატიაში პირდაპირ ნათქვამად მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილი რეპლიკა (ყველაზე მეტად მ. მაჩაბელმა დამიკრა ტაშიო) აქვს შეტანილი, ხოლო გამოსვლის ფაქტობრივი, არსებითი ნაწილი, რასაც ეს ტაში და რეპლიკა მოჰყვა, – პერიფრაზით. ბუნებრივია, შესაბამისი კონტექსტისა და ილია ჭავჭავაძისათვის ჩვეული იუმორის (მოწინააღმდეგის ტაში მან საპირისპირო მნიშვნელობით აღიქვა) გათვალისწინების გარეშე გამოსვლის არსის გაგება შეუძლებელია. ამიტომ, კომენტარში ვწერთ, რომ ილია ჭავჭავაძის ამ გამოსვლას წინ უსწრებდა სიტყვა მის საწინააღმდეგოდ მიმართული არგუმენტების გასაბათილებლად და აქვე წარმოთქმული იყო მისი სურვილიც, შექმნილიყო საგანგებო კომისია თავისი და თავისივე ოპოზიციონერების საქმიანობის შესაფასებლად იმ პირობით, რომ ვინც გამტყუნდებოდა, საზოგადოებრივი ასპარეზიდან წასულიყო. ამ გადაწყვეტილებას ტაშით შეხვდა ილია ჭავჭავაძის ოპოზიცია, თითქოს მათ გარანტია ჰქონდათ, რომ თავად გაიმარჯვებდნენ. ეს ტაში ილიამ თავის წინააღმდეგ მიმართულად აღიქვა.

ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული გამოსვლების დიდი წილი წინა მომხსენებელთა ნათქვამების გადააზრებაზე მოდის, რადგან ამგვარი პლაცდარმებით ის თავის ლოგიკურ სტრუქტურებს უფრო მყარად უყრიდა საფუძველს.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების სათანადო კომენტარებით უზრუნველყოფა აუცილებელი საფეხურია იმისთვის, რომ

გარემომცველი ტექსტებისგან იზოლირებული ფრაგმენტების არსი და კონტექსტი ნათელი გახდეს მკითხველისთვის. ამასთან, კომენტარების ზღვრულად ზუსტი, რაციონალური სისტემა აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა და ჩვენც მაქსიმალურად ვცდილობთ მის დაცვას.

## თავი II

### ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემათმცოდნეობითი კვლევა

#### §1. ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემის მნიშვნელობა

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვაჩინოთ, რა ადგილი უჭირავს საჯარო გამოსვლებს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ჩვენ მიერ შესწავლილი ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები, თვალი გადავავლოთ ორატორული ხელოვნების პრინციპებს და შევაფასოთ მისი სიტყვები ამ ზოგად-თეორიული გადასახედიდან.

საუკუნის წინ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების შინაარსზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათი ტექსტების მიხედვით, მაგრამ რაც შეეხება მწერლის ორატორულ ოსტატობას – თუ რა ეფექტი მოახდინა ამან მსმენელზე, რა რეაქცია მოჰყვა მათი მხრიდან, ამის შესახებ მონაცემებს გვთავაზობს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მიმოხილვების აღწერითი ნაწილი და ჩანართები. რეპორტაჟებიდან ხშირად ჩანს, რომ საზოგადოება ფეხზე წამოდგა, ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა და სხვ. წარმოთქმული სიტყვის შინაარსისა და ავტორის ორატორული ხელოვნების სრულყოფილებაზე მიგვანიშნებს ამ გამოსვლების მოსმენით მოხდენილი შთაბეჭდილების ამსახველი ისეთი ფაქტობრივი მტკიცებულებაც, როგორცაა მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა კენჭისყრის შედეგად დადასტურებული რაოდენობა. მე-19 საუკუნის პერიოდულ პრესაში აღწუსებულია სხვადასხვა სხდომაზე იმ პოლემიკურ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგები, რომლებთან დაკავშირებითაც ილია ჭავჭავაძე გამოდიოდა სიტყვით და, უნდა ითქვას, რომ მისი პოზიცია ყოველთვის იმარჯვებდა.

ილია ჭავჭავაძის ზეპირი გამოსვლების ფორმალური მხარის შესახებ განსაკუთრებით ფასეულ ინფორმაციას გვაწვდის თანამედროვეთა მოგონებები. ამიტომ შევეცადეთ, მოგონებების მიხედვით გაგვერკვია, რამდენად ესადაგებოდა ილია ჭავჭავაძის ზეპირი გამოსვლები ორატორული ხელოვნებისა და დებატების წარმოების პრინციპებს. ორატორულ ხელოვნებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს

მოსაუბრის ენობრივ ქსოვილს [Баева 2001, 45]. იაკობ მანსვეტაშვილი წერს, რომ თავისი გამოსვლებისას ილია ჭავჭავაძე ამჟღავნებდა სრულ „სიდიადეს და ძლიერებას თავისი ბრწყინვალე ქართული ენისა... ელვასავით გამოჰკრთებოდა მისი მოულოდნელი ლამაზი შედარება, მოსწრებული სიტყვა, რომელიც ყველას, მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც, ჰხიზლავდა“ [მანსვეტაშვილი, 1936, 138]. დისკუსიისა და დებატების დროს მნიშვნელოვანია, რომ გამომსვლელს მოწინააღმდეგის მოსმენის კულტურა ჰქონდეს და სიტყვის სათქმელად მარჯვე დროის შერჩევა შეეძლოს [Баева 2001, 296]. მანსვეტაშვილი წერს, რომ ილია ჭავჭავაძე „მოთმინებით უსმენდა მოწინააღმდეგეს, თვალ-ყურს ადევნებდა ყველაფერს და წამოდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავდა, რომ ხმის ამოუღებლობა არ ივარგებდა“ [მანსვეტაშვილი, 1936, 132].

მსმენელზე დადებითი ზემოქმედების მოსახდენად მნიშვნელოვანია, რომ ორატორი სწორად იყენებდეს ხმის ტემბრს, ჟესტიკულაციასა და მიმიკას [კარნეგი 39, 55, 125, 156; Баева 2001, 47, 155, 172]. იაკობ მანსვეტაშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძეს სიტყვით გამოსვლისას ახასიათებდა „მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, ხმისა და სიტყვის მიმდინარეობის შეცვლა, რომ მსმენელთათვის მოწყენილობა არ შეემჩნევიანებინა, მათი ყურადღება არ დაედუნებინა... სიტყვას დროზე მოაყრიდა მარილს, პილპილსაც არ დააკლებდა, რაც მსმენელს სიფხიზლეს მატებდა, სმენის მადას უღვიძებდა“ [მანსვეტაშვილი, 1936, 138]. მნიშვნელოვანია, რომ ორატორს ზედმეტი მღელვარება არ ეტყობოდეს [Баева 2001, 95] და ილია ჭავჭავაძე, იმავე წყაროს მიხედვით, ამ წესსაც ზედმიწევნით იცავდა: „რაც უნდა ცეცხლი დატრიალებულიყო მის გულში, შეეძლო, თუ გარემოება მოითხოვდა, გარეგნობით არ ეჩვენებინა“ [მანსვეტაშვილი, 1936, 138].

მოგონებებიდან ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის ამგვარ გამოსვლებს ხშირად მის წინააღმდეგ განწყობილი ადამიანებიც კი ფეხზე წამოუყენებია და მისთვის ტაში დაუკვრევინებია. რაც შეეხება ზოგად შედეგებს, ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა, ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ.

ორატორული ხელოვნებისა და დებატების წარმოების ოსტატობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ზეპირი გამოსვლების ჩვენს ხელთ არსებული ტექსტების განხილვა. ნიმუშად ავიღეთ ილია ჭავჭავაძის 1888 წლის 16 მაისის სიტყვა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე [ჭავჭავაძე, 2007გ, 241-248]. იმისათვის, რომ მკითხველმა ეს გამოსვლა სრულყოფილად აღიქვას, აუცილებელია იცოდეს, რომ ბანკი აფინანსებდა მნიშვნელოვან ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებს: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სკოლებს, თეატრს, ქართულ გამოცემებს და სხვ. რამდენადაც მის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ბანკს სულ უფრო და უფრო მეტი თანხა სჭირდებოდა, ბიუჯეტი კი ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ მოგების გასაზრდელად გადაწყვიტა, რომ ბანკს შეეძინა გრიგოლ არწრუნის ქარვასლა, გაერემონტებინა და მისი გაქირავებით სტაბილურად ჰქონოდა დამატებითი შემოსავალი. 1887 წელს ბანკის გამგეობამ ქარვასლის რემონტზე დახარჯა იმაზე ბევრად მეტი თანხა, ვიდრე ნებართვა ჰქონდა დამფუძნებლებისგან, რამაც დაპირისპირება გამოიწვია. ბანკის ერთ-ერთი დირექტორი - დავით ავალიშვილი აცხადებდა, რომ ეს დანახარჯი კრებას კანონიერად არ უნდა მიეჩნია. გადაწყვეტილების მიღებამდე ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა სიტყვა, რის შემდეგაც ხმის მიმცემთა უდიდესმა ნაწილმა მისი მხარე დაიჭირა და დანახარჯები ოფიციალურად დაამტკიცა.

ორატორული ხელოვნების თეორიის მიხედვით, გამომსვლელმა სიტყვა უნდა დაიწყოს წინაპირობებისა და სიტუაციის ზოგადი სურათის ჩვენებით [Баева 2001, 243]. ილია ჭავჭავაძე თავის გამოსვლას იწყებს ასე: „მას აქეთ, რაც ბანკი დაარსებულა, ეს მეცამეტე წელიწადია. ეს მეცამეტეჯერ ბანკის გამგეობა სდგას თქვენს წინაშე განსაკითხავად“. კარგი დასაწყისია, რადგან მასში, ფაქტობრივად, 12 დადებითი პრეცედენტი ერთ ფრაზაშია ჩატეული. ზოგადი პრინციპების მიხედვით, ვიდრე საკუთარ პოზიციას გაგვაცნობდეს, გამომსვლელს შეუძლია ჯერ მოწინააღმდეგის თვალთ დაგვანახოს სიტუაცია [Баева 2001, 120, 126]. ილია ჭავჭავაძე სიტყვას ასე აგრძელებს: „ხოლო განკითხვა არც ერთხელ ამ ცამეტს წელიწადში ასეთის გულისწყრომით და რისხვით არ მოგვსევია, როგორც დღეს და,

სწორედ მოგახსენოთ, არც ამისთანა მარჯვე ხელჩასაჭიდებელი მიზეზი ჰქონია დღემდე“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 241]. ის თითქოს აღიარებს, რომ გამგეობის დასადანაშაულებლად მიზეზი არსებობდა. დებატების წარმოების პრინციპების მიხედვით, გამომსვლელს შეუძლია მოახდინოს მოწინააღმდეგის პოზიციის უტრირება და უფრო მწვავედ წარმოაჩინოს ფაქტი [Баева 2001, 131]. ილია ჭავჭავაძე ასე განაგრძობს: „რას ბრძანებთ? დახე, გამგეობამ ბანკისამ რა ჩაიდინა? ბანკის პატრონებმა, ჩვენს მოჯამაგირეებს გადაუწყვიტეთ, რომ ამა და ამ საქმეზედ სამი ათასი თუმანი დახარჯეთო, იმათ კი აუღიათ და ჯერ პირველ იანვრამდე ათი ათასზედ მეტი თუმანი დაუხარჯავთ და თანაც გვეუბნებიან, ოთხი ათასამდე კიდევ მოუნდებაო [ჭავჭავაძე, 2007გ, 241]“. ზოგადი პრინციპების მიხედვით, გამომსვლელს თავიდან შეუძლია აჩვენოს, თითქოს ისიც ეთანხმება მოწინააღმდეგის პოზიციას [Баева 2001, 249]. ასე აკეთებს ილია ჭავჭავაძეც და თან ეფექტურ ხატოვან ფრაზასაც იყენებს: „ვის არ აეშლება თავზედ თმა ამ საშინელების გამგონსა!“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 241]. პოლემიკის წარმართვის ზოგადი პრინციპების მიხედვით, შემდეგ ეტაპზე გამომსვლელი თანდათან იწყებს ვითარების ობიექტურ აღწერას. თან ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსმენელი დარწმუნდეს მოსაუბრის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში [ფორჩხიძე, 2018, 21]. ილია ჭავჭავაძის სიტყვაში ვკითხულობთ: „საქმე მართლა დღეს ასეა: სწორედ სამი ათასი თუმანი გადაგვიწყვიტეთ და ჩვენ კი ათი ათასი დახარჯეთ და ამასთანავე მოგახსენებთ, ოთხი ათასამდე კიდევ მოუნდებაო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 241].

შემდეგ გამომსვლელი ნელ-ნელა იწყებს იმის ჩვენებას, საიდან იწყება მოწინააღმდეგის არასწორი მიდგომა [Баева 2001, 140, 280]. ილია ჭავჭავაძის სიტყვაში ეს ეპიზოდი ასეთ სახეს იღებს: „აქ რისხვას და წყრომას დიდი საბუთი აქვს მარტო ამ სიტყვებზედ რომ დავდგეთ და აღარასფერს სხვას ყური არ ვათხოვოთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 241]. გამოსვლის ამ ნაწილში უკვე გაისმა ფრაზა, რომელსაც ორატორი შემდეგ ჩაეჭიდება: „მარტო ამ სიტყვებზედ რომ დავდგეთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 241] და მართლაც, მწერალი სიტყვას ასე განაგრძობს: „ხოლო ერთი ეს ვიკითხოთ: მართლის სამართლის ქმნა იქმნება, რომ სხვას აღარასფერს ყური არ ვათხოვოთ, ესე იგი, არ გამოვიძიოთ, რადა ჰქმნა გამგეობამ ესა... ეს ამოდენა ფული აიღო და გადაყარა უსარგებლოდ, თუ ეს ფული დაკარგული არ არის და მოგება და

სარგებლობა მოგვიტანა რამ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. აქ გაჩნდა ფრაზა, რომელიც საქმის ვითარებას ცვლის – ის, რაც შეცდომად იყო სახელდებული, შეიძლება სასიკეთო საქმე აღმოჩნდეს. ამის შემდეგ არგუმენტის გასამყარებლად ილია ჭავჭავაძე მოიხმობს მაგალითს, რამაც კიდევ უფრო უნდა დაგვარწმუნოს მისი პოზიციის სიმყარეში: „კაცის მკვლელსაც კი ჰკითხვენ ხოლმე, რად მოჰკალი კაციო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. შემდეგ კი იკვეთება გამოსავალი: „თუ შესაწყნარებელს მიზეზს ჰნახვენ, შეიწყნარებენ ცოტად თუ ბევრად მიზეზის მიხედვით და ბევრი მაგალითიც ყოფილა, არის და იქნება, რომ სულაც შეუწოდებენ და აპატიებენ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242].

ზეპირი გამოსვლისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორატორმა კონტაქტი არ დაკარგოს აუდიტორიასთან [Баева 2001, 25, 47, 53]. ამისათვის ილია ჭავჭავაძე ხშირად იყენებს მსმენელებისადმი მიმართვას, მაგალითად, „აი ამგვარს განკითხვას ვითხოვთ თქვენგან“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. კარგია, როდესაც მომხსენებელი გამოხატავს პატივისცემას მსმენელისა და მისი გადაწყვეტილებისადმი [ფორჩხიძე, 2018, 22]. იხ.: „ამგვარის სამართლით მოჭრილი ხელიც კი არა სტკივა ადამიანსა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. მომხსენებელი უნდა მიანიშნებდეს მსმენელს, რომ ის საკუთარ მხარდაჭერას კი არ მოითხოვს, არამედ სამართლიანობის დაცვას [Баева 2001, 111], იხ.: „მე იმას კი არ მოგახსენებთ, უსათუოდ გაგვამართლეთ-მეთქი. მე მარტო გთხოვთ, გასამართლებელი ვართ თუ გასამტყუვნებელი, მართალი სამართალი მოგვეცით“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. მსმენელებისადმი ნდობა და პატივისცემა ჩანს ფრაზაში: „რომ ეს იმედი არა გვქონდეს, არც კი ვემსახურებოდით თქვენს საქმეს“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. შემდეგ ილია ჭავჭავაძე იყენებს ჰიპერბოლას, იხ.: „და თვითონ საქმეც კი თხილის ნაჭუჭად არ ეღირებოდა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. ისევ მსმენელისადმი ნდობა გამოსჭვივის სიტყვებიდან: „ამ თორმეტს წელიწადში არც ერთი უსამართლობა ხშირად ჩვენზედ ხმალამოლებით მოსეული, თქვენგან აქედამ დაუმარცხებელი არ წასულა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242].

ეფექტიანია, როდესაც მომხსენებელი თავის გამოსვლას პატარა, უფრო იოლად აღსაქმელ ნაწილებად ჰყოფს [ფორჩხიძე, 2018, 27] და ახალი ნაწილის დაწყებაზე მიგვანიშნებს კონკრეტული სიტყვებით, იხ.: „აი ამით ნუგემცემულნი შევუდგებით საქმის გამოძიებას“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. ამის შემდეგ ჩანს მოწინააღმდეგისადმი

ლოიალური და ღირსეული დამოკიდებულება [Баева, 2001, 121], იხ.: „ჩვენი მოპირისპირენი, რომელთაც, უეჭველია, მარტო ბანკის სიკეთის წყურვილი ალაპარაკებთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242], მაგრამ ორატორი იქვე მათივე პირით ამბობს იმას, რაშიც ისინი ცდებიან: „მოგახსენებენ, რომ ჩვენ აღარასფერს გამოძიებაში შევდივართ. ჩვენ მარტო ეს ვიცით და მარტო ეს კმარა ვიცოდეთ, რომ სამი ათასის თუმნის ნება მოგეცით და თქვენ კი ოთხი და ხუთი იმოდენა დაჰხარჯეთ ჩვენდა დაუკითხავად. აქ პრინციპია, დედააზრია საქმისა დარღვეულიო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. აქ, მათი პოზიციის გამოხატვისას, უტრირებულია ის მცდარი არგუმენტი, რომელსაც ისინი ეყრდნობიან: „ჩვენ მარტო ეს ვიცით და მარტო ეს კმარა ვიცოდეთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243]. გარდა ამისა, ამ არგუმენტს, რომლის გაბათილებასაც აპირებს შემდეგში ორატორი [Баева, 2001, 123], მოწინააღმდეგის პირით უწოდებს „დედააზრს“, რათა მისი გაბათილებით საძირკველი გამოაცალოს მათ მთელ პოზიციას.

ამის შემდეგ ის კვლავ ასაბუთებს საკუთარი პოზიციის ობიექტურობას: „მართალია, ჩვენ ამას არა ვმალავთ. ჩვენი დანაშაული ეს არის“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242], შემდეგ კი უკვე იწყებს ოპოზიციის არგუმენტის გაბათილებას [Баева, 2001, 111, 119]. ამას ილია ჭავჭავაძე აქაც ისევე, როგორც არაერთ სხვა გამოსვლაში, ახერხებს კარგად შერჩეული კითხვის დასმით: „ეხლა ვიკითხოთ: რა პრინციპი დავარღვიეთ? ის, რომ პატრონის დაუკითხავად მისმა რწმუნებულმა კაცმა არასფერი არ უნდა ჰხარჯოს“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 242]. შემდეგ ის ერთხელ კიდევ საუბრობს ობიექტურობაზე, იხ.: „ჩვენც დიდი პატივისმცემელნი ვართ ყოველგვარ პრინციპისა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243], მაგრამ იქვე ჩნდება სიტყვა „მაგრამ“ და ისმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: „განა არ არის იმისთანა გარემოება, რომ ამ ორ ცეცხლშუა დააყენოს კაცი: ან პრინციპი დაიხსენ და საქმე გასწირე, ან საქმე დაიხსენ და გასწირე პრინციპიო, რა გვიჯობს: საქმის გადარჩენა, თუ პრინციპისა?“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243]. აქ უკვე ორატორი ნელ-ნელა ამჟღავნებს, რა მიაჩნია მას პრინციპზე უფრო მნიშვნელოვნად. ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მიმართავს ორატორულ ხერხს, რომელსაც „ქიაზმი“ (შებრუნებული პარალელიზმი) ჰქვია [Кузнецова, Стрельникова, 1976, 159] – „პრინციპია საქმისათვის გაჩენილი ქვეყანაზედ, თუ საქმე პრინციპისათვის?“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243].



ზეპირ გამოსვლას დამაჯერებლობას ჰმატებს არგუმენტების გასამყარებელი მაგალითის მოყვანა. იგი ხშირად შესადარებელზე უფრო მძაფრი და უტრირებულია, რადგან მისი მიზანი იმდენად ის არ არის, რომ რეალურ მაგალითთან ზედმიწევნითი მსგავსება წარმოაჩინოს, არამედ ის, რომ მოწინააღმდეგის არგუმენტის აბსურდულობა გვაჩვენოს [Седова 2014, 292]. ილია ჭავჭავაძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ბანკს რომ ცეცხლი წაეკიდოს, რას აირჩევდნენ მისი დამფუძნებლები – იმას, რომ გამგეობას მათი გადაწყვეტილების გარეშე მოეფიქრებინა ქონების გადარჩენის გზა, თუ ეცლია, რომ ყველაფერი ფერფლად ქცეულიყო, რადგან საზოგადო კრების მოწვევა ვერ მოესწრებოდა? აქ ილია ჭავჭავაძე ოპოზიციის ერთ ისევ უტრირებულად გამოხატავს მათ აზრს: „დეე დაიწვას, ოღონდ პრინციპი ნუ დაიწვებაო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243].

მას შემდეგ, რაც მსმენელებს დაანახვებს, რომ შეიძლება პრინციპზე მალე იდგეს რაღაც, ისევ უბრუნდება ობიექტურობას და აღიარებს: „ეს მაგალითი სრულებით არა ჰგავს იმას, რამაც ჩვენ იძულებული გაგვხადა ის დაგვეხარჯა, რის ნებაც არა გვექონდა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243], მაგრამ მალევე იწყებს თავისი მოტივის ახსნას: „ცეცხლი, ღვთის მადლით, არას ეკიდებოდა, თუმცა კი დავალებულ და საქმის გულმტკივნეულ კაცისათვის ისიც ცეცხლის მოკიდებაა, როცა თუ დაყოვნდა, დაახანა, სიჩქარეს სიჩქარით არ მოექცა, მიზარებული საქმე ან წაუხდება, ან იმ სარგებელს, იმ ხეირს არ მოუტანს პატრონს, რისთვისაც თვითონ საქმეა დანიშნული“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 243]. აქ გამოჩნდა ის პრიორიტეტი, რომელიც ასევე პრინციპებზე უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა - „საქმის გულმტკივნეულობა“. ილია ჭავჭავაძე ისევ მიმართავს „ქიაზმს“: „თვითონ ფორმა თუ პრინციპი საქმის სიკეთისათვის არის და არა საქმის სიკეთე ფორმისა და პრინციპისათვის“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 244].

დებატების მართვის პრინციპების მიხედვით, ორატორმა უნდა გაითვალისწინოს, რა შეიძლება დაუპირისპიროს მოწინააღმდეგემ მის სიტყვებს და წინდაწინვე გასცეს მათზე პასუხი [Баева 2001, 82]. ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ბევრნი იმისთანანი არიან, რომ ჩემს ნათქვამს სოფიზმს დაარქმევენ ხოლმე. ეხლაც იტყვიან, რომ ყოველი, რაცა ვსთქვი, სოფიზმიაო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 244]. იმაზე მისანიშნებლად, რომ ვილაცისთვის რაღაცის დარქმევა რეალობისგან მოწყვეტით არ

შეიძლება, მწერალს ისევ მოჰყავს უტრირებული მაგალითი: „მე რომ პეტრე დამარქვან, მაინც ილია ჭავჭავაძე ვიქნები“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 244], შემდეგ კი იმის დასამტკიცებლად, რომ მისი არგუმენტები არა სიტყვების თამაში, არამედ ანგარიშგასაწევი საბუთია, მოჰყავს ამონარიდი ბანკის წესდებიდან, რომელშიც წერია: „ისეთ ვითარებაში, რომელიც დაყოვნებას ვერ ითმენს, გამგეობას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება აილოს საკუთარ თავზე და დახარჯოს იმაზე მეტი, რაც წესდებით არის გათვალისწინებული, მაგრამ თავისი გადაწყვეტილების სისწორეზე პასუხი უნდა აგოს აქციონერთა საერთო კრების წინაშე“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 244]. აქ ილია ჭავჭავაძე წარმოაჩენს საკვანძო არგუმენტს, რატომ არ მიიჩნევს გამგეობის ქცევას არასწორად. თავად კანონიც კი აღიარებს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში პრინციპის დარღვევა შეიძლება. ამის შემდეგ მწერალი მიმართავს პარალელს სახარებისეულ ეპიზოდთან. ამ ეპიზოდში მაცხოვარს საყვედურობდნენ, შაბათს რატომ ჰკურნავ ადამიანებსო. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს უფლის პასუხი: „შაბათი კაცისათვის არის გაჩენილი და არა კაცი შაბათისათვისაო“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 245]. ამით მსმენელისთვის საცნაური ხდება, რის მაგალითზე ჩამოაყალიბა მწერალმა ზემოხსენებული ქიაზმები და, ბუნებრივია, სახარების მაგალითი მის აზრს ამყარებს.

შემდეგ ილია ჭავჭავაძე გადადის ვითარების შეფასებაზე, რომელმაც გამოიწვია პრინციპის დარღვევა და ისევ სვამს კითხვას: „იყო რამ ჩვენ წინ იმისთანა გარემოება, რომელიც ითხოვდა საქმის სარგებლობა გვერჩინა სხვა ყოველ იმისთანა პრინციპის უკვდავებასა, რომელიც, თუნდ ძალიან იშვიათად, უნდა ემორჩილებოდეს საქმეს?“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 245]. აქ ყურადსაღებია ფრაზის – „პრინციპის უკვდავება“ – გამოყენება იმასთან დაკავშირებით, რისი „მოკვდავობაც“ მან უკვე, ფაქტობრივად, დაამტკიცა. შემდეგ მოჰყავს ანდაზა: „თუ შესაძლო იყო არც მწვადი დამწვარიყო, არც შამფური“. საგულისხმოა, რომ ამ ანდაზას, მისი სიტყვასიტყვითი შინაარსის პოზიტიურობის მიუხედავად, ქართულ სიტყვიერებაში უარყოფითი კონოტაცია აქვს. იგი სულაც არ მიგვანიშნებს ჯადოსნური უნარის გამოვლენასა და ორი პრობლემის ერთდროულად გადაჭრაზე. ადამიანი, რომელიც ცდილობს არც მწვადი დაწვას და არც შამფური, გულწრფელი არ არის და პრიორიტეტის მკაფიო არჩევას და საკუთარი თავისთვის საქმის გართულებას ნეიტრალურ პოზიციაში ყოფნას

ამჯობინებს. ილია ჭავჭავაძე იქვე მიანიშნებს, რომ მათ გულგრილობის ეს გზა არ აირჩიეს. ის კვლავ აპელირებს უკვე წაკითხულ მოხსენებაზე, სადაც დაწვრილებით იყო წარმოდგენილი საქმის ვითარება. იმის საჩვენებლად, რომ ეს ნამდვილად სარწმუნო არგუმენტები იყო, დამსწრეთ სთავაზობს: „თუ ამ საბუთებს ვინმე თქვენგანი არა სჯერდება, გვიბძანეთ და მოგახსენებთ კიდევ უფრო ვრცლად“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 245]. შემდეგ კი იწყებს იმ გადაწყვეტილების დადებითი მხარეების განხილვას, რომლის გამოც ადანაშაულებდნენ მას და გამგეობას. აქ მწერალი იყენებს შეპირისპირების ხერხს [Баева 2001, 43]: „ჩვენი ათი ათასი თუმანი რომელსამე ბანკში უნდა დებულყო სამას თუმნად, ან ხუთას თუმნად... და ეხლა კი თქვენს საკუთარს ქონებაში სდევს და ათას სამას თუმანზედ მეტი სარგებელი მოაქვს“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 245]. სავარაუდოდ, ძალიან ემოციურად გაისმებოდა ამის შემდეგ წარმოთქმული ფრაზა: „თუ ეს საქმე ის წახდენაა, დეე, ჩვენც ამისთანა საქმესთან თანაწარვხდეთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 245], რომელშიც მწერალი ახალ ზმნას აწარმოებს „თანაწარვხდეთ“, რაც მსმენელზე უდავოდ მოახდენდა შთაბეჭდილებას და გონებაში დიდხანს დარჩებოდა. ამის შემდეგ დამსწრეთ მიანიშნებს, რომ ბანკის მუშაკისთვის მთავარი ღირსება არის ნდობა და სანდო არის ის მუშაკი, რომელსაც ესმის, რა არის ბანკისთვის სასარგებლო. აქ ის ისევ აპელირებს თავის ობიექტურ მოტივაციასა და ბანკის დიდ მნიშვნელობაზე. გამოხატავს მზადყოფნას, რომ თუ განხილულ ქმედებას შეცდომად ჩაუთვლიან, ბანკის თავმჯდომარედ კენჭი აღარ იყაროს, მაგრამ კრებას სთხოვს, რომ არასწორი სტრატეგიით არ გაწირონ თავად ბანკი: „ხოლო ბანკს გაუფრთხილდით“.

მსმენელთა ნაწილისთვის ზოგჯერ სამართლიანობაზე მნიშვნელოვანი არის ის, თუ როგორ აისახება მიღებული გადაწყვეტილება პირადად მის ინტერესებზე [Баева 2001, 41]. ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩანს, ამასაც ითვალისწინებს და აქციონერებს ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, რომ თუ ბანკის გამგეობას განუსჯელად მოექცევიან, ეს საზოგადოებას ამ ბანკისადმი ნდობას დააკარგვინებს. ამავე გამოსვლაში ილია ჭავჭავაძე იყენებს კიდევ ერთ ორატორულ ხერხს – ლიტოტესს (დაკნინებას) [Баева 2001, 61] და ამას აკეთებს საკუთარი თავის მიმართ: „ღმერთმა ისე ადვილად ბანკის ვალები მოგაშოროთ, როგორც ადვილად თავიდან მე მომიშორებთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 246]. აქვე არის კიდევ ერთი ტროპი - განმეორება,

რომლის მიზანი მთავარი სიტყვის აქცენტირებაა [Баева 2001, 63]: „ნდობაა-მეთქი, მარტო ნდობაა დედაბოძი ყოვლის ბანკისა და ნამეტნავად ჩვენისა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 246]. ეფექტის გასაძლიერებლად შემდეგ ის მეტონიმას და მეტაფორასაც მიმართავს [Баева 2001, 60]: „სამართლიანი განკითხვა არავისათვის სათაკილო არ არის, პირიქით, უამისობა სიკვდილია ბანკისათვის, დედაბოძის გამოცლაა შენობისათვის“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247]. ამის შემდეგ ირიბად მიანიშნებს ოპოზიციის არაჯანსაღ მოტივაციაზე [Баева2001, 131]: „თვითონ განაჩენი ზედ მართალზედ უნდა იყოს გამოჭრილი და არა გულში ჩახვეულ რაღაც ხვანჯზედ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247] და შთამბეჭდავ შედარებას აკეთებს: „უამისოდ განკითხვა... ჭორიკანაობაა და ჭორიკანაობა ხომ კუდიან მელასა ჰგავს, რომელსაც რაც აგონდება, ის ესიზმრება ხოლმე“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247]. შემდეგ ისევ მეტონიმას მიმართავს [Баева 2001, 61]: „აი, ამგვარი განკითხვაა იგი ფონი, რომელიც არჩობს ნდობასა და ჰლუპავს საქმესა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247]. ორატორული ხელოვნების პრინციპების მიხედვით, გამოსვლის ბოლოს მომხსენებელმა უნდა მიანიშნოს პრობლემის გადაჭრის გზაზე [Баева 2001, 107]. იხ.: „ჩვენი ნუგეში, ჩვენი სასოება ის არის, რომ არც თქვენ იკადრებთ ამისთანა განკითხვას და არც ჩვენ დაგვამდაბლებთ იმოდენად, რომ ამისთანა განკითხვას შეგვჭიდოთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247]. აქვე ისევ ჩანს მსმენელთადმი პატივისცემა და ნდობა: „ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს, ეს სასიხარულო და სასიქადულო ნუგეში ვიქონიოთ თქვენზედა“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 247].

ისე როგორც არაერთ სხვა გამოსვლას, ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვასაც ამთავრებს აფორისტული გამოთქმით [Баева 2001, 64], ამ შემთხვევაში – „ვეფხისტყაოსნის“ ციტატით: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“ და შემდეგ, წესისამებრ, ურთავს თავის შემაჯამებელ კომენტარსაც: „ამ მართალის სამართლის ქმნის ღვთაებურ მაღლისათვის მიგვინდვია თქვენი განაჩენი, მასზე თუ წაგიხდინეთ თქვენი მონდობილი საქმე, თუ გაგიკეთეთ“ [ჭავჭავაძე, 2007გ, 248]. ბოლო სიტყვებით იგი მსმენელს ისევ შეახსენებს, რა არის აქ მთავარი კითხვა, რომელზე პასუხმაც უნდა განაპირობოს მათი გადაწყვეტილება - გამგეობის განსახილველმა ნაბიჯმა საქმე გააფუჭა, თუ გააკეთა.

ვფიქრობთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი გამოსვლის შემდეგ გამგეობის გადაწყვეტილება დამტკიცდა 65 ხმით 7-ის წინააღმდეგ და იმ დღეს ილია ჭავჭავაძე

111 ხმით 9-ის წინააღმდეგ ხელახლა აირჩიეს ბანკის თავმჯდომარედ. ორატორული ხელოვნების პრინციპების ასეთი ზედმიწევნითი დემონსტრირების მიუხედავად, რა თქმა უნდა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძე ამ ცოდნას თეორიულად ფლობდა. ვფიქრობთ, ნიჭიერი ადამიანი მსგავსი ცოდნის გარეშეც შეიძლება მიხვდეს, რა როგორ აჯობებს. ხალხური პოეზიის შემქმნელები ვერ ფლობდნენ მხატვრულ-სტილისტურ ხერხებს, მაგრამ ბუნებრივად, შინაგანი ალლოთი იყენებდნენ მათ. პარალელები თეორიულ პრინციპებთან ილია ჭავჭავაძის სწორედ ამ ნიჭისა და უნარის საილუსტრაციოდ დაგვჭირდა და არა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ორატორული ხელოვნებისა და დებატების წარმოების თეორიულ პრინციპებს იცნობდა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მის მუდმივ ინტერესს მეცნიერების სხვადასხვა სფეროსადმი, ვერც ამას გამოვრიცხავთ.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ პოლემიკის დროს მნიშვნელოვანია ფაქტობრივი მტკიცებულებების მოხმობა. მოხსენებით გამოსვლისას მას ყოველთვის მომზადებული ჰქონდა შესაბამისი ამონარიდები და იქვე კითხულობდა ხოლმე. ზეპირი გამოსვლებისას ხომ ძალზე ეფექტურია მხატვრული ტროპების, რიტორიკული ფიგურებისა და ხატოვანი თქმების გამოყენება [Баева 2001, 59].

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბაკის 1884 წლის 8 მაისის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ილია ჭავჭავაძემ ძალიან მარჯვედ გამოიყენა ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი ხერხი – ანაფორა [Баева 2001, 63] – წინადადებების დაწყება ერთი და იმავე სიტყვებით. მოკლე ნაწყვეტში ექვსი პასაჟი იწყება ერთნაირი ფრაზით: „ჩვენი ბანკი დაარსდა მაშინ, როცა“ (იხ.: დანართი N2) და ამის შემდეგ ჩამოთვლილია ის სირთულეები, რა ვითარებაშიც მოხდა ეს [დროება, 1884, N103]. იმავე გამოსვლაში ილია ჭავჭავაძე იყენებს ხატოვან შედარებას. იგი სიმართლის გრძნობას „ადამიანის ბუნების სამკაულს“ უწოდებს [დროება, 1884, N103]. ასეთი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლებით, მწერლის თხზულებათა მე-19 ტომში კი ისინი სრულად იქნება წარმოდგენილი.

## §2. ილია ჭავჭავაძის ზეპირ გამოსვლათა გამოცემის პრაქტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა და ხშირად უხდებოდა სხვადასხვა თავყრილობაზე სიტყვით გამოსვლა. ამიტომ მის მიერ შექმნილი მხატვრული და დოკუმენტური ჟანრების ტექსტებთან ერთად შემორჩენილი გვაქვს ამ ზეპირ გამოსვლათა ამსახველი ტექსტებიც. ისინი წერილობითი ჟანრებისაგან განსხვავდება თხრობის სტილით, არქიტექტონიკით, ექსპრესიით, სპეციფიკური ორატორული ელემენტებით, მსმენელისადმი აპელირების ტექნიკით, მოსმენა-აღქმის სინქრონიზებული ფორმატითა და ა. შ.

მართალია, ზოგიერთი სახის ტექსტი გამომცემელთა ჯგუფისგან სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ყოველი ახალი ჟანრობრივი სემენტის მისადაგება გამოცემის ზოგად კონცეფციასთან. სწორედ ამ თვალსაზრისით გახდა საჭირო, რომ შეგვესწავლა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის უკვე გამომცემულ ტომებში გამოქვეყნებული ზეპირი გამოსვლები. ჩვენი ამოცანა იყო პერიოდული პრესის ფურცლებიდან გადმობეჭდილი ამ გამოსვლების საგამომცემლო კონცეფციის გარკვევა. გვამოდრავებდა ისიც, რომ ტომის გარეთ არ დარჩენილიყო ილია ჭავჭავაძის არც ერთი ფრაზა. შესაბამისად, აუცილებელი იყო, გვცოდნოდა, რა მასალაა უკვე გამოქვეყნებული და რის მომზადებაზე უნდა გვეზრუნა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ აკადემიურ ოცტომეულში მასალა განთავსებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. მასში ზეპირი გამოსვლები ცალკე ჯგუფად არ არის გამოყოფილი, იგი შერეულია პუბლიცისტიკაში და გამოქვეყნებულია პუბლიცისტიკის ტომებში. თან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტომებს სატიტულო გვერდზე აწერია „პუბლიცისტური წერილები“ და არ არის მითითებული, რომ მათ შორის ზეპირი გამოსვლებიც არის გამოქვეყნებული. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში პუბლიკაციის სათაური იწყება ფრაზით: „სიტყვა წარმოთქმული...“, ზეპირი გამოსვლა ამით მაინც არის გამორჩეული პუბლიცისტიკისგან, ზოგ შემთხვევაში პუბლიკაციას ეს მარკერიც კი არა აქვს და იგი ჩვეულებრივი სათაურით არის დაბეჭდილი (იხ.: მაგალითად, „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“ [ჭავჭავაძე, 1997, 219-220]

და „კურსშესრულებულებს“ [ჭავჭავაძე, 2007, 250, 675]. მართალია, ეს გამოსვლები საგაზეთო პუბლიკაციებში ასეთივე სათაურებით იყო შეტანილი, მაგრამ აკადემიურ გამოცემაში სასურველი იყო გარკვეულიყო, რომ ეს არის სიტყვა და არა პუბლიცისტური წერილი და შესაბამისი სათაურით დაბეჭდილიყო. მაგალითად, 1881 წლის 16 ივნისს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ტექსტი „კურსშესრულებულებს“. იგი იწყება სიტყვებით: „თბილისი, 13 ივნისს“. მიმართვის ფორმები: „დღეს შეასრულეთ თქვენ...“, „ამ იმედით მოგესალმებით“ და „გზას დაგილოცავთ...“ გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს 13 ივნისს გიმნაზიაში, სასწავლო წლის დასრულებისა და კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიებაზე წარმოთქმული სიტყვა [„დროება“, 1881, 1, №123]. შესაბამისად, სასურველი იყო, რომ მისი სათაურიც ისე, როგორც არაერთი სხვა ზეპირი გამოსვლისა, დაწყებულიყო ფრაზით: „სიტყვა, წარმოთქმული...“

პუბლიცისტური წერილები, მათში შერეული ზეპირი გამოსვლებით, წლების მიხედვით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დაბეჭდილი მე-5–მე-16 ტომებში, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემაში სამი სპეციფიკური ტომია, რომლებიც არ ექვემდებარება ქრონოლოგიის ერთიან პრინციპს. მე-5 ტომში დაბეჭდილია პუბლიცისტური წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ და აქვეა შერეული ამა თუ იმ მწერლისა თუ ხელოვნების დარგისადმი მიძღვნილ საღამოზე, წვეულებასა და დაკრძალვაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები, მაგ.: სიტყვა წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე [ჭავჭავაძე, 1991, 213], სიტყვა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის გადმოსვენებაზე [ჭავჭავაძე, 1991, 559], სიტყვა წარმოთქმული რაფიელ ერისთვის იუბილეზე [ჭავჭავაძე, 1991, 574] და სიტყვა წარმოთქმული ქართული თეატრის 50 წლის იუბილეზე [ჭავჭავაძე, 1991, 582]. მე-15 ტომში შეტანილია სავარაუდო წერილები, რომელთა ილიასეულობა არაერთი არგუმენტით მტკიცდება, მაგრამ საკითხი ცალსახად გადაჭრილად მაინც არ მიიჩნევა. მაგალითად, აქ არის: „კურსშესრულებულებს“ [ჭავჭავაძე, 2007თ, 250] და „სიტყვა წარმოთქმული თბილისელ ფრანგთა საზოგადოებისთვის გამართულ საღამოზე“ [ჭავჭავაძე, 2007თ, 452]. მე-16 ტომში შეტანილია რუსულენოვანი ნაწერები და სხვადასხვა ტომიდან

გამორჩენილი პუბლიცისტური წერილები. აქ არის „Слово князя И. Чавчавадзе на заседании первой сессии Государственного Совета“ [ჭავჭავაძე, 2018, 453].

დანარჩენ ტომებში პუბლიცისტური წერილები და სიტყვები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განლაგებული, მაგრამ მე-8, მე-9 და მე-11 ტომებში ზეპირი გამოსვლები საერთოდ არ არის. თუ ზოგადი პრინციპის მიხედვით ვიმსჯელებთ, არ არის იმიტომ, რომ შესაბამისი წლების (1886-1887 და 1889-1890) ჟურნალ-გაზეთებში ილია ჭავჭავაძის სიტყვების პუბლიკაციები არ გვხვდება. დღემდე სულ გამოქვეყნებული 20-ზე მეტი წერილიდან მე-6 ტომში შეტანილია: სიტყვა თქმული სათავადაზნაურო კრებაში ბანკის მნიშვნელობის შესახებ [ჭავჭავაძე, 1997, 13]; სიტყვა წარმოთქმული 3 თებერვალს თფილისის თავადაზნაურობის კრებაში [ჭავჭავაძე, 1997, 16]; სიტყვა წარმოთქმული თფილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში მაისის 18-ს [ჭავჭავაძე, 1997, 35]; სიტყვა დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად 17 სექტემბერს, 1881 წელს [ჭავჭავაძე, 1997, 482]; მე-7 ტომში: „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“ [ჭავჭავაძე, 2005, 219-220]; მე-10 ტომში: კრება თფილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა [ჭავჭავაძე, 2007გ, 241-248]; მე-12 ტომში: სიტყვა წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას [ჭავჭავაძე, 2007ე, 65-66] და ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ [ჭავჭავაძე, 2007ე, 66-67]; მე-13 ტომში: სიტყვა ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე [ჭავჭავაძე, 2007ვ, 90-91] და სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს [ჭავჭავაძე, 2007ვ, 214-219]; მე-14 ტომში: „სიტყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის – უსამღვდელოეს ალექსანდრეს კურთხევის ცერემონიაზე [ჭავჭავაძე, 2007ზ, 113-117], სიტყვა წარმოთქმული ევ. მარკოვისა და ბარონ დე ბაის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე [ჭავჭავაძე, 2007ზ, 292-294] და „სიტყვა წარმოთქმული სოხუმში [ჭავჭავაძე, 2007ზ, 451-452].

ილია ჭავჭავაძე, ძირითადად, ეხმაურება იუბილეებს, დაკრძალვებს, ღირსშესანიშნავ თარიღებს და კონკრეტულ პირთა და მოვლენათა საპატივცემლოდ გამართულ საღამოებს. სიტყვით გამოსვლების დიდი ნაწილი ორიენტირებულია პიროვნებებზე (გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, დავით ჩუბინაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), ევგენი მარკოვი, ბარონი დე ბაი), რომელთა ღვაწლსაც წარმოაჩენს



თავის სიტყვაში, მაგრამ ზოგიერთში ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეებსაც – თეატრს, ბანკს, მეღვინეობის თემას და ა. შ.

რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ამ მემკვიდრეობის წყარო, ძირითადად, არის პრესის პუბლიკაციები, მათი უმეტესობა კი „დროებასა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი, ამ გამოსვლების სტრუქტურა, სათაური, ენა და სტილი ავტორის, როგორც, ამავე დროს, რედაქტორისა და გამომცემლის, თვალსაწიერის არეშია მოქცეული და მათი ავთენტურობის საკითხს სარწმუნოდ წარმოგვიჩენს. ეს დამაჯერებელი მით უფრო იმის გამოა, რომ პრესის პუბლიკაციების უმეტეს ნაწილში სათაურშივეა მითითებული სიტყვით გამოსვლის ავტორი (ეს იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც სიტყვა დაბეჭდილია იზოლირებულად, დამოუკიდებელ ერთეულად). თუმცა ოცტომეულში გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის გვხვდება შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძის ვრცელი გამოსვლები ამოღებულია რომელიმე სხდომის პროცესის ამსახველი მიმოხილვიდან, ანგარიშიდან თუ რეპორტაჟიდან, მაგრამ ასეთი შემთხვევებისადმი გამოცემაში განსხვავებული მიდგომა არ არის გამოყენებული. აშკარაა, რომ სხდომათა მიმოხილვებიდან ამოღებული ტექსტების აკადემიურ გამოცემაში ჩართვა განაპირობა მათმა დიდმა მოცულობამ, მაგრამ გათვალისწინებული არ არის, რომ ეს გამოსვლები არ არის დამოუკიდებელი ერთეულები, თავისი შესავლით, დასკვნითა და სხვა სტრუქტურული კომპონენტებით. ისინი სხვა ერთეულის (სხდომის, წვეულების, ღონისძიების მთლიანი მსვლელობა) ნაწილებია და ისეთი ფრაგმენტული სახით, როგორითაც აკადემიურ გამოცემაშია, მკითხველს მწერლის ჩანაფიქრზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეუქმნის.

აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია მისი ძირითადი ტექსტური ნაწილის განტვირთვა ისეთი კომენტარებისა და შენიშვნებისაგან, რომლებიც უშუალოდ ავტორს არ ეკუთვნის. შესაბამისად, როდესაც იმ საგაზეთო პუბლიკაციის სათაურში, რომლიდანაც გადმოიბეჭდა ტექსტი, მითითებულია ილია ჭავჭავაძის სახელი, მაგალითად, „სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის მიერ გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“, აკადემიურ გამოცემაში ამოღებულია სიტყვები „ილია ჭავჭავაძის მიერ“, რადგან ამ გამოცემის ძირითად ტექსტებად დაბეჭდილი მასალა ისედაც ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ სწორად ჩანს საგამომცემლო კონცეფცია (ძირითად ნაწილში დაიბეჭდოს მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ტექსტები), გვხვდება შემთხვევები, როდესაც საგაზეთო პუბლიკაციის ავტორის განმარტებითი სახის კომენტარი ილია ჭავჭავაძის ტექსტთან ერთად გამოცემის ძირითად ნაწილშია შეტანილი. მაგალითად, „თელავის საზოგადოებამ და კახეთის მევენახეთა კრების მონაწილეებმა ილიას პატივსაცემად ნადიკვარზე გამართეს სადილი...“ [ჭავჭავაძე, 2007ე, 191]. „სადამოს ათი საათი გახლდათ, როცა საპატიო მასპინძელმა და რავდენიმე მოწვეულმა ძვირფასი სტუმარი წაიყვანეს მტკვრის პირას...“ [ჭავჭავაძე 2005, 220] და ა. შ. ვფიქრობთ, არასწორია, როდესაც მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ძირითად ტექსტში შესულია სხვისი ტექსტები. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ადგილი სამეცნიერო აპარატშია და არა ძირითად ტექსტთან.

თავის დროზე, იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძის გამოსვლები სხდომათა ანგარიშებში იყო ჩართული და დამოუკიდებელ ერთეულებს არ წარმოადგენდა, გამომცემლებმა, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, ან ყურადღება არ მიაქციეს, ან საჭიროდ არ მიიჩნიეს მათი შეტანა ოცტომეულში. გამოაქვეყნეს მხოლოდ ის ფრაგმენტები, რომლებიც დამოუკიდებელ ერთეულად მიიჩნიეს. ამ გადაწყვეტილების ერთდერთი ხელშესახები არგუმენტი, ვფიქრობთ, იმ ტექსტების შედარებით ვრცელი მოცულობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად შეკრული კიდეც არაერთი ერთეულის ამოღებაა შესაძლებელი სხდომათა პროცესის ამსახველი ანგარიშებიდან, ეს მონაკვეთები მაინც არ არის თვითკმარი ერთეულები და იმისათვის, რომ გასაგები და სრულყოფილად აღსაქმელი გახდეს, აუცილებელია მათი წარმოთქმის დროის, ადგილისა და გარემოების შესახებ ინფორმაციის მითითება, იმის დაზუსტება, თუ რა წინაპირობა ჰქონდა ამა თუ იმ გამოსვლას, როგორი იყო გარემომცველი გარემო და ა. შ., სხვაგვარად კონტექსტის გაგება შეუძლებელია და ტექსტის ღირებულება მცირდება. იმისათვის, რომ ამ ტექსტების სრულყოფილი აღქმა შესაძლებელი გამხდარიყო, მათ დამოუკიდებელი გამოსვლისგან განსხვავებული საგამომცემლო კონცეფცია სჭირდებოდა. იმის საილუსტრაციოდ, საპუბლიკაციო ერთეულის სპეციფიკის

გათვალისწინების გარეშე თუ რა სახის დანაკარგთან და ხარვეზთან შეიძლება გვეკონდეს საქმე, მოვიხმობთ ერთ მაგალითს.

1893 წლის 11 ივნისს თელავის თეატრში შედგა კახეთის მევენახეთა კრება ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის შექმნასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს გაგრძელებებით და წინა ნომრების მითითებით 1893 წლის ივნისის „ივერიის“ სამი ნომერი („ივერია“, 1893, №125-127) შეეხო. სხდომის შესახებ დეტალური ანგარიში გამოაქვეყნა „ნადიკვრელის“ ფსევდონიმით ცნობილმა პუბლიცისტმა ილია ზარაფიშვილმა. პირველი დღის სხდომის სათაურად მან თავყრილობის რაობის ამსახველი მოკლე ინფორმაციული შენიშვნა გამოიყენა („თელავის თეატრში შედგა კახეთის მევენახეთა კრება ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის შედგენაზე“), მეორე დღის სხდომის მიმოხილვაც, როგორც წინა ნომერში გამოქვეყნებული ანგარიშის გაგრძელება, ამავე სათაურით დაიბეჭდა, მაგრამ მასში გამოიყო ქვესათაური „სათავად-აზნაურო თანხა“. ანგარიშის მესამე ნომერში დაბეჭდილ ნაწილს სათაურად აქვს: „წერილი კახეთიდან“. ამგვარი დაყოფის მიუხედავად, ეს პუბლიკაცია სხდომის ამსახველი ანგარიშის სტანდარტული მაგალითია, რომლის მსგავსიც არაერთი მოგვეპოვება „ივერიის“ ფურცლებზე. მათი სტრუქტურა, ჩვეულებრივ, ასეთია: იწყება მიმოხილველის ტექსტით, რომელიც აღწერს სხდომის შეკრების მიზეზებს, დანიშნულებას, ახასითებს გარემოს, გვაწვდის ცნობებს სხდომის მონაწილეთა შესახებ და სხვ., შემდეგ კი გადადის სხდომის პროცესის ასახვაზე, რაც, ძირითადად, ეყრდნობა გამომსვლელთა თანმიმდევრობას და როდესაც ამის საჭიროებაა, გამოსვლების პარალელურად მომდინარე პროცესებსაც. ანგარიში სრულდება სხდომის შედეგების მოკლე აღწერით. ნადიკვრელის მიერ 1893 წლის 11 ივნისის სხდომაც სწორედ ამ სტრუქტურითაა აგებული, შესაბამისად, აქ ილია ჭავჭავაძის სიტყვით გამოსვლებს ახლავს სიტუაციისა და კონტექსტის მიმოხილვა.

საგულისხმოა, რომ ნადიკვრელის მიერ სათქმელის ამგვარად დაყოფის მთავარ არგუმენტად შესაძლოა მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის გამოსვლები. აკადემიური ოცტომეულის მე-12 ტომში ეს ორი მონაკვეთი ცალ-ცალკეა შეტანილი სათაურებით „სიტყვა, წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას“ [ჭავჭავაძე, 2007ე, 189-190] და „ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ“

[ჭავჭავაძე, 2007ე, 191-193]. პირველი მათგანი ილია ჭავჭავაძის ანგარიშში მოყვანილი რამდენიმე გამოსვლიდან მხოლოდ ერთ-ერთია. რაც შეეხება მეორეს, ის არ ეხება სხდომის ძირითად თემას, წარმოადგენს ამავე სხდომის დასასრულს ილია ჭავჭავაძისთვის სრულიად სხვა თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხს. როგორც „ივერიის“ პუბლიკაციიდან ჩანს, სხდომის დასასრულს ამ ახალი საკითხის ირგვლივ გამართულ კითხვა-პასუხში სხვა პირებიც ჩარეულან. ბუნებრივია, რომ აკადემიურ გამოცემაში გამოქვეყნებულ ამ ტექსტში არ არის შეტანილი კითხვები, მაგრამ ამის გამო ერთ მთლიან ტექსტად მექანიკურად გაერთიანებულ პასუხებს, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან უხარვეზო სტრუქტურული კავშირი არ გააჩნია. კარგი იქნებოდა, რომ ეს შეკითხვები სამეცნიერო აპარატში მაინც შესულიყო.

11 ივნისს თელავის თეატრში მიწვეულ ვენახის მეპატრონეებსა და თავდა-აზნაურობას თავმჯდომარედ ერთხმად ილია ჭავჭავაძე აურჩევია. თავმჯდომარეს სხდომა გაუხსნია ზოგადი ხასიათის, საკითხის მნიშვნელობის ამსახველი მიმოხილვითი სიტყვით, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სიტყვა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე წარმოუთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოსვლები ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელ ფართო განზოგადებებს, მკაფიო აქცენტებს და ჩიხისკენ მიმავალი საკითხის სწორი გზისკენ მიმართვის უნარს ასახავს და ძალზე მნიშვნელოვანია, აკადემიურ გამოცემაში შეტანილი არ არის (ტექსტი იხ.: დანართი N3). იგი 1893 წლის „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ პირველად მე-19 ტომში გამოქვეყნდება.

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძის ზეპირი გამოსვლების თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (ოცტომეული) უკვე გამოქვეყნებული ტექსტები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. საჯარო შეკრებებზე წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც პრესის პუბლიკაციაშიც და აკადემიურ გამოცემაშიც ფორმულირებულია როგორც „სიტყვა“ (მაგ.: „სიტყვა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის გადმოსვენებაზე“);

2. სიტყვები, რომლებსაც საგაზეთო პუბლიკაციის სათაურში არა აქვს მითითებული, რომ ზეპირი გამოსვლაა და „სიტყვად“ მიიჩნევა ტექსტის ანალიზის საფუძველზე (მაგ.: „კურსშესრულებულებს“);
3. „სიტყვებად“ ფორმულირებული, შედარებით ვრცელი ფრაგმენტული გამოსვლები, რომლებიც ამოღებულია სხდომათა ანგარიშებიდან (მაგ.: „სიტყვა წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას“);
4. სხდომის ანგარიშიდან ამოღებული მცირე ფრაგმენტული გამოსვლების მექანიკური კომპილაცია (მაგ.: „ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ“);
5. სიტყვა, რომლის წყაროა არა პრესის პუბლიკაცია, არამედ სხდომის ანგარიში. ის, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, სრულად (სხდომის თავმჯდომარის ჩანართებით) არის დაბეჭდილი (მაგ.: „Слово князя И. Чавчавадзе на заседании первой сессии Государственного Совета“);

რაც შეეხება მე-19 ტომს, აქ სრულად იყრის თავს სხდომების ანგარიშებში ჩართული ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები. ისინი სტრუქტურით მეტად განსხვავებულია დამოუკიდებელი სიტყვებისგან, რომლებიც მთლიანად ასახავს ავტორის აზრთა დინებას. ერთიანი გამოსვლებისგან განსხვავებით, ფრაგმენტულები განპირობებულია კონტექსტით, მსმენელთა განწყობითა და სხვა სიტუაციური დეტალებით. ისინი რეაგირებს სინქრონული ინტერაქციით გამოწვეულ გარეფაქტორებზე.

### **§3. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოქვეყნების საგამომცემლო კონცეფცია**

კლასიკოსთა თხზულებების აკადემიურ გამოცემებში თითქმის ყოველთვის არის შეტანილი მათი ვრცელი ზეპირი გამოსვლები, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა სხვადასხვა თავყრილობაზე მათ მიერ წარმოთქმულ მოკლე სიტყვებსა და რეპლიკებს. ასეთ მასალას უფრო ხშირად შევხვდებით მოგონებებსა და მონოგრაფიებში, მაგრამ აკადემიურ გამოცემაში ასეთი განყოფილების შეტანის პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

1987 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულისთვის შემუშავებული საგამომცემლო კონცეფციის მიხედვით, მწერლის ვრცელი სიტყვები პუბლიცისტიკასთან ერთად წლების მიხედვით იბეჭდებოდა შესაბამის ტომებში, მაგრამ ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოცემაში შეტანა იმხანად საგამომცემლო გეგმაში არ შესულა. მსგავს პრეცედენტს, ჩანაწერებისა და უბის წიგნაკებისაგან განსხვავებით, ვერც უცხოურ აკადემიურ გამოცემებში მივაკვლიეთ. მაგრამ რაკი ფრაგმენტული გამოსვლები ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის სურათის უფრო სრულყოფილად წარმოჩენისთვის, გადავწყვიტეთ, მოგვეძიებინა მათი პუბლიკაციისთვის შესაბამისი ფორმა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მე-19 ტომისთვის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ტექსტების სპეციფიკურმა ფორმატმა საკვლევო წყაროებისადმი მაქსიმალურად მისადაგებული საგამომცემლო კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. ამოსავალ პრინციპად ავიღეთ ტექსტების ავთენტურობის მაქსიმალურად დაცვა და მათი ისეთი ფორმითა და ისეთი სამეცნიერო აპარატით მიწოდება მკითხველისათვის, როგორც უზრუნველყოფდა ამ სპეციფიკური მასალის სრულყოფილ აღქმას.

რამდენადაც ერთსა და იმავე სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები ძირითადად ერთ თემას უკავშირდებოდა, გადავწყვიტეთ, რომ გამოსაქვეყნებელ უმსხვილეს ერთეულად აგვეჩია კონკრეტული სხდომა და სათაურში მიგვეთითებინა როგორც სხდომის რაობა (რომელი საზოგადოების სხდომა იყო), ისე ჩატარების თარიღი. თუ სხდომა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა (ამის შესახებ მითითებულია ხოლმე რეპორტაჟებში), ცალკე ინდექსებად გამოგვეყო ყველა ის დღე, როდესაც ილია ჭავჭავაძე ერთხელ მაინც გამოვიდა სიტყვით. ხოლო თითოეული დღის გამოსვლები გამოგვეყო რუბრიკით „გამოსვლა“. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის ნებისმიერი ჩართვა სხდომაში, მოკლე იქნება თუ ხანგრძლივი, ფაქტობრივი თუ რეპლიკის სახით წარმოთქმული, დაყოფილია „გამოსვლებად“ და ისინი დანომრილია (მაგ.: გამოსვლა 1, გამოსვლა 2, გამოსვლა 3, და ა. შ...). ტექსტები „გამოსვლად“ გაფორმდა და ტომის ძირითად, ტექსტურ ნაწილში შევიდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მას პერიოდულ გამოცემაში ჰქონდა პირდაპირი ნათქვამის ფორმა, მაგ.: „თ. ი. ჭავჭავაძე:“ „თ. ი. ჭავჭავაძემ თქვა:“ და შემდეგ მოსდევდა

ტექსტი. ყოველი ასეთი ჩანართი მზარდი ნუმერაციით შესულიყო ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში ყოველგვარი დამატებითი შენიშვნისა და განმარტების, კონტექსტის ახსნის მცდელობის გარეშე, დასაწყისში მხოლოდ სხდომის რაობისა და თარიღის მითითებით.

ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში ერთ სხდომაზე, „გამოსვლათა“ რაოდენობის თვალსაზრისით, გვაქვს ყველაზე მცირე – 1 „გამოსვლა“ და ყველაზე მეტი – 13 „გამოსვლა“. ნიმუშად მოვიყვანთ ერთ მაგალითს (იხ.: დანართი №4).

„გამოსვლების“ გამოყოფის ზემოთ აღწერილი პრინციპი აკადემიური გამოცემის ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში ილია ჭავჭავაძის სიტყვების იმ დიდი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაკვეთების შეტანის უფლებას არ გვაძლევს, რომლებიც ანგარიშის ავტორს საკუთარ პუბლიკაციაში მესამე პირის ფორმით აქვს მოყვანილი. ასეთი მასალის ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში შეტანა ტექსტოლოგიურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ვგულისხმობთ ასეთ ტექტებს: „ამ საკითხის შესახებ თავ. ილ. ჭავჭავაძე ამბობს, ეს საკითხი ბერჯელ წამოყენებულაო. სამინისტრომაც აღძრა ეს საკითხი და ამის შესახებ მოწერილობაც მოგვივიდა, მაგრამ ჩვენ ვუპასუხეთ, დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა და ჩვენ უფლება არა გვაქვს ფაქტიურად კონტროლი გავუწიოთო. ამით ჩვენ საქმეს ვერ ვუშველით, უფრო წავახდენთ, რადგან ეს კომისიისადმი უნდობლობას მოწმობს, უნდობლობა კი საქმეს სარგებლობას ვერ მოუტანსო. თავ. ჭავჭავაძის აზრით, გამგეობას არ შეუძლიან თავზე იდოს ეს მოვალეობა, რადგან ისედაც ბევრი საქმე აქვს და, გამგეობის წევრებმა კონტროლის გასაწევად აქეთ-იქით რომ იარონ, სხვას ვედარაფერს გააკეთებენო. მთელის ქვეყნის ბანკები იმ საკითხის გამო, რომ მამულები მეტ ფასში არ გირავდებოდეს, თავს იმტვრევენ, მაგრამ ვერაფერი გამოუგონიათ. თუ თვითონ დამფასებელი პატიოსანი და მცოდნე კაცი არაა, ბანკი ყოველთვის იზარალებსო“ [„ივერია“, 1905, 4, №103]. მესამე პირით გადმოცემული ტექსტები აკადემიური გამოცემის გარეთ რომ არ დარჩეს, ვიყენებთ სამეცნიერო აპარატში სხდომის შინაარსის აღწერისას იმ შემთხვევაში, თუ ამ პუბლიკაციიდან თუნდაც ერთი პირდაპირი ნათქვამი, ერთი „გამოსვლა“ მაინც არის შეტანილი ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში. სხვაგვარად მესამე პირის ნათქვამებისა და პერიფრაზების პუბლიკაცია აკადემიური გამოცემის პრინციპებს

ეწინააღმდეგება. ამის გამო ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითი ტომის ძირითად ნაწილში ვერ მოხვდა.

გვხვდება „გამოსვლად“ ფორმირებული ისეთი ვრცელი ტექსტები, რომლებიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მიერ წაკითხულ სხვის (ძირითადად, ოფიციალური პირების – მინისტრის, რევიზორის... ბრძანებებს, დადგენილებებს, დებულებებს) დოკუმენტებს, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე აცნობს საზოგადოებას, იძლევა მინიშნებებს ციტატის დასაწყისსა და დასასრულზე და პერიოდულად განმარტავს ამა თუ იმ პასაჟს. ასეთი ტექსტები ორგანულ კავშირშია პირადად მის გამოსვლებთან და ამიტომ მათ გამოტოვებას მწერლის ზეპირი გამოსვლების შინაარსი შეიძლება გაეზუნდოვანებინა.

ერთ ასეთ კრებაზე ილია ჭავჭავაძე კითხულობს ფინანსთა მინისტრის პასუხს გამგეობის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე, განიხილავს რევიზორის იმ შენიშვნებს, რომლებსაც ეყრდნობა დოკუმენტი და განმარტავს მუხლობრივად. ბუნებრივია, მინისტრის ეს დოკუმენტი რუსულ ენაზე იქნებოდა შესრულებული და არც დამსწრე საზოგადოებას გაუჭირდებოდა ამ ენაზე მუშაობა, მაგრამ სხდომის ანგარიშში მისი ძირითადი ნაწილი ქართულ ენაზეა შეტანილი. ლოგიკური იქნება, ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძე მას სხდომაზე დედნის ენით წაკითხავდა, სხდომის ანგარიშის პუბლიკაციისას კი, გაზეთის სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე, „ივერიის“ მკითხველს ქართული თარგმანები მიეწოდა.

სხდომის ანგარიშები რომ რუსულ ტექსტს ეყრდნობა, იქიდანაც ჩანს, რომ რამდენიმე შემთხვევაში მიმომხილველს მკითხველისთვის იქვე აქვს შეთავაზებული რამდენიმე ფრაზის რუსული შესატყვისები. გამოქვეყნებულ ტექსტს შერჩენილი აქვს დედნის ენის კვალი: მინისტრის დადგენილების რამდენიმე მუხლი (კერძოდ, მე-6 და მე-7) უთარგმნელად, რუსულ ენაზევეა დატოვებული და რამდენიმე სიტყვა თუ ფრაზა ორმაგი – რუსულ-ქართული სიტყვებითა აქვს გამოყენებული: „უმართებულოა“ (неблаговидно), „გადატანა“ (транспортъ), „უწესოება“ (небрежность), „შავად დაწერილნი ქაღალდები“ (черновыя), „ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული“ (маскировались) და სხვ. [„ივერია“, 1896, 1, 1-2, 2-3, 2-4, 2-3, №93-97]. დიდი ალბათობით, სარედაქციო სამუშაოს შესრულებისას ამ დოკუმენტის თარგმანს ილია ჭავჭავაძე თვითონვე უზრუნველყოფდა. მართალია, ასეთი



სიტყვების დიდი ნაწილი სხვისი ციტირებაა, მაგრამ რამდენადაც ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ მიიჩნია მათი სხდომაზე წაკითხვა და დაურთო განმარტებები, ეს მასალა შევიდა აკადემიურ გამოცემაში.

რამდენადაც საქმე გვაქვს მეტად სპეციფიკურ მასალასთან, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი მთლიანობის (სხდომის მსვლელობა) სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული ფრაგმენტებია, მათი ამ სახით მიწოდება მკითხველისთვის, დამხმარე სამეცნიერო აპარატის გარეშე, ტექსტების ადეკვატურ აღქმას შეუძლებელს გახდიდა. სწორედ ამიტომ აპარატში, „შენიშვნის“ ნაწილში ვუთითებთ განსახილველ საკითხებს, რასაც ეხებოდა ეს სხდომა, კომენტარებში კი განვმარტავთ ყველა ისეთ ფრაზას, რომელთა გასაგებასაც საჭიროა სპეციალისტის მხრიდან მკითხველისთვის გარკვეული დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ტომს ახლავს პირთა ანოტირებული საძიებელიც, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის მასში მოხსენიებულ თითოეულ სუბიექტზე.

ამ საგამომცემლო კონცეფციის საფუძველზე მომზადებული მასალა მკაცრად ორგანიზებული, სტრუქტურირებული და მკითხველისათვის იოლად აღსაქმელი იქნება.

## თავი III

### ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების

#### ტექსტოლოგიური კვლევა

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ ოცტომეულში შეტანილია მწერლის ჩვენთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი ყველა მხატვრული ტექსტი, პუბლიცისტური და პირადი წერილები. ეს მემკვიდრეობა 18 ტომშია განთავსებული, მე-19 ტომში კი უნდა გამოქვეყნდეს მწერლის პირად არქივში დაცული სხვადასხვა სახის გამოუქვეყნებელი მასალა, რომელსაც მოვიხსენიებთ ზოგადი სახელით – „ჩანაწერი“, რადგან თითოეული მათგანი (მისია, სხვისი თუ შერეული) ჩაწერილია ილია ჭავჭავაძის ხელით. „ჩანაწერის“ ქვეკატეგორიებად მოვიაზრებთ „კერძო ჩანაწერებს“, „ამონაწერებსა“ და „მინაწერებს“.

ტერმინს „კერძო ჩანაწერი“ ვიყენებთ საკუთარ თავზე ორიენტირებული, ინტრაპერსონალური შინაარსის მასალასთან მიმართებით. კერძო ჩანაწერები გამოირჩევა „მინიშნებითი“ ხასიათით და მწერალს ისინი გამოყენებული აქვს მის მიერ გასაკეთებელ ან უკვე გაკეთებულ საქმეებზე მისანიშნებლად. მაგალითად, წიგნების ჩამონათვალთან, რომელიც არაერთ უბის წიგნაკსა და ცალკე ფურცელზე შესრულებულ ჩანაწერებში გვხვდება, იმპლიციტურად მოიაზრება კონტექსტი: „უნდა გამოვწერო“, „უნდა შევიძინო“, „უნდა წავიკითხო“ და სხვ. ჩაწერილ წამლის რეცეპტთან შეიძლება იგულისხმებოდეს: „უნდა მოვსინჯო“ ან „ამას და ამას უნდა ვურჩიო“ და სხვ. თვალხუჭუნა და მოლაპარაკე თოჯინის შესახებ ჩანაწერთან შეიძლება იგულისხმებოდეს: „ამას და ამას დააინტერესებს“, „ამასა და ამას ვუყიდო“ და სხვ. კერძო ჩანაწერების დაუსრულებლობასა და უხილავი კონტექსტის არსებობაზე მოგვანიშნებს აქა-იქ ჩანაწერების ქვემოთ ან მათ გვერდზე ექსპლიციტურად გამოჩენილი მაღაზიის მისამართი, ახლობლის სახელი ან მოკლე ფრაზები: „ვნახო“, „წავიკითხო“, „შევადარო“ და სხვ. ჩანაწერები, სადაც პიროვნებათა გვარებია ჩამოწერილი და გვერდით თანხები აქვს მიწერილი, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მათთვის მიცემულ ან მისაცემ, ისე მათთვის გამორთმეულ ან გამოსართმევ თანხებს. ზოგან მინიშნებულია კიდევ იქვე: „მისაცემი მაქვს“, „ჰმართებს“ და სხვ. რამდენადაც ჩანაწერს მწერალი საკუთარი

თავისთვის შესახსენებლად აკეთებს და თან კონკრეტულ დროს (მაგ.: როდესაც ამ უბის წიგნაკს იყენებდა), მას ყოველთვის არც კი სჭირდება იმის წერილობითი დაზუსტება, გაცემული აქვს თუ მიღებული, სესხზეა საუბარი თუ ვალზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ „კერძო ჩანაწერებში“ ეს მონაცემი ყოველთვის არ წერია.

ტერმინს „ამონაწერი“ ვიყენებთ სხვადასხვა წიგნიდან თუ პერიოდული გამოცემიდან ილია ჭავჭავაძის მიერ ამოწერილ მასალასთან მიმართებით, „მინაწერს“ კი – სხვა ავტორთა წიგნებსა და სხვისი ხელით ნაწერ ტექსტებზე მის მიერ მიწერილი შენიშვნების აღსანიშნად.

თუ თვალს გადავაგვლებთ მწერლის არქივს, იოლად შევნიშნავთ, რომ მისი ჩანაწერები როგორც წერის მანერით, ისე ტექსტის ორგანიზებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებისა და, თუნდაც, წერილების ავტოგრაფებისაგან. საჯარო პუბლიკაციისთვის განკუთვნილი ტექსტები სიმეტრიულად არის განლაგებული ფურცელზე და სტრიქონთაშორისი მანძილებიც მეტნაკლებად თანაბარია (მართალია, არც პირადი წერილები იწერება გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ისინი, ადრესატის სახით, აუცილებლად გულისხმობს, სულ ცოტა, ერთ მკითხველს მაინც). საპუბლიკაციო მასალისთვის ავტორი ხშირად იყენებს ცისფერფურცლებიან ბლოკნოტს (მისი ორი დიდი კრებული – №107-108 სწორედ ასეთ ბლოკნოტშია ჩაწერილი), წერს აკურატულად, ერთი და იმავე საწერი საშუალებით. ილია ჭავჭავაძის მიერ გამოსაქვეყნებელ ტექსტზე გულმოდგინე მუშაობის ნიმუშად შეგვიძლია მოვიხმოთ „ბაზალეთის“ ტბის ხუთჯერ გადაწერილი ავტოგრაფი [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N130] (იხ.: დანართი N5).

რაც შეეხება პირადი დანიშნულების ტექსტებს: კერძო ჩანაწერებს, ამონაწერებსა და მინაწერებს, აქ მწერალი ნაკლებად ფიქრობს ხელწერის დახვეწაზე, ტექსტის სტილურ გამართულობასა და მასალის ორგანიზების ესთეტიკურ მხარეზე. მათში წინ წამოწეულია საქმიანი, პრაქტიკული ასპექტი. ამიტომ ვხვდებით ერთ გაშლილ გვერდზე წაღმა-უკუღმა განლაგებულ ტექსტებს, საწერი საშუალებების - ფანქრისა და ორი ფერის კალმის (შავისა და ლურჯის) მონაცვლეობას, სხვადასხვაგვარ გადახაზვას, წინა ან მომდევნო გვერდებიდან გადმოსულ მელნის ნაჟღენტ ლაქებს და ა. შ. რაც შეეხება მინაწერებს, მათი უმეტესობა ხელნაწერი დოკუმენტისა თუ წიგნის თავისუფალ ველებზეა მიწერილი.

ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი ნაწერები, რომლებიც ჩვენი კვლევის ობიექტია, ძირითადად, სწორედ ასეთი ხასიათის, არასაპუბლიკაციო დანიშნულების ტექსტებია და მათ აკადემიურ გამოცემაში შესატანად საჭირო იყო თითოეული სპეციფიკური ასპექტის გათვალისწინება.

რამდენადაც მე-19 ტომში ჟანრობრივად ჩამოუყალიბებელი, ხშირად ფრაგმენტული და დაუსრულებელი, დღემდე გამოუქვეყნებელი ტექსტები იბეჭდება, რომლებსაც ვარიანტები არ მოეპოვება, ამ ტექსტების დადგენა, სტრუქტურირება და გამოსაცემად მომზადება საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო.

## **§1. ილია ჭავჭავაძის კალიგრაფია**


მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად საჭირო საკვლევ წყაროთა დიდი ნაწილი ხელნაწერებია. ამიტომ ტექსტოლოგს ინტენსიურად უწევს მათზე მუშაობა. დღესდღეობით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ტექსტის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მაღალი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე თუნდაც 10-15 წლის წინ. სწორედ ამიტომ, კვლევები მიმდინარეობდა ხელნაწერი წყაროების მაღალი რეზოლუციის მქონე ციფრული ასლების გამოყენებით. ეს ხელსაყრელი იყო არა მხოლოდ გრაფემათა მოხაზულობის დადგენისა და, შესაბამისად, ტექსტის ამოკითხვისთვის, არამედ არტეფაქტის ხარვეზების დასადგენადაც. უახლესი ტექსტოლოგიური მეთოდის გამოყენებით მელნის ანაბეჭდების მიხედვით ვარკვევდით ფურცლების ნაკლებობას და ზოგჯერ ცალკე გაფანტული ხელნაწერების ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირებასაც კი ვახერხებდით.



მიუხედავად იმისა, რომ ასოთა მოხაზულობა ყოველ კონკრეტულ წერით სისტემაში მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებულია, ნებისმიერი ადამიანის ხელწერა, თავისი უნიკალურობიდან გამომდინარე, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საარქივო მასალაზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარდეს სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები მწერლის ხელწერის გაცნობისა და მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებაა საკვლევ ავტორის კალიგრაფიისთვის დამახასიათებელი გრაფემათა ტიპური მოხაზულობების ცხრილის შედგენა. ამაში



ვგულისხმობთ ასო-ნიშნების არა ისეთ ფორმებს, რომლებიც სტანდარტულთან მიახლოებულია, არამედ ისეთებს, რომლებიც ამ ავტორისთვის არის დამახასიათებელი და მის ნაწერებში არაერთგზის მეორდება. ეს ცხრილები გვეხმარება როგორც კონკრეტული კალიგრაფიის სპეციფიკის განსაზღვრა-ილუსტრირებაში, ისე ხელნაწერების ამოკითხვაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკრული ხელით ნაწერი ტექსტების, კერძო ჩანაწერებისა თუ შემოქმედებითი პროცესის ამსახველი შავი ავტოგრაფების ამოკითხვაში მხოლოდ ამ ტიპის ცხრილის შედგენა და გრაფემათა მოხაზულობების კონკრეტული ავტორისათვის დამახასიათებელი ფორმების შესწავლა ვერ გვეხმარება, რადგან მათში ხშირად ვაწყდებით ისეთ ანომალურ მოხაზულობებსაც, რომლებიც, როგორც წესი, ამ ავტორს არ ახასიათებს. ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რა მიკრო-მეთოდებს ვიყენებდით ასეთ შემთხვევებში.



ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის [ნინიძე, გიგაშვილი 2018, 76-83] მიხედვით, ავტოგრაფებზე მუშაობისას ძალზე მნიშვნელოვანია ამგვარი ანომალური ფორმების ბაზის შექმნაც. ამიტომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-19 ტომზე მუშაობისას გრაფემათა ტიპური მოხაზულობების ცხრილის გარდა, თავი მოვუყარეთ ატიპური მოხაზულობების ამსახველ მასალასაც, რაც ძალიან გამოგვადგა რთული ხელნაწერების ამოკითხვაში. რამდენადაც მუშაობა გვიხდებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულენოვან ხელნაწერებზე, საჭირო გახდა ასეთი ცხრილების შედგენა თითოეული ენის გრაფიკული სისტემისთვის. დანართების სახით წარმოგიდგენთ ილია ჭავჭავაძის როგორც ქართული, ისე რუსული ხელნაწერებისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ტიპური მოხაზულობების ჩვენ მიერ შედგენილ ცხრილებს (იხ.: დანართი N6, №7).





გაკრული ხელით წერისას ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ გრაფემათა შემადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან დაუკავშირებლად წერდა. ქართულ ხელნაწერებში ასეთია ასო-ნიშანი „ფ“ , რომლის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ხშირად ერთმანეთისაგან დაშორებულია. რუსულ ავტოგრაფში ასევე ერთმანეთისგან განცალკევებული ორი ან სამი კომპონენტით არის წარმოდგენილი ასო-ნიშნები „P“

 და „Φ“  . ეს, ერთმანეთისგან იზოლირებული ნაწილები, ზოგჯერ ბევრად ნაკლებად არის დაშორებული მომიჯნავე ასოებისგან, ვიდრე საკუთარი შემადგენელი ნაწილებისგან, რაც ამოკითხვისას ართულებს ცალკეულ გრაფემათა ერთმანეთისგან გამიჯვნას და იდენტიფიცირების პრობლემას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ასო „ა“-ს მოხაზულობა ტიპურ ცხრილში ძალიან უახლოვდება სტანდარტულს, სწრაფი წერისას მისი შემადგენელი კომპონენტები - წრე და რკალი ერთმანეთს შორდება, ამასთან, რკალი სწორი ხაზის ფორმას იღებს.

იხ.: მაგალითად,  და  . ეს, ბუნებრივია, ზრდის იმის ალბათობას, რომ აღნიშნული კომპონენტები დამოუკიდებლად აღვიქვათ, ან მომიჯნავე გრაფემებს მივაკუთვნოთ და ასო-ნიშნის იდენტიფიცირება გაგვიჭირდეს. მართლაც, იყო შემთხვევები, როდესაც „ა“-ს მეორე, სწორხაზოვანი კომპონენტი დეფისად ან გადატანის ნიშნად მივიჩნიეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკრეტული ავტორისთვის დამახასიათებელი ტიპური მოხაზულობა ემყარება არა ფორმის მაქსიმალურ სიახლოვეს გრაფემის სტანდარტულ მოხაზულობასთან, არამედ ამ ასო-ნიშნის ამგვარი ფორმით მრავალგზის გამოყენებას. სწორედ ამიტომ მოხვდა საკმაოდ არასტანდარტული მოხაზულობის „ე“, რომელსაც რკალური ნაწილები თითქმის დაკარგული აქვს –



  – ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ტიპურ და არა არატიპურ მოხაზულობათა ცხრილში. მართალია, ეს უჩვეულო ჩანს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მას იმდენად ხშირად იყენებს, რომ ხელნაწერებში საგულდაგულოდ არის მოსაძიებელი ამ ასო-ნიშნის არა ამგვარი, არამედ სტანდარტული მოხაზულობა –


 . მსგავსი ვითარებაა რუსულ ავტოგრაფებში ასო „З“-სთან დაკავშირებით, რომელსაც ორი ერთმანეთზე გადაბმული რკალური ფორმის ნაცვლად, სწორი ხაზის ფორმა აქვს მიღებული:  ,  . აქაც მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გვხვდება ამ ასოს სტანდარტული მოხაზულობა .


რუსულ ხელნაწერებზე მუშაობისას საგანგებო შესწავლა სჭირდება საზედაო ასოების ფორმებსაც, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ხელწერის ტენდენციის მიხედვით თუ




ვიმსჯელებთ, მთავრულ ასოებში უფრო მეტად არის შენარჩუნებული გრაფემათა სტანდარტული მოხაზულობის ელემენტები, ვიდრე ჩვეულებრივში.

იმისათვის, რომ კონკრეტული ავტორის ხელწერა კარგად შევისწავლოთ, ზემოხსენებული ყველა თავისებურების გათვალისწინებაა საჭირო. მართალია, ილია ჭავჭავაძის ხელწერა, ერთი შეხედვით, რთული არ ჩანს და მისი თეთრი ხელნაწერები უპრობლემოდ იკითხება, მაგრამ ტექსტის დახვეწაზე მუშაობის პროცესში ან კერძო ჩანაწერებისა და მინაწერების გაკეთებისას ხშირად გვხვდება გაკრული ხელით ნაწერი, სიტყვათა შემოკლებები და მექანიკური შეცდომები, რაც, ბუნებრივია, პრობლემას გვიქმნის ტექსტის ამოკითხვა-დაზუსტებისას. ასეთი რამ განსაკუთრებით ხშირია, როცა საქმე ეხება პირადი დანიშნულების ტექსტებს, რომლებიც, მწერლის ვარაუდით, უცხო პირს (რედაქტორს, გამომცემელს, მკითხველს) არ უნდა წაეკითხა. ამის საილუსტრაციოდ დანართის სახით წარმოგიდგენთ თითო გვერდს ილია ჭავჭავაძის თეთრი (იხ.: დანართი N8) და შავი (იხ.: დანართი N9) ავტოგრაფებიდან და უბის წიგნაკიდან (იხ.: დანართი N10).







როგორც აღვნიშნეთ, ავტოგრაფებში ძალიან ხშირად გვხვდება გრაფემათა ისეთი მოხაზულობებიც, რომლებიც არა მხოლოდ არასტანდარტულია, არამედ თვით ამ ავტორისთვისაც უჩვეულო და ატიპურია. არის შემთხვევები, როდესაც გრაფემას დაკარგული აქვს მაიდენტიფიცირებელი ელემენტები და, შესაბამისად, ძნელი ამოსაცნობია. მაგალითად, ერთ-ერთ უბის წიგნაკში ასო „ფ“ გვხვდება ამგვარი მოხაზულობით: , მეორეგან კი – ამგვარად: . პირველ შემთხვევაში მისი მარჯვენა ნაწილი, რომელიც ორი ვერტიკალური რკალისგან უნდა შედგებოდეს, ფაქტობრივად, სწორ ხაზად არის ქცეული, მეორეგან კი ქვედა რკალი არაპროპორციულად მცირე ზომისაა.

არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული გრაფემის ამა თუ იმ მწერლისთვის დამახასიათებელი მოხაზულობა ჰგავს სულ სხვა გრაფემის სტანდარტულ ფორმას, მაგრამ ვინც მის კალიგრაფიას კარგად იცნობს, ისინი ერთმანეთში არ აერევა, რადგან იმ მეორე გრაფემას იგივე ავტორი ძალზე განსხვავებულად წერს. მაგ.: ზოგიერთ ხელნაწერში ილია ჭავჭავაძის გრაფემა „კ“ შეიძლება მივიჩნიოთ „ვ“-დ, რადგან მისი ზედა რკალი სწორი და გახსნილია , მაგრამ მისივე სხვა

ხელნაწერებში იმდენად განსხვავებულია გრაფემა , რომ მათი დიფერენცირება სავსებით იოლია.

ასეთივე პრობლემას წავაწყდით ციფრების ამოკითხვისასაც, ციფრ „7“-ს  და „9“-ს  ზოგან ილია ჭავჭავაძე ისეთი ფორმით წერს, რომ შეიძლება „4“ გვეგონოს, მაგრამ ვინც მის კალიგრაფიას კარგად იცნობს, ამ ციფრების იდენტიფიცირება არ გაუჭირდება, რადგან „4“-ს  ის სრულიად განსხვავებულად, კუთხოვანი ფორმებით წერს.


ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელ ჩანაწერებში შეგვხვდა ტექსტის ავთენტურობასთან დაკავშირებული ერთი საკმაოდ რთული პრობლემა – უბის წიგნაკში, სადაც ჩაწერილი თითოეული დეტალი, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად, აკადემიურ გამოცემაში ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, მის ინტერესებთან დაკავშირებულ ინფორმაციად უნდა იქცეს, წავაწყდით სხვადასხვა ხელით მიწერილ, ერთი შეხედვით, გაურკვეველ ციფრებს. მართალია, უბის წიგნაკების გვერდებზე ხშირად ვხვდებით ასეთ ფრაგმენტულ უკონტექსტო ამონარიდებს, მაგრამ ამ ნაწერების რაობის დადგენაზე ყოველთვის ვატარებთ კვლევებს და ვარკვევთ მათ მიმართებას ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასთან. ჩვენი ყურადღება ამჯერად მიიქცია უბის წიგნაკის გვერდებზე დატანილი გაურკვეველი ციფრებიდან ზოგიერთზე მიწერილმა ინიციალებმა: „ი. ჭ.“ ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ წიგნაკზე ეს მინიშნება არქივარიუსის ხელითაა გაკეთებული.

უბის წიგნაკის ერთი გვერდის თავსა და ბოლოში ვხვდებით ორ ასეთ მინაწერს:  (N97) და  (ჭ. 61). სხვაგან, ერთ მცირე მონაკვეთზე, აღინიშნება დოკუმენტის ორგზის დანომრვის ოთხი შემთხვევა:  (34 8)  (1717 ი. ჭ. 60),  (32 9) და  (15 16). ამ ათი ციფრიდან დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი („ი. ჭ. 61“ და „ი. ჭ. 60“) საარქივო ერთეულების დღეს მოქმედი შიფრებია. სავარაუდოა, რომ დანარჩენი რვაც საარქივო ერთეულის აღრიცხვასთან დაკავშირებული მონაცემია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ



ასეთ მინაწერებში სადღაც ერიოს ავტორისეულიც. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მათი რაობის დადგენისას.


კიდევ უფრო რთული ვითარება გვაქვს სხვა დოკუმენტთან დაკავშირებით,



რომელზეც ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფთან ძალიან ახლოს არქივარიუსის ჩარევის კვალი ოთხჯერაა


აღბეჭდილი. ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, საინტერესოა მასალის ტექნიკური ისტორიისთვის, მაგრამ ხშირად ისე იჭრება ძირითად ტექსტში, რომ აფერხებს მის გაგებას და ზედმეტ საფიქრალს უჩენს ტექსტოლოგს, რომელმაც აუცილებლად უნდა შეისწავლოს თითოეული ასეთი მინაწერის რაობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ციფრები, რომლებსაც არ ახლავს ნომრის ნიშანი (№) და ინიციალები (ი. ჭ.). ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი ერთმანეთის მომდევნო ციფრებია, შესაძლოა, პაგინაციას ან ფოლიაციასაც აღნიშნავდეს, თუმცა არც მათი ავტორისეულობაა გამორიცხული. ამის გარკვევა და არგუმენტებით გამყარება კი საკმაოდ დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

ამგვარი ჩარევები საარქივო ერთეულის დამუშავების ინსტრუქციით იყო გათვალისწინებული და იმას ემსახურებოდა, რომ საქაღალდეებიდან ამოღების შემდეგ მასალა არ გაფანტულიყო და არეულიყო. უკვე არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საარქივო დოკუმენტის პარალელურად შეიქმნას მისი ციფრული ასლიც, რაც, მასალის დაცულობის აუცილებლობიდან გამომდინარე, თავიდან აგავრიდებს უშუალოდ საარქივო დოკუმენტზე ტექნიკური ხასიათის მონაცემების დატანის აუცილებლობას. როგორც ტექნიკური, ისე არქეოგრაფიული ხასიათის ნებისმიერი ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ციფრულ ასლთან ერთად, დედანი კი ხელუხლებელი დარჩება. იდენტიფიკაციის შესაძლებლობას კი დედნის ციფრული ასლი მოგვცემს.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარქივო მასალის ტექსტოლოგიურ კვლევებს ზოგჯერ ტექნიკური და სარესტავრაციო ხარვეზების

აღმოჩენამდეც მივყავართ. უბის წიგნაკებში გვხვდება გვერდები, რომლებზეც სარკისებურად გადმოსულია წინა გვერდის მელნის ლაქები, ეს გვერდები კი უბის წიგნაკს არ ახლავს. ბუნებრივია, ვცდილობთ მოვიძიოთ ნაკლული გვერდები,



რომელთა მიახლოებითი შინაარსობრივი და ტექსტის ადგილმდებარეობითი მახასიათებლები ჩვენთვის ცნობილია,

მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდება. აქვე მოგვყავს ორი მაგალითი, როდესაც ფურცლებს არა თავიანთი მომიჯნავე, არამედ ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული სარესტავრაციო ქაღალდის გვერდები ემიჯნება. მელნის ანაბეჭდები მიგვანიშნებს, რომ თავდაპირველად ნაწერი უნდა ყოფილიყო ამ ფურცლების მომიჯნავე გვერდებზეც, მაგრამ დღეს ასე არ არის. შესაბამისად, საარქივო ერთეულს დაკარგული აქვს პირველადი მდგომარეობა.

გვერდების ნაკლულობას ზოგჯერ საკითხთა ჩამონათვალის არასრულყოფილი ან არათანმიმდევრული ნუმერაციაც ავლენს. ხშირად კი თვალნათლივ ჩანს რომელიმე ადგილას ჩამაგრებული გვერდის ქაღალდის განსხვავებული ფერი, ზომა, ფაქტურა, ცვეთისა და დალაქავების ხარისხი, რაც სარესტავრაციო ხარვეზის უტყუარი ნიშანია. არქივის დამუშავებისას უსისტემო ნაწერების ერთიანად აკინძვა განპირობებული იყო იმით, რომ დაკარგვისგან გადაერჩინათ თითოეული ფურცელი. ასეთი ხარვეზების გამოსასწორებლად ჩვენი კვლევის შედეგებს, რეკომენდაციის სახით, აუცილებლად მივაწვდით ხელნაწერთა შემნახველ არქივებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერთა ამოკითხვის ამ რთული პროცესის თოთოეულ საფეხურზე თავს იყრიდა და თანდათან მატულობდა გრაფემათა უჩვეულო მოხაზულობის მაგალითები, რომელთა გამოყენებითაც შევადგინეთ ილია ჭავჭავაძის ხელწერისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ატიპური მოხაზულობის ცხრილები:

T				
которая	объективная	понятия	удовлетворение	
K				

диктатурѣ	аристократія	возникають	далеко	кредитной
<b>ю</b>				
влиають	возникають	трудолюбія	примѣненію	предпріятію
<b>а</b>				
зомбарт	производства	ЛОГИКА	весьма	за

იმ ავტორის კალიგრაფიის შესწავლა, რომლის აკადემიურ გამოცემაზეც ვმუშაობთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი ხელნაწერების ამოკითხვა შევძლოთ, არამედ იმისთვისაც, რომ ამოვიცნოთ მის არქივში სხვადასხვა გარემოების გამო დაცული სხვა პირთა ხელნაწერებიც. როდესაც მწერლის ხელწერას კარგად ვიცნობთ, უცხო კალიგრაფია მალევე აღძრავს ეჭვს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არ ვკმაყოფილდებოდით მხოლოდ ზერელე ვარაუდით და საგანგებოდ ვადარებდით ერთმანეთს ილია ჭავჭავაძისა და ამ კონკრეტული დოკუმენტის ხელწერას.

მეთოდოლოგიურად აუცილებელია, რომ არსებითი მსგავსება იყოს თითოეული ასო-ნიშნის მოხაზულობაში. იმ შემთხვევებში, როდესაც ვლინდებოდა პრინციპული სხვაობა რამდენიმე ასო-ნიშანთან დალაგებრებით, ვასკვნიდით, რომ ეს არ იყო ილია ჭავჭავაძის ნაწერი და თავად ტექსტის შინაარსიდან თუ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანედან ვარკვევდით ხელნაწერის შესაძლო ავტორს. თუ უცნობი დოკუმენტის ხელწერა, ძირითადად, ჰგავდა ილიასას, მაგრამ ორიოდე გრაფემა იყო განსხვავებული, მაშინ ვაკვირდებოდით ილია ჭავჭავაძის სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერებს და ვაზუსტებდით, გვხვდებოდა თუ არა კალიგრაფიის ჩამოყალიბების რომელიმე ეტაპზე ამ კონკრეტული გრაფემის მსგავსი მოხაზულობა. ასე ვადგენდით, შეიძლებოდა თუ არა, რომ წერის დროს შემთხვევით გამოევლინა ძველი ჩვევა. სავსებით

შესაძლებელია, რომ მწერალმა მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე კონკრეტული გრაფემის ფორმა გააზრებულად შეცვალოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ერთხელაც ის ძველი, მივიწყებული ფორმა მექანიკურად დაწეროს.

მართალია, ილია ჭავჭავაძის ხელწერაში ცალკეულ გრაფემებს განსხვავებული მოხაზულობით ვხვდებით, მაგრამ სხვის ხელს მაინც ამოიცნობს დაკვირვებული თვალი. ასე გახდა შესაძლებელი ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკებიდან სხვათა ხელით ჩაწერილი ტექსტების იდენტიფიკაციაც და, შესაბამისად, იმ გარემოებების გარკვევაც, რომლებმაც მოღვაწის

უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერების შექმნა განაპირობა. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

გრაფ.	უცნობი ხელწერა	ილია ჭავჭავაძის ხელწერა იმავე უბის წიგნაკიდან
ბ		
გ		
თ		
პ		
ტ		
შ		
ც		

უბის წიგნაკი №57-ის ერთ ჩანაწერში აღწერილია საგურამოს მამულში ილია ჭავჭავაძის კუთვნილი ქონება (ცხვარ-ძროხა, ტექნიკა) და შემოსავალ-გასავალი. ცალკეულ გრაფემათა

მოხაზულობა (ო, უ, ვ, ხ, ს და სხვ.) ძალიან წააგავს ილია ჭავჭავაძისას, მაგრამ ცალკეულებისა აცდენილია უბის წიგნაკის მფლობელის გრაფიკის ატიპურობის ფარგლებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერი სხვისი ხელით უნდა იყოს შესრულებული. გთავაზობთ ამ განსხვავებების საილუსტრაციო ცხრილს:

შინაარსიდან გამომდინარე, ჩანაწერი უნდა ეკუთვნოდეს მწერლის მოურავს, რომელიც მან დავით ციციშვილის შემდეგ აიყვანა. სავარაუდოდ, ერთ-ერთ ტექსტში სწორედ მოურავ ციციშვილზე უნდა იყოს საუბარი. შინაარსიდან ჩანს, რომ მას ილია ჭავჭავაძის მამულიდან წაუყვანია ერთი ძროხა. საფიქრებელია, რომ ეს იყო მისი შრომის ანაზღაურება. ამ ტექსტში საუბარია იმაზეც, რომ ვანკას (დაქირავებულ მუშას) ციციშვილის გარკვეული თანხა მართებს. ასანაზღაურებელი თანხის მცირე ოდენობა და კნინობითი ფორმები (მიხა, პეტრუა, ვანკა) მიგვანიშნებს, რომ საუბარია დაბალი სოციალური წრის ადამიანებზე, რომლებთან დაკავშირებითაც მოურავი

ანგარიშს აბარებს მწერალს. სავარაუდოდ, მწერლის უბის წიგნაკიც იმის ჩასაწერად აღმოჩნდა მის ხელში.

ერთ უბის წიგნაკში შეგვხვდა ილიას მიერ დაქირავებული სახლის მეპატრონის ხელწერილი ბინის განკარგვის პირობების შესახებ, ამ პირის მიერ ხელმოწერილი (იხ.: დანართი N11), მეორეგან ილიას მიერ დაქირავებული მზარეულის მიერ გაწეული მომსახურების თარიღების ჩამონათვალი მისთვის მიცემული ანაზღაურების ოდენობით, თავად მზარეულის დადასტურებითა და ხელმოწერით (იხ.: დანართი N12). ვფიქრობთ, რაკი უბის წიგნაკში იწერენ ასეთ მნიშვნელოვან საქმიან გარიგებებს, შესაძლოა, ეს მიგვანიშნებდეს, რომ ის განსაკუთრებული ლეგიტიმურობით სარგებლობს და, ცალკეულ შემთხვევებში, ერთგვარი იურიდიული დოკუმენტის ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს. არის ისეთი შემთხვევაც,

როდესაც მწერლის და – ელისაბედ ჭავჭავაძე ძმას უბის წიგნაკში უწერს წერილს და ურთავს შესაძენი ნივთების სიას. ამ ტექსტის არაილიასეულობის დადგენა არ გაგვჭირვებია, რადგან ხელწერის განსხვავებულობის გარდა, იგი იწყება სიტყვებით: „ჩემო ილო...“ (იხ.: დანართი N13).

როგორც ვხედავთ, მწერლის კალიგრაფიისთვის დამახასიათებელი ტიპური და ატიპური მოხაზულობების ცხრილები ძალზე კარგ შედეგს იძლევა ზემოთ განხილულთა მსგავს შემთხვევებში.

## §2. ხელნაწერის ამოკითხვასთან დაკავშირებული სირთულეები

ზემოთ განხილულზე უფრო რთული ვითარებაა, როდესაც გრაფემა ემსგავსება ამავე ავტორის ხელწერისთვის

<b>ფ</b>	<b>თ</b>
<b>ფანჯარა</b>	<b>თუმანი</b>
<b>თ</b>	<b>ო</b>
<b>თითონ</b>	<b>თუმანი</b>
<b>ნ</b>	<b>ხ</b>
<b>წინმნავს</b>	<b>ნახე</b>
<b>ვ</b>	<b>ფ</b>
<b>ვალში</b>	<b>მეფობი[ს]</b>
<b>უ</b>	<b>ქ</b>
<b>უქმე</b>	<b>საქენი</b>

დამახასიათებელი სხვა რომელიმე ასო-ნიშნის მოხაზულობას. ილია ჭავჭავაძის ქართულ ხელნაწერებში ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა, მაგრამ ისინი უხვად არის რუსულ ტექსტებში. როგორც ჩანს, ქართულ დამწერლობაში გრაფიკათა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები უფრო მკაფიოა, რუსულში კი მათ ნაკლებად დიფერენცირებული ფორმები აქვთ. გარდა ამისა, გადაბმის სისტემაც ხშირად იწვევს ასო-ნიშნებს შორის საზღვრების მოშლას და მათი ერთმანეთისთვის დამსგავსებას. ცხრილის სახით წარმოვადგენთ მაგალითებს ილია ჭავჭავაძის ქართული ჩანაწერებიდან, რომლებშიც სხვადასხვა სიტყვის შემადგენლობაში შემავალი კონკრეტული ფორმები ზოგან ერთ ბგერას აღნიშვნავს, ზოგან – სხვას. ცალკე უჯრებშია მოცემული გრაფემის გადიდებული გამოსახულება და იმ სიტყვის დაწერილობა, რომლიდანაც ის არის ამოღებული. აქვეა სიტყვის ბეჭდური ვერსიაც, რომელშიც მუქი შრიფტით არის წარმოდგენილი რთულად ამოსაკითხი გრაფემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ მსგავსებათა მაგალითები რუსულ ხელნაწერებში ბევრად უფრო მეტია. არის შემთხვევები, რომლებშიც ერთი და იმავე ფორმით გვხვდება არა ორი და სამი, არამედ ექვსი სხვადასხვა ასო-ნიშანი და ნიშანთა ერთობლიობაც კი. ქვემოთ ცხრილების სახით წარმოვადგენთ სხვადასხვა ასო-ნიშნის გრაფიკულ მოხაზულობათა მსგავსების იმ შემთხვევებს, რომლებმაც გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა რუსული ტექსტების ამოკითხვისას. უნდა ითქვას, რომ ამ ცხრილების შედგენის შემდეგ ერთნაირი მოხაზულობის მქონე გრაფემათა ამოცნობა ბევრად უფრო გვიოლღებოდა, რადგან უკვე ვიცოდით, სავარაუდოდ, რომელი ასო-ნიშნების აღმნიშვნელი შეიძლებოდა ყოფილიყო ისინი.

И	Н	Л	К
ფიზიკეაგო	ოდნაკო	ცქლაგო	დუშეტსკომქ
იზქ	ოდნაგო	სლახიქ	აკონოდატელი

<i>люди</i>	<i>можно</i>	<i>слабого</i>	<i>порядок</i>
люди	можно	слабого	порядокъ
<i>и</i>	<i>и</i>	<i>и</i>	<i>а</i>
<i>жизни</i>	<i>либеральные</i>	<i>прекращается</i>	
жизни	либеральныя	прекращается	
	<i>и</i>	<i>а</i>	
	<i>чисел</i>	<i>заканчивается</i>	
	числѣ	заканчивается	
Э		х	
<i>э</i>	<i>х</i>		
<i>экономи</i>	<i>гостиница</i>		
экономии	гостиницѣ		
<i>э</i>	<i>э</i>		
<i>эта</i>	<i>хадатайство</i>		
эта	хадатайство		
<i>этот</i>	<i>психическим</i>		
этот	психическимъ		
з		т	
<i>з</i>	<i>т</i>		
<i>заканчивается</i>	<i>понятія</i>		
заканчивается	понятія		
я		л	
<i>я</i>	<i>я</i>		
<i>порядком</i>	<i>документально</i>		
порядкомъ	документально		
<i>я</i>	<i>я</i>		
<i>определяется</i>	<i>определяется</i>		
определяется	определяется		

октября	определяются
---------	--------------

გაბმული წერისას არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე მოხაზულობით

ზოგან ერთი გრაფემა წარმოდგენილი, ზოგან კი - ორი ან სამი ერთად:

ფ	ор	др	ж	ста	ср
	<i>говори</i>	<i>друго</i>	<i>каждомъ</i>	<i>составл</i>	<i>сроко</i>
<b>ფ</b>	<b>გოვორ</b>	<b>დრუგო</b>	<b>კაჟდომъ</b>	<b>სოსთავლ</b>	<b>სროკო</b>
<b>ფორმე</b>					
<b>ფორმე</b>		<b>Другъ</b>	<b>также</b>		
<b>форма</b>					
щ	из				
<b>вообщე</b>	<b>ფიზიკეშიქ</b>				
<b>ობრაცაიოთე</b>	<b>იზვქსთნე</b>				
<b>პომოცუე</b>	<b>იზვქსთნომქ</b>				
<b>იშუცუიე</b>	<b>იზქ</b>				
<b>ოშუცუენე</b>	<b>იზდანიე</b>				
<b>უ</b>	<b>ც</b>				



 душетскомъ	 мухетскомъ
 условій	 соціо
	 цѣлями
 владѣльцу	

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მოხაზულობა ექვს განსხვავებულ გრაფემასა და ასოთა კომპლექსს გამოხატავს. ბუნებრივია, რომ ასეთი რამ დიდ პრობლემებს ქმნის ტექსტის ამოკითხვისას.

Ш	СЛ	М	Т	ЛЬ	ГН

იმისათვის, რომ სიტყვათა გამოსახულებები კარგად გამოჩნდეს, ამ მაგალითებს ორ ცხრილად წარმოვადგენთ:

М	Ш	Т
 самаго	 высшей	 множественность
	 высшей	
ЛЬ	СЛ	ГН
 Национальной	 слабаго	 угнетению

	числѣ	

განსაკუთრებით რთულია ასეთი ფორმების დამთხვევების დიფერენცირება და ატიპური მოხაზულობის გრაფემათა ამოკითხვა, როდესაც ისინი თავს იყრის ერთ სიტყვაში, რადგან ხელნაწერის ამოკითხვისას ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ეტაპია ამოუცნობი გრაფემებით დაწერილი სიტყვის ამოკითხვა ლექსიკური ერთეულის სხვა, უფრო იოლად ამოკითხული ნაწილით. როგორც ზემოთაც ვთქვით, პრობლემას ქმნის არა მხოლოდ ის, რომ ერთი და იგივე გრაფემა ძალზე განსხვავებული ფორმებით არის ხოლმე წარმოდგენილი, არამედ ისიც, რომ სხვადასხვა გრაფემის ფორმებია ერთმანეთს დამსგავსებული.

იხ.: ერთი და იმავე გრაფემის სხვადასხვაგვარი გრაფიკა ერთ სიტყვაში:

		человѣческой
		вдохновенныхъ
		вдохновенныхъ
		реформаторовъ
		оцѣнокъ
		вледѣльцу
		нынѣ

იხ.: სხვადასხვა გრაფემის ან გრაფემათა შუამდგენელი ელემენტების მოხაზულობათა მსგავსება ერთსა და იმავე სიტყვაში:

с с е			мѣстностей
е е м			земель
и м л			имѣль


ლ ა			составляет
ზ ჩ			закljučается
ი ლ ლ			диллетанты
დ ბ			трудолюбя
ე ს			обществу
პ ნ			распоря- жению
პ ზ			послѣ

შესაძლოა, მკვლევარი ზედმიწევნით კარგად იცნობდეს ამა თუ იმ ავტორის ხელწერის სპეციფიკას და საზღვრავდეს ასოთა ატიპური მოხაზულობის პერსპექტიულ ფარგლებსაც, მაგრამ ტექსტის ამოკითხვა მაინც გაუჭირდეს. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის ბოლო საფეხურების გამოყენება [ნინიძე, გიგაშვილი 2018, 76-83]. ამ კომპლექსურ მეთოდში, ინტეგრირებულია სხვადასხვა მიკრომეთოდი: იდენტიფიცირების, გრაფიკული შედარების, კონტექსტური ანალიზის, ექსტრატექსტური (გარეტექსტური) კვლევის და გამორიცხვის მეთოდები. იგი შედგება ეტაპებისგან და თითოეული საფეხური ითვალისწინებს რომელიმე მიკრომეთოდის გამოყენებით იმ ეტაპზე დასახული ამოცანის შესრულებას. თითოეული ეტაპის დასასრულს იშიფრება ავტოგრაფის ერთი შრე. მართალია, ყველა ავტორის ხელწერა სპეციფიკურია, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებით საკმაოდ რთული მონაკვეთების ამოკითხვაც კი ხდება შესაძლებელი.

ამის დასადასტურებლად წარმოვადგენთ მაგალითს, როგორ გამოვიყენეთ ეს მეთოდი ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკებზე მუშაობისას და რა შედეგებს მივაღწიეთ თითოეული მიკრომეთოდის გამოყენების ეტაპზე.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ უბის წიგნაკში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] გვხვდება ფანქრით შესრულებული რთულად გასარჩევი მოკლე პასაჟი, რომლის იდენტიფიცირებისთვისაც ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის ყველა საფეხურის გამოყენება დაგვჭირდა. რამდენადაც ამ


უბის წიგნაკზე მუშაობა დავიწყეთ ისეთ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ გვქონდა შედგენილი ილია ჭავჭავაძის ხელწერისთვის დამახასიათებელი ტიპური და ატიპური მოხაზულობების ცხრილები, ტექსტის ქვემოთ წარმოდგენილი მონაკვეთიდან, რომელიც, სავარაუდოდ, შეიცავდა 56 სიმბოლოს (მათგან ერთი სასვენი და ერთი გადატანის ნიშანია), პირველ საფეხურზე მხოლოდ სტანდარტული ფორმის მქონე 35 ნიშნის იდენტიფიცირება მოვახერხეთ, ამოუკითხავი დაგვრჩა ერთი მესამედი.





на уг??  
 Зве?игород-  
 с?ой и ??би  
 ?е?ской  
 ??тро????  
 вское ???дб???


მივხვდით, რომ ასე საქმის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და ამ უბის წიგნაკზე მუშაობა კარგახნის შემდეგ განვაგრძეთ, როდესაც უკვე შესწავლილი გვქონდა მწერლის ხელწერა და შედგენილი გვქონდა მისი კალიგრაფიისთვის





დამახასიათებელი მოხაზულობების ცხრილები. შედეგი თვალსაჩინო იყო, რადგან მალევე ამოვიცანით რამდენიმე გრაფემა, მათ შორის ბოლოს წინა ხაზის დასაწყისში დაწერილი დიდი „М“, რომლის მარჯვენა ნაწილსაც ილია ჭავჭავაძე მარცხენაზე

ბევრად დაბლა წერს  და. „Ф“, რომლის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებიც მის


ავტოგრაფებში ხშირად ერთმანეთისგანაა დაშორებული . ლექსიკური ერთეულების იდენტიფიცირებაში ძალიან დაგვეხმარა ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილები, რომლებიდანაც ჩანს, ერთსა და იმავე მოხაზულობაში რომელი გრაფემები შეიძლება იგულისხმებოდეს.

მეორე სტრიქონზე, სადაც ამოკითხული გვქონდა - „Зве?игород-“,  მოხაზულობის უცნობი ასო ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილების მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო - п, и, н ან к. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა, სავარაუდოდ, არც გვქონდა გაგონილი, ენობრივი ჟღერადობის მიხედვით

ვივარაუდეთ, რომ ამ ოთხი გრაფემიდან მოცემულ სიტყვას უფრო ესადაგებოდა „н“. ასე მივიღეთ დაწერილობა „Звенигород-“. რაც შეეხება ამ სიტყვის გაგრძელებას, ისიც არ იყო მარტივი ამოსაკითხი, რადგან ამ ნაწილიდან ამოუცნობი გვექონდა მოხაზულობა , რომლის მსგავსი ფორმითაც ზემოთ გრაფემა „н“ იყო წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც იმავე ოთხი ვარიანტიდან უნდა აგვერჩია: п, и, н და к, უპირატესობა „к“-ს მივანიჭეთ, რადგან თუ მას ჩავსვამდით, სიტყვის დაბოლოებაში იკითხებოდა ფართოდ გავრცელებული სუფიქსი „ский“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით „ской“. საგულისხმოა, რომ ასეთი დაბოლოების სიტყვა შემდეგ სტრიქონშიც იყო, რაც ერთგვაროვანი წევრების ბრუნვაში შეთანხმებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შესაბამისად, სიტყვა იღებდა ლოგიკურ სახეს: „Звенигородской“.

გამოცდილებით უკვე ვიცოდით, რომ  ფორმით ილია ჭავჭავაძე გრაფემა „к“-ს წერდა და რომ მოხაზულობაში  მარჯვნივ წაგრძელებული რკალი გრაფემა „о“-დან გამომავალი გადაბმის ხაზი კი არა, გრაფემა „а“-ს რკალური ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო. შესაბამისად, მესამე სტრიქონის ბოლოში ამოვიკითხეთ სიტყვის ნაწილი „каби“. მეოთხე ხაზის დასაწყისში კვლავ ნაცნობი არჩევანის წინაშე დავდექით - უნდა გაგვერკვია, მოხაზულობაში  ოთხი გრაფემიდან п, и, н და к რომელი შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმევი. ამ სიტყვაში კიდევ ერთი გაურკვეველი მოხაზულობა იყო – , რომელიც ზოგან „т“ და ზოგან „з“ გრაფემის აღსანიშნად გვხვდება. პრობლემის გადაჭრაში ის დაგვეხმარა, რომ ამოსაკითხი სიტყვის ძირს „кабинет“, ასე თუ ისე, ვიცნობდით და იგი უკვე იდენტიფიცირებულ დაბოლოებას „ской“ კარგად ესადაგებოდა. სრულად სიტყვამ ასეთი სახე მიიღო „кабинетской“.


მსაზღვრელები „Звенигородской“ და „кабинетской“ მოითხოვს მდებარეობითი სქესის არსებით სახელს მრავლობით რიცხვში, სავარაუდოდ, სიტყვას – „улиц“ რომელიც ტექსტში არ წერია, მაგრამ იგულისხმება. ამის გარკვევამ და წინდებულმა „на“ მიგვანიშნა, რომ პირველი სტრიქონის მეორე სიტყვა უნდა ყოფილიყო „углу“.

კონტექსტის დახმარება რომ არა, მოხაზულობაში  ვერ ამოვიცნობდით გრაფემებს – „my“.

ლექსიკური იდენტიფიკაციისა და კონტექსტური კვლევის მეთოდები მეხუთე-მეექვსე ხაზზე დაწერილი სიტყვის ამოკითხვაშიც დაგვეხმარა. საქმეს გვიმარტივებდა ის, რომ ამოსაკითხი სიტყვა, დიდი ალბათობით, საკუთარი სახელი იქნებოდა, რადგან დიდი ასოთი იწყებოდა. „Митроф“ – ასეთი დასაწყისით ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ ერთი სახელი Митрофан. დაკვირვების შედეგად შევამჩნიეთ, რომ მეხუთე ხაზის კიდეში მართლაც შეიძლებოდა გრაფემების – „ан“ და „о“-ს ამოკითხვა. შესაბამისად, სრული სახით ეს უნდა ყოფილიყო სიტყვა „Митрофановское“.

უკანასკნელი, ყველაზე მეტად გაკრული ხელით დაწერილი სიტყვიდან პირველსავე ეტაპზე ამოცნობილი „дн“ გრაფემების შემდეგ ვერაფერი ამოვიკითხეთ, რადგან ხელს გვიშლიდა გრაფემათა ატიპური დაწერილობა. მაღალი ხარისხის ციფრული ასლის მიუხედავად, საქმეს საწერი მასალა - მუქი ფერის ქაღალდი და ბაცი ფანქარიც - ართულებდა, ამას ისიც ემატებოდა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ პირადი დანიშნულების ტექსტს, რომლის შესრულებისას ავტორს მისი გარკვევით ჩაწერის სულ მცირე ვალდებულებაც კი არა აქვს. სიტყვა მეტად გაკრული ხელით, დამრეცად იყო დაწერილი.

კონტექსტური იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებისას მივმართავთ სინტაქსურ, მორფოლოგიურ, ფრაზეოლოგიურ, პუნქტუაციურ ან სხვა მახასიათებლებს, რომლებიც, მომიჯნავე სიტყვებიდან გამომდინარე, მოგვცემს დამატებით მინიშნებებს ლექსიკური ერთეულის ამოსაცნობად. ამ შემთხვევაში ეს იყო წინა სიტყვის საშუალო სქესის აღმნიშვნელი დაბოლოება: -ое (Митрофановское), რაც მიგვანიშნებდა, რომ საზღვრულიც საშუალო სქესისა უნდა ყოფილიყო. ასე, სულ მცირე, ამოსაკითხი სიტყვის ბოლოს ასო „е“-ს დაშვება შეიძლებოდა. ამ ეტაპის ბოლოს ძიება უნდა გაგვეგრძელებინა შემდეგი ორი მახასიათებლით. უნდა გვეპოვა საშუალო სქესის ისეთი სიტყვა, რომელიც მსაზღვრელად იდენტიფიცირებული სიტყვის - Митрофановское საზღვრული იქნებოდა, მაგრამ ასეთი მწირი მონაცემებით ძიება, სავარაუდოდ, შედეგს ვერ მოგვცემდა.


ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის გამოყენებისას, ავტოგრაფის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ხშირად გვიწევს მიბრუნება უკვე განვლილ ეტაპებთან. ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქცეთ. იმის გამო, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ჯერ კიდევ არ გვაძლევდა გარეტექსტური ძიებისთვის საჭირო რესურსს, შევეცადეთ, კვლავ გამოგვეყენებინა გრაფიკული შედარების მეთოდი. ამოსაკითხი სიტყვის პირველი ასო ასეთი მოხაზულობისაა - . ამავე ტექსტში მსგავსი მოხაზულობის ერთი გრაფემა „H“ აღმოჩნდა, მეორე - „K“, ჩვენი ცხრილების მიხედვით კი ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო „П“ ან „И“-ც. შევეცადეთ, გაგვეხსენებინა სიტყვები, რომლებიც შუაში მოიცავდა გრაფემებს „дн“, საშუალო სქესისა იყო და შეიძლებოდა საზღვრულის სახით მოჰყოლოდა სიტყვას – Митрофановское. პირველი, რაც აზრად მოგვივიდა, იყო სიტყვა „кладбище“, მაგრამ ხელნაწერი ამ ადგილას იმდენად გაურკვეველია, რომ გრაფიკული შედარების მეთოდით მის გადამოწმებას ვერ მოვახერხებდით. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იყო ინფორმაციის ძიება ტექსტის გარეთ. მართლაც ინტერნეტში ზუსტი ფრაზის ძიების მექანიზმით გავარკვეეთ, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ვორონეჟის მიტროპოლიტის - მიტროფანეს სახელობის სასაფლაო „Митрофановское кладбище“ რუსეთის არაერთ ქალაქში არსებობდა. რამდენადაც ხელნაწერში საუბარი იყო ორი კონკრეტული ქუჩის გადაკვეთაზე, ტექსტის კომენტარებისთვის შესაძლებელი ჩანდა იმის გარკვევაც, თუ რომელი ქალაქი იგულისხმებოდა. დავადგინეთ, რომ ქუჩების – „Звенигородская“-სა და „Кабинетская“-ს გადაკვეთასთან ახლოს ამ დასახელების სასაფლაო მდებარეობდა პეტერბურგში. იქვე, წმინდა მიტროფანეს ტაძრის ეზოში დაკრძალულია არაერთი ცნობილი გვარის წარმომადგენელი, მათ შორის ბაგრატიონებიც.

ძიების ბოლო ეტაპზე, ფაქტობრივად, ხელთ გვქონდა ერთმანეთთან ფაქტობრივად, კონტექსტურად, ლექსიკურად და გრაფიკულად შესაბამისი სიტყვები და ტექსტმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „на углу Звенигородской и кабинетской Митрофановское кладбище“. რამდენადაც ეს არის კერძო ჩანაწერი, რომელსაც ავტორისთვის ერთგვარი „მინიშნების“ ფუნქცია აქვს, მას არ მოეთხოვება სტილისტური გამართულობა. როგორც ვხედავთ, წინადადება დაუსრულებელია,

მასში არ არის შემასმენელი, მაგრამ ეს სავსებით ჩვეულებრივი შემთხვევაა ამგვარი ტიპის ჩანაწერებისათვის.

მასალის ამოკითხვის შემდეგ, მისი სისტემატიზაციისათვის, საჭირო ხდება ტექსტის შინაარსის მიმართების გარკვევა ავტორის ბიოგრაფიასთან. აკადემიურ გამოცემაში მსგავს ინფორმაციას იყენებენ სამეცნიერო აპარატისთვის - ჩანაწერის რაობის განსასაზღვრად და კომენტირებისთვის. ამ შემთხვევაში ასეთ შედეგამდე მივდივით: ამავე უბის წიგნაკის სხვა, მაგრამ ახლო ჩანაწერში მოხმობილი ერთი თარიღისა (1891 წლის 18 ივნისი) და „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის“ [ნინიძე, ამირხანაშვილი 2017, 347] მოშველიებით გავარკვეეთ, რომ ავტორი ამ პერიოდში საბანკო საქმეების მოსაგვარებლად და სამკურნალოდ მეუღლესთან ერთად მოსკოვსა და პეტერბურგში იმყოფებოდა. მას დიაბეტის ფონზე აწუხებდა ღვიძლი, მეუღლე კი სმენის დაქვეითებას უჩიოდა და საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდებოდა. სავარაუდოა, რომ უბის წიგნაკის ამ მონაკვეთში ნახსენები ყველა ტოპონიმი და პირი მოსკოვსა და პეტერბურგს უკავშირდებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ თავად წიგნაკიც პეტერბურგში იყოს შექმნილი, რადგან ის, სხვა უბის წიგნაკებისაგან განსხვავებით, პატარა ზომისაა და გამოკვეთილად მოგრძო ფორმა აქვს. ამრიგად, გარეტექსტური კვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციაც ადასტურებს ჩვენ მიერ ამოკითხული ტექსტის შინაარსის შესაბამისობას მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტულ პერიოდთან. მოხმობილი მაგალითი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, თუ როგორი რთული ავტოგრაფების ამოკითხვა შეიძლება ამ უახლესი მეთოდისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამოკითხვის კონტექსტურ ეტაპს მეტ-ნაკლებად ამარტივებს ამოუცნობი გრაფემებისა და სიტყვების ახლოს ზმნის არსებობა. რუსულში ის გვამღვებს პირის, რიცხვის და დროის, ქართულში კი ამასთან ერთად ასპექტის, კონტაქტის და სხვა მონაცემების დაზუსტების საშუალებას, რაც მომიჯნავე სიტყვების ამოკითხვაში გვეხმარება. ამ დახმარებას მოკლებული ვართ, როცა საქმე გვაქვს თითოსიტყვიან ჩანაწერებთან, განსაკუთრებით კი გვარ-სახელებსა და ტოპონიმებთან. როგორც უკვე ვახსენეთ, ეს





მონაკვეთები სრულმომიჯნავე სიტყვის მონაცემების მოშველიებით ამოკითხვის პოტენციალს ზრდის და დასახმარებლად შეგვიძლია მხოლოდ გარეტექსტური კვლევის მეთოდს მივმართოთ.

უბის წიგნაკის ერთ-ერთ ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60], რომელიც ზემოთ განხილულის მომდევნო ფურცელზე გვხვდება, არის ორი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვა. როგორც ჩანს, ავტორს ძალიან მოკლედ ჩაუნიშნავს მისთვის საჭირო ინფორმაცია. შედარებით მარტივად იკითხება პირველი სიტყვა. ეს არის ბერძნული წარმომავლობის გვარი „Ковако“. ამ პიროვნების ვინაობის ძიებამ მიგვიყვანა რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბაგრატიონებთან. გავარკვიეთ, რომ ალექსანდრე იურის ძე კოვაკო იყო ანა ქაიხოსროს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე.


მომდევნო სიტყვიდან გაჭირდა მხოლოდ შუა გრაფემის Ма?ия ამოცნობა, მაგრამ გამოვიყენეთ ლექსიკური იდენტიფიცირების მეთოდი და, რამდენადაც სიტყვა დიდი ასოთი იწყებოდა, წარმოვიდგინეთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე გრაფემა, რომელიც ცოტათი მაინც მიესადაგებოდა ამოუცნობ მოხაზულობას. გაგვიჩნდა ეჭვი, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ასო „м“, სიტყვა კი - „Мамия“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე დაწერილი სიტყვების ამოკითხვისას მოკლებული ვართ კონტექსტის საშუალებით მისი გადამოწმების შესაძლებლობას. ერთადერთი ინფორმაცია, რაც კონტექსტიდან გვქონდა, იყო ის, რომ ჩანაწერი 10 ივლისის შემდეგ უნდა ყოფილიყო გაკეთებული, სავარაუდოდ, პეტერბურგში.

რამდენადაც, ჩვენი გამოცდილებით, ერთადერთი „მამია“, ვისთანაც ასოცირდებოდა ილია ჭავჭავაძის სახელი, იყო მამია გურიელი, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში“ ვეძებეთ ინფორმაცია მის შესახებ და გავარკვიეთ, რომ მამია გურიელის გარდაცვალების დროს, 1891 წლის 25 ივლისს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა. მან, როგორც ჩანს, უბის წიგნაკში ერთი სიტყვით - „მამია“ ჩაინიშნა, რომ ნეკროლოგის ტექსტი ჰქონდა დასაწერი, 3 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ კი გამოქვეყნდა ილიას ნეკროლოგი მამია გურიელის შესახებ. შესაძლოა, მამია გურიელის ხსოვნისთვის მიძღვნილი ტექსტის თბილისში გამოგზავნასთან რაიმე კავშირი ჰქონოდა ანა ბაგრატიონის მეუღლეს - იური კოვაკოს, რომლის გვარიც მამიას სახელის ზემოთ წერია. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ

ჩვენი ვარაუდია, მაგრამ, რაც შეეხება ამ ჩანაწერის ამოკითხვის შედეგს, გარეტექსტური კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი სწორად უნდა გვეკონდეს ამოკითხული. საგულისხმოა, რომ მამია გურიელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიის გამოქვეყნებისას ილია ჭავჭავაძის თბილისში არყოფნის გამო, მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის ტომების შემდგენლებმა გამორიცხეს, რომ ნეკროლოგი ილიასი ყოფილიყო და ოცტომეულის შესაბამის ტომში არ შეიტანეს. ორიოდე წლის წინ კომპლექსური ატრიბუციული კვლევის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ ილია ჭავჭავაძემ ცოტა დაგვიანებით (9 დღის შემდეგ), მაგრამ მაინც მოახერხა პატივი მიეგო გარდაცვლილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწისთვის [ნინიძე 2017, 96]. ეს მოკლე კერძო ჩანაწერიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პეტერბურგში ყოფნისას მწერალმა ნამდვილად გაიგო მამია გურიელის გარდაცვალების ამბავი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის უცნობი ნებისმიერი საკუთარი სახელისა თუ ტოპონიმის ამოკითხვის შემთხვევაში, სასურველია, მისი გადამოწმება, რადგან გადამოწმების გარეშე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რამდენად სწორად ამოვიკითხეთ და შეესაბამება თუ არა ის კონტექსტს. ამ მიზნით ყველაზე ხშირად მივმართავთ ინტერნეტის საძიებო სისტემაში ზუსტი ფრაზების ძიების მექანიზმს. მხოლოდ სარწმუნო ინტერნეტგვერდებზე ამ ფორმის რამდენჯერმე გამოვრებისა და მისი რაობის გარკვევის შემდეგ შეიძლება ვენდოთ მის დაწერილობას და შევიტანოთ გამოცემაში.



იმის გამო, რომ მე-19 საუკუნის რუსული ლექსიკა ჩვენთვის ზედმიწევნით ნაცნობი და ახლობელი არ არის, ილია ჭავჭავაძის რუსულ ტექსტებზე მუშაობისას



ხშირად გვიხდებოდა ისეთი სიტყვების დაწერილობის გადამოწმება, რომლებიც

ხელნაწერში მკაფიოდ არ იკითხებოდა. მაგალითად, ამ გზით დავაზუსტეთ სიტყვის - Неотчуждаемого - ბოლო მარცვლების დაწერილობა, რომლებიც საწერი მასალის არამდგრადობის გამო თითქმის გადაშლილი იყო. საძიებო სისტემაში ამ ფორმის გამოყენების 34 700 შემთხვევა აღნიშნა და ჩვენც თამამად ჩავწერეთ იგი ტექსტის შესაბამის ადგილას.



ხშირად გაკრული ხელით ნაწერი ცალკეული გრაფემების და სიტყვების ამოკითხვაში გვეხმარება იმავე გვერდზე უფრო გარკვევით გამოყვანილი იგივე გრაფემები და სიტყვები. ასე



ამოვიცანით ილია ჭავჭავაძის ერთ რუსულენოვან კერძო ჩანაწერში გვარი „ფურცელაძე“, რომელშიც ბოლოს წინა ორი გრაფემა „ძჰ“ სრულიად გაურკვეველი, დაუსრულებელი ფორმით იყო წარმოდგენილი. როგორც საილუსტრაციო ჩანართზე ვხედავთ, მეორე შემთხვევაში (ქვედა გამოსახულება) ეს გრაფემები გარკვევით წერია, რაც დიდი დაგვეხმარა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფურცელი დაზიანებული ან დალაქავებულია და სავარაუდო ტექსტის ან გრაფემის წაკითხვის დაზუსტება-დადასტურება შესაძლებელია გრაფიკული კონიექტურის გამოყენებით. მაგალითად, უბის წიგნაკის ერთ-ერთ კერძო ჩანაწერში [კკსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N57] ტექნიკური ხარვეზის – მელნის ლაქის გამო სიტყვაში ორი გრაფემა საერთოდ არ ჩანდა და იკითხებოდა მხოლოდ ხუთი: „ბინო??ი“. პირველად რაც ვივარაუდეთ, იყო სიტყვა „ბინოკლი“, მაგრამ სანამ ამ წაკითხვას გამოცემაში შევიტანდით, აუცილებლად უნდა გადაგვემოწმებინა, იყო თუ არა მიზანშეწონილი ამ სიტყვის გამოყენება მოცემულ ვითარებაში, კერძოდ, შედიოდა თუ არა ეს მოწყობილობა ილია ჭავჭავაძის ინტერესთა სფეროში და მეორე, უნდა გაგვერკვია, დაზიანებულ მონაკვეთში რამდენად გამართულად ჩაჯდებოდა ამ გრაფემების ილიასეული კალიგრაფია.

სხვა უბის წიგნაკის ერთ-ერთმა რუსულენოვანმა კერძო ჩანაწერმა „Бинокль




призматический Герц“ მიგვანიშნა, რომ ილია ჭავჭავაძეს ინფორმაცია ჰქონდა ამ ნივთის იმხანად არსებულ ახალ

მოდელზეც კი და იგი ნამდვილად არსებობდა მწერლის პრაქტიკულ ცხოვრებაში თუ არა, თვალსაწიერში მაინც. მას შემდეგ, რაც დადასტურდა ილია ჭავჭავაძის მიერ უბის წიგნაკში სიტყვა „ბინოკლის“ გამოყენების შესაძლებლობა, გადავწყვიტეთ შეგვემოწმებინა გრაფიკული შესატყვისობაც. დავუშვით, რომ ორი გრაფემა, რომლებიც მელანმა გადაფარა, არის „კლ“. შემდეგ ილიასეულ სხვა ხელნაწერში მოვიძიეთ ამ ასოთა კომპლექსი და

შევეცადეთ ნატურალურ ზომებში მელნის ლაქის მიერ დაფარულ ადგილას მოგვექცია. როდესაც ასობი შესაბამის ადგილზე ჩავსვით, შედეგი დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ სწორედ მელნის ლაქით დაფარული სივრცე დასჭირდა განსათავსებლად ამ ორ გრაფემას, რადგან ილია ჭავჭავაძის ხელნაწერებში გრაფემა „ლ“, მართალია, ერთფეხიანია, მაგრამ ჰორიზონტალურად მაინც დიდ სივრცეზეა განფენილი. მას შემდეგ, რაც გრაფიკულმა კონიექტურამაც დაგვიდასტურა ამოკითხული ფორმის სისწორე, ის ტექსტში შევიტანეთ.

უბის წიგნაკის ჩანაწერებზე მუშაობისას კიდევ ერთი სახის სირთულე გამოვლინდა – შემოკლებული ფორმებიდან სიტყვის იდენტიფიცირება. რა თქმა



უნდა, აკადემიური გამოცემის ძირითად ტექსტში მას ასევე შემოკლებული სახით დავბეჭდავთ, მაგრამ კომენტარებში უნდა აღვვნიშნა, რა სიტყვა იგულისხმება მასში


და, შესაბამისად, ეს საკითხი გარკვეული უნდა გვექონოდა.

უბის წიგნაკების ერთ-ერთ კერძო ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] გვხვდება ციფრები, რომლებთანაც მიწერილია ზოგან სიტყვა „ცალი“ („штук“), ზოგან კი შემოკლებები: „ap.“ და „вер.“ ტექსტი, სავარაუდოდ, აღნუსხავს სამშენებლო მასალას. ციფრების ნაწილი მოცემულია პროპორციების ფორმით (ასე წერენ ხოლმე რაღაცის სიგრძე-სიგანეს) და შემოკლებული სიტყვები მიწერილია მარჯვენა მხარეს. იმის გასარკვევად, თუ მე-19 საუკუნის რუსულ ენაში რა სიტყვები შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი ასეთი შემოკლებებით, მივმართეთ ინტერნეტის საძიებო სისტემას. აღმოჩნდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საზომი ერთეულების - аршин და вершок შემოკლებული ფორმები. ქართული შესატყვისებით, ისინი ძველი სიგრძის საზომი ერთეულები - არშინი და გოჯია, მათგან პირველი დიდ ერთეულს აღნიშნავს, მეორე კი - მცირეს (როგორც მეტრი და სანტიმეტრი). ერთი არშინი 70 სმ-ია, ერთი გოჯი კი - 4,4 სმ.


როდესაც ხელნაწერი გაურკვეველი იყო და ჩვენ მიერ ამოკითხული ტექსტი უფრო „სავარაუდო“, ვიდრე უკვე დადგენილი, მხოლოდ გრაფიკულ გამოსახულებას

ვერ ვეყრდნობოდით და გამოცემაში შეტანამდე მას აუცილებლად ვამოწმებდით, სულ ცოტა, ორი ასპექტით მაინც: რამდენად შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის მიერ ამ კონკრეტული სიტყვების მოცემული ფორმების გამოყენება და არის თუ არა ამ და მის მომიჯნავე სიტყვებს შორის ლოგიკური სინტაქსური და შინაარსობრივი კავშირი. ამოკითხული ტექსტის სისწორის დამადასტურებელი დამატებითი არგუმენტების მოსაპოვებლად ხშირად მივმართავდით საძიებო სისტემებს. მათი გამოყენება ტექსტოლოგს მართლაც ძალიან ეხმარება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არასწორი გზითაც მიჰყავს ხოლმე და დროს აკარგვინებს.

ილია ჭავჭავაძის ერთი პატარა, ვიწრო ზომის უბის წიგნაკის კერძო ჩანაწერის დასაწყისში თითქოს გარკვევით იკითხება სიტყვა „Самонното“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60]. ეს ლექსიკური ერთეული



ჩვენთვის სრულიად უცხო იყო. ამიტომ მივმართეთ „Google“-ის საძიებო სისტემას და მისი დახმარებით მივაკვლიეთ ერთადერთ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნული სიტყვა იყო გამოყენებული. ეს აღმოჩნდა 1923 წლის გაზეთი „Звезда Алтая“, რომლის ტრანსკრიპტიც ცოტა უცნაურად ჟღერდა: „очистке, этого самонного мя в



градядо, баавал оруях едио“. ინტერნეტის გამოყენებითვე შევძელით გაზეთის სკანირებული

ასლის მოძიებაც და თავად ვცადეთ მისი წაკითხვა. აღმოჩნდა, რომ ტექსტის ამ მონაკვეთში სულ სხვა რამ ეწერა: „очистке этого семенного материала и к приведению его в возможно лучший вид...“ (ამ სათესლე ნედლეულის გასუფთავება და საუკეთესო მდგომარეობამდე მიყვანა...) როგორც ჩანს, ინტერნეტში გადაუმოწმებლად იყო განთავსებული კომპიუტერული პროგრამის მიერ ამოკითხული ტექსტი. ამ პროგრამას უჭირს ძველი, გაცრეცილი გაზეთებიდან გრაფემათა ზუსტი იდენტიფიცირება და ერთმანეთში ერევა მიმსგავსებული ასოები. ამის გამო სიტყვა „семенного“ შეცვალა გრაფემათა კომპლექსით „самонного“. საძიებო სისტემამ კი წაიკითხა ის, რაც ტექსტმა მიაწოდა და არასწორ კვალზე დაგვაცენა.

გაგვიჩნდა ეჭვი, რომ „самонного“ შეიძლება ყოფილიყო უკრაინული სიტყვა რაიმე სახის განსხვავებული დაწერილობით და ამიტომაც ვერ ვპოულობდით. ამის გასარკვევად ვცადეთ კიდევ ერთი ხერხი - Google-Translate-ის გამოყენება. მივეცით ბრძანება, რომ ეს სიტყვა ეთარგმნა უკრაინულად, გერმანულად და ინგლისურად. პირველმა შედეგი არ გამოიღო, გერმანულად და ინგლისურად კი გვითარგმნა ასე: „Selbst gemacht“ და „Self-made“. გაგვიჩნდა იმედი, რომ ეს სიტყვა მართლაც არსებობდა და გავაგრძელებთ მისი ძიებას. ლექსიკონებში ვეძებთ გერმანული და ინგლისური სიტყვების: „Selbst gemacht“-ისა და „Self-made“-ის სინონიმები და რუსული თარგმანები. ყველა ლექსიკონში ამოდიოდა სიტყვა „самородный“. შემდეგ ვეძებთ ამ სიტყვის სინონიმები უკრაინულში, მაგრამ შედეგად самонного-ს მსგავსი არაფერი მიგვიღია.

საბოლოოდ, საკითხის გარკვევაში დაგვეხმარა რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის წიგნების ელექტრონული კატალოგი და გაირკვა, რომ ხელნაწერში სულ სხვა დაწერილობის სიტყვა იყო ნაგულისხმევი. შესაბამისად, Google-Translate-ის თარგმანიც რაღაც შემთხვევითობით იყო გამოწვეული და ასეთი სიტყვა უკრაინულში, სავარაუდოდ, არ არსებობს. როგორც ვხედავთ, ზოგჯერ მექანიკური ძიება სრულიად უშედეგო ან არასწორი შედეგის მომტანია და თანამედროვე ციფრული შესაძლებლობის გამოყენება რაციონალურად არგუმენტირებულ ფარგლებში უნდა მოხდეს.


კომპიუტერულ პროგრამებს ძველი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გასაციფრულებლად ყველა ქვეყანაში იყენებენ, მაგრამ მათ ინტერნეტში განთავსებამდე აუცილებლად ამოწმებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ასეთ პროგრამაში ათასობით მოხალისე იყო ჩართული და კარგი იქნება, თუ ეს პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც დაინერგება. გადამოწმების გარეშე ინტერნეტში არ უნდა თავსდებოდეს „Google Translate“-ით თარგმნილი და პროგრამის მიერ ამოკითხული ტექსტები და კორექტირდებოდეს ვიკიპედია, რომ მეცნიერებს შეეძლოთ მათგან მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობა. იქამდე კი, სანამ ეს კულტურა დამკვიდრდებოდეს, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ შეცდომისგან თავი დავიზღვიოთ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე წინ წავიდა, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ციფრულ საძიებო სისტემაში სხვადასხვა ვარიაციით და შემოკლებებით ჩაწერეთ საძიებო სიტყვა. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდს იმიტომ მივმართეთ, რომ ჩანაწერის მიხედვით საუბარი იყო ბროშურაზე და ჩანაწერში მისი ფასიც კი იყო მითითებული („брошюра. 40 коп.“). რაკი სიტყვა „Самонното“ მძიმითა და ტირით მთავრდებოდა და უბის წიგნაკის შემდეგ ხაზზე ეწერა „левая постройки“, პირველი სიტყვა ავტორის გვარად მივიჩნიეთ, შემდგომი ფრაზა კი - ბროშურის სათაურად. მრავალგვარი ვარიაციული ძიების („Самонното“, „Саманното“, „Сашонното“, „Сашанното“, „Левая постройки“, „Самонното, постройки“ და ა. შ... ) შედეგად, როდესაც საძიებო ველში ამ სიტყვის ერთ-ერთი სავარაუდო დაწერილობის მხოლოდ ნაწილი - „Саманно“ ჩავსვით, ბროშურას მივაკვლიეთ. აღმოჩნდა, რომ ჩანაწერში მძიმე შეცდომით ეწერა, ჰორიზონტალური სწორი ხაზი კი გადატანის ნიშანია და არა ტირე. ბროშურის რეალური სათაურია „Постройка саманно-толевых огнеупорных зданий“. სიტყვები Саманно (ალიზი - მზეზე გამოწვარი აგური) და толевых (კუპრით გაჟღენთილი მუყაოს მასალა, რომელსაც იყენებდნენ შენობების გადასახურავად) ერთი კომპოზიტის ორი სხვადასხვა ნაწილი აღმოჩნდა და საქმე განსაკუთრებით გაგვირთულა იმან, რომ ხელნაწერში მათ შორის დეფისი არ ეწერა და გაურკვეველი იყო, სად იწყებოდა ერთი სიტყვა და სად - მეორე.

შესაძლოა, ამ სათაურს ილია ჭავჭავაძე ვიღაცის კარნახით იწერდა და ამიტომ არის სიტყვები არასწორად დაყოფილი. ბროშურის დასახელების შემოკლებულმა ფორმამ ხელი შეგვიშალა საძიებო სისტემაში სათაურის მიხედვით მოგვეკვლია. თვალსაჩინოებისთვის შევადართ: „левая постройки“ და „Постройка саманно-толевых огнеупорных зданий“. თუ საძიებო სიტყვაში ერთი გრაფემა მაინც არასწორად გვიწერია, ასეთ ციფრულ ბაზებში მას ვერ ვიპოვით. რაკი ბროშურის სათაურს მივაკვლიეთ, დავადგინეთ ავტორიც. ის აღმოჩნდა კონსტანტინე ივანეს ძე მასლიანნიკოვი.

ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკების კერძო ჩანაწერების ამოკითხვისას კიდევ ერთი სახის სირთულეს წავაწყდით, რომელიც უკავშირდებოდა არასწორად ჩაწერილი საკუთარი სახელების ამოკითხვას. მაგალითად, ერთ-ერთ უბის წიგნაკში

[კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56] ვხვდებით ასეთ ფრანგულენოვან კერძო ჩანაწერს: საუბარია შვეიცარიაში, ჟენევის შემოგარენში მდებარე ადგილზე, რომელიც ცნობილია თავისი რეკრეაციული ზონებით და მასთან კავშირში ნახსენებია ე. ოქრომჭედლიშვილი. გვარის ჩაწერისას ილიას დაუშვია შეცდომა და სიტყვის Okromtchedloff ჩაწერისას ასოთშეერთება tch-ის ნაცვლად დაუწერია - tcr (Okromtcredloff).



უბის წიგნაკებში გვხვდება როგორც ასოთა გამორჩენის, ისე ერთის ნაცვლად სხვა გრაფემის ჩაწერის შემთხვევებიც. მაგალითად, ერთ კერძო ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] ვკითხულობთ: „Дешевые нестораемые постройки Грудистона“. ტექსტი უხარვეზოდ, მარტივად იკითხებოდა და, ერთი შეხედვით, კითხვის ნიშანს არ ბადებდა, მაგრამ პირთა საძიებლებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ საქმე ეხებოდა მიხეილ ნიკოლოზის ძე გრუდისტოვს (Михаил Николаевич Грудистов) და 1890 წელს გამოცემულ მის ნაშრომს „Дешевые нестораемые постройки...“. მსგავსი შემთხვევა აღინიშნა სხვა კერძო ჩანაწერშიც: Бинокль призматический Герценъ, რომელშიც გვარი ჰერცი არასწორად ეწერა, მაგრამ ამჯერად ილია ჭავჭავაძეს თავადვე ჩაუსწორებია. სავარაუდოდ, თავდაპირველად აქ ავტორმა კარგად ცნობილი გვარი (Герценъ) მექანიკურად ჩაწერა. სინამდვილეში კი საუბარია კარლ პაულ ჰერცზე, რომლის კომპანიაც ჰოგრიტებს აწარმოებდა 1897-1911 წლებში, მისი კომპანიის წარმომადგენლობა კი პეტერბურგში 1905 წელს გახსნილა.

როგორც ვხედავთ, საკუთარ სახელთა შეცდომით ჩაწერა პირველ შემთხვევაში გამოწვეული იყო კალმის ლაფსუსით (Okromtcredloff/ Okromtchedloff), მეორე შემთხვევაში ფონეტიკური ფაქტორით (როგორც ჩანს, როდესაც ეს გვარი უკარნახეს, ბოლო ბგერა ალბათ სწორად ვერ გაიგო) Грудистон/Грудистов, მესამე შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, ძველი ცოდნის არაცნობიერი აქტუალიზაციით (Герценъ/ Герц). აკადემიურ გამოცემაში ასეთ ადგილებს ჩავასწორებთ, მაგრამ აუცილებლად დავურთავთ შენიშვნას, რომელშიც აღნიშნული იქნება, როგორ ეწერა სიტყვა ავტორის ხელნაწერში.



### §3. კვლევები ჩანაწერების დათარიღებისათვის

ისევე როგორც ჩანაწერის ტექსტის რაობისა და არსის დადგენა, მისი დათარიღებაც ტექსტოლოგიური სამუშაოს აუცილებელი კომპონენტია. აქ მკვლევარი მაქსიმალურად იყენებს ყველა შესაძლო მონაცემს და ამით აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

უბის წიგნაკებში ძალზე ხშირად გვხვდება შესაძენი წიგნების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც არაერთი ჩანაწერის დათარიღება მოვახერხეთ. მაგალითად, N56 უბის წიგნაკის [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56] მეორე ჩანაწერში მოცემულია წიგნების ჩამონათვალი, რომლებიც 1880-1884 წლებშია გამოცემული. შესაბამისად, იგი დავათარიღეთ პერიოდით არა უადრეს 1884 წლისა. მომდევნო ჩანაწერში 1887 წელს გამოცემული წიგნია მითითებული. შესაბამისად, ის არა უგვიანეს 1887 წლის პერიოდით დავათარიღეთ. თარიღები წიგნებთან ხშირად არ არის მითითებული, მაგრამ მათი უმრავლესობა რუსულენოვანია და გამოცემის წლებს იოლად ვადგენდით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მეშვეობით.

უბის წიგნაკების იმ ჩანაწერებს, რომლებშიც არც ერთი ხელჩასაჭიდი ისტორიული ფაქტი არ არის მოხსენიებული, ვათარიღებდით მათ შემდეგ ან მათ წინ მოთავსებული თარიღიანი, ან ჩვენ მიერ დათარიღებული ტექსტების მიხედვით. მაგალითად, N56 უბის წიგნაკის პირველი ჩანაწერი [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56] მოიცავს ამონაწერებს წიგნიდან, რომლის არც სათაურია მითითებული და არც ავტორი. ამიტომ ის დავათარიღეთ მეორე ჩანაწერის თარიღის მსგავსად, პერიოდით არა უგვიანეს 1884 წლისა.

ამავე უბის წიგნაკის მე-12 ჩანაწერის ერთმა ფრაზამ – „но если уменьшение срочных платежей допускается с I -го июля 1891 года, то чистая прибыль за 1891 год будет около 113, 000 руб“, მიგვანიშნა, რომ იგი 1891 წლის 1 ივლისამდე უნდა იყოს ჩაწერილი. ამავე უბის წიგნაკის მე-16 ჩანაწერი კი შესრულებული უნდა იყოს 1896 წლის 16 იანვრის შემდეგ, რადგან მასში ვკითხულობთ: „Дело Касрадзе 16 янв. 1896 г.“ ამავე უბის წიგნაკში არის 1904 წლის ჩანაწერიც, მაგრამ ის ილია ჭავჭავაძეს არ ეკუთვნის, სხვისი ხელით არის ჩაწერილი და უცნობი პირი ადასტურებს ილია ჭავჭავაძისგან 100 მანეთის მიღებას. რამდენადაც უბის წიგნაკში ილია ჭავჭავაძის

ჩანაწერები 1880-1896 წლებით შემოიფარგლება, მას ამ ინტერვალით ვათარილებთ. ამავე პრინციპით - პირველი და ბოლო ჩანაწერის თარიღების გამოყენებით 1882-1905 წლებით დავათარილეთ N57 უბის წიგნაკი.

N60 უბის წიგნაკში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] ჩანიშნულია ამონაწერები იოზეფ ეკშტეინის წიგნიდან „Честь в философии и праве“. რამდენადაც წიგნი 1895 წელს არის გამოსული, ჩანაწერს ამის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ.

ასევე N57 უბის წიგნაკის [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N57] ერთ ჩანაწერს ვათარილებთ ნახსენები წიგნის „От Марксизма к Идеализму“ მიხედვით. ეს კრებული სერგეი ბულგაკოვმა გამოსცა 1903 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ერთ უბის წიგნაკში ვხვდებით ერთსიტყვიან ჩანაწერს: „Мамия“. ასეთ შემთხვევაში დათარიღებამდე ტექსტოლოგს უწევს ჩანაწერის რაობის გარკვევა და მისი მხოლოდ დაგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით დათარიღება. ჩვენმა კვლევამ იმის შესახებ, რომ ამ ერთი სიტყვით, ერთი საკუთარი სახელით რუსეთში მყოფმა ილია ჭავჭავაძემ, მას შემდეგ, რაც შეიტყო მამია გურიელის გარდაცვალების შესახებ, სავარაუდოდ, ჩაინიშნა, რომ მასზე უნდა დაეწერა და გამოექვეყნებინა ნეკროლოგი, ჩანაწერის დათარიღების შესაძლებლობა მოგვცა: მამია გურიელი გარდაიცვალა 1891 წლის 25 ივლისს, ნეკროლოგი კი გამოქვეყნდა 1891 წლის 2 აგვისტოს [„ივერია“, 1891, 1, №164]. შესაბამისად, ჩანაწერის დათარიღება შესაძლებელია პერიოდით მამია გურიელის გარდაცვალებიდან ნეკროლოგის გამოქვეყნებამდე.

მას შემდეგ, რაც დაზუსტდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უბის წიგნაკის ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] მითითებული ბროშურის ავტორი (კონსტანტინე ივანეს ძე მასლიანნიკოვი) და არასწორად მინიშნებული სახელწოდება, მოვიღეთ ინფორმაცია მისი გამოცემის თარიღის (1892 წელი) შესახებაც. ეს, თავისთავად, დაგვეხმარა ტექსტის დათარიღებაშიც. გაირკვა, რომ ის 1892 წლამდე ვერ იქნებოდა ჩაწერილი.

ჩანაწერები სამშენებლო მასალის ფასების, კარ-ფანჯრების ზომების, სახლის შიდა ინტერიერის საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის, სასტუმრო („Гост.“) და სამუშაო („Кан.“) ოთახების მოწყობის შესახებ და სხვ. დავათარილეთ ილია ჭავჭავაძისა და მისი დის - ელისაბედის მიერ თბილისში სახლის შექმნის (1889

წელი) შემდგომი პერიოდით. ამ თარიღის დაზუსტების შესაძლებლობა მოგვცა ხელშეკრულებამ სახლის სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომელიც 1889 წლის 22 ივლისსაა გაფორმებული. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჩანაწერები, რომლებშიც ჯერ კიდევ არჩევანის წინაშე დგას ილია ჭავჭავაძე, თუ როგორი ზომების, რა ხარისხის, რა ფასის მასალა აირჩიოს, სარემონტო ხელშეკრულების დადებამდეა ჩაწერილი. შესაბამისად, ამ ჩანაწერების დათარიღება შესაძლებელია 1889 წლის 22 ივლისამდე.

დათარიღების თვალსაზრისით ერთ მეტად საინტერესო შემთხვევასთან გვქონდა საქმე: ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკში შეგვხვდა ჩანაწერი თავის მარანში შენახული ღვინოების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N58]. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ოთხ ნაწილად დაყოფილი ჩანაწერის დათარიღების შესაძლებლობა მოგვცა არა რომელიმე მომიჯნავე თარიღმა, ან რომელიმე სხვა წყაროდან მოპოვებულმა პირდაპირმა ცნობამ, ვთქვათ, საკუთარ მარანში ღვინოების აღწერის თარიღის შესახებ, არამედ წმინდა ტექნიკურმა მონაცემმა, რომელიც ერთგვარად დაკავშირებულია ავტორის ხელის მოტორიკასთან: როგორც ჩანს, ავტორმა ამ ჩანაწერისთვის გამოიყენა შევსებულ, ძველ უბის წიგნაკში დარჩენილი შეუვსებელი გვერდები. ამას მოწმობს ის, რომ ჩანაწერები წიგნაკში შეტანილია უკანა მხრიდან, რადგან იქ შედარებით უფრო ცარიელი ადგილები ეგულებოდა. რაკი ეს გვერდებიც ნაწილობრივ შევსებული დახვდა, ჩანაწერისთვის გვერდის ქვედა მეორე ნაწილი გამოიყენა, შემდეგ გადავიდა ბოლოსწინა გვერდზე და ა. შ. ჩანაწერის კომპოზიციური ლოგიკის დადგენის ერთადერთ გზად ეს მივიჩნიეთ. შესაბამისად, ასევე ლოგიკურად დავასკვნით, რომ მისი ოთხივე ნაწილი, რომლებიც მზარდი ნუმერაციით გრძელდება, უბის წიგნაკის ძირითადი ჩანაწერების შემდგომ არის გაკეთებული. პირვანდელი მდგომარეობით უბის წიგნაკის ბოლო ჩანაწერში ვხვდებით თარიღს - 1894 წლის მაისს. თუ ვივარაუდებთ, რომ უბის წიგნაკის ყველაზე გვიანდელი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძეს ლევან ჯანდიერისთვის ეს ციფრი და თარიღი მიუწერი - „Левану Джандиери 400 Май 1894“, ჩანაწერი ღვინოების შესახებ ამ თარიღის შემდგომად უნდა მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი ჩანაწერის [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56] დასათარიღებლად კი, რომელშიც ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ თანამშრომლებთან დაკავშირებით ახსენებს იმ დროისათვის ცნობილი ეკონომისტების, ისტორიკოსების, სოციოლოგების, მწერლების ნაშრომებს, რამდენიმე გზას მივმართეთ: ხშირად ჩანაწერის დასათარიღებლად ვიყენებთ იქვე მოხსენიებული ნაშრომების პუბლიკაციის უახლეს თარიღს. აქ მოხსენიებულ ნაშრომთაგან ყველაზე გვიან – 1887 წელს – გამოცემულია არტურ შოპენჰაუერის ნაშრომი: „Сводна воли и основы морали: две основные проблемы этики“. ეს დასათარიღებლად საკმარისი არგუმენტი არ იყო, რადგან ამ დროს ჩანაწერში ნახსენები ყველა თანამშრომელი „ივერიაში“ არ მუშაობდა, მაგალითად, დათა მიქელაძემ გაზეთში ინტენსიური თანამშრომლობა 1893 წლის 15 აპრილს დაიწყო. ამ ჩანაწერის არსიდან გამომდინარე კი ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, იქვე მითითებული ნაშრომების დეტალურად დამუშავებას სთხოვდა თავის მუდმივ და გამოცდილ თანამშრომლებს, რომელთა შორისაც 1887 წელს დათა მიქელაძე ვერ იქნებოდა. შესაბამისად, ჩანაწერის თარიღის ქვედა ზღვრად უნდა ავიღოთ 1893 წელი. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ასეთად ალექსანდრე ნანეიშვილის გარდაცვალების თარიღი უნდა მივიჩნიოთ – ის 1904 წელს გარდაიცვალა.

ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბელტოვის (გიორგი პლესანოვის) ნაშრომის ამონარიდებში ჩაუწერია ორსიტყვიანი ჩანართი: „интеллигенція" Жорданія“. როგორც აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბელტოვის შრომაში ეძებდა ნოე ჟორდანიას მიერ 1898 წელს ინტელიგენციის შესახებ „კვალში“ გამოქვეყნებული მოსაზრების [„კვალი“, 1898, 201-203, N12] წყაროს, რის შესახებაც ის „ივერიის“ 1900 წლის აპრილის ნომერში საჯაროდ წერს. გამოდის, რომ 1900 წლის აპრილისთვის მას ბელტოვის ეს ნაშრომი ნანახი არ ჰქონია („ღონისძიებაა მიღებული, რომ სადმე ბელტოვის ნაწერი ამ საგანზე როგორმე ვიშოვო, მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება“ – წერს ილია ჭავჭავაძე) [ჭავჭავაძე 2007ზ, 408]. შესაბამისად, ამონაწერები ბელტოვის ნაშრომიდან, რომლებშიც ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიას მოსაზრებების კვალს ეძებდა, 1900 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს.

ბუნებრივია, როდესაც ჩანაწერში რამდენიმე თარიღია ნახსენები, რომლებიც მომხდარ ფაქტებს უკავშირდება, მას ვათარიღებთ ყველაზე გვიანდელით. როდესაც

გვაქვს ინფორმაცია, რომ ესა თუ ის მოვლენა მოხდა „იმენინიკობას“, ვხვდებით, რომ აქ საუბარია ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეზე – თანამედროვე სტილით 2 აგვისტოზე. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩანაწერი დაგვითარიღებია ილიას მიერ სამკალი მანქანის შექმნის თარიღით და ა. შ.

ტექსტების დასათარიღებლად ჩატარებული კვლევები კომპლექსური ხასიათისაა და ემყარება ყველა შესაძლო მონაცემს, რომელთაც დასათარიღებელი ან მომიჯნავე ჩანაწერები გვთავაზობს. ჩატარებული მუშაობის შედეგად დათარიღდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მე-19 ტომისთვის განკუთვნილი ათეულობით ჩანაწერებისა და ამონაწერი.

#### **§4. კვლევები ჩანაწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციისათვის**

ჩანაწერებს ადამიანი კერძო საჭიროებისთვის იყენებს, ის ამ დროს სრულიად თავისუფალია. შესაბამისად, თავისუფალია ჩანაწერების სისტემაც, როგორც ფორმის, ისე სტრუქტურის თვალსაზრისით. პირადი ჩანაწერებისადმი სწორედ ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულების გამო, ხშირია მოხსენიებულ პირთა სახელების გამოტოვების, წიგნების ავტორებთან ერთად რედაქტორების, გამომცემლების, შემდგენლების დასახელების და მათი ფუნქციების აღრევის შემთხვევები. ამიტომ, უბის წიგნაკების ჩანაწერებში არაერთი პირის ვინაობა იყო დასადგენი ან დასაზუსტებელი. მათგან უმრავლესობა ილია ჭავჭავაძის კერძო ჩანაწერებში მოხსენიებულ ნაშრომთა ავტორები არიან.

მწერალს, რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებდა ახალ გამოცემულ ლიტერატურას, ამ სიახლეების გაცნობისა და მათი მოპოვების სხვადასხვა გზაც ეცოდინებოდა. ემილი დე ლაველეს წიგნში, რომელიც მას საკუთარ ბიბლიოთეკაში ჰქონდა, როგორც ამ ბიბლიოთეკის აღმწერები გადმოგვცემენ, აღმოჩნდა პეტერბურგის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის დაბეჭდილი კატალოგი. ტომამ მასარიკის წიგნში კი მწერალს ჩარჩენია თბილისის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის ანგარიში, რომლის თანახმადაც, 1871 წელს შეუქმნია კოლბის სტატისტიკის სამივე ტომი 6 მანეთად და ადრინდელ ვალთან ერთად სულ გადაუხდია 13 მანეთი და 95 კაპიკი გადაუხდია [იმნაძე, 1987, 17-18]. გარდა მაღაზიათა კატალოგებისა, ილია ჭავჭავაძეს ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სხვა გზებიც

ექნებოდა. ის ფაქტი, რომ უბის წიგნაკებში გვხვდება მასალის არაზუსტად ჩაწერის შემთხვევები, ადასტურებს, რომ მწერალი ამა თუ იმ წიგნის ავტორსა და სათაურს სხვათა კარნახითაც იწერდა. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ხშირად არ ჰქონდა ახალი გამოცემების ამსახველი ბეჭდური წერილობითი წყაროები, რასაც მათი სახელწოდებებისა და ავტორების გვარ-სახელთა ხარვეზით ჩაწერის ფაქტები ადასტურებს. ყოველმა ასეთმა ფაქტმა საგანგებო კვლევა მოითხოვა პირთა იდენტიფიცირებისა და ილია ჭავჭავაძის მე-19 ტომის სამეცნიერო აპარატის მოსამზადებლად.

ილია ჭავჭავაძის ერთ ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56]. მოხსენიებულ პირთაგან შედარებით მარტივად დავადგინეთ „ივერიის“ თანამშრომლები: „Пурцел“ – ანტონ ფურცელაძე, „Хизанов“ – ნიკოლოზ ხიზანიშვილი (ურბნელი), „Цагарели“ – ალექსანდრე ცაგარელი, „Моце“ – მოსე ჯანაშვილი, „Мансветов“ – იაკობ მანსვეტაშვილი, „ჭრელაშვილი“ – სტეფანე ჭრელაშვილი, „Микелазе Дата“ – დათა მიქელაძე, რომელიც სხვა ადგილას მოხსენიებულია „Мевеле“-ს ფსევდონიმით.

უბის წიგნაკის ჩანაწერის კერძობა, ის, რომ იგი მხოლოდ საკუთარ თავთან კომუნიკაციის ანარეკლია, პირთა სახელებისადმი მეტად თავისუფალი მიდგომითაც დასტურდება. ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ გვარს წერს, ზოგჯერ – სახელს ისე, როგორც ეს პირადად მისთვისაა მოსახერხებელი; მიმართავს გვარის შემოკლებულ ფორმებს („Пурцел“, „Нанейшв.“), ზოგჯერ ისეც, რომ სახელს წყვეტს ხმოვანზე (Хизано); სხვადასხვანაირად აღნიშნავს ერთი და იმავე გვარის ფორმებს: Хизано/Хизановъ/Хизанов; მართლწერის წესის დარღვევით ინიშნავს გვარს – Микелазе და ა შ.


ერთ-ერთ უბის წიგნაკში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: „О сентѣфѣ, Тѣнѣ и Бранесѣ“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N61]. ჩანაწერში მოხსენიებულია სამი მეცნიერის გვარი სახელის ინიციალებისა და ნაშრომების მითითების გარეშე. როგორც დავადგინეთ, საუბარია შარლ ოგიუსტენ დე სენტ-ბიოვზე (1804-1869) – ფრანგ ლიტერატურათმცოდნესა და ლიტერატურის კრიტიკოსზე, რომანტიკული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელზე; იპოლიტ ადოლფ ტენზე (1828-1893) – ფრანგ ფილოსოფოსზე, ესთეტიკოსზე, მწერალსა და ფსიქოლოგზე,

ფრანგული აკადემიის წევრზე, არაერთი ისტორიული, ლიტერატურული და ფილოსოფიური კვლევის ავტორზე და გეორგ მორის კოხენ ბრანდესზე (1842-1927) – დანიელ ლიტერატურათმცოდნეზე, კრიტიკოსზე, ნატურალიზმის თეორეტიკოსზე, რომელმაც დიდი გავლენა იქონია სკანდინავიური ლიტერატურის განვითარებაზე. ამ სამი მეცნიერიდან ილია ჭავჭავაძეს იპოლიტ ტენი სამჯერ ჰყავს მოხსენიებული უბის წიგნაკებში, მის პირად ბიბლიოთეკაში კი ინახება ტენის ავტორობით გამოცემული ხუთი წიგნი, რომელთაგან ოთხი ლიტერატურასა და ლიტერატურის ისტორიას ეხება. რაც შეეხება გეორგ ბრანდესს, ის ორჯერ არის მოხსენიებული ამ ჩანაწერებში. ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში კი ინახება მისი 1881 წელს გამოცემული ნაშრომი „Главные течения литературы девятнадцатого столетия“, რომელიც საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ წიგნის აშეგებზე გვხვდება ილია ჭავჭავაძის მინაწერები, რომლებშიც ის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს ადარებს ფრანგული ლიტერატურის გმირებს.

სკანდინავიურ და დანიურ ლიტერატურაზე ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. მაგალითად, სკანდინავიური ლიტერატურის მოამაგესთან – მორის ბრანდესთან ერთად უბის წიგნაკში ინიშნავს აგრეთვე დანიური და ნორვეგიული ლიტერატურის კლასიკოსის, ლუდვიგ გოლბერგის (Ludvig Holberg), სახელს [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N61].

უბის წიგნაკის ტექსტებისთვის უცხო როდია ცდომილება ერთ ან რამდენიმე ასოში, ანდა ასოთა გადანაცვლებები. ზემოთ განხილულ ჩანაწერში, სადაც ერთდროულად სამი მეცნიერის გვარია მითითებული, სწორედ ამგვარი ხარვეზები აღინიშნება – აქ შეცდომითაა ჩაწერილი ორი გვარი: сентнеѣх / Сент-Еѣв; Бранесѣ / Брандесѣ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფონეტიკური მსგავსების გამო დაშვებულ შეცდომასთან, მეორე შემთხვევაში კი – კალმის ლაფსუსთან. თუმცა გვხვდება არასწორად მიწოდებული ინფორმაციის გამო გვარების შეცდომით ჩაწერის შემთხვევებიც (კნოლერი/კოლე, გრუდისტონი / გრუდისტოვი).

ისეც ხდება, რომ გვარის იდენტიფიკაციას ართულებს მისი ძველსლავური დაწერილობა:



მაგალითად, უბის წიგნაკში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის არქივი, N60] გვხვდება გვარი

Я. Нѣмецъ. გვარების ამოკითხვისას მეტად მნიშვნელოვანია ძველი რუსული ასოების გათვალისწინება. თუმცა საძიებო სისტემაში თანამედროვე რუსული დაწერილობით ძიება უფრო ეფექტიანია.

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე 1898 წელს გამოცემულ წიგნებს შორის ვიპოვეთ იაროსლავ ოსიპის ძე ნემეცის (1842-1898), ჩეხი პომოლოგის (პომოლოგია – სამეცნიერო დისციპლინა აგრონომიაში, რომელიც შეისწავლის ნაყოფის სახეობებს) წიგნი – „Промышленное плодоводство в Сѣверной Америкѣ“, რომელიც უბის წიგნაკში ნახსენები აქვს ილია ჭავჭავაძეს. სწორედ ძველი რუსული გრაფემების დახმარებით ამოკითხული გვარის თანამედროვე რუსული გრაფემებით ძიებამ მიგვიყვანა დასახელებულ იაროსლავ ნემეცამდე, რომლისთვისაც 1895 წელს რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს დაუვალება ამერიკის კონტინენტზე ექსპედიციის ორგანიზება იქაური პომოლოგოური საქმიანობის დეტალურად შესასწავლად. სამთვიანი მუშაობის შემდეგ იაროსლავ ნემეცმა გამოაქვეყნა მასშტაბური ანგარიში, რომლითაც დაინტერესებულა ილია ჭავჭავაძე.


მწერლის უბის წიგნაკის [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] ერთ-ერთ ჩანაწერში, სადაც ის შესაძენი წიგნების ჩამონათვალს იწერს, ნახსენები აქვს: „Дѣтство и юность великихъ людей. Спб. 1894 г. Кнолера. 125 коп“. წიგნის ავტორის იდენტიფიკაციისთვის საჭირო არგუმენტების მოსაპოვებლად დავიწყეთ ძებნა ინტერნეტის საძიებო სისტემების გამოყენებით. სათაურის მიხედვით მარტივად მივაკვლიეთ აღნიშნულ გამოცემას, თუმცა წიგნზე ავტორად, კნოლერის ნაცვლად, მითითებული იყო – ლუიზა კოლე. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ამ ჩანაწერის გაკეთებისას ან არასწორად მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნო, ან თავად დაუშვა მექანიკური შეცდომა. ასეთი ლაფსუსები ტექსტოლოგს ყველგან შეიძლება შეხვდეს. კარგია, როცა, ამ კონკრეტული შემთხვევის მსგავსად, საშუალება გვაქვს გადავამოწმოთ და დავაზუსტოთ, მაგრამ როცა ეს შეუძლებელია, აკადემიურ გამოცემაშიც ჩნდება უპასუხო კითხვები და არაიდენტიფიცირებული პირები. ხელნაწერში შეცდომით ჩაწერილი ავტორის გვარის გვერდით წიგნის სათაური რომ არ ყოფილიყო მითითებული და არ გაგვერკვია, რომ გვარი არასწორად წერია,



გვეგონებოდა, რომ საუბარია ვინმე კნოლერზე, რომლის შესახებაც ვერავითარ ინფორმაციას ვერ მოვიძიებდით და მის ვინაობას ღიად დავტოვებდით.

რაკი დავრწმუნდით, რომ წიგნის ავტორი „კოლეა“ და არა „კნოლერი“ და სახელიც გავიგეთ, მივყევით „ლუიზა კოლეს“ შესახებ ინფორმაციის მოძიებას. ვიცოდით გვარ-სახელის მხოლოდ რუსული დაწერილობა, რუსულენოვან ციფრულ ბაზებში კი ამ პიროვნების ბიოგრაფია არ აღმოჩნდა, მის შესახებ ბევრი ვერაფერი გავიგეთ. დიმიტრი მერეჟკოვსკის სტატიიდან „მუდმივი თანამგზავრები, ფლობერი“, მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხეთ, რომ მწერალ ქალს – ლუიზა კოლეს ხშირი მიმოწერა ჰქონია გუსტავ ფლობერთან. შემდეგ ამ მწერლის ბიოგრაფიის ფრანგულ ვერსიაში მოვიძიეთ სახელი „ლუიზა“ („Louise“). ფლობერის ფრანგულენოვანმა ბიოგრაფიამ „დაგვიდასტურა“ კიდევ ლუიზა კოლეს გვარის ფრანგული დაწერილობა – „Louise Colet“, შემდეგ კი უკვე ინგლისური ვიკიპედიის დახმარებით გავარკვეეთ მისი ბიოგრაფიული დეტალები: ფრანგი პოეტი ქალის - ლუიზა კოლეს ნამდვილი გვარია რევოილი. იგი დაიბადა 1810 წელს მარსელთან მდებარე პატარა დაბაში. 20 წლის ასაკში ცოლად გაჰყვა კომპოზიტორ იპოლიტ კოლეს და საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. აქ მან მალევე დაიწყო თავისი ლექსების პუბლიკაცია და გახსნა ლიტერატურული სალონი, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი მწერლები, მათ შორის – ვიქტორ ჰიუგო. კოლეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გუსტავ ფლობერთან, ალფრედ მუსესთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან. იგი გარდაიცვალა 1876 წელს. ილია ჭავჭავაძეს ამ ავტორის წიგნი მართლაც შეუძენია. მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება: Колэ Л. „Дѣтство и юность великих людей, важнейшие эпозоды и выдающиеся приключения в их жизни“ / пер. С 12 изд С. Майковой, Спб. 1894, 408 с. პირის იდენტიფიკაციისთვის წარმოებულმა კვლევამ ჩანაწერში ნახსენები ფორმიდან – „Кнолер“ მოგვიყვანა ლუიზა რევოილამდე.

პირის სწორად იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა მასთან დაკავშირებული მონაცემის მაქსიმალურად ზუსტად ამოკითხვა. ქვემოთ მოყვანილ რუსულენოვან ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N59] საკმაოდ რთული იყო როგორც



ტოპონიმის, ისე პირების ამოკითხვა. საბოლოოდ მივიღეთ ასეთი შედეგი: „Молокане из Азамбурь Игнати Антонович Самодуровъ и сыновья его Панфиль и Степанъ“. ჩანაწერში საუბარია სოფელ კრასნოგორსკზე, რომელსაც წარსულში მალხაზიანი, მახაზოვკა, აზამბური ეწოდებოდა. ეს სოფლები კი დასახლებული იყო მალაკნებით. მათი ყოფის სპეციფიკის კვალი ამ ადგილებს დღესაც ეტყობა. ჩანაწერში საუბარია ამ სოფლის მკვიდრ მალაკნებზე: ეგნატე, პანფილე და სტეფანე სამოდუროვებზე. ეს ტოპონიმი ეკუთვნოდა გარეკახეთს. საგულისხმოა, რომ უბის წიგნაკში წინა ჩანაწერი ეხება კახეთში რკინიგზის გაყვანის დეტალებს, თუ სად უნდა იყოს სადგურები, რომელ მდინარეებზე აიგოს ხიდები და სხვ. შესაბამისად, აქ ნახსენებია სოფლები: ყანდაური, კაკაბეთი, შიბლიანი, კაჭრეთი. დასაშვებია, რომ აზამბურიც ერთგვარ კავშირშია ილია ჭავჭავაძის ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევა-ძიებასთან. ცხადია, ჩანაწერს კონკრეტული მიზნები ან გამოძევები ფაქტორები ექნებოდა, მაგრამ მათი ზუსტი ამოცნობა მხოლოდ ამ ინფორმაციით შეუძლებელია.

ილია ჭავჭავაძის ერთ კერძო ჩანაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56] მეტად საინტერესო შემთხვევას გადავწყვედით: შესასყიდი წიგნების ჩამონათვალს შორის (საუბარია ოთხ წიგნზე) ორგან დაწერილი ავტორის გვარი ქართულად ასე გამოითქმის: ვანდენბერგი. თუმცა ჩანაწერი რუსულენოვანია და ილია ჭავჭავაძეს ეს გვარი ჯერ რუსულად (Ванденберг) და შემდეგ ლათინურად (Van den berg) დაუწერია. სამეცნიერო კვლევის სფეროდ ჩანს აღმოსავლეთმცოდნეობა, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, უფრო კონკრეტულად კი – Основы мусульманского права და Краткая история (აღმოსავლეთის ხალხთა). ამ გამოცემათა და მათ ავტორთა ზუსტი იდენტიფიკაციისთვის წარმოებულმა ძიებამ გამოავლინა, რომ ეს არის დამთხვევა, სინამდვილეში „ვანდენბერგად“ მოხსენებული პირი ორი სხვადასხვა ავტორია. პირველ ჩანაწერში (Ванденберг Основы мусульманского права перев. проф. Гиргаса) მოხსენიებულია ლუდვიგ ვილჰელმ კრისტიან ვან დენ ბერგი (1845-1927), მისი ნაშრომის სრული დასახელება კი არის: „Основные начала мусульманского права, согласно учению имамов Абу Ханифы и Шафии“, Пер. со 2-го просм. изд. проф. В. Гиргас. - СПб, 1882. მეორე ჩანაწერში მოხსენიებულია ემანუელ ვან დენ ბერგი (1841-1884), მისი ნაშრომის სრული დასახელებაა „Краткая история

Востока (египтян, ассириян, вавилонян, мидян и персов и финикийн)“: Пер. с фр. СПб., 1880. აღმოჩნდა, რომ საუბარია ერთი და იმავე გვარის (ბერგი) მქონე ორ ავტორზე: ლუდვიგ ვილჰელმ კრისტიანსა და ემანუელზე. რამდენადაც პირველ შემთხვევაში ვანდენბერგი ილია ჭავჭავაძეს ერთ სიტყვად ეწერა, როგორც ჩანს, მას თავადაზნაურული წოდების აღმნიშვნელი წინდებული (ვან დენ) გვარის შემადგენელ ნაწილად მიუჩნევია. ასეთი რამ, ძირითადად, ხდება ხოლმე ზეპირი კარნახის დროს, როდესაც ადამიანი ვერ მიჯნავს ერთმანეთისგან მისთვის უცნობ უცხოენოვან სიტყვებს.

პირთა იდენტიფიცირებისთვის პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ წიგნების სათაურები მცირეოდენი უზუსტობით ან არასრულად იყო მოყვანილი. მიუხედავად ამისა, რუსეთის ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგების დახმარებით შევძელით ორივე ავტორის იდენტიფიცირებაც და მათი წიგნების სათაურების დაზუსტებაც.

უბის წიგნაკების სამეცნიერო აპარატის მოსამზადებლად საჭირო გახდა ყველა იმ პირის ვინაობის დადგენა, ვისაც ილია ჭავჭავაძემ, სავარაუდოდ, წასაკითხად ათხოვა წიგნები, დაუნაწილა სამუშაო, დაუბრუნა ან გასცა ვალები და სხვა. ამგვარი კვლევები უზრუნველყოფს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მე-19 ტომში შესული მასალების ისეთი ფორმით მიწოდებას მკითხველისათვის, რომელიც დაეხმარება მათ სრულყოფილად აღქმაში.

## **§5. კვლევები ჩანაწერების კომენტირებისათვის**

კერძო ჩანაწერებს, რომლებიც, ძირითადად, პირადი საჭიროებისთვის არის განკუთვნილი, ხშირად მეტად მრავალფეროვანი თემატიკა და არასისტემური სტრუქტურა აქვს. ასეთი ჩანაწერები ზოგჯერ შემოკლებულ ჩანიშვნებს ან ფრაგმენტებს წარმოადგენს, რადგან ავტორის მეხსიერების აქტუალიზაციისთვის ხშირად თუნდაც ერთი სიტყვაც კი საკმარისია. ამის გაგება მკითხველისთვის, უცხო თვალისთვის, საკმაოდ რთულია. მკვლევარმა-ტექსტოლოგმა უნდა გადაალახვინოს მკითხველს ტექსტების აღქმისთვის ხელის შემშლელი ბარიერები და წასაკითხი გახადოს ყველასათვის, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც ჩამნიშვნელს, ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს, არ გაუთვალისწინებია, რომ ისინი უცხო პირისთვის (მკითხველისთვის) იქნებოდა ხელმისაწვდომი. საამისოდ ყველაზე ეფექტური

საშუალებაა კომენტარი. ის უნდა ხსნიდეს არა მხოლოდ ჩანაწერის შინაარსობრივ მხარეს, არამედ იმ ფაქტორებსაც, რომლებმაც ის განაპირობა. კომენტარს ვურთავთ როგორც მთელ ჩანაწერს მისი რაობის ასახსნელად, ისე ყოველ ცალკე აღებულ გაუგებარ პასაჟს, წინადადება იქნება ის, ფრაზა თუ ცალკეული სიტყვა.

ერთ-ერთ უბის წიგნაკში ვხვდებით ჩანაწერს ოთახებისა და კარ-ფანჯრების ზომების შესახებ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N57]: „10 სიგრძე – 7 3/4 სიგანე. 1-7 სიგანე ფანჯარისა, კარი 3-5 სიგრძე. სიგანე 3 1/2“. ილია ჭავჭავაძისთვის წმინდა პრაქტიკული დანიშნულების მქონე ეს ჩანაწერი მკითხველისთვის უსათუოდ საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას. ჩანაწერის კომენტარში ვკითხულობთ: „ცნობილია, რომ 1889 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძემ და მისმა დამ, ელისაბედმა შეიძინეს შენობა, რომელიც მიხეილ გრუზინსკის ეკუთვნოდა და ვალში გაიყიდა. ეს ორსართულიანი სახლი მდებარეობდა ნიკოლოზის ქუჩის № 21-ში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქ. № 7). სავარაუდოდ, ჩანაწერი ეხება ამ შენობას“ [ნინიძე 2017, 321]. ამ კომენტარამდე მივყავართ ჩანაწერისა და სახლის შეძენის თარიღების შეჯერებას.

უბის წიგნაკებში არაერთ ადგილზე ვხვდებით პირთა ჩამონათვალს დართული ციფრებით. ზოგან პირდაპირი სახით არის მითითებული „მომაგო“, „მომცა“, ზოგან კი ეს მიმართება არ ჩანს, რადგან პირის სახელის გასწვრივ მითითებულია გარკვეული ოდენობის თანხა. გვხვდება ასეთი შემთხვევებიც: „ანტონს – 260+10=270, ბეჟანას – 30, კორინთელს – 30 15, მინასოვს – 1, გრუზინსკის – 200. ნასიძე – 30“ და სხვა. რაკი ჩამოთვლილ პირთა სახელები მიცემით ბრუნვაშია, ილია ჭავჭავაძემ, სავარაუდოდ, მათ მისცა (ან მისაცემი აქვს) მითითებული თანხები. ჩანაწერის ყველა პუნქტის ჯერ სათითაოდ, შემდეგ კი ერთიანად გადახაზვა კი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, საუბარი იყოს დაბრუნებულ ვალებზე.

ერთ-ერთ უბის წიგნაკში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს:

„დღის სინათლე ბოროტებას გაჯავრებით და არა დიდებით.

პირველი სცენა - უგემური მარცელო ცუდად ჩაცმულია წაღებში. გორაციო სად მიდიხარ, პრინცო და არსად კი არ მიდიოდა.

ფრაზა: ბოროტი კაცი დანიაშიაც ბოროტია.

ბევრი რამ არის გორაციო

„ნუ იქ მაგასა ვერ მოუვიდა“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N61].

ეს თეზისურად ჩანიშნული ნაწყვეტი ფრაზები იმას მიგვანიშნებს, რომ საუბარია სცენაზე მიმდინარე პროცესზე, სპექტაკლზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავად ესწრებოდა. ნახსენები ორი პერსონაჟი – „მარცელო“ და „გორაციო“ და მოქმედების ადგილი – „დანია“ გვაფიქრებინებს, რომ ეს სპექტაკლია „ჰამლეტი“. მართლაც, 1887 წლის 15 თებერვალს ილია ჭავჭავაძე ესწრებოდა შექსპირის „ჰამლეტის“ ქართულ წარმოდგენას, რომელსაც კარგი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია მასზე. ამას ეს ჩანაწერიც ადასტურებს. უბის წიგნაკში მწერალს ჩაუნიშნავს სპექტაკლზე არაადეკვატური ჩაცმულობის („უგემური მარცელო ცუდად ჩაცმულია წაღებში“), პერსონაჟის ტექსტისა და ქმედების ერთმანეთისგან აცდენის („გორაციო სად მიდიხარ, პრინცო და არსად კი არ მიდიოდა“), არაფრისმთქმელი ფრაზის („ფრაზა: ბოროტი კაცი დანიაშიაც ბოროტია“) და სხვ. მაგალითები. ირონიით საუბრობს ჰორაციოს მიერ ჰამლეტისთვის ნათქვამ სიტყვებზეც „ნუ იქ მაგასა“ და ასე აფასებს: „ვერ მოუვიდა“.

ჩანაწერს ცოცხალ პროცესზე რეფლექსირების კვალი ეტყობა. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე სპექტაკლზევე იწერდა ამ ფრაზებს. ეს რომ შემდგომ, სხვა ადგილას მომხდარიყო, როგორც მწერალს სჩვეოდა, ბევრად უფრო მეტს და ბევრად უფრო ანალიტიკურად იტყოდა. ილია ჭავჭავაძის სტატიაში – „ქართული თეატრი“, რომელიც 1887 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა [ჭავჭავაძე, 2007ა, 348], უბის წიგნაკში ჩანიშნულის მსგავსი კრიტიკული შენიშვნებია გამოთქმული „ჰამლეტის“ დადგმასთან დაკავშირებით. სავსებით შესაძლებელია, ჩვენ მიერ მოხმობილი ჩანაწერი ამ სტატიის სახელდახელო წყაროც ყოფილიყო.

ისევე როგორც პირთა იდენტიფიკაციისას, საკომენტარო მასალის მომზადებისასაც ბევრად რთულია კონტექსტის გარეშე ჩაწერილი ფრაზების განმარტება. მაგალითად, უბის წიგნაკში გვხვდება ჩანაწერი: „Вознесенский (шунь)“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60]. ამ უბის წიგნაკის პირველი რამდენიმე გვერდის ჩანაწერები უკავშირდება ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნას. ამ პერიოდის ტექსტებში გვხვდება კონტექსტის გარეშე ჩანიშნული სხვა ჩანაწერებიც, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე მათი ინტერპრეტაციისთვის უცხო ქალაქში ყოფნისას ვერ იცლიდა. რაც შეეხება ქურქებთან დაკავშირებულ ჩანაწერს, დავადგინეთ, რომ

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმჟამინდელი ვოზნესენსკის ქუჩის (1929 წლიდან რადიოს ქუჩა) N17-ში იდგა ქურქებით მოვაჭრე ცნობილი რუსის – ალექსი მიხეილის ძე მიხაილოვის სახლი. როგორც ჩანს, ის არა მხოლოდ წარმატებული ვაჭარი, არამედ გამომგონებელიც იყო, რადგან მის მიერ აშენებული ქურქების მაცივრით დღესაც სარგებლობენ მოსკოვის ელიტური წრის ქალბატონები. ქურქებს სათანადო პირობებში შენახვა სჭირდება და მისი გამოგონება ამას ითვალისწინებს. რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს ამ მოგზაურობაში მეუღლე ახლდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი დაინტერესებულყვნენ ქურქის შექმნით ან შეკეთებით.

ვრცელ ამონაწერებს სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან ილია ჭავჭავაძისთვის ხშირად კონკრეტული დანიშნულება აქვს – ის მათ საგანგებო საჭიროებისთვის, რაღაცის დასასაბუთებლად იყენებს. მისი ნაფიქრალი არგუმენტაციის სისტემის სრულ ფორმირებამდე რთულ გზას გადის. ის ეძებს დამატებით მასალას, ლიტერატურას იმისათვის, რომ საფუძვლიანად გაეცნოს განსახილველ საკითხს, შემდეგ ამუშავებს, აანალიზებს და წერილობით აყალიბებს. ტექსტოლოგმა ამ გზებისა და საშუალებების შეძლებისდაგვარად რეკონსტრუქცია უნდა მოახერხოს და ისინი კომენტარებში ასახოს. თუ რამდენად მნიშვნელოვანია აკადემიური გამოცემისთვის ეს ეტაპი, შემდეგი მაგალითიდან ვრწმუნდებით:

ერთ ვრცელ ამონაწერში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N208] ჩვენი ყურადღება მიიქცია სხვის ტექსტში ჩართულმა ილიასეულმა შენიშვნამ – „интелигенція" Жорданія“. შენიშვნა მიწერილია ნიკოლოზ ბელტოვის ნაშრომის ამონარიდზე. ამონარიდების, ჩანაწერების, ფრაგმენტების, ზოგადად, რთული სპეციფიკური წყაროების კონტექსტების დასადგენად ასეთ შენიშვნას შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს. ასე აღმოჩნდა ამ შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, 1898 წელს ილია ჭავჭავაძე გაეცნო ნოე ჟორდანიის „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ის წერდა „გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურება ყველგან და ყოველთვის ადვილად მისაგნებია. ცხადია, პირველის ჭურჭელი – ინტელიგენცია – ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის კი (ესე იგი, უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია“ [კვალი 1898, N12]. ბუნებრივია, ნოე ჟორდანიას მიერ ხალხის, ერის უგუნურების ჭურჭლად მოხსენიება ილიას მხედველობიდან არ გამორჩენია, მაგრამ პასუხი მაშინვე არ გაუცია.

რამდენადაც ნოე ჟორდანიას მუდმივად აპელირებდა სოციალ-დემოკრატებსა და მარქსზე, ილია ჭავჭავაძემ მისი ამ მოსაზრების წყაროდაც მარქსიზმი მიიჩნია და დაიწყო მარქსისტულ ლიტერატურაში მსგავსი აზრების კვალის ძიება. 1900 წლის 16 აპრილს სტატიაში „პატარა საუბარი“ ნოე ჟორდანიას ზემოხსენებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერს: „მახსოვს, სადღაც მომიკრავს ყური რუსულ ლიტერატურაში ინტელიგენციის ასე გაბიაბრუებისათვის, მგონია, რუსის ახირებული მარქსისტი ბელტოვია ესე ავად მხსენებელი ინტელიგენციისა... ღონისძიებაა მიღებული, რომ სადმე ბელტოვის ნაწერი ამ საგანზე როგორმე ვიშოვო, მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება“ [ჭავჭავაძე 2007ზ, 403-408]. აშკარაა, რომ ამ სტატიის წერისას, 1900 წლის აპრილში, ილია ჭავჭავაძეს ბელტოვის ის ნაშრომი, რომლიდან ამონაწერზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაშოვნია, მაგრამ როდესაც იშოვა და წაიკითხა, იქვე მიანიშნა, რომ ჟორდანიას აზრი თურმე მარქსისტებისასაც ეწინააღმდეგებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბელტოვი მარქსიზმის თეორეტიკოსისა და პროპაგანდისტის, საერთაშორისო და რუსული სოციალისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომომადგენლის – გიორგი პლახანოვის ფსევდონიმია. ილია ჭავჭავაძეს სწორედ მისი ნაშრომიდან აქვს ამოწერილი პასაჟები ჩვენს საკვლევ საარქივო ერთეულში, სადაც ყურადღებას აქცევს ისეთი ცნებების შეპირისპირებას, როგორებიც არის „критически мыслящий человек“/ „критически мыслящие личности“, ასევე „масса“ და „толпа“; თუმცა არგუმენტს იმის დასამტკიცებლად, რომ ჟორდანიასეული მოსაზრება ბელტოვის იდეებს ეფუძნება, ნაშრომი არ იძლევა. ამაზე მითითებით ილია ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ნოე ჟორდანიას შორს არის მარქსისტული აზროვნებისაგან.

ილია ჭავჭავაძის ორსიტყვიანმა მოკლე ჩანართმა სხვისი ნაშრომიდან ამოღებულ ამონარიდში ამ კავშირის მოძიების შესაძლებლობა მოგვცა და გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდა იმის შესახებაც, თუ როგორ მუშაობდა ის საკვლევ მასალაზე. მე-20 საუკუნის დასაწყისში ნოე ჟორდანიასთან გამართულ პოლემიკაში იგი ხშირად აპირისპირებს ამ სოციალ-დემოკრატის აზრებს ცნობილი მარქსისტების აზრებთან და იმის გამო, რომ მათში დიდ განსხვავებას პოულობს, ჟორდანიას უწოდებს: „უმეცარ მარქსისტს“, „ტყუილ მარქსისტს“, „სუტმეცნიერ

(„გრუმეცნიერ) მარქსისტ“, „მარქსის პამპულას“, „ძალად მარქსისტ“, „მარქსისტ და ველარ მარქსისტ“ და „მარქსისტების თუთიყოს“ [ჭავჭავაძე 2007ზ, 370, 389, 393, 394]. იმისთვის, რომ ცხადი გახდეს სხვის ტექსტში ჩართული ილიასეული ორსიტყვიანი შენიშვნა, აუცილებელია ამ შენიშვნის განმაპირობებელი ფაქტორების აღწერა კომენტარში.

შესაბამის კომენტარს საჭიროებს ილია ჭავჭავაძის მინაწერები მისივე მოთხრობის - „ოთარაანთ-ქვრივის“ თეთრი ხელნაწერი რვეულის უკანა მხარეს [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N153] (იხ.: დანართი N14). პირველსავე ხაზზე წერია „კვალი“, რაც მიგვანიშნებს, რომ ამონაწერები გაკეთებულია გაზეთ „კვალიდან“, წლების მითითებებიდან კი ჩანს, რომ საქმე უნდა ეხებოდეს 1893-1895 წლების ნომრებს. მასალა იწყება სამეურნეო სკოლის შესახებ გიორგი წერეთლის ტექსტის ციტირებით. შემდეგ ვიღაცის შესახებ წერია, რომ კომისიაში სხვა რამ თქვა და ახლა სხვას ამბობს.

1896 წლის 27 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (ლექცია მესამე) [„ივერია“, 1896, 3, N189] ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს ივანე მაჩაბელს, რომელიც 1892-1893 წლებში შედიოდა სამეურნეო სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიაში და ხელი ჰქონდა მოწერილი ამ სკოლის დაარსების მიზანშეწონილობაზე, 1895 წლის დეკემბერში კი ამბობდა, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი ჯერ არ ჩამომიყალიბებიაო. ილია ჭავჭავაძე სტატიის ბოლოს წერს, რომ როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთხელ „ხოს“ ამბობს და მეორეჯერ - „არას“, ან პირველ შემთხვევაში ტყუის, ან - მეორეში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კვალის“ ნომრებიდან, რომლებიც აქ არის მითითებული, ყველაზე გვიანდელი 1895 წლით თარიღდება, კერძო ჩანაწერი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

ამ ხელნაწერ რვეულთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტიც: მისი ძირითადი კორპუსი ყდიდან არის ამოვარდნილი და მოგვიანებით უკუდმაა ჩასმული. ამაზე მიგვანიშნებს ყდის ორივე მხარეს მიწერილი საარქივო ნომრები. რამდენადაც ზემოხსენებული კერძო ჩანაწერები ყდაზე მიწებებულ ბოლო გვერდზე გვხვდება, დღევანდელი მდგომარეობით ისე ჩანს, თითქოს ეს არის რვეულის პირველი გვერდი და „ოთარაანთ-ქვრივის“ ვრცელი ტექსტი რვეულში უკანა



მხრიდან არის ჩაწერილი, რასაც გამორიცხავს ამ ტექსტების შექმნის დროც („ოთარაანთ-ქვრივი“ დაიწერა 1887 წელს, ზემოხსენებული ამონაწერები კი გაკეთებულია 1895 წლის შემდეგ) და ელემენტარული ლოგიკაც (რატომ უნდა დაეწყო თავდაპირველად წერა რვეულის უკანა მხრიდან). ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შედეგი გათვალისწინებული უნდა იყოს და საარქივო ხარვეზი გამოსწორდეს.

ხშირად ვხვდებით სპეციფიკურად სტრუქტურირებულ ჩანაწერსაც [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N56]. (იხ.: დანართი №15). სანამ მის შინაარსობრივ მხარეს შევხებოდეთ, უნდა ითქვას, თავდაპირველად როგორ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამ ჩანაწერის ტექსტის ამოკითხვა, შემდეგ კი პირთა იდენტიფიკაცია.

ტექსტი შესრულებულია კალმითა და ფანქრით. საწერი მასალის ამგვარ მონაცვლეობას, სავარაუდოდ, შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. სტრიქონები გადახაზულია ორგვარი მეთოდით – სწორი ჰორიზონტული და დახრილი ვერტიკალური ხაზებით, შესაძლოა გვეფიქრა, რომ ამასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. რუსულ ტექსტში ჩართულია ერთი გვარი ქართულ ენაზე. ტექსტის ამოკითხვას ართულებს ბაცი ფანქარი, საკმაოდ გაკრული ხელი და შემოკლებების თავისებური ტექნიკა.

ჩანაწერში მოყვანილია მე-19 საუკუნეში ცნობილი მეცნიერებისა და მოღვაწეების გვარები „ივერიის“ თანამშრომლების გვარ-სახელებს გვერდით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი გაზეთის თანამშრომლებს, მათივე ინტერესების გათვალისწინებით, ათხოვა მათი გვარების გასწვრივ ჩაწერილ ავტორთა წიგნები გარკვეული მიზნებისთვის. საერთო ჯამში, ჩანაწერში ნახსენებია 17 პირის გვარი, მათგან ერთი მოხსენიებულია სახელითაც (დათა მიქელაძე) და ფსევდონიმითაც (მეველე) და ერთი გვარი („Хизанов“) ნახსენებია ოთხჯერ.

უფრო რთული იყო ჩანაწერში მოხსენიებულ ავტორთა იდენტიფიკაცია და მათი ნაშრომების დადგენა სათაურსა ან თემატიკაზე ზოგადი, თითო ან ორსიტყვიანი მინიშნებით (მაგალითად, „Арх. Путешествие“, „Община“, „История“, „Сводна воли“). შესაბამისმა კვლევამ, რომლის ფარგლებშიც ხან ავტორს მივყავდით სასურველ შედეგამდე და ხან – ნაშრომების თუნდაც ფრაგმენტულ სათაურებს,

დაადასტურა, რომ „Арх. Путешествие“ უნდა გულისხმობდეს დიმიტრი ბაქრაძის „Археологическое путешествие по Гурии и Ачаре“ (СПб., 1878), „Община“ – ჰენრი მენის „Деревенская общины на востоке и западе“, გამოცემული 1874 წელს, ხოლო ორჯერ ნახსენები „История“ – ერთ შემთხვევაში სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას“ გულისხმობს, რომელიც გამოიცა პეტერბურგში 1871 წელს, მეორე შემთხვევაში კი – პეტრე პეტროვისას – „История родов русского дворянства“ (გამოცემულია 1886 წელს).

რაც შეეხება ავტორებს, ესენი არიან: ჰენრი ჯეიმს მენი (1822-1888), ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სამართლის სოციოლოგი. მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომი რამდენჯერმე აქვს გამოყენებული ნიკო ხიზანიშვილს (ურბნელს) თავის იურიდიული შინაარსის 1890 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ძეგლის დადება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“; სულხან ბარათაშვილი, რომლის 1865 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია“ მიჩნეულია ილია ჭავჭავაძის თარგმანად და 1863 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბეში“; ფრიდრიხ შლოსერი (1776 -1867), გერმანელი ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის მრავალტომიანი ისტორიული კვლევები („მსოფლიო ისტორია“, 18 ტომად და „მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ისტორია საფრანგეთის იმპერიის დაცემამდე“, 8 ტომად) და სხვა.

დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა პირველ სტრიქონში მოცემული ფრაზის – „Свобода воли“ იდენტიფიკაციისთვის, რამდენადაც არც ავტორი ვიცოდით, არც გამოცემის წელი და არც სათაურის სრული ვერსია, ავირჩიეთ ყველაზე მარტივი გზა – ამ ორი სიტყვის შემცველი სათაურიანი წიგნის ძიება დავიწყეთ ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში. არჩევანმა გაამართლა – ჩანაწერი აღმოჩნდა ფრაგმენტი არტურ შოპენჰაუერის 1887 წელს გამოცემული წიგნის სათაურიდან: „Свобода воли и основы морали: две основные проблемы этики“.

წიგნის ავტორებისა და სათაურების ასეთი შემოკლებებით ჩანიშვნა ადასტურებს იმას, რომ ილია ჭავჭავაძე ამ ნაშრომებს ზედმიწევნით კარგად იცნობდა. მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება კიდევ ჰენრი მენის (1822-1888), ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსისა და სამართლის სოციოლოგის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, კამილ ფლამარიონის (1845-1925), ცნობილი ფრანგი ასტრონომის, წარმოსახვით და რეალურ სამყაროებზე არაერთი ნაშრომის ავტორის

სამი წიგნი („В небесах; астрономический роман“, 1891; „Многочисленность обитаемых миров“, 1865 და „Рассказы о небе“, 1893); ფრიდრიხ შლოსერის (1776 - 1867) „მსოფლიო ისტორიის“ 6 ტომი, ედუარდ ბერნეტ ტეილორის (1832-1917), „ანთროპოლოგია“ (1882) და „პირველყოფილი კულტურა“ (1872). ამ ნაშრომზე, ასევე შემოკლებული დასახელებით (Тейлор „Культура“) [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60] ილია ჭავჭავაძე სხვა ჩანაწერშიც საუბრობს. ამ წიგნების ილია ჭავჭავაძისეულ კუთვნილ ეგზემპლარებს ახლავს სიტყვიერი მინაწერები და გულმოდგინე მუშაობის კვალიც ეტყობა.

თითოეული ეს ნაბიჯი სამეცნიერო აპარატის კომენტარებში სათანადოდ აისახა, რომ მკითხველს პასუხგაუცემელი კითხვები არ დარჩენოდა.

კომენტარი ჩანაწერის არსში გარკვევის აუცილებელი საშუალებაა. კომენტარების საჭირო სპექტრის გათვალისწინებით ისეთი რთული ტექსტური სემენტიც კი ხდება მკითხველისთვის თვალსაჩინო, როგორც უბის წიგნაკის კერძო ჩანაწერებია.

## თავი IV

# ილია ჭავჭავაძის ჩანაწერების გამოცემათმცოდნეობითი კვლევა

### §1. უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების აკადემიურად გამოცემის საერთაშორისო პრაქტიკა

უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების აკადემიურად გამოცემის გამოცდილება, მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით, საკმაოდ მწირია. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძის მე-19 ტომში ამ ტიპის მასალის გამოქვეყნების მიზნით საჭირო გახდა საერთაშორისო პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა. ამისთვის გავეცანით უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების მეცნიერულად და აკადემიურად გამოცემის შემთხვევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედთა მემკვიდრეობის მაგალითზე.

მეცნიერული პრინციპები და მიდგომები უდევს საფუძვლად ინგლისელი მწერლის თომას ჰარდის უბის წიგნაკთა გამოცემას. მასში ზუსტად არის აღწერილი ავტოგრაფები, გადახაზული ადგილებითა და ჩასწორებებით, და წიგნს ახლავს მდიდარი საძიებლები [Taylor (ed.), 1979]. ბევრი მწერალი უბის წიგნაკებს დღიურების ჩასაწერად იყენებდა. ასეთ შემთხვევაში გამომცემელთა ინტერესი მათდამი უფრო დიდია. ინგლისელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სამუელ კოლრიჯის 28 უბის წიგნაკის ჩანაწერები, სათანადო შენიშვნებით, 5 ტომად გამოიცა [Coburn, Harding (eds.), 2002]. კოლრიჯის ინტერესთა სფეროებდან გამომდინარე, მისი ჩანაწერებიც მრავალფეროვანია – ეხება ლიტერატურას, ფილოსოფიას, პოლიტიკას, ფსიქოლოგიას, არქეოლოგიას, ბიბლიას, სახვით ხელოვნებას, მეცნიერულ და სამედიცინო სიახლეებს და სხვ. მათში ასახულია ცნობილ მწერლებთან, სწავლულებთან, მეცნიერებთან, საეკლესიო მოღვაწეებთან, პოლიტიკოსებთან, ექიმებთან და მხატვრებთან შეხვედრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები.

ამერიკელ მწერალს, სკოტ ფიცჯერალდს საკუთარი თავის მემატანეს უწოდებდნენ, რადგან დაწვრილებით აღწერდა თავის ცხოვრებას. უბის წიგნაკები,

რომლებშიც ის დღიურს აწარმოებდა, მისი ერთგვარი სახელოსნოცაა და ქრონიკაც. მათში ის რეგულარულად იწერდა აზრებსა და დაკვირვებებს. ამ უბის წიგნაკებში იკვეთება მწერლის გონიერება, პათოსი, წარმოსახვის უნარი, შეგრძნებები და ლიტერატურული გემოვნება. ფიცჯერალდის უბის წიგნაკებში 2078 ჩანაწერია. გამოცემას ახლავს კომენტარები [Bruccoli (ed.), 1978].

ამერიკელი პოეტი და ნოველისტი ჯეიმს დიკი წერდა, რომ ეს უბის წიგნაკები მწერლებისთვის ბიბლიასავით უნდა იყოს. მკითხველზე მათი ზემოქმედების ძალა ისეთია, რომ ყველას აღუძრავს წერის სურვილს. საგულისხმოა, რომ თავად ფიცჯერალდის მწერლად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია სამუელ ბატლერის უბის წიგნაკებმა, რომლებიც მისთვის, როგორც პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, ხელმისაწვდომი იყო.

ლეონარდო და ვინჩი თავის ფასდაუდებელ შემოქმედებასთან ერთად დატოვა უამრავი ავტოგრაფი, მაგრამ ხელოვანის ხელწერის საოცარი სპეციფიკის გამო მათი ამოკითხვა მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მხატვარი ცაცია იყო, წერდა მარჯვნიდან მარცხნივ და თან ძალიან გაურკვეველი ასოებით. გარდა ამისა, იგი არ იყენებდა პუნქტუაციას და თავისუფლად ეპყრობოდა სიტყვათა სტრუქტურას - ზოგ მათგანს შუაზე წყვეტდა, ზოგჯერ მოკლე სიტყვებს კი აერთიანებდა ერთ ლექსიკურ ერთეულად და ა. შ. მის ჩანაწერებში ერთსა და იმავე გვერდზე შეიძლება შეგვხვდეს სრულიად განსხვავებული ტექსტები, მაგალითად, დედამიწის მოძრაობის ასტრონომიულ პრინციპებზე, ბგერის თვისებებზე, ფერთა შეხამებაზე, ნაწლავების აგებულებაზე, პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიურ ასპექტებზე, შუქისა და ჩრდილის თანაფარდობაზე, სისხლის მიმოქცევაზე და ფერწერის ფილოსოფიაზე, თვალის აგებულებაზე, ფერთა თეორიასა და ადამიანის სხეულის პროპორციებზე და სხვ. მის არქივში დაცული 5000 გვერდიდან ნახევარი ცალკეულ ფურცლებზეა შესრულებული. გამომცემელთა მიერ ამ ფურცლებისთვის მინიჭებული თანმიმდევრობა პირობითია. ის ფურცლებიც კი, რომლებიც თავად ავტორს დაუნომრავს, ასევე ქაოსურად არის დალაგებული არსებული თანმიმდევრობით. მისი ჩანაწერებიც რომ ამგვარადვე, ქაოსურად დალაგებული გამოქვეყნებულიყო, მკითხველს გაუჭირდებოდა ამ ლაბირინთში გზის გაკვლევა. ერთადერთი, რაც ამ

შემთხვევაში საქმეს გააიოლებს, ისაა, რომ ჩანაწერები ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული და გამოცემაშიც ასეა წარმოდგენილი.

ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერების ქრონოლოგია 30-წლიანია, მაგრამ მისი ხელწერა ამ ხნის განმავლობაში ისე უმნიშვნელოდ შეიცვალა, რომ კალიგრაფიის მიხედვით ტექსტების თანმიმდევრობის გარკვევა ან დათარიღება შეუძლებელი იყო. გამომცემლებმა მოახერხეს მხოლოდ იმ უბის წიგნაკების დათარიღება, რომლებშიც ფურცლები არ იყო გადაადგილებული და ერთგან მაინც იკითხებოდა დროზე მინიშნება. ამის საფუძველზე დათარიღდა არაერთი ჩანაწერი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათი შინაარსის ერთიანად გასააზრებლად და დადგენილი ლოგიკის სხვა უბის წიგნაკებისადმი რაციონალურად მისასადაგებლად. გამოცემაში წარმოდგენილი 1566 ჩანაწერიდან თითოეულს მიენიჭა ნომერი და დალაგდა სავარაუდო თანმიმდევრობით, თემატიკის გათვალისწინებით. ამასთანავე, თითოეულთან არის მითითებული ავტოგრაფის ნომერი და გვერდი, რითაც მკითხველი შეძლებს მიიღოს ინფორმაცია, რა სახის ტექსტებია განლაგებული ერთმანეთის მიყოლებით.

1651 წელს რაფაელ დიუფრესნმა პარიზში გამოაქვეყნა ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები ფერწერული ხელოვნების შესახებ, რომელიც ისეთი პოპულარული გახდა, რომ მალე ექვს ენაზე ითარგმნა და ზედიზედ 22-ჯერ გამოიცა. იმ პერიოდში თავად ლეონარდოს ავტოგრაფები დაკარგულად ითვლებოდა და ეს გამოცემა ეყრდნობოდა ადრეულ ასლებს, რომლებშიც მისი ჩანაწერები ნაწყვეტების სახით იყო წარმოდგენილი. ამის შემდეგ იგივე ტექსტები გამოიცა ჯერ 1817, შემდეგ კი 1882 წელს, მაგრამ ახალ გამოცემებშიც აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზები ტექსტების ავთენტურობის თვალსაზრისით.

1970 წელს ორ ტომად გამოიცა ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები, რომლებიც ავტოგრაფებს ეყრდნობა და, წინა გამოცემებთან შედარებით, ბევრად უფრო სარწმუნოა [Richter (ed.), 1970]. ეს გამოცემა განმეორდა 2016 წელსაც, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ინტერესი ამ ტექსტებისადმი არ განელეზულა. ჩანაწერები ეხება მხატვრობას, ქანდაკებას, ქალაქის დაგეგმარებას, არქიტექტურას, მექანიკურ კონსტრუქციებს, ასტრონომიას, ანატომიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას,

ფიზიოლოგიას, გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, მუსიკას. ასევე ისინი ასახავს მხატვრის შემოსავალ-გასავალს და იმ წიგნების სათაურებს, რომლებსაც კითხულობდა.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე ალბერ კამიუ უბის წიგნაკებში იწერდა თავის აზრებს ომისა და სიკვდილის, მარტოობის, ქალებისა და ხელოვნების შესახებ, მონახაზებს მომავალი თხზულებებისთვის, დიალოგებს, ამონაწერებს წაკითხული წიგნიდან. 2010 წელს წიგნად გამოვიდა სამ უბის წიგნაკში ჩაწერილი მისი დღიურები, რომლებიც ფასდაუდებელი წყაროა მწერლის სულიერი და ინტელექტუალური ბიოგრაფიის საკვლევად, რადგან მათში უფრო მეტია საუბარი განცდებზე, ვიდრე ქმედებებზე [Camus, 2010]. ანდრეი პლატონოვი საუბრობდა ალბერ კამიუს უბის წიგნაკებზე, როგორც განსაკუთრებულ ლიტერატურულ ჟანრზე, და არა როგორც მხატვრული ნაწარმოებების „ნედლეულზე“ [Платонов, 2000, 279].

ცნობილი ამერიკელი პროზაიკოსის ჰენრი ჯეიმსის არქივში დაცულ უბის წიგნაკებში ჩანიშნულია იდეები რომანებისა და მოთხრობებისათვის, რომლებიც მას განუხორციელებელი დარჩა. იმისათვის, რომ ეს იდეები გაეცოცხლებინათ, მოიწვიეს ამ მწერლის მოყვარული 10 საუკეთესო თანამედროვე ავტორი და დაავალეს ჯეიმსის ჩანახატებზე ნოველების შექმნა. დაიწერა სტილურად სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომლებიც ჰენრი ჯეიმსის მკვლევარმა ფილიპ ჰოუმმა წიგნად გამოსცა თავად ჯეიმსის დღიურების მოკლე ჩანაწერებთან ერთად [Home, Wood, 2018).

ირლანდიელი მწერლის – სამუელ ბეკეტის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა ექვსი უბის წიგნაკი, რომლებშიც არის დღიურები 1936-1937 წლებში ნაცისტურ გერმანიაში მისი მოგზაურობის შესახებ. მარკ ნიქსონმა ჩაატარა ამ დღიურების საფუძვლიანი შედარებითი კვლევა უფრო ადრეულ უბის წიგნაკებთან, წერილებთან და ჩანაწერებთან და წარმოაჩინა ბეკეტის მწერლად ჩამოყალიბების პროცესი. მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი წერის მანერა და მასზე ვიზუალური ხელოვნების გავლენა სწორედ ამ დღიურებიდან იღებს სათავეს [Nixon, 2011]. ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტის – თომას ჯეფერსონის ადრეულ უბის წიგნაკებში წარმოდგენილია მისი ფინანსური დღიურები [Bigelow, 1885]. 2017 წელს მილისენტ დილონმა ამერიკელი მწერლისა და

დრამატურგის - ჯეინ ბაუელსის თხზულებათა კრებულში მის რომანთან, პიესასთან და წერილებთან ერთად გამოაქვეყნა 12 ჩანაწერი მისივე უბის წიგნაკებიდან [Dillon, 2017].

თეოდორ დოსტოევსკის უბის წიგნაკები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერთან ერთად, მწერლის გარდაცვალების შემდეგ მალევე გამოქვეყნდა მის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მეთოთხმეტე ტომში [Достоевский, 1883].

ლევ ტოლსტოის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული კი მოიცავს 90 ტომს, რომელიც დაიბეჭდა 1928-1958 წლებში. ეს უნიკალური აკადემიური გამოცემა – ტოლსტოის მემკვიდრეობის ყველაზე სრული კრებული – დიდი ხანია იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. უბის წიგნაკების ჩანაწერები გვხვდება ამ გამოცემის ოთხ სხვადასხვა ტომში, სხვადასხვა ხასიათის მასალასთან ერთად, შემდეგი კონფიგურაციით: დღიურები და უბის წიგნაკები; დღიურები, უბის წიგნაკები და ცალკეული ჩანაწერები; დღიურები და უბის წიგნაკები; ქრისტიანის ჩანაწერები, დღიურები და უბის წიგნაკები.

საყურადღებოა, რომ ცალკე კომპონენტებად არის გამოყოფილი, ერთი მხრივ, „უბის წიგნაკები“ და, მეორე მხრივ, „ცალკეული ჩანაწერები“ [Толстой, 1937]. სავარაუდოდ, ცალკეული ჩანაწერები უბის წიგნაკებისგან საწერი მასალის ფორმით უნდა სხვაობდეს. ისინი შესაძლოა, შესრულებული იყოს დაშლილ, ცალკეულ ფურცლებზე. უბის წიგნაკებისა და დღიურების ერთად გამოქვეყნების ლოგიკა პირადი დანიშნულების ტექსტების გაერთიანებაზე არის ორიენტირებული. ტოლსტოის შემთხვევაში ერთ თავისებურებასთან გვაქვს საქმე: თავისი მოსაზრებები და დაკვირვებები მას თავიდან უბის წიგნაკებში შეჰქონდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, როცა დიდი რაოდენობით გროვდებოდა, მნიშვნელოვანი შესწორებებით გადაჰქონდა ხოლმე დღიურში. ამ გზით, მისი უბის წიგნაკები ერთგვარად დღიურების პირველადი, შავი ჩანაწერებია. საგულისხმოა, რომ დღიურებში ავტორი ყოველთვის მიანიშნებს იმის თაობაზე, თუ რომელი უბის წიგნაკიდან არის ის გადაწერილი, უბის წიგნაკში კი არ უთითებს, თუ რომელ დღიურშია გადატანილი ეს ჩანაწერი. გვხვდება ე. წ. საიდუმლო დღიური, რომელსაც ის 1908 წელს 17 დღის განმავლობაში აწარმოებდა – იწერდა თავის მძაფრ შინაგან განცდებს. 1907 წლიდან ჩანაწერებს ინიშნავდა „ჯიბის ყოველდღიურში“.



სარგებლობდა ასევე „დღის წიგნაკითა“ და „ღამის წიგნაკით“. „დღის წიგნაკი“ ჩვეულებრივ ედო საწერ მაგიდაზე ან პერანგის ჯიბეში, „ღამის წიგნაკი“ კი – ღამის სამუშაო მაგიდაზე, საძინებელში. ამ წიგნაკს ავტორი იყენებდა საღამომობით ან შუაღამისას, გამოღვიძებულზე. ლევ ტოლსტოისთან ხშირად გვხვდება მრავალრიცხოვანი ჩანაწერები, როგორც მოსამზადებელი მასალა, შემდგომში ცნობილი ნაწარმოებების შესაქმნელად, მათ შორის „ადდგომის“ პირველი ჩანაფიქრები და ამ რომანზე მუშაობის საწყისი ეტაპები.

დღიურები, განსაკუთრებით კი უბის წიგნაკები, საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ, როგორი ძალისხმევით მუშაობდა ტოლსტოი თავისი ნაწარმოებების ენობრივ დახვეწაზე, დავინახოთ პირდაპირი და ღრმა კავშირი მწერლის სტილსა და ხალხის ყოველდღიურ მეტყველებას შორის. უბის წიგნაკები მოწმობს მწერლის მისწრაფებას, რომ ლიტერატურული ენის სისადავე და სიცხადე ნაწარმოების მხატვრული სრულყოფილებისთვის შეეთავსებინა. ლევ ტოლსტოის თხზულებათა სრული კრებულის 55-ე ტომში, რომელიც მოიცავს დღიურებს, უბის წიგნაკებს და ცალკეულ ჩანაწერებს, შესულია აგრეთვე დაკონსპექტებული ამონაწერები ნიკოლოზ შილდერის (1842-1902) წიგნიდან „იმპერატორი ალექსანდრე პირველი“, რომელსაც მწერალი სწავლობდა ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ავტორი თავად გეგმავს საკუთარი პირადი ჩანაწერების გამოცემას. მაგალითად, ანტონ ჩეხოვმა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში გადაწყვიტა საკუთარი უბის წიგნაკების გამოცემა, მელნით მონიშნა მათში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანაწერები და თავადვე გადაიტანა ისინი სხვა უბის წიგნაკში. ჩეხოვის უბის წიგნაკები მას შემდეგაც არაერთხელ გამოიცა, მათ შორის, დღიურებთან და ცალკე ფურცლებზე შესრულებულ ტექსტებთან ერთადაც [Чехов, 2010].

მწერალმა და ჟურნალისტმა სერგეი დავლათოვმა იმისთვის, რომ მკითხველისთვის მოსაწყენი არ გამხდარიყო თავისი ჩანაწერები, გამოსაცემად მომზადებისას მათი მოცულობა მნიშვნელოვნად შეამცირა [Довлатов, 2016].

დღეს ზოგიერთი მწერლის უბის წიგნაკებს ინტერნეტში ცალკე გვერდიც კი ეთმობა. ასეთია მაგალითად, მარინა ცვეტაევას ვებ-გვერდი, რომელზეც უბის

წიგნაკები მათი დაწერის წლების მიხედვით არის განლაგებული [Цветаева, 2000]. აქვე ცალკეა გამოყოფილი რვეულში გაკეთებული შერეული ჩანაწერებიც. ვებ-გვერდზე ძალიან მდიდარი მასალაა, მაგრამ ტექსტებს არ ახლავს სამეცნიერო აპარატი, რომელიც მას კიდევ უფრო სრულყოფილს და ანგარიშგასაწევს გახდიდა.

ზოგადად, უბის წიგნაკებში სიუჟეტების, მოვლენების, რეპლიკების, დიალოგების, ჩანახატების, მისტიფიკაციების დიდმა წილმა შეიძლება მცდარ კვალზე დაგვაყენოს, რადგან ჩანაწერები ხშირად სრულდება ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფრაგმენტულად, ადგილის, დროისა და გარემოებების მითითების გარეშე, გამოყენებულია ინფორმაციის სრულებით განსხვავებული წყაროები, პირადი დაკვირვებით დაწყებული, მითქმა-მოთქმითა და ლეგენდებით დასრულებული. მოვლენათა აღქმა კერძო ჩანაწერებში გაპირობებულია მსოფლმხედველობისა და ფსიქიკის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ამ "ქაოსის" განმაპირობებელი შინაგანი მოტორიკის კანონზომიერების კონტურების მიგნება აუცილებელი პირობაა რთულად სტრუქტურირებადი უბის წიგნაკების გამოსაცემად.

ჩნდება კითხვა: არსებობს თუ არა მწერლების კერძო ჩანაწერების შესწავლის აუცილებლობა? მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელ მეცნიერებას ამ კომპონენტების გარეშე შეუძლია ფონს გასვლა, რადგან ეს ტექსტები არ არის მიჩნეული ლიტერატურული შემოქმედების ჟანრად. უკეთეს შემთხვევაში მათ განიხილავენ როგორც სამუშაო მასალას მხატვრული ნაწარმოებების დასაწერად და გასამართავად. არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, კერძო ჩანაწერებს შესწევს უნარი, დაანგრიოს სიუჟეტებისა და ხასიათების პირველადი ჩანაფიქრები, რადგან აქვს ფაქტოგრაფიულობისა და მკითხველზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების დიდი ძალა. მყისიერი სიტყვიერი ჩანახატები წარმოდგენას გვიქმნის შემოქმედის დაკვირვების, მოვლენისა თუ პორტრეტის ძირითადი ხაზის მოხელთების უნარზე [Платонов, 2000, 6-8]. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ უბის წიგნაკში ჩანიშნული ფრაზა: „ჯაყო გმინვაა ჩემი სულისა“ [ჯავახიშვილი, 2005, 110], რომლიდანაც საოცარი უშუალოდ ჩანს ავტორის დამოკიდებულება საკუთარი პერსონაჟისა და, ზოგადად, ამ ნაწარმოებისადმი.

ხშირად ხდება ისე, რომ კერძო ჩანაწერები არა მხატვრული პროზის, არამედ პუბლიცისტური და ესეისტური ბუნებისაა, თუმცა წმინდა სახით ამ წყაროებში არც პუბლიცისტიკა გვხვდება და არც ესეისტიკა. ეს იმით აიხსნება, რომ კერძო ჩანაწერები დაფუძნებულია მწერლის უშუალო შთაბეჭდილებებზე და ბევრ შემთხვევაში გვაგონებს დღიურს, რომელიც ივსება რაიმე სახის კონკრეტული გეგმის გარეშე. აქ მთავარ მოქმედ გმირად გვევლინება თვით ავტორი. ჩანაწერებსა და დღიურებში პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის ელემენტებს იყენებენ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბარია მოვლენაზე, ფაქტსა ან შემთხვევაზე, არამედ მაშინაც კი, როდესაც ავტორი მიმართავს კომენტარებსა და დახასიათებებს. ავტორის ინკლუზიურობა, მოვლენაში ჩართულობა, აქტუალობის შეგრძნება, აწმყოზე ორიენტირებულობა, რაც პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის მახასიათებლებია, გარკვეულწილად ჩანაწერების ბუნებასაც ეხმიანება. დოკუმენტური ჟანრებისადმი თანამედროვე მკითხველის მზარდი ინტერესიდან და მათი უახლესი გამოცემების სიმრავლიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ დროთა განმავლობაში კერძო ჩანაწერების ცალკე ჟანრად განვითარების შესაძლებლობაც.

საქართველოში გამოცემული უბის წიგნაკები და ჩანაწერები, ძირითადად, პოპულარული ხასიათისაა და გამომცემელთა შეხედულების მიხედვით არის შერჩეული. კერძო ჩანაწერების გამოცემების უმრავლესობას არ ახლავს სამეცნიერო აპარატი - კომენტარები, შენიშვნები, ანოტაციები, საძიებლები, ტექნიკური და არქეოგრაფიული მონაცემები. იშვიათად ვხვდებით მცირე კომენტარს „განმარტებისთვის“ და პირთა საძიებელს. ასეა, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებში [ჯავახიშვილი, 2015, 228]. გამოცემის შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ გამომცემლებს არ გაუმყდავნიებიათ ზოგიერთი ადრესატის გვარი, პირადი დანახარჯის, გასაცემი ან მისაღები თანხის ანგარიშები და ა. შ.

ამგვარად გამოცემულია არაერთი მეცნიერის, მწერლისა თუ პოეტის, საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსის, მხატვრის, რეჟისორის, მთარგმნელის (ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახიძე, ლევან ბრეგაძე, რეზო კვესელავა, ესმა ონიანი, გელა ჩარკვიანი, ივანე ამირხანაშვილი, ნოდარ წულეისკირი, ზურაბ კიკნაძე, აკაკი გაწერელია, ლერი ალიმონაკი, გურამ ბათიაშვილი და სხვ.) ჩანაწერები. მეტად ფართოა ამ გამოცემების „ჩანაწერების“ თემებისა და ფორმების (ჟანრს ვერ

დავარქმევთ) კონფიგურაცია. აქ გაერთიანებულია უბის წიგნაკები, დღიურები, ე. წ. მარგინალიები, გამოსვლები უეკრანოდ, მინაწერები მხატვრულ ტილოებზე, სამოგზაურო ნარკვევები და სხვ.

გელა ჩარკვიანი თავისი ჩანაწერების რაობასა და რაგვარობაზე ასე საუბრობს: „გულზე ხელს დავიდებ და გულწრფელად გეტყვით, არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემს უბის წიგნაკში დარჩენილი ფრაზები და პასაჟები, რომლებიც მემუარული წიგნის წერისას ვერ გამოვიყენე, თავად დაიდებდნენ ბინას ამ გამოცემაში. ამიტომ დავარქვი მას „ნაგერალა“. საბა ამ სიტყვას განმარტავს როგორც „დაუთესავად მოსულს“. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „ნაგერალა - მოსავლის აღებისას მიწაში ჩაბნეულ და ჩარჩენილ თესლიდან აღმოცენებული კულტურული მცენარე“ [ჩარკვიანი, 2014, 7]. ავტორი ამ ამონარიდში რამდენიმე საკვანძო, პირადი ჩანაწერებისთვის ნიშანდობლივ მომენტს ეხება. ის, რომ ეს მასალა მემუარისგან არის „გადარჩენილი“, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ის არასოდეს ყოფილა პუბლიკაციისთვის გამიზნული. საგულისხმო ფრაზაა ასევე „დაუთესავად მოსული“, რაც ამ სახის მასალის არაცნობიერ, არაკოგნიტურ შრეებს და წარმომავლობას უსვამს ხაზს. ავტორის აღწერით, ის ცნობიერი პროცესის პარალელურად იბადება და მას სრულიად თავისებური, ავტორის განზრახვისგან დამოუკიდებელი განვითარების გზა აქვს.

მწერლების კერძო ჩანაწერების პუბლიკაციას ერთი ტენდენცია ახასიათებს: საგამომცემლო ჯგუფი უმრავლეს შემთხვევაში პრიორიტეტს ანიჭებს ისეთი ჩანაწერების შეტანას კრებულებში, რომლებშიც მხატვრული ნაწარმოებების შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესია ნაჩვენები. ზემოხსენებული მიდგომით აიხსნება ის, რომ კერძო ჩანაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ შედის თხზულებათა სრულ გამოცემებში და მათი გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ პირად არქივებში. ჩანაწერებს დღემდე არ მიიჩნევენ დამოუკიდებელ ჟანრად, ლიტერატურული პროცესების ამსახველ ენციკლოპედიებში, სახელმძღვანელოებში, კვლევებში „ჩანაწერები“ თითქმის არ ფიგურირებს. ამ სირთულის მიუხედავად, წერილობითი მემკვიდრეობის ამ სეგმენტის გამოქვეყნება მაინც დგება დღის წესრიგში, როდესაც საქმე ეხება ისეთ ავტორებს, რომელთა ყოველი სიტყვა ძვირფასია შთამომავლობისათვის, როგორც მათი საქმიანობისა და ინტერესების ამსახველი,

მათი ბიოგრაფიის ნაწილი. სწორედ ამიტომ კლასიკოსთა თხზულებების სრული კრებულების გამოცემისას სიტყვაში „სრული“ რეალურად ამ სახის მასალაც მოიაზრება. სხვა საკითხია, რამდენად სრულია რეალურად ესა თუ ის გამოცემა.

ნებისმიერი ადამიანი რომ დიდი საიდუმლოა უნიკალური ფიზიკური და ფსიქოსომატური მონაცემებით, ეს უდავო ფაქტია ღრმად სეკულარიზებულ დისკურსშიც კი. შესაბამისად, უბის წიგნაკები და სახელდახელო პირადი ჩანიშვნა/ჩანაწერები ძალიან ხშირად სცილდება ინტელექტუალური პროდუქტის ფარგლებსა და მიზანდასახულობას და ეს დილემური სირთულის წინაშე აყენებს საარქივო და საგამომცემლო საქმეს. რაკი კანონის მაღალფორმალიზებული ბუნება ვერ ფარავს პირადი არქივის პერსონიფიკაციის უნიკალურ ასპექტებს, ამ ტიპის მასალის კვლევაზე პირადი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მკვლევარმა და ასევე გამომცემელმა ჩანაფიქრისა და მიზანდასახულობის ფარგლებში, კვალიფიკაციისა და ეთიკური უნარების გათვალისწინებით. რაკი ეს საკვლევი წყარო საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორის პორტრეტის – მისი ინტერესთა სფეროს, ხასიათის, ცხოვრების სტილის, ხშირად განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შესახებაც გვაწვდის ცნობებს, საჭიროა ბალანსის დაცვა მასალის ავთენტურობასა და ეთიკურ მიდგომას შორის, რის ხარვეზიც, ძირითადად, პუბლიკაციისას იჩენს ხოლმე თავს.

აქტუალურია კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ სახის ლიტერატურის გამოცემის პრაქტიკას ერთგვარად აფერხებს – საავტორო უფლება. თუ ავტორი ცოცხალია, რასაკვირველია, პრიორიტეტულია მისი ნება, მაგრამ თუ გარდაცვლილია, სამართლებრივი ვადების გასვლის შემდეგაც კი პრობლემად რჩება მათი გამოქვეყნების შესაძლებლობა. ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ეპისტოლურ და პირად მასალას ახლავს ავტორისეული გრიფები, რომელთა თანახმადაც, ყველა პირობის მიუხედავად, იკრძალება ამ მასალის პუბლიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში მომდევნო თაობა ადებს წინაპართა მემკვიდრეობას გამოუქვეყნებლობის გრიფს. საავტორო უფლებებისა და მემკვიდრეების პრობლემა ერთგვარად ართულებს ამ მრავალმხრივ საინტერესო მასალების გასაჯაროებას. არადა, როგორც გამომცემლები ადასტურებენ, მარკეტინგული თვალსაზრისით,

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება სწორედ პირად ჩანაწერთა გამოქვეყნებაა.

## **§2. სუბსტრატისა და საპუბლიკაციო ერთეულის დიფერენცირება**

სიტყვები „უბის წიგნაკი“ და „ჩანაწერი“ ხშირად ერთმანეთთან ასოცირდება, მაგრამ, რამდენადაც ილია ჭავჭავაძის არქივში უბის წიგნაკების გარდა, არის სხვადასხვა სახის მასალაზე (რვეულის თავისუფალ გვერდზე, წიგნზე, სხვის ხელნაწერზე, სავიზიტო ბარათზე და სხვ.) შესრულებული ჩანაწერები (როგორც კერძო ჩანაწერები, ისე ამონარიდები) და, მეორე მხრივ, იქვე დაცულია უბის წიგნაკები, რომლებშიც მხოლოდ ლექსებია ჩაწერილი [კვხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N108,] (იხ.: დანართი N16), საჭიროდ მიგვაჩნია, ერთმანეთისაგან განვაცალკევოთ ტერმინები – „უბის წიგნაკი“ და „ჩანაწერი“. თუნდაც ილია ჭავჭავაძის მაგალითიდან ჩანს, რომ ამ ორ ტერმინს შორის ორმხრივი მყარი კავშირი არ არსებობს. კერძო ჩანაწერები და ამონაწერები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეიძლება გაკეთდეს სხვა მასალაზეც, უბის წიგნაკი კი შეიძლება დაეთმოს არა ასეთი ტიპის ჩანაწერებს, არამედ ნებისმიერი სახის ტექსტს, თუნდაც პოეზიას. ნაშრომში ტერმინს „უბის წიგნაკი“ ვიყენებთ საწერი მასალის, სუბსტრატის მნიშვნელობით, „ჩანაწერს“ კი მწერლის ხელით უბის წიგნაკში, რვეულში, წიგნსა ან ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული „კერძო ჩანაწერის“, „ამონაწერისა“ და „მინაწერის“ აღსანიშნად, რომელსაც აკადემიურ გამოცემაში საპუბლიკაციო ერთეულის ფუნქცია ექნება.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა უბის წიგნაკები ხშირად განირჩევა შესაბამისი თემატიკით. მწერლებთან ხშირია მხატვრული ნაწარმოების მონახაზები, პერსონაჟთა ხასიათის შტრიხებით, დიალოგებით, რითმის შერჩევის ცდებით და ა. შ. მხატვრებთან – ესკიზები და ჩანახატები, არქეოლოგებთან – ექსპედიციების საველე ჩანაწერები და ა. შ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ექვთიმე თაყაიშვილის 65 უბის წიგნაკი. მნელი ამოსაცნობი არ არის, რომ ცნობილ ქართველ არქეოლოგსა და ისტორიკოსს უბის წიგნაკების ასეთი დიდი რაოდენობა, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, საველე ჩანაწერებისთვის დასჭირდებოდა. მართლაც, ექვთიმე თაყაიშვილის უბის

წიგნაკებში ძირითადად საექსპედიციო მოგზაურობების ჩანაწერებია. მათში ნაკლებად არის ინტერპრეტაციები და ანალიტიკური პასაჟები.

უბის წიგნაკის ჩანაწერების შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ საინტერესოდ წერს მიხეილ ჯავახიშვილი: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არა ჰყოფნისთ. ასე იცინიან ზულუსები და ბუმბენებიც, როცა ევროპიელი კბილებს იხეხავს“ [ჯავახიშვილი, 2015, 170]. მის უბის წიგნაკებს, ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით, ამ კატეგორიის მასალისთვის დამახასიათებელი ქაოტურობა და უსისტემობა არ ახასიათებს. ის სხვადასხვა დანიშნულების მქონე სენტენციათა კრებული უფროა. მათი მკითხველი ადვილად მიხვდება მწერლის ინტერესთა სფეროების წარმოდგენელ სიმრავლესა და არანიჰილისტურ და არაგულგრილ დამოკიდებულებებს ირგვლივ არსებული თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტების მიმართ.

ის უბის წიგნაკები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ლექსებია ჩაწერილი, როგორც ავტოგრაფული წყაროები, შესულია მწერლის თხზულებათა ოცტომეულის პირველ ტომში, ჩვენი კვლევის საგანი კი მხოლოდ ის უბის წიგნაკებია, რომლებიც ავტორს კერძო ჩანაწერებისთვის აქვს გამოყენებული და რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია. უბის წიგნაკის თავდაპირველი დანიშნულებაც სწორედ ეს იყო. მის კომპაქტურ და მობილურ ხასიათზე მიგვანიშნებს სიტყვის ქართული სახელდებაც – ეს არის წიგნაკი, რომელიც „უბით“ (გულის ჯიბით) თან უნდა ატარო, რადგან ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება დაგჭირდეს რაღაცის ჩასაწერად. ადრე ინგლისურში მას „ჯიბის წიგნაკი“ (pocket book) ერქვა, მაგრამ დღესდღეობით ამ სიტყვას უფრო „საფულის“ მნიშვნელობით იყენებენ. ინგლისურში, გერმანულსა და რუსულში უბის წიგნაკის ამჟამინდელ სახელდებებში მისი ფუნქციური მხარეა აქცენტირებული. სამივე ენაში მას „შენიშვნების წიგნაკი“ ჰქვია: Notepad / Notebook (ინგლისურში) და Записная книжка / блокнот (რუსულში), Notizbuch (გერმანულში). სიტყვა „ბლოკნოტი“ „უბის წიგნაკის“ სინონიმად ქართულშიც გამოიყენება, მაგრამ უფრო ფართო მნიშვნელობით – არ არის აუცილებელი, რომ მცირე ზომისა იყოს.

განსახილველი უბის წიგნაკების ჩანაწერები არა საჯარო, არამედ პირადი დანიშნულებისაა. ისინი თავიდანვე მოკლებულია საზოგადოებრივ სივრცეში გამოტანის მიზანდასახულობას. შესაბამისად, რაკი ეს მასალა წერის პროცესშივე გამორიცხავს სხვა მკითხველს, იგი მხოლოდ საკუთარ თავთან (ვგულისხმობთ უბის წიგნაკის მფლობელს) კომუნიკაციის ავთენტური წყაროა. ამ მიზნით დაწერილ ტექსტს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოღვაწის პორტრეტზე, მის განწყობებსა და ინტერესებზე დაკვირვებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანაწერები და ამონაწერები უბის წიგნაკშიც შეიძლება შეგვხვდეს და სხვა სახის საწერ მასალაზეც, მაგრამ, რამდენადაც თითოეულ კონკრეტულ უბის წიგნაკს მწერალი დროის გარკვეულ ინტერვალში იყენებდა, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში კი იგი მეტწილად მსგავს საქმიანობას ეწეოდა, მსგავსი ინტერესები ამოძრავებდა და მსგავსი პრობლემების წინაშე იდგა, უბის წიგნაკების ჩანაწერებს შორის ხშირად არის ხილული თუ უხილავი კავშირი. მაგალითად, ერთი უბის წიგნაკი ილია ჭავჭავაძის სამკურნალოდ ყოფნას ემთხვევა პეტერბურგში, მეორე - იმავე მიზნით გერმანიაში ვიზიტს, ზოგიერთი უბის წიგნაკი სახლის მშენებლობის პერიოდშია გამოყენებული და, შესაბამისად, სამშენებლო საკითხების სიუხვით გამოირჩევა, ზოგი ბანკში ვითარების დაძაბვის პერიოდს ემთხვევა და დებატებისთვის საჭირო ამონაწერებით არის დატვირთული. ყოველივე ამის გამო უბის წიგნაკების მასალების ერთმანეთთან, ან სხვა ჩანაწერებთან აღრევა არალოგიკურად მივიჩნიეთ და პუბლიკაციისას თავისივე ავთენტურ, თავდაპირველ ხაზს მივყევით.

### **§3. ილია ჭავჭავაძის ჩანაწერების ხასიათი და აკადემიურად გამოცემის კონცეფცია**

ილია ჭავჭავაძის მხატვრული თხზულებები არაერთგზის არის გამოქვეყნებული როგორც ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში, ისე ცალკეული ნაწარმოებების გამოცემების, რჩეულებისა და თხზულებათა კრებულების სახით. შედგენილობის თვალსაზრისით, ყველაზე მოცულობითი მწერლის თხზულებათა ოცტომეულია. მასში, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, მაქსიმალურად სრულად დაიბეჭდა პუბლიცისტური თხზულებები და პირადი წერილები, დაუმთავრებელი



ტექსტები და „სავარაუდონი“. დღეისათვის გამოცემულია თვრამეტი ტომი და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-20 ტომი მთლიანად ბიბლიოგრაფიული ხასიათისა უნდა იყოს, გამოსაქვეყნებელი დარჩა მხოლოდ მე-19 ტომის მასალა. მასში უნდა შევიდეს მწერლის არქივში დაცული ისეთი ნაწერები, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია.

მე-19 ტომში შემავალი მასალის უდიდესი ნაწილი დაცულია მწერლის არქივსა და პირად ბიბლიოთეკაში. იგი დღემდე სწორედ იმიტომ არ არის გამოქვეყნებული, რომ თავისი სპეციფიკით არ მიეკუთვნება „საკუბლიკაციო ხასიათის“ ტექსტებს. ბუნებრივია, არც უბის წიგნაკის კერძო ჩანაწერები, არც სხვათა წიგნებიდან ამოწერილი პასაჟები და მათი კომენტარები, არც წიგნებზე მინაწერები და არც მის მიერ წაკითხული ნაშრომების აშეებზე მიწერილი შენიშვნები მწერალს გამოსაქვეყნებლად არ შეუქმნია. ისინი სხვადასხვა დანიშნულებით იწერებოდა: ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული დეტალების (შემოსავალ-გასავლის, რეცეპტების, მისამართების და სხვ.) საკუთარი თავისთვისვე შესახსენებლად, სხვათა ნაშრომების ისეთი პასაჟების ხელმისაწვდომად, რომლებიც მას ან კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდებოდა, ან, ზოგადად, აინტერესებდა და სხვ. მართალია, სალექსიკონო მასალა და სტატიების გეგმა-მონახაზები მომავალში შეიძლება ლექსიკონად და სტატიად ქცეულიყო, მაგრამ არქივში დაცულ ამ ტექსტებს ნედლი მასალის სტრუქტურა აქვს და არა გამოსაქვეყნებლად გამზადებულისა. ზემოთ ჩამოთვლილი სახის დაუმუშავებელი მასალა, საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკით, ქვეყნდება მხოლოდ კლასიკოსთა თხზულებების სრულ აკადემიურ გამოცემებში. გარდა ამისა, პირადი მოხმარებისთვის შექმნილი, პირდაპირობითა და უშუალოდ ადბეჭდილი ეს ტექსტები სარკესავით ირეკლავს ეპოქის სახეს – ასახავს გარკვეული სოციალური ფენის ყოფას, მათ პრობლემებს, ინტერესებს, მისწრაფებებს და ამ მხრივაც მეტად საინტერესოა.

ილია ჭავჭავაძის ათი უბის წიგნაკი (№56-65) ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მოღვაწის პირად არქივში. იმის გამო, რომ ამ ტექსტებს მხოლოდ პირადი დანიშნულება ჰქონდა და მოკლებული იყო საჯარო, საზოგადო პუბლიკაციის მიზანდასახულობას, ავტორი

ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სათქმელის სრულყოფილად წარმოჩენასაც და მართლწერასაც, რაც აისახება როგორც მასალის შინაარსზე, ისე მის სტრუქტურაზე. ეს უბის წიგნაკები შედგება სრულიად განსხვავებული თემებისა და ხასიათის, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა საწერი საშუალებით შესრულებული ტექსტებისგან. ავტორი თავისუფლად ეკიდება სტრუქტურასაც. ამის გამო გარკვეულ სირთულეს ქმნიდა ჩანაწერების როგორც ტექსტების ამოკითხვა, ისე კომპოზიციური ლოგიკის დადგენა.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ გამოცემაში თითოეული უბის წიგნაკისთვის, მათი ქრონოლოგიის მიხედვით, მიგვენიჭებინა ნომერი და ამ ნომრის ქვეშ დაგვებეჭდა მოცემული უბის წიგნაკის ტექსტები, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ უბის წიგნაკში ეს მასალა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საწერი საშუალებებით არის ჩაწერილი და ზოგჯერ კი ხელწერაც განსხვავებულია. უბის წიგნაკის მკითხველს ეს ყველაფერი ეხმარება მასალის ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და ჩვენ რომ ეს ტექსტები ასე პირდაპირ შეგვეტანა უბის წიგნაკის ნომრის ქვეშ, მკითხველი სრულიად დაიბნეოდა, რადგან წიგნის ფურცლებზე მას არ ექნებოდა არავითარი ხელჩასაჭიდი ტექსტების ერთმანეთისგან გასამიჯნად. ამიტომ გადავწყვიტეთ, თითოეული უბის წიგნაკის ტექსტი დაგვეყო „ჩანაწერებად“ (აქ შევა როგორც კერძო ჩანაწერები, ისე ამონაწერები) და დაგვენომრა. საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ამ შემთხვევაში გამოგვეყენებინა ფართო ტერმინი „ჩანაწერი“ და არ დაგვეყო იგი ქვეკატეგორიებად – „კერძო ჩანაწერი“ და „ამონაწერი“, რადგან მათი ცალკე გამოყოფა და ასე ცალკე დანომრვა დაარღვევდა უბის წიგნაკის არქიტექტონიკაზე მკითხველის წარმოდგენას.

რთულად გადასაჭრელ ამოცანათაგან ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური უბის წიგნაკთა თავისუფალ არქიტექტონიკაში ტექსტთაშორისი ურთიერთმიმართებების დადგენა იყო. დავდექით მნიშვნელოვანი დილემის წინაშე – რა პრინციპი აგვერჩია ჩანაწერების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად, თემატური თუ დროითი. ერთსა და იმავე დროს შესრულებულ ჩანაწერებში ძალიან ხშირად გვხვდება თემატური მრავალფეროვნება. ამიტომ, თუ ჩანაწერის გამოყოფის პრინციპად თემატურ-შინაარსობრივ მხარეს ავირჩევდით, ეს გამოიწვევდა ერთი და იმავე დროის ჩანაწერის დანაწევრებას. დოკუმენტური ხასიათის ისეთ ტექსტებში, როგორებიცაა

პირადი წერილები და დღიურები, ძალიან ხშირად გვხვდება ამგვარი თემატური მრავალფეროვნება, მაგრამ ამის გამო მათ არ ვანაწევრებთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ არც უბის წიგნაკების თანადროული ჩანაწერები დაგვეშალა თემატური განსხვავებულობის გამო და ჩანაწერის გამოყოფის საფუძვლად აგვეჩია დროითი ფაქტორი. ერთდროულად შესრულებული ჩანაწერების იდენტიფიცირებას ვახდენდით საწერი საშუალების, ავტორისეული გრაფიკის, გვერდის არქიტექტონიკის, სტრიქონთა და გრაფემათა შორისი ინტერვალის ზომებისა და სხვა საშუალებების გათვალისწინებით, მაგრამ არა თემატიკითა და შინაარსით.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალფეროვანია ეს ჩანაწერები და როგორი რთულია მათი გამიჯვნა. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს. უბის წიგნაკის [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N57] ერთ კერძო ჩანაწერში, თემატური სიჭრელის თვალსაზრისით, საგულისხმო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. აქ ტექნიკურად მსგავს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთ პერიოდში შესრულებულ ხუთ ისეთ ჩანაწერს ვხვდებით, რომლებიც შინაარსობრივად სრულებით განსხვავდება ერთმანეთისაგან – პირველი წინადადება ეხება ქარხანას, რომელიც აწარმოებს გალვანიზებული, თუთიით დაფარული რკინის ნაწარმს, მეორე – წიგნს „მარქსიზმიდან იდეალიზმისკენ“, მესამე – თოჯინას, რომელიც იცინის, მღერის, სძინავს და საუბრობს, მეოთხე – ექიმ ობერმაიერის სამკურნალო საპონს, ხოლო მეხუთე – ყინულის მოსამზადებელ აპარატს და თითოეულთან მითითებულია მისამართები. ასეთი თემატური მრავალფეროვნების მიუხედავად, ეს ტექსტი აკადემიურ გამოცემაში შევა ერთ ჩანაწერად. ჩვენი აზრით, გრაფიკული მსგავსების გარდა, მათ აერთიანებს „სიახლე“. ყინულის აპარატთან მითითებულის კი არის „ახალ გამოგონებათა საწყობი“. მწერალი დაინტერესებულა თითოეული ამ სიახლით: თუთიით დაფარული რკინის ნაწარმით, ახალგამოცემული წიგნით, თოჯინით, რომლის მოდერნიზებულმა მოდელმაც, როგორც ჩანს, გააკვირვა ილია ჭავჭავაძე და რომლის შემენაც, შესაძლოა, რომელიმე ახლობლის ბავშვისთვის ჩაიფიქრა, ცნობილი გერმანელი ექიმისა და მიკრობიოლოგის – ოტო ჰუგო ფრანც ობერმაიერის მიერ დამზადებული ტიფის საწინააღმდეგო საპნით, რომელიც დაავადების პრევენციისთვის თეთრეულის გასარეცხად გამოიყენებოდა და ასევე ყინულის მოსამზადებელი აპარატით.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძის შესახებ იგონებს, რომ „როგორც კი ამოიკითხავდა გაზეთში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოიწერდა“ [თაყაიშვილი, 1952, 15]. მართლაც, ცნობილია, რომ ის ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, ვინც შეიძინა მექანიკური სამკალი და სალეწი მანქანები, ელექტრო ინკუბატორი და სხვ., მაგრამ ზემოთ განხილული ჩანაწერი მოწმობს, რომ მისი ინტერესი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღებით არ შემოიფარგლებოდა. მას აინტერესებდა ყოველგვარი ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური სიახლე. ეს კიდევ ერთი ფაქტორია ამ მრავალფეროვანი ტექსტის ერთ „ჩანაწერად“ მიჩნევისთვის.

„ჩანაწერის“ ფარგლების დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო ის შემთხვევა [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N60], რომელშიც თემატურად განსხვავებული ერთი ტექსტი აშკარად შეჭრილი ჩანდა მეორეში. უფრო ვრცელი ტექსტის პირველი ორი მუხლი შესრულებულია შავი მელნით და ეხება სამშენებლო და სამეურნეო მასალებს (მათ შორისაა: ალიზი, კუპრი, საღებავი, ნავთი და სკიპიდარი). მას მოჰყვება იმავე მელნით შესრულებული მოკლე კერძო ჩანაწერი სულ სხვა თემაზე - კონკრეტული პიროვნების თხოვნაზე დასაქმებასთან დაკავშირებით, შემდეგ სხვა საწერი საშუალებით – ფანქრით დამატებულია ტექსტი ისევ სამშენებლო მასალაზე. საგულისხმოა, რომ ამავე ფანქრით არის დანომრილი პირველი, მეორე და მესამე მუხლები არაბული ციფრებით, რაც ცალსახად მიგვანიშნებს ავტორის მიერ მათ გაერთიანებაზე (იხ.: დანართი N17).

მასალის ორგანიზების ამოსავალ პრინციპად თემატურ-შინაარსობრივი მხარე რომ აგვერჩია, სამ პუნქტად წარმოდგენილი სამშენებლო და სამეურნეო მასალის შესახებ ჩანიშნული ტექსტები ცალკე ჩანაწერად უნდა გამოგვექვეყნებინა და თემატურად განსხვავებული პასაჟი ვინმე იოსებ ყარამანის მე ზაალოვის დასაქმებაზე – ცალკე, მაგრამ ამ გზით აშკარად დავარღვევდით ქრონოლოგიას, რადგან ფრაზა დასაქმების შესახებ სივრცითი თვალსაზრისით უფრო ახლოს არის პირველი თემის პირველ ორ მუხლთან და თან იმავე საწერი საშუალებით – ლურჯი მელნით არის შესრულებული. მეორე მხრივ, თუ ჩვენ ორიენტაციას მხოლოდ საწერ საშუალებაზე ავიღებდით, იძულებულები ვიქნებოდით, რომ მესამე მუხლად წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც სხვა საწერი საშუალებით – ფანქრით არის

შესრულებული და რომელიც საერთო ნუმერაციით თავად ავტორმა გააერთიანა პირველი თემის პირველ ორ მუხლთან – ერთმანეთისგან განგვეცალკევებინა. შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილება იყო, ჩანაწერის ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებო კვლევის საფუძველზე დაგვედგინა და არა ერთი რომელიმე კრიტერიუმით. ზოგადად, ტექსტოლოგიაში ხშირად ვაწყდებით არაორდინალურ სიტუაციას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება შემოქმედებითი მიდგომა.

ერთ უბის წიგნაკში [კკსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N58] სხვადასხვა ადგილას – წინა მხრიდან მესამე-მეოთხე და უკანა მხრიდან პირველ-მეორე გვერდებზე ვხვდებით ინფორმაციას ილია ჭავჭავაძის მარანში შენახულ ღვინოებზე, ჭურჭლის მოცულობისა და ადგილმდებარეობის მითითებით (იხ.: დანართი N18). სხვადასხვა ადგილას ჩაწერილი ამ ტექსტების ერთიანობაზე მკაფიოდ მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ტექსტებს ჩამონათვალის სახე აქვს და ერთი პასაჟის აღმავალ ნუმერაციას მეორე აგრძელებს. მასალის განთავსების არეალი მზარდი თანმიმდევრობით ასეთია: ნომრები 1-2 ჩაწერილია უკანა მხრიდან პირველ რექტოზე, ნომრები 3-8 იმავე მხრიდან მეორე ვერსოზე, ნომრები 9-12 – წაღმა მხრიდან მე-3 რექტოზე და ნომერი 13 – იქვე, მე-4 ვერსოზე. რამდენადაც ჩანაწერი იწყება უბის წიგნაკის უკანა მხრიდან და შემდეგ გრძელდება წაღმიდან, თან ჩაწერილია გვერდების მხოლოდ ქვედა ნაწილებზე, იმავე გვერდების ზედა ნაწილებში კი სხვა ტექსტებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ ამ ტექსტისთვის არა „მოქმედი“ უბის წიგნაკის, არამედ უკვე დასრულებულის ცარიელი ადგილები გამოიყენა. ასე დანაწევრებული, მაგრამ უდავოდ ერთიანი ჩანაწერის ფარგლების დადგენა აკადემიური გამოცემისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და მკვლევარს აუცილებლად სჭირდება ამ კუთხით საგანგებო დაკვირვება. როგორც ზემოთ მოხმობილი მაგალითიდან ჩანს, ავტორის მიერვე გაერთიანებული ჩანაწერი სხვადასხვა საწერი საშუალებითაც შეიძლება იყოს შესრულებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სხვა შემთხვევებში ჩანაწერთა დიფერენცირების შესაძლებლობას საწერი საშუალების მიხედვით.

ნებისმიერი საზოგადო მოღვაწის პირად არქივში შეიძლება შეგვხვდეს არა მხოლოდ მისი ავტოგრაფები (მისი ხელით დაწერილი მისეული ნააზრევი), არამედ

მის მიერ გადაწერილი სხვათა ტექსტებიც, რომელთა ერთ ნაწილს ეტყობა კიდევ გადაწერის ჩარევის კვალი. მართალია, ილია ჭავჭავაძის არქივში დაცული ასეთი ტექსტები არ ეკუთვნის მას (ის არ არის მათი ავტორი), მაგრამ აღბეჭდილია მისეული ინტერესით.

რამდენადაც მწერლის ინტერესთა სფერო მეტად მრავალფეროვანი იყო და თავის სტატიებში არაერთ მნიშვნელოვან თემას ეხებოდა, ბუნებრივია, რომ სჭირდებოდა დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან. ვფიქრობთ, მისი ამონაწერების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ილია ჭავჭავაძის ორ საარქივო ერთეულში [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N208, 209], რომლებიც სრულად ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-19 ტომში, დაცულია მისი ხელით შესრულებული ამონაწერები სხვა ავტორთა სხვადასხვა ნაშრომიდან. ზოგან ასეთი ტიპის მასალას ახლავს თავად ილია ჭავჭავაძის შენიშვნები და მითითებებიც. ასეთ შემთხვევებში ტექსტი ხშირად ორ სვეტად არის წარმოდგენილი და მასალის ორგანიზების რამდენიმე პრინციპია გამოყენებული:

ამონაწერთან მიწერილია ინფორმაცია ავტორის, ავტორების, ავტორისა და წყაროს და / ან ნაშრომის სათაურის შესახებ: „Книга Уорда“; „Марксь – Энгельсь Русское богатство №9 (12)“; „Бельтовъ, К вопросу о развитіи монистическаго взгляда на историю. 1895 г.; 1899 г. Бюхеръ Карль: происхождение народнаго хозяйства перев. Булгакова, изд. 1897 г.“; „Густавъ Шмоллеръ: "Наука о народномъ хозяйствѣ, ея предметъ и методъ"“;

მითითებულია ტექსტის როგორც ავტორი და ორიგინალური დასახელება, ისე მისი თარგმანის წყარო „Бернштейнъ: „Die Voraussetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socilademokratie“ (Stuttgart, 1989 г. Смотри „Вѣстникъ Европы“ за декабрь 1899 г. стр. 635“);

მითითებულია ამონარიდის თემატური რაობა: „Влияніе капитала“;

ასევე ამონაწერის ხასიათი: „Общія“;

წინ პატარა ვარსკვლავით არის გამოყოფილი ერთ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები: „\*Спенсеръ говоритъ; \*По мнѣнію Струве;

\*Бельтовъ не избѣгъ такого же противоречія себѣ; \* по мнѣнію Конта; \* Профессоръ философіи Жоресъ, критикуя да а. შ.“;

წარმოდგენილია თეორიული მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ისინი ავტორს რაიმე კონკრეტული სტატიის დასაწერად კი არა აქვს თავმოყრილი, არამედ მის ინტერესთა სფეროს დაემთხვა და ამიტომ ჩაინიშნა.

ცალკეულ შემთხვევებში ილია ჭავჭავაძეს ამოწერილი აქვს არა სრული, გაბმული ტექსტები, არამედ ფრაგმენტები. არის შემთხვევები, როდესაც ის ზუსტად კი არ იწერს ტექსტს, არამედ მცირეოდენი ცვლილებებით. თითოეულ ასეთ შემთხვევაში ჩავატარეთ კვლევა და ტექსტს დავურთეთ სათანადო შენიშვნები. ამონაწერების რაობის განსაზღვრას ართულებს ის, რომ ზოგჯერ რთული დასადგენია, რომელია ციტატა და რომელი – პერიფრაზი, ორად გაყოფილ სვეტებში მარჯვენა და მარცხენა ნაწილები რა მიმართებაშია ერთმანეთთან და ა. შ.

როგორც წესი, სვეტებში პარალელურად შეტანილი ტექსტები კონკრეტული თვალსაზრისით უნდა მიესადაგებოდეს ერთმანეთს – ავსებდეს, ადასტურებდეს, ეწინააღმდეგებოდეს და ა. შ. ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად გავარკვიეთ და წარმოვადგინეთ კომენტარებში. ბევრად უფრო მარტივად არის საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მარჯვნივ მიწერილი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, სავსებით ნათელია მისი ფუნქცია. მაგალითად, როდესაც მიწერილია, რომ ამასთან დაკავშირებით დამატებით ნახოს უნდა კონკრეტული გვერდები და მოცემულია მათი ჩამონათვალი ან აღნიშნულია, რომ შეადაროს ეს სხვა კონკრეტულ პუნქტებს და ა. შ. (იხ.: დანართი N19).

ზოგ შემთხვევაში ავტორს მოჰყავს მისთვის საჭირო მოსაზრების პერიფრაზი შესაბამისი გვერდის მითითებით. გვხვდება ისეთი მონაკვეთებიც, რომლებშიც ავტორისეული კომენტარი უშუალოდ ამონარიდის ტექსტებშივეა ჩართული. ზოგან ილია ჭავჭავაძე იმასაც მიაწინებებს, რომ ეს მისი შენიშვნაა (იხ.: დანართი N20).

რამდენადაც აკადემიურ გამოცემაში ასე რთულად სტრუქტურირებულ მასალას ქაოსურად ვერ შევიტანდით და რაღაც პრინციპი უნდა შეგვემუშავებინა, ტექსტების ერთმანეთისაგან გასარჩევად და მათი სისტემატიზაციისთვის გადავწყვიტეთ, შინაარსობრივად დაკავშირებული ერთი და იმავე წყაროდან

ამოწერილი მასალა, რომელიც ხელნაწერში ერთმანეთის მიყოლებით იყო განთავსებული, ტომში ერთ ერთეულად დაგვებეჭდა, სათაურად მიგვეცა „ამონაწერები (წიგნის დასახელება) წიგნიდან“, „ამონაწერები (ჟურნალის დასახელება) ჟურნალიდან“ და სხვ. და თვით „ამონაწერები“ დაგვენომრა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამონაწერები სხვადასხვა წიგნიდან და ჟურნალიდან იყო ამოღებული, რომელთაგან ზოგიერთის წყარო არც იყო მითითებული, ერთეულს სათაურად ვარქმევდით: „ამონაწერები სხვადასხვა წყაროდან“, შიდა ერთეულებს კი, იმის მიხედვით, წყარო მითითებული ჰქონდა თუ არა, ნუმერაციის ერთიან რიგში ვათავსებდით და რომელსაც წყარო ან რაიმე სახის სათაური ჰქონდა, ნომრის შემდეგ ვუთითებდით. ყველა ტიპის მასალის საერთო ნუმერაციაში მოქცევა იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ ტექსტების სისტემატიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ერთი პრინციპის გამოყენება. მაგალითად, „ამონაწერი N1“, „ამონაწერი N2“ და ა. შ., სათაურიანები კი ასე: „ამონაწერი N3, წიგნიდან „მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ, მისი საგანი და მეთოდი (გუსტავ შმოლერი)“; „ამონაწერი N4, ჟურნალიდან „Вестникъ Европы“, 1899 წლის დეკემბერი, გვ. 635“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ ამონაწერს ახლავს ილია ჭავჭავაძის შენიშვნები. ბუნებრივია, რომ ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ, ასეთ მასალას ამონაწერის ნომრის შემდეგ დამატებით ახლავს ინფორმაცია ამის შესახებ და სრულად ასეთი სახე აქვს: „ამონაწერი N5, ილია ჭავჭავაძის შენიშვნებით“ და ა. შ.

ამონაწერები სხვათა ტექსტებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძეს ხშირად წარმოდგენილი აქვს ორ სვეტად. გადმოწერილი ტექსტის ძირითადი კორპუსი მარცხენა სვეტშია მოცემული, მარჯვენაში კი ჩაწერილია პარალელური ტექსტები ან შენიშვნები. როგორც ჩანს, მასალის ორ სვეტად წარმოდგენა მწერლისთვის იმდენად მოსახერხებელი იყო, რომ მას იშვიათად არღვევდა. ზოგან რამდენიმე გვერდზე მხოლოდ მარცხენა სვეტია შევსებული, მაგრამ მწერალი ამ პრინციპს მაინც მისდევს და მარჯვენა სვეტში არ აგრძელებს წერას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს მასალა ტომში ზუსტად ასევე, ორ სვეტად შეგვეტანა.

რამდენადაც ამონაწერებს ხშირად ახლავს შენიშვნები, რომლებიც ან ცალკე სვეტშია გატანილი, ან გვერდის ველზე, ზოგ შემთხვევაში კი თვითონ ტექსტშივეა



ჩართული, ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, გამოქვეყნებულ მასალაში მკვეთრად გამოიხსულიყო სხვა ავტორების მასალა ილიასეულისგან. ვიფიქრეთ, რომ გრაფემის ზომის გაზრდა ან ფონტის შეცვლა იმდენად თვალშისაცემი არ იქნებოდა, რამდენადაც ილიასეული ჩანართების ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრა. ამიტომ ეს პრინციპი გავატარეთ ყველგან, სადაც გვექონდა შერეული (ილიასეული და სხვა ავტორების) ტექსტები. ვფიქრობთ, ილიასეული ტექსტების ასეთი ფორმით მიწოდება მკითხველისთვის უფრო იოლი აღსაქმელი იქნება (იხ.: დანართი N21).

ილია ჭავჭავაძის ამონაწერებში გვხვდება სხვადასხვა სემანტიკის მქონე სიტყვათა ფონეტიკურ მსგავსებაზე აგებული იუმორისტული „ბრძნული გამონათქვამები“: „ქართველი ქარიანია, თორემ „ქართ ველი“ აღარ ერქმევოდა“, „სულელი იმიტომ არის სულ ელი, რომ „სულ ელის“ და თითონ კი გულ ხელი დაუკრეფია“, „თავი რომ კარგი იყოს, „ავის“ ზმად აღარ იქნებოდა“, „ჭკვია სწორედ „ვია“! ამიტომაც არის დაწერილი ვაი ჭკვისაგან“, „ძნელია, რომ კაცმა ჩინი იშოვოს, რომ თვალში „ჩინი“ არ დაჰკარგოს“. „მაღლა წამსვლელი დაბლა უნდა იხრებოდეს“, „დიდთან თავლი პატარასთან ბალღამი დიდკაცობას ნიშნავს“, „უფროსი რომ თავი არ იყოს, ხელქვევითებს საკუთარი თავები ესხმებოდათ“ და ა. შ... [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N207] (იხ.: დანართი №22).

საარქივო მასალიდან საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მიერ ამოწერილი კიდევ ორი სახის მასალა. პირველია აფორისტული თქმები: „ქილილა და დამანასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებიდან [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N206]. ეს მწერალს, სავარაუდოდ, 1886 წელს უნდა გაეკეთებინა, რადგან სწორედ ამ წელს გაზეთ „ივერიის“ ნომრებში აქვეყნებდა, შემდეგ კი 1887 წელს წიგნადაც გამოსცა [ჭავჭავაძე, 1887]. (იხ.: დანართი № 23).

ილია ჭავჭავაძეს ბევრი უმუშავია ქართულ-რუსული ბიბლიური ლექსიკონის შედგენაზეც, რისთვისაც ამოუკრებია ლექსიკურ ერთეულთა შესატყვისები საუკეთესო ქართული და რუსული თარგმანებიდან. ამონაწერებთან მითითებული აქვს წყაროებიც. მასალა 8 გვერდს მოიცავს და დაუსრულებელია [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N204] (იხ.: დანართი №24). ბუნებრივია, ისიც სრულად დაიბეჭდება მწერლის თხზულებათა მე-19 ტომში.

ილია ჭავჭავაძე, როგორც იურიდიული განათლების მქონე და აქტიური საზოგადო მოღვაწე, საფუძვლიანად ერკვეოდა ქვეყანაში მოქმედ კანონებში და მონაწილეობდა კიდევ არაერთი ახლი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნაში. დასტურდება, რომ 1864 წელს, პეტერბურგიდან ახალდაბრუნებულმა, სწორედ მან შეიმუშავა თბილისის გუბერნიის გლეხთა გათავისუფლების კანონპროექტში შესატანი ცვლილებები 80 მუხლად [ჭავჭავაძე, 2018, 1061-1064] [ნინიძე, 2016, 102-105], 1875 წელს მან მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს დებულების 168-ე მუხლში ცვლილებების შეტანა [ჭავჭავაძე, 2018, 1064-1065], მან შეისწავლა სხვადასხვა ბანკის კანონმდებლობა და სამუშაო პრაქტიკა, რომ შეემუშავებინა სრულყოფილი წესდება და საკანონმდებლო აქტები თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისთვის.

ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტოვებდა თავის ინტერესთა სფეროში შემავალ ან ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვან არც ერთ ახალ საკანონმდებლო დოკუმენტს. რამდენადაც იგი კარგად იცნობდა იურისპრუდენციის საფუძვლებს და ჰქონდა არაჩვეულებრივი ლოგიკა, საკითხის განხილვამდე ფუნდამენტურად სწავლობდა ყველა წინაპირობას და სკრუპულოზურად განიხილავდა კანონის, წესდების შეთანხმებისა თუ სხვა ოფიციალური დოკუმენტის თითოეულ მუხლს, იგი ხშირად პოულობდა ისეთ ხარვეზებს, რომლებიც სხვებისთვის შეუმჩნეველი იყო.

ილია ჭავჭავაძის თხოვლებათა მე-19 ტომის „მინაწერების“ ნაწილში შევიდა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არაერთი ტექსტი. ერთ-ერთი მათგანია „Проектъ хизанскаго положенія“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N200], რომელიც სრულიად განსხვავებული ხელით არის თეთრად გადაწერილი და მასში ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილია ისეთი არსებითი ცვლილებები, რომ მწერალი ცალსახად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ დებულების პროექტის თანაავტორად. გარდა იმისა, რომ კანონპროექტის ველებზე გაკეთებული მინაწერების ხელწერა (თითოეული გრაფემისა) სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძისას, პირველ გვერდზე დადებული რეზოლუციის მიხედვით, ტექსტი სტამბურად გამოქვეყნებამდე გადასახედად უნდა გადაგზავნოდა სწორედ მას („Набрать экстренно, на корректуру послать Князю Чавчавадзе – управляющему земельным банком“).

ხიზნების საქმეს ილია ჭავჭავაძემ ყურადღება მაშინვე მიაქცია, როგორც კი იმპერიის ხელისუფლებამ ხიზნებისა და მათი მეზატონების ტრადიციასა და დაუწერელ კანონებზე დამყარებული ურთიერთობების ოფიციალურ საკანონმდებლო სფეროში გადატანა გადაწყვიტა. ილია ჭავჭავაძის პირველი გამოხმაურება ამ თემისადმი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზე (ხიზნების საქმე საიდან უნდა დაწყებულიყო)“ [„დროება“, 1880, 1-2, №60]. ამ ნარკვევში ავტორი მიუთითებს ხელისუფლებას, რომ ვიდრე ხიზნების საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობას შეიმუშავებდნენ, აუცილებლად უნდა შეისწავლონ, რა ფენომენია და საიდან იღებს სათავეს „ხიზნობა“, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და როგორია ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები - რამდენი ხიზანია, რა ფართობი და რა სახის მიწები უკავიათ მათ და სხვ. მას ნიმუშად მოჰყავს რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, რომლებშიც ხიზნებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: იტალიაში „ლიველოდ“, პრუსიაში – „ებრახტად“, პორტუგალიაში – „აფორამენტოდ“, ჰოლანდიაში – „ბეკლემრეხტად“ და სხვ. და დასძენს, რომ გამართული კანონმდებლობის შესამუშავებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი გამოცდილების გაზიარება. როგორც ირკვევა, სახელმწიფოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პრესაში გამოქმულ ასეთ შენიშვნებს გარკვეული ყურადღება ექცეოდა, რადგან ილია ჭავჭავაძის 1886 წლის ნარკვევში, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა, მას ხიზნებთან დაკავშირებით მოჰყავს დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ხელისუფლებას იმ დროისათვის უკვე მოპოვებული ჰქონდა.

რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი ხიზნების საქმესთან დაკავშირებით სამართლიანი კანონმდებლობის შემუშავება საქართველოსთვის და თავად ილია ჭავჭავაძისთვის? მართლაცდა, რა იყო ხიზნობა? როგორც ილია ჭავჭავაძე განმარტავს, თავადებს ჰქონდათ მიწები და უჭირდათ მუშახელი, იმ ადამიანებს კი, რომლებიც „ხიზნები“ გახდნენ, სჭირდებოდათ თავის რჩენა და, რადგან მიწა არ ჰქონდათ, რომ დაემუშავებინათ ან საცხოვრებელი აემუნებინათ, იმ პერიოდში კი აგრარულ ქვეყანაში სამუშაოს შოვნის სხვა ალტერნატივა არ არსებობდა, ხელს აძლევდათ მიწის მფლობელებთან ოჯახებიანად დასახლება იმ პირობით, რომ მათ

მიწას დაამუშავებდნენ და რეგულარულად მისცემდნენ „ღალას“. ასეთი გარიგება ოფიციალურად არ ფორმდებოდა, მაგრამ, ტრადიციისამებრ, შეთანხმება დროში შეზღუდული არ იყო. თუ ხიზანი გადაწყვეტდა წასვლას ან მიწის მეპატრონე მოსთხოვდა, რომ წასულიყო, ასეთი ვითარებისთვისაც არსებობდა დაუწერელი პირობები. პირველ შემთხვევაში ხიზანს უნდა გადაეხადა მებატონისთვის დამატებითი ანაზღაურება იმის გამო, რომ წასვლას აპირებდა და მეორე შემთხვევაში მებატონეს უნდა გადაეხადა ხიზნისთვის იმ შენობების საფასური, რომლებიც ხიზანმა ააშენა და სამომავლოდ მებატონეს რჩებოდა. იმის გამო, რომ დაწერილი კანონები არ არსებობდა ასეთი ურთიერთობების გასარკვევად, ადამიანთა დიდი ნაწილი კი მიდრეკილია, რომ საკუთარი ინტერესები სხვისაზე მაღლა დააყენოს, ხან ხიზანი ითხოვდა ტრადიციული პირობების მის სასარგებლოდ შეცვლას და ხან – მებატონე. ამიტომ ილია ჭავჭავაძე მიესალმებოდა ოფიციალური კანონმდებლობის სფეროში ამ ურთიერთობების გადატანას, მაგრამ სამართლიანობის ფარგლებში.

რუსულმა გაზეთმა „კავკაზმა“ გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ხიზნებთან დაკავშირებით და საკითხი ისე წარმოაჩინა, თითქოს იგი პრობლემებს ხელოვნურად ქმნიდა. მათი შეხედულებით, საკითხის გადაჭრა ძალიან მარტივად შეიძლებოდა – ყველა ხიზანს უნდა დაკანონებოდა ის მიწა, რომელზეც ის იმ პერიოდში ცხოვრობდა. ილია ჭავჭავაძემ 1886 წელს თავის ახალ, ვრცელ ნარკვევში სათაურით „ხიზნების საქმე“ [ჭავჭავაძე, 2007ა, 175] თვალნათლივ წარმოაჩინა „კავკაზის“ პოზიციის არასერიოზულობა. ეს იყო საკუთრების უფლების ხელყოფა და მისი დაკანონება მომავალში სავალალო ქაოსს გამოიწვევდა. მიწის ახალი მებატონეები აიყვანდნენ ახალ ხიზნებს, მერე მათ ჩამოერთმეოდათ ის მიწები და ასე გაგრძელდებოდა დაუსრულებლად. საგულისხმოა ისიც, რომ ხიზნების დიდი ნაწილი არაქართველი იყო და ეს საკითხი დემოგრაფიულ პრობლემასთანაც იკვეთებოდა. დგებოდა ის საშიშროება, რომელიც შემდეგ ნაწილობრივ რეალობად იქცა და რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა არაჩვეულებრივი სიცხადით დაგვანახა თავის რომანში „ჯაყოს ხიზნები“. ილია ჭავჭავაძე შორს იხედებოდა. ის ხვდებოდა, რომ არასწორი კანონების, რევოლუციური პროცესების განვითარებისა და ანარქიის პირობებში შეიძლებოდა, რომ ამჯერად ყოფილ გლეხებს დაეწყოთ თავადების

მიმართ სისასტიკის გამოჩენა და რომ „ხევისთავები“ შეიძლებოდა „ჯაყოს“ ხიზნებად ქცეულიყვნენ. სწორედ ამ გადასახედიდან უნდა დავინახოთ ზემოხსენებულ კანონპროექტში ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილი ყველა სწორება (იხ.: დანართი N25).

რატომ მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძე კანონმდებლობის შემუშავებაში ასე აქტიურად მაშინაც კი, როდესაც ეს მის ოფიციალურ მოვალეობებში არ შედიოდა? მას უყვარდა წესრიგი და სამართლიანობა და ამ ორის ერთმანეთთან მორიგების საუკეთესო გზა ადეკვატური კანონმდებლობის დამკვიდრებაა. მისთვის და, ზოგადად, ყველა კეთილსინდისიერი ადამიანისთვის იდეალური გარემო არის იქ, სადაც კანონმდებლობა აგებულია სამართლიანობის პრინციპებზე და კანონის დაცვა მორალური პრინციპების დარღვევისკენ არ გვიბიძგებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყანაში წესრიგის დამყარებას კანონმდებლობა უზრუნველყოფს, მაგრამ წესრიგი საჭიროა ადამიანურ ურთიერთობებშიც. რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს და პირად გამოცდილებასაც ეყრდნობოდა, მან იცოდა, რომ თუ ადამიანებს შორის დადებული საქმიანი შეთანხმება-გარიგება ოფიციალურად არ ფორმდება, ეს ხშირად იწვევს უთანხმოებას და დაპირისპირებას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სოციალ-დემოკრატები იმდენად აქეზებდნენ გლეხებს დაუმორჩილებლობისა და ძალადობისკენ, რომ ისინი ნებისმიერ რამეზე შეიძლებოდა ახირებოდნენ მეზატონეებს. ამის საუკეთესო მაგალითია თუნდაც ის შემთხვევა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს აღწერილი აქვს თავის სტატიაში „ნუთუ?“ [„ივერია“, 1905, 1-4, № 68]. იმის გამო, რომ მის მიწაზე მომუშავე გლეხები თავისთვის კარგ თივას ეზიდებოდნენ და მასთან ღალის სახით დამპალს გზავნიდნენ, მან მოითხოვა, მასთან გასაგზავნი თივა თავისი მოურავის თანდასწრებით დაეტვირთათ და, როდესაც ეს შეთანხმება არ გაითვალისწინეს და თივით დატვირთული ურმები უკან გააბრუნა, ეს იმხელა უსამართლობად ჩაუთვალეს, რომ ამის შესახებ გაზეთშიც დაწერეს [მოგზაური, 2005, 209-211, №13], არადა, საუბარი იყო თაღლითობის აღკვეთასა და შეთანხმების პირობების დაცვაზე და არა უფლებამოსილების გადაჭარბებაზე.

სწორედ იმიტომ, რომ დაქირავებულ ადამიანებთან ურთიერთობები დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო, ილია ჭავჭავაძემ შეადგინა შეთანხმების ფორმა, რომელსაც აცნობდა და ხელს აწერინებდა მის მიერ დაქირავებულებს. მწერლის არქივში დაცულია ამ ფორმის ვერსიები, რომელთა ნაწილიც შეუვსებელია, ნაწილი კი – შევსებული და დაქირავებულთა მხრიდან ხელმოწერილი. მართალია, ილია ჭავჭავაძის ხელით ნაწერი პირი არ შემორჩენილა, მაგრამ ამ სტანდარტიზებულ ფორმას სწორედ ის იყენებდა, შესაბამისად, ტექსტი მისი შედგენილია და, გადავწყვიტეთ, რომ მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში შევიდეს (იხ.: დანართი N26).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის მინაწერები შემორჩენილია მის პირად წიგნებზეც. ამიტომ ჩვენ მოგვიხდა მწერლის პირადი ბიბლიოთეკის შესწავლაც. რომელიც მოიცავს 426 ერთეულს (აქედან 41 ქართულ და დანარჩენ რუსულენოვან გამოცემას). გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში [ლასხიშვილი 1992, 71] წერს: „პატარა ოთახში, რომელშიაც ჩვენ შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დავინახე: წიგნები შკაფზე, წიგნები დიდ თაროზე და დიდი მაგიდა წიგნებით დატვირთული“. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგენლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მწერლის ბიბლიოთეკიდან წიგნების ნაწილი დაკარგულია, რადგან მიხეილ გედევანიშვილის გამოცემაში გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით, რომელზეც ასახულია ანდრეევის ქუჩაზე მწერლის სამუშაო ოთახი, კარადებში, სამუშაო მაგიდასა და წიგნის თაროებზე ბევრად მეტი წიგნი ჩანს, ვიდრე ჩვენამდე მოაღწია [იმნაძე, 1987, 16].

როგორც ილია ჭავჭავაძის თანამედროვეები იგონებენ, ის ბევრს კითხულობდა. ხშირად წიგნებზე ღამეებსაც ათენებდა. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, „გამოვიდოდა თუ არა რაიმე შესანიშნავი წიგნი პოლიტიკო-ეკონომიური, სოციალური, გინდ ისტორიული, პირველი ის იყიდდა, გადაიკითხავდა, „გამოშიგნავდა“ (მისი საყვარელი სიტყვა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვებს“ [მგალობლიშვილი, 1938, 145]. როგორც ჩანს, სიტყვაში „გამოშიგნავდა“ მემუარების ავტორი გულისხმობდა იმას, რომ ილია ჭავჭავაძე მისთვის განსაკუთრებით საინტერესო წიგნებს არა უბრალოდ კითხულობდა, არამედ „ამუშავებდა“, აკეთებდა მინაწერებსა და ამონაწერებს საინტერესო თემებისა და პარალელების მითითებით,

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის წიგნებს. ამ მოგონებათა რეალობა დასტურდება როგორც ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის შესწავლით, სადაც უხვად არის ასეთი ლიტერატურა, ისე უბის წიგნაკებიდან და ამონაწერებიდანაც, რომლებშიც პროცენტულად ყველაზე მაღალი წილი სწორედ ამ დარგის წიგნებზე მოდის.

ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნები დაჯგუფებულია შემდეგ განყოფილებებად: 1. ფილოსოფია; 2. პოლიტიკური ეკონომია, 3. სოციალური მეცნიერებები; 4. სამართალი, 5. ისტორია; 6. ბიოგრაფიები; 7. მხატვრული ლიტერატურა და სხვა... მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ყველაზე მეტი გამოცემა მხატვრული ლიტერატურის სფეროდანაა (118 ერთეული), სისტემატიზაციისას, კატალოგის აღმწერებს მნიშვნელობის მიხედვით პირველ ადგილებზე მოუთავსებიათ ფილოსოფია (32 ერთეული), ეკონომიკური მეცნიერებები (41 ერთეული), სოციალური მეცნიერებები (38 ერთეული) და ა. შ. [იმნაძე 1987, 21]. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან სხვადასხვა წიგნიდან მისი ამონაწერების თემატიკა არსებითად მიჰყვება სისტემატიზაციის ამ ხაზს.

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების დიდ ნაწილს ეტყობა მწერლის დაკვირვებული მუშაობის კვალი. ის „უბრალო“, ლურჯი და წითელი ფანქრით უსვამს ხაზს მისთვის საინტერესო ადგილებს (შესაძლოა, რომ თითოეულ ფერს განსხვავებული ფუნქცია ჰქონოდა), შემდეგ ამ მონაკვეთების გვერდებს ცალკე ამოწერს წიგნის ფორზაცზე, სარჩევის გასწვრივ ან რომელიმე თვალსაჩინო ადგილას. მისთვის საინტერესო თემები ხშირად სარჩევშიც არის ხაზგასმული.

ილია ჭავჭავაძეს თავის ამონაწერებში ხშირად მოჰყავს ამონარიდები თუ პერიფრაზები ჰერბერტ სპენსერის შრომებიდან. მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება სპენსერის ორი წიგნი – „Научные, политические и философские идеи“ და „Основания социологии“. პირველი წიგნის სარჩევიდან მას გაუხაზავს შემდეგი თავები: „პროგრესი, მისი კანონი და მიზეზი“, „მუსიკის წარმომავლობა და მოქმედება“, სარგებელი და სილამაზე“, „ცრემლისა და სიცილის თეორია“, „პირადი სილამაზე“ და ა. შ... ილია ჭავჭავაძის პირად არქივში დაცულ მისი ხელით

ამოწერილ სხვათა ტექსტებში ჰერბერტ სპენსერის გვარი ოთხჯერ ფიქსირდება, უბის წიგნაკში კი [კვსხეც, N56] მოხმობილია მისი შრომა ნეკროლატრიის (გარდაცვლილთა გაღმერთება) შესახებ.

ჰერბერტ სპენსერის შრომაში სამ ფრაზას ერთვის ილია ჭავჭავაძის ხელით შესრულებული ქართული შესატყვისები, მაგალითად: *умственным усилением* / გონებითი გარჯა (გვ. 62); *Если есть выгода в том, чтобы выразить мысль в наименьшем числе слов, ...то и лишние слоги делают то же* / გარემოებანი, გარემოებები (64); *...кажется, вырвзительнее сказать: it is magnificent (это великолепно), нежели it is grand (это велико)* / დიდი-დიდებული, ზვადი-გაზვადებული, ამაყი-გაამაყებული [Спенсер, 1866, 62, 64, 65, ].

ამ სახის მინაწერებს ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს. მაგალითად, ლესტერ უორდის წიგნში გვხვდება ტერმინის ქართულად თარგმნის მაგალითი: „Умоэрительный гений“ – „ჭკუით-მხედველობა“ [Уорд, 1897, 248] მაკლეოდის წიგნში [Маклеод, 1865, 22, 23, 24] კი მოცემულია განმარტებები: *меновая ценность* – ალებ-მიცემობის ღირებულება, *ценность возвысилась* – ფასმა აიწია; *долг* – ვახში, ვალი როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმების დანერგვასთან ერთად, მისი შესაბამისი ტერმინოლოგიის დამკვიდრებასაც ცდილობდა. ამ ტერმინებს ვხვდებით მის ამონაწერებშიც: „Цѣнностью ея разумѣю мѣновую цѣнность, под деньгами орудіе обмѣна, а не капиталъ, передаваемый изъ рукъ въ руки посредствомъ этого орудія“ [კვსხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N208].

კითხვისას ილია ჭავჭავაძე ხშირად რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულ შესატყვისებს აქცევს ყურადღებას. მაგალითად, ედუარდ ტეილორის წიგნში „Первобытная культура (развития мифологии, философии, религии, искусства и овичаев“ შესაბამისი რუსული ფრაზებისთვის ასეთი პარალელები მოუძებნია: *вылезать из кожи* / თავის ქურქში არა დგება, *со сковороды да в огонь* / ვაის გავექეცი და ვუის შევეყარეო [Тейлор, 1872, 80, 83].

თემის თუ განწყობის მისათითებლად მრავალგზის გვხვდება თითოსიტყვიანი მინაწერები: მაგალითად, გეორგ ჰეგელის წიგნის [Гегель, 1847, 1] პირველი გვერდის ამიაზე – „*мыоფიერება*“, ლესტერ უორდის წიგნის [Уорд, 1897, 25] 25-ე გვერდზე –



„ჩვენებური ხელით ჭამა“, ოსკარ პეშელის წიგნის [Пешель, 1890, 252, 269, 273, 359, 361, 370, 521] სხვადასხვა ადგილზე კი – „არახჩინით თავის შეკვრა“, „ყორული“, „დამძლია“; „ქადაგი“; „ДУЭЛЬ“; „უღვთობა“; „ივერია-ევერა“ და ა. შ.; ხშირია შემთხვევა, როდესაც მწერალი ცდილობს, რუსულ ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს დაუკავშიროს ქართული ტოპონიმები. მაგალითად, პეშელის წიგნის სქოლიოს ადგილას სვამს კითხვას, „კალოუბანი“ ხომ არ უკავშირდება ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს - святой Колумбан, ან Киликия – ქიზიყს. ეს უბრალო ასოციაციები და ვარაუდებია, რომლებიც მწერალს, როგორც ჩანს, იმდენად საფუძვლიანად არ მოსჩვენებია, რომ თავის ნარკვევებში შეეტანა.

ედუარდ პეტრის „ანთროპოლოგიაზე“ [Петри, 1980, 129, 131, 133, 316, 320] რამდენიმე ადგილას აქვს მიწერილი: „საქოლავი“, „შვილების კვლა ევროპაში“, „კაცისმჭამელობა“, „სისხლის სმა“, „თავისა და ხელის მოჭრა მტრისა ერთისა და იმავე აზრის არ არის?“ და ა. შ. არაერთი მინაწერი აქვს აგრეთვე ედუარდ ტეილორის წიგნის – „ანთროპოლოგიის“ აშიებზე. ეს მინიშნებები ილიას გამოყენებული აქვს თავის ვრცელ ნარკვევში – „ქვათა ღაღადი“.

მწერლისთვის ასევე დამახასიათებელია წიგნებზე კრიტიკული შენიშვნების მიწერა. გაბრიელ ტარდის წიგნის [Тард, 1899, 75] – „პოლიტიკური ეკონომიის რეფორმა“ ერთ გვერდზე მიუწერია კრიტიკული შეკითხვა: „Какими методами...“, ფრიდრიხ შლოსერის „მსოფლიო ისტორიის“ იმ გვერდზე კი, სადაც წერია „лазов или Колхиды“, ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „Как будто это не одно“ [Шлоссер, 1869, 269, 361]. წიგნის იმ ადგილას, სადაც წერია: „Итальянец Гвидо Аррецо, который изобрел в XI веке так называемые сольфеджии и ввел в Европу систему нот и линии, вместо употреблявшихся до той поры букв...“, ილია ჭავჭავაძე ურთავს კომენტარს: „интересно в таком случае, откуда грузинские ноты X века?“

გეორგ ბრანდესის წიგნიდან [Брандес, 1881, 36მ 60, 69] „Главные течения в европейской литературе 19 в.“ მწერალს არაერთი ადგილი დაუკავშირებია ქართულ სინამდვილესთან. იქ, სადაც დახასიათებულია ეტიენ დე სენანკურის გმირი ობერმანი, მას მიუწერია: „მიტკა“ (ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანის აზრით, იგულისხმება დიმიტრი ყაზბეგი, პერსონაჟისა და რეალური ადამიანის ხასიათებს შორის მკაფიო მსგავსების გამო), ბენჟამენ კონსტანის ელეონორასთან კი –

„თინათინი“. ასევე იქ, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათები ემსგავსება ევროპული ლიტერატურის გმირებისას, პერსონაჟების სახელები მიუნიშნებია.

ილია ჭავჭავაძე შოთა რუსთაველის სახელს ეკერმანის მიერ შეგროვილ გოეთეს გამონათქვამების შესახებ გამოცემულ წიგნშიც [Гете, 1891, 273] ახსენებს. გოეთეს მოსაზრებასთან – „Овладеть надлежащим образом своим сюжетом, сдерживать себя и сосредоточиться только на вполне необходимом, – все это требует сил поэтического гиганта и труднее, чем думают“, – ილია ჭავჭავაძეს მიუწერია: „Руста[вели]“ (ბოლო ასოები ჩამოჭრილია ამკინძავის მიერ).

ლუი ბერნეს თხზულებებში ილია ჭავჭავაძეს მონიშნული აქვს ათეულობით ადგილი და ასევე გვხვდება საყურადღებო მინაწერები [Бёрне, 1869, 65, 116]: 65-ე გვერდზე – „Прекрасно“, ხოლო იმ ადგილის აშიაზე, სადაც მშობლიური ენის მნიშვნელობაზეა საუბარი, თავისი თანამედროვე გარუსებული ქართველებისათვის საგულისხმო შემდეგი ტექსტი მიუწერია: „Вникните в смысл этого монолога вы, отступники от родного языка“. ლუი ბერნეს თხზულებების ტომები განსაკუთრებით დატვირთულია მინაწერებით. პირველი ტომის 165-ე გვერდზე მწერალს ჩაუწერია: „ჩემთვის საჭიროა ბეთჰოვენის სიმფონიები“.

ერთ საინტერესო შენიშვნას ვხვდებით ზურაბ ავალიშვილის წიგნის – „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ სქოლიოში, სადაც ავტორს პაპუნა ორბელიანის ქრონიკები ფრანგულად აქვს მითითებული („Chronique de Papuna Orbeliani §261“), ილია ჭავჭავაძეს მიუწერია: „რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულიდამ იღებს“ [Авалов, 1901, 77] (იხ.: დანართი N27).

როგორც ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაზე მომუშავე სპეციალისტები (თ. მაჭავარიანი, ე. იმნაძე, გ. რამიშვილი) მიუთითებენ, მწერლის პირად საკუთრებაში არსებულ სამ წიგნში ჩარჩენილა მისი ავტოგრაფები სხვადასხვა პუბლიცისტური თხზულების ფრაგმენტით: ჯონ ლებოკის წიგნში „ცივილიზაციის დასაწყისი“ მწერალს დაუტოვებია ფრაგმენტი წერილიდან „აი, ისტორია“, ფრიდრიხ შლოსერის „მსოფლიო ისტორიის“ მე-5 ტომში – ნაწყვეტი წერილიდან „ირლანდია და ინგლისი“, ედუარდ ტეილორის „ანთროპოლოგიაში“ კი – მისთვის საინტერესო ტერმინის – „сожжение“ – შესახებ სხვა ავტორების (ლებოკის, ტეილორის, კორმის, სპენსერის, კარერის) მოსაზრებები. მინაწერებისა და მონიშვნების თვალსაზრისით,

ყველაზე მეტად არის დატვირთული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სამართლის, ისტორიისა და ლიტერატურის ბლოკები.

ზემოთ განხილული მინაწერების შეტანა მწერლის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემაში დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდის კონკრეტული წიგნებისა და საკითხებისადმი მწერლის დამოკიდებულებისა და მისი მუშაობის სტილის შესახებ. ეს მასალა ტომის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი იქნება იმ დოკუმენტისა თუ წიგნის სათაურის მითითებით, რომელზეც არის მიწერილი, მაგალითად, „მინაწერები ხიზანთა მდგომარეობის შესახებ პროექტის ხელნაწერ ტექსტზე“, „მინაწერები წიგნზე „Всемирная история (ფრიდრიხ შლოსერი)“ და სხვ. რაც შეეხება ცალკეულ მინაწერებს, ისინი, როგორც მცირეც უნდა იყოს, დავნომრავთ: „მინაწერი 1“, „მინაწერი 2“ და სხვ. და სამეცნიერო აპარატში მივუთითებთ, მოცემული დოკუმენტისა თუ წიგნის რა ადგილას ან რა პასაჟთან არის შესრულებული.

## დასკვნა

ილია ჭავჭავაძის უდიდესი ღვაწლის გამო ჩვენთვის ძვირფასია წერილობითი სახით შემორჩენილი მისი თითოეული სიტყვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის დღემდე უცნობი მისი ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები და ჩანაწერებიც, რომელთა კვლევასაც ისახავდა მიზნად წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ყველაზე სრულ კრებულში, რომელიც ოც ტომად იბეჭდება, პუბლიცისტურ ნაწერებთან ერთად შეტანილია სხვადასხვა თავყრილობაზე მწერლის მიერ წარმოთქმული ვრცელი სიტყვებიც, მაგრამ ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები არც ერთ ტომში არ შედის და მათი გამოცემა გათვალისწინებული არც ყოფილა. მათგან განსხვავებით, წინასწარვე იყო დაგეგმილი, რომ გამოცემის მე-19 ტომში უნდა გამოქვეყნებულიყო მწერლის არქივში დაცული სხვადასხვა სახის ჩანაწერები. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა: ლამარა გვარამაძემ და ლამარა შავგულიძემ მოამზადეს უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების ტექსტები, მაგრამ იმის გამო, რომ სამუშაო შესრულდა 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც გამოცემის ტირაჟი 80 ათასი ეგზემპლარი იყო და ის ითავსებდა პოპულარული გამოცემის ფუნქციასაც, რედკოლეგიის საგამომცემლო კონცეფცია მთლიანად არ იყო აკადემიურ პრინციპებზე ორიენტირებული: არ არსებობდა ამ სპეციფიკური მასალის მკითხველისთვის მიწოდების სტრატეგია; რუსული მასალა მზადდებოდა არა ძველსლავური მართლწერით, როგორც თვითონ ხელნაწერებშია, არამედ თანამედროვე რუსული ორთოგრაფიით; ერთსა და იმავე უბის წიგნაკებში შემავალი რუსული და ქართული ჩანაწერების გამოქვეყნება იგეგმებოდა ცალ-ცალკე და სხვ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა უსაზღვროდ გაზარდა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობები, 30 წლის წინ მომზადებულ სამეცნიერო აპარატსაც, ბუნებრივია, დასჭირდებოდა საფუძვლიანი განახლება. შესაბამისად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა იყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-19 ტომში შესატანად უკვე მომზადებული მასალის სრულყოფა და მისთვის ისეთი ახალი ტექსტების (ფრაგმენტული ზეპირი

გამოსვლები) დამატება, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ღვაწლის სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ტექსტები იბეჭდებოდა მე-19 საუკუნის გაზეთებში მათი წარმოთქმიდან მომდევნო დღეებშივე. ისინი ჩართულია სხვადასხვა საზოგადოების სხდომათა ანგარიშებსა და რეპორტაჟებში და შემორჩენილია მხოლოდ ბეჭდური სახით, კერძო ჩანაწერებმა და ამონაწერებმა კი ჩვენამდე მხოლოდ ხელნაწერის სახით მოაღწია. სადისერტაციო კვლევა ეხებოდა ილია ჭავჭავაძის ამ ორ, რადიკალურად განსხვავებულ ინტელექტუალურ პროდუქტს: ერთი მხრივ, მწერლის ზეპირ გამოსვლებს, როგორც საჯარო და სამოქალაქო აქტივობის ამსახველ მასალას და, მეორე მხრივ, მის კერძო ხასიათის ჩანაწერებს, როგორც მხოლოდ პირადი საჭიროებისთვის განკუთვნილ, არასაპუბლიკაციო ტექსტებს.

პრესაში ილია ჭავჭავაძის გამოსვლები პერიფრაზის ან მოკლე ანოტაციის სახითაც იბეჭდებოდა, მაგრამ გამოსაქვეყნებლად შევარჩიეთ მხოლოდ ისეთები, რომლებშიც გამოყენებული იყო პირდაპირი ციტირების ფორმა. ბუნებრივია, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს პუბლიკაციები მართლაც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ილია ჭავჭავაძის ნათქვამს, მაგრამ ვითვალისწინებთ, რომ მასალა მწერლის სიცოცხლეშივე ქვეყნდებოდა და არასწორი პუბლიკაციის შემთხვევებს ავტორი აუცილებლად გამოეხმაურებოდა. ბევრია ასეთი მაგალითი და ნაშრომშიც მოხმობილია რამდენიმე მათგანი.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ – რაკი რეპორტაჟები და მიმოხილვები გულისხმობს იმას, რომ მკითხველს გაუჩნდეს სხდომაზე დასწრების ეფექტი, ეს შესაძლებლობას გვაძლევდა, თვალი მიგვედევნებინა შეხვედრების ემოციური ტონალობისთვისაც, რაც უდავოდ საინტერესოა.

თუ სხვადასხვა სხდომაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული ვრცელი მოხსენებები ორატორული ხელოვნების ნიმუშებია, ფრაგმენტული სახის ზეპირ გამოსვლებში, მის ამ შესანიშნავ უნართან ერთად, ჩანს დებატების წარმართვის ხელოვნებაც. იგი იდეალურად ფლობდა ენობრივ ქსოვილს, ხმის ტემბრსა და მიმიკა-ჟესტიკულაციას. ყოველივე ეს კარგად ჩანს იმ მასალაშიც, რომელიც გავაანალიზეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები

მეცნიერთა კვლევის არეალში დღემდე არ მოქცეულა. შესაბამისად, ჩატარებული სამუშაო ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილად აღსაქმელად.

თანამედროვე მსოფლიოში მეტნაკლებად არსებობს კერძო ჩანაწერების გამოცემის პრაქტიკა, მაგრამ ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების გამოცემის პრეცედენტის მიკვლევა გაგვიჭირდა. შესაბამისად, თავად შევიმუშავეთ საგამომცემლო სტრატეგია და კონცეფცია.

იმის გამო, რომ განსახილველი ზეპირი გამოსვლები ჩართულია რეპორტაჟებსა და მიმოხილვებში, რომელთა მოცულობაც შეზღუდულია, გამომსვლელები და გამომსვლელთა მიერ მოხსენიებული პირები უმეტესწილად ინიციალებითა და გვარებით, ზოგჯერ კი მხოლოდ თანამდებობის ან საქმიანობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელით („თავმჯდომარე“, „წინა გამომსვლელი“, „რევიზორი“ და სხვ.), გვარის მიუთითებლად გვხვდებიან. კვლევების შედეგად მოვახერხეთ ამ პირთა იდენტიფიცირება და მათ შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება. რამდენადაც ტექსტში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დადგენა სამეცნიერო აპარატის კომენტარებსა და საძიებლებში ინფორმაციის შესატანად მწერლის თხოვლებათა აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნაა, შესაბამისად, ჩვენ მიერ გაწეული შრომა ძალზე მნიშვნელოვანია გამოსაცემი მე-19 ტომის მაღალი აკადემიური ხარისხისათვის.

ილია ჭავჭავაძის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების სათანადო კომენტარებით უზრუნველყოფა აუცილებელი საფეხური იყო იმისთვის, რომ გარემომცველი ტექსტებისგან იზოლირებული ფრაგმენტების არსი და კონტექსტი ნათელი გაგვეხადა მკითხველისთვის. ამასთან, კომენტარების ზღვრულად ზუსტი, რაციონალური სისტემა აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა და მაქსიმალურად ვცდილობდით მის დაცვას. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების ტექსტების სპეციფიკურმა ფორმატმა ზედმიწევნით ადაპტირებული საგამომცემლო კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. ამოსავალ პრინციპად მივიჩნიეთ ტექსტების ავთენტურობის მაქსიმალურად დაცვა და მისი ისეთი ფორმითა და ისეთი დამხმარე აპარატით მიწოდება მკითხველისათვის, როგორც უზრუნველყოფდა ამ მასალის სრულყოფილ აღქმას.

რამდენადაც ერთსა და იმავე სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები ძირითადად ერთ თემას უკავშირდებოდა, გადაწყვეტეთ, რომ გამოსაქვეყნებელ უმსხვილეს ერთეულად აგვერჩია კონკრეტული სხდომა და სათაურში მიგვითითებინა როგორც სხდომის რაობა (რომელი საზოგადოების სხდომა იყო), ისე ჩატარების თარიღი. თუ სხდომა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ცალკე ინდექსებად გამოვყავით ყველა ის დღე, როდესაც ილია ჭავჭავაძე ერთხელ მაინც გამოვიდა სიტყვით. ხოლო თითოეული დღის გამოსვლები გამოვყავით რუბრიკით „გამოსვლა“ და დავნომრეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

რამდენადაც საქმე ეხება მეტად სპეციფიკურ მასალას, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი მთლიანობის (სხდომის მსვლელობა) სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული ფრაგმენტებია, მათი ამ სახით მიწოდება მკითხველისთვის, დამხმარე სამეცნიერო აპარატის გარეშე, ტექსტების ადეკვატურ აღქმას შეუძლებელს გახდიდა. სწორედ ამიტომ აპარატში, „შენიშვნის“ ნაწილში, ვუთითებთ განსახილველ საკითხებს, რომლებსაც ეს სხდომა ეხებოდა, კომენტარებში კი განვმარტავთ ყველა იმ ფრაზას, რომელთა გაგებასაც სპეციალისტის მხრიდან მკითხველისთვის გარკვეული დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სჭირდება. ამ საგამომცემლო კონცეფციის საფუძველზე მომზადებული მასალა მკაცრად ორგანიზებული, სტრუქტურირებული და მკითხველისათვის იოლად აღსაქმელი იქნება.

ილია ჭავჭავაძის თხოულებათა მე-19 ტომში შესატან მეორე სახის მასალას, რომელიც მწერლის არქივშია დაცული, მოვიხსენიებთ ზოგადი სახელით – „ჩანაწერი“, რადგან თითოეული მათგანი (მისია, სხვისი თუ შერეული) ჩაწერილია ილია ჭავჭავაძის ხელით. „ჩანაწერის“ ქვეკატეგორიებად მოვიაზრებთ „კერძო ჩანაწერებს“, „ამონაწერებსა“ და „მინაწერებს“. ტერმინს „კერძო ჩანაწერი“ ვიყენებთ საკუთარ თავზე ორიენტირებული, ინტრაპერსონალური შინაარსის მასალასთან მიმართებით. კერძო ჩანაწერები გამოირჩევა მინიშნებითი ხასიათით და მწერალს ისინი გაკეთებული აქვს მის მიერ განსახორციელებელ ან უკვე განხორციელებულ აქტივობებზე მისანიშნებლად. ტერმინს „ამონაწერი“ ვიყენებთ სხვადასხვა წიგნიდან და პერიოდული გამოცემიდან ილია ჭავჭავაძის მიერ ამოწერილ მასალასთან დაკავშირებით, „მინაწერს“ კი – სხვა ავტორთა წიგნებსა და სხვისი ხელით ნაწერ ტექსტებზე მისგან მიწერილი შენიშვნების აღსანიშნად.

მწერლის ჩანაწერები, როგორც წერის მანერით, ისე ტექსტის ორგანიზებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებისა და თუნდაც წერილების ავტოგრაფებისაგან. აქ მწერალი ნაკლებად ფიქრობს ხელწერის დახვეწაზე, ტექსტის სტილურ გამართულობასა და მასალის ორგანიზების ესთეტიკურ მხარეზე. მათში წინ წამოწეულია საქმიანი, პრაქტიკული ასპექტი. რამდენადაც ეს არის ჟანრობრივად ჩამოუყალიბებელი, ხშირად ფრაგმენტული და დაუსრულებელი, დღემდე გამოუქვეყნებელი ტექსტები, რომლებსაც ვარიანტები არ მოეპოვება, მათი ამოკითხვა, სტრუქტურირება და გამოსაცემად მომზადება საკმაოდ დიდი და შრომატევადი საქმე იყო.

უბის წიგნაკების ჩანაწერებში ხშირად გაერთიანებულია და ნათლად ჩანს სხვადასხვა წარმომავლობის ასობით შემოქმედებითი თუ სამოქალაქო იმპულსი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი კლასიკოსის შესახებ არაერთი მონოგრაფია და გამოკვლევა დაწერილა, ამ სპეციფიკური წყაროების მონაცემები საგულისხმო სიახლე იქნება როგორც მისი პორტრეტის შესავსებად, ისე იმ გარემოს შესაფასებლად, რომელშიც მწერალს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ჩანაწერები არის პირველწყარო, ავთენტური მასალა, ე. წ. „დაწნეხილი“ მონაცემი, რომელიც შეიცავს შემდგომი გაფართოების დიდ პოტენციალს. მწერალი ამ ორბიტაზე შეუზღუდავად მართავს საკუთარ თავთან, ამიტომ ძალდაუტანებლად ქმნის საკუთარი ცხოვრების კონტურებს, აფასებს თავის უნარებსა და მისწრაფებებს, საზღვრავს სურვილებსა და შესაძლებლობებს. მკვლევარს სწორედ კერძო ჩანაწერების საშუალებით შეუძლია იმაზე დაკვირვება, რამდენად რეალიზებულია მოაზროვნე. ზოგიერთი კერძო ჩანაწერი მნიშვნელოვანია ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორიების რეკონსტრუქციისთვისაც, რადგან შიდა თუ გარე იმპულსები, რომლებიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ ტექსტის შექმნას, ხშირად ირეკლება ცალკეულ ჩანაწერში. უფრო მეტიც, კერძო ჩანაწერებში შეიძლება შეგვხვდეს ყველა ის ნიშნული, რომელიც ასახავს ჩანაფიქრის რეალიზების ეტაპებსაც.

კერძო ჩანაწერების ტექსტოლოგიური კვლევა გულისხმობდა: ტექსტის ამოკითხვას, სხვა ტექსტებთან მისი მიმართების განსაზღვრას, კომპოზიციური ლოგიკის დადგენას, ტექნიკური და ლინგვისტური მახასიათებლების



კანონზომიერებების განსაზღვრას, დათარიღებას, პირთა იდენტიფიკაციასა და შენიშვნებისა და კომენტარების მომზადებას; გამოცემათმცოდნეობითი კვლევა კი ითვალისწინებდა: ანალოგიური მასალის საგამომცემლო აკადემიური პრაქტიკის შესწავლასა და კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის ამ ტექსტების აკადემიურად გამოქვეყნებისთვის საგამომცემლო კონცეფციის შემუშავებას. რამდენადაც ეს მასალა უნდა დაიბეჭდოს მწერლის თხოულებათა ოცტომეულის მე-19 ტომში, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ არ დარღვეულიყო გამოცემის ზოგადი, ფუნდამენტური პრინციპები. მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მოგვიხდა მისი განსხვავებულად სტრუქტურირება, მაგრამ სამეცნიერო აპარატის ძირითადი ელემენტები იგივე დავტოვეთ და, რამდენადაც აკადემიური გამოცემის ბოლო ტომების გამოცემის მცირე ტირაჟი უკვე პროფესიონალ მკითხველს გულისხმობს და არა ფართო საზოგადოებას, შევეცადეთ, უფრო მკაცრად დაგვეცვა აკადემიური პრინციპები.

ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებისა და კერძო ჩანაწერების ჟანრობრივი ჩამოუყალიბებლობის გამო მათ შეგვიძლია მარგინალური მასალა ვუწოდოთ. ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მასობრივი ხასიათი მიიღო ნებისმიერი სახის წერილობითი მემკვიდრეობის გასაჯაროება-პუბლიკაციამ ბეჭდური გამოცემების სახით, სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გამოცემამ სპეციფიკური მეთოდებისა და პრაქტიკული მიდგომების შემუშავების საჭიროება შექმნა. ეპოქაში, როდესაც პრიორიტეტულია გახსნილობა-ღიაობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებში, აქტუალურია მუდმივად განვითარებადი გამოცემათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება და პირადი მონაცემების შემცველი ტექსტების პუბლიკაციის პერსპექტივებზე მსჯელობა.

დღესდღეობით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ტექსტის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მაღალი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე თუნდაც 10-15 წლის წინ. სწორედ ამიტომ, კვლევები წარმოებდა ხელნაწერი წყაროების მაღალი რეზოლუციის მქონე ციფრული ასლების გამოყენებით. საარქივო მასალაზე მუშაობის დაწყებამდე შევისწავლეთ მწერლის ხელწერა და შევადგინეთ მისთვის დამახასიათებელ გრაფემათა მოხაზულობების როგორც ტიპური, ისე ატიპური ცხრილები. დავადგინეთ მისი კალიგრაფიის ყველა

თავისებურება, რაც დაგვეხმარა არა მხოლოდ მისი ტექსტების ამოკითხვაში, არამედ მის უბის წიგნაკებში სხვადასხვა პირთა ხელით ჩაწერილი ტექსტების ამოცნობაშიც.

მართალია, ილია ჭავჭავაძის ხელწერა, ერთი შეხედვით, რთული არ ჩანს და მისი თეთრი ხელნაწერები უპრობლემოდ იკითხება, მაგრამ ტექსტის დახვეწაზე მუშაობის პროცესში ან კერძო ჩანაწერებსა და მინაწერებში ხშირად გვხვდება გაკრული ხელით ნაწერი, სიტყვათა შემოკლებები და მექანიკური შეცდომები, რაც, ბუნებრივია, პრობლემას გვიქმნის ტექსტის ამოკითხვისას. ასეთი რამ განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როცა საქმე ეხება პირადი დანიშნულების ტექსტებს, რომლებიც, მწერლის ვარაუდით, უცხო პირისთვის (რედაქტორი, გამომცემელი, მკითხველი), წესით, ხელმისაწვდომი არ უნდა ყოფილიყო.

შესაძლოა, მკვლევარი ზედმიწევნით კარგად იცნობდეს ამა თუ იმ ავტორის ხელწერის სპეციფიკას და საზღვრავდეს ასოთა ატიპური მოხაზულობის პერსპექტიულ ფარგლებსაც, მაგრამ ტექსტის ამოკითხვა მაინც გაუჭირდეს. ასეთ შემთხვევაში ვიყენებით ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის ბოლო საფეხურებს. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა კონტექსტური ანალიზის, ექსტრატექსტური კვლევისა და გამორიცხვის მეთოდების გამოყენება.

ხანგრძლივი და მრავალმხრივი კვლევა გახდა საჭირო ჩანაწერების დასათარიღებლად. ამ მიზნით ძირითადად ვიყენებით კორპუსული კვლევისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს, რის შედეგადაც დავათარიღეთ რამდენიმე ათეული კერძო ჩანაწერი და გავარკვიეთ კონკრეტული უბის წიგნაკების გამოყენების დროითი ინტერვალები. ბუნებრივია, ინფორმაციული ტიპის ტექსტის მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება კონკრეტულ დროსა ან დროის ინტერვალთან მისი დაკავშირების შემთხვევაში. შესაბამისად, ამ კვლევებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

პირად ჩანაწერებში ხშირად გვხვდება მოხსენიებულ პირთა სახელების არასწორად ან არასრულად ჩაწერის, ზოგჯერ გამოტოვების შემთხვევები, რაც მათ იდენტიფიცირებას ართულებდა, მაგრამ სწორად შემუშავებული სტრატეგია დაგვეხმარა როგორც ტექსტში დაშვებული შეცდომების გარკვევაში, ისე პირთა ვინაობის დადგენასა და მათ შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. ჩატარებული

ტექსტოლოგიური კვლევების საფუძველზე შევძელით რამდენიმე ათეული პირის იდენტიფიცირება, რაც გამოსაცემი ტომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კერძო ჩანაწერებს, რომლებიც, ძირითადად, მფლობელის პირადი საჭიროებისთვის არის განკუთვნილი, ხშირად მეტად მრავალფეროვანი თემატიკა და არასისტემური სტრუქტურა აქვს, რადგან ისინი ზოგჯერ შემოკლებული ჩანიშვნები ან ფრაგმენტებია, ავტორის მეხსიერების აქტუალიზაციისთვისაა განკუთვნილი და ასეთ დროს მისახვედრად ერთი სიტყვაც კი საკმარისია. ამის გაგება მკითხველისთვის, უცხო თვალისთვის, საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული. მკვლევარმა ტექსტოლოგმა უნდა გადააღაზინოს მკითხველს მასალის აღქმისთვის ხელისშემშლელი ბარიერები და ტექსტები, რომლებიც იმთავითვე არ ყოფილა გათვალისწინებული უცხო პირთათვის, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს. ამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა კომენტარი. ის უნდა ხსნიდეს არა მხოლოდ ჩანაწერის შინაარსობრივ მხარეს, არამედ იმ ფაქტორებსაც, რომლებმაც ის განაპირობა. კომენტარები დავურთეთ როგორც მთელ ჩანაწერს მისი რაობის ასახსნელად, ისე ყოველ ცალკე აღებულ გაუგებარ პასაჟს, წინადადება იქნება ის, ფრაზა თუ ცალკეული სიტყვა. ზოგან ჩანაწერებსა და პერიოდულ ორგანოებში მწერლის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის ურთიერთმიმართების საკითხიც კი გავარკვიეთ.

რამდენადაც აკადემიურ გამოცემაში ისეთი რთული აგებულების მასალას, როგორც ამონაწერებია, ქაოსურად ვერ შევიტანდით და რაღაც პრინციპი უნდა შეგვემუშავებინა, ტექსტების ერთმანეთისაგან გასარჩევად და მათი სისტემატიზაციისთვის გადავწყვიტეთ, რომ შინაარსობრივად დაკავშირებული ან ერთი და იმავე წყაროდან ამოწერილი მასალა, რომელიც ხელნაწერში ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩაწერილი, ტომში ერთ ერთეულად დაგვებეჭდა, დაგვესათაურებინა, მაგალითად, „ამონაწერები წიგნიდან ...“, „ამონაწერები თემაზე ...“ და დაგვენომრა.

სხვათა ტექსტებიდან ამონაწერები ილია ჭავჭავაძეს ხშირად მოცემული აქვს ორ სვეტად. გადმოწერილი ტექსტის ძირითადი კორპუსი მარცხენა სვეტშია წარმოდგენილი, მარჯვენაში კი ჩაწერილია პარალელური ტექსტები ან შენიშვნები. გადავწყვიტეთ, რომ ეს მასალა ზუსტად ასევე, ორ სვეტად შეგვეტანა ტომშიც.

რამდენადაც ამონაწერებს ხშირად ახლავს შენიშვნები, რომლებიც ან ცალკე სვეტშია გატანილი, ან გვერდის ველზე, ზოგ შემთხვევაში კი ტექსტშივეა ჩართული, ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, რომ გამოქვეყნებულ მასალაში სხვა ავტორების ამონარიდები მკვეთრად გამიჯნულიყო ილიასეულისგან. ვიფიქრეთ, რომ გრაფემის ზომის გაზრდა ან ფონტის შეცვლა იმდენად თვალშისაცემი არ იქნებოდა, რამდენადაც ილიასეული ჩანართების ოთხივე მხრიდან სწორი ხაზებით შემოსაზღვრა. ამიტომ ეს პრინციპი გავატარეთ ყველგან, სადაც გვქონდა შერეული (ილიასეული და სხვა ავტორების) ტექსტები.

ილია ჭავჭავაძის მინაწერები შემორჩენილია მის პირად წიგნებზეც და ამიტომ მოგვიხდა მწერლის პირადი ბიბლიოთეკის შესწავლა, რომელიც მოიცავს 400-ზე მეტ ერთეულს. ამ მინაწერების შეტანა მწერლის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემაში დამატებით ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს კონკრეტული წიგნებისა და საკითხებისადმი მწერლის დამოკიდებულებისა და მისი მუშაობის სტილის შესახებ. ეს მასალა ტომის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი იქნება იმ დოკუმენტისა თუ წიგნის სათაურის მითითებით, რომელზეც არის მიწერილი, მაგალითად, „მინაწერები ხიზანთა მდგომარეობის შესახებ პროექტის ხელნაწერ ტექსტზე“, მინაწერები წიგნზე „Всемирная история“ (ფრიდრიხ შლოსერი)“ და სხვ. რაც შეეხება თავად მინაწერებს, ისინი, როგორც მცირეც უნდა იყოს, დაინომრება ასე: „მინაწერი 1“, „მინაწერი 2“ და სხვ. და სამეცნიერო აპარატში მივუთითებთ, მოცემული დოკუმენტისა თუ წიგნის რა ადგილას ან რა პასაჟთან არის ის მიწერილი.

დღემდე გამოუქვეყნებელი ამ მასალის პუბლიკაციით დასრულდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა. მეოცე ტომი ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა და მასში მწერლის ტექსტების გამოქვეყნება არ არის დაგეგმილი.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამ ორი განსხვავებული რაკურსის – ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლებისა და ჩანაწერების ანალიზი და დაკავშირება მის სხვა ტექსტებსა და აქტივობებთან, ერთი მხრივ, ავსებს მის პორტრეტს და, მეორე მხრივ, არაერთ ისეთ საზოგადოებრივ ფაქტსა თუ ტენდენციას ჰფენს ნათელს, რომელიც მკითხველთათვის დღემდე უცნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი მასალა მეტად რთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, სწორად

მიგნებული სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის შერჩევის გზით მოხერხდა მისი ლოგიკური სტრუქტურირებაც და ფუნდამენტური შესწავლაც. შესაბამისად, შედეგად გვაქვს არა მხოლოდ კვლევის პროცესისა და მიღებული დასკვნების ამსახველი სადისერტაციო ნაშრომი, არამედ აკადემიური გამოცემისათვის მომზადებული მდიდარი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი ტექსტების კორპუსი. ჩატარებულმა კვლევებმა მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა იმისათვის, რომ მწერლის თხზულებათა უკანასკნელი ტომი გამოიცეს ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის უახლესი აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად.

**შენიშვნა:** ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის (N DP2016\_18 „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“) ფარგლებში.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. თაყაიშვილი, ე. (1952). მოგონებანი ქართველ მწერლებზე. ლიტერატურის მატთანე, წიგნი 6, ნაკვეთი პირველი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
2. იმნაძე, ე., რამიშვილი, გ. (1987). ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა). თბილისი: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.
3. იოვიძე, ა. (1947). ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტური მასალები., საისტორიო მოამბე, საქართველოს შსს საარქივო სამმართველო. თბილისი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველო.
4. კოვაჩი, ბ., როზენსტილი ტ. (2006). ჟურნალისტიკის ელემენტები. (ნ. მანჩხაშვილი, ბ. მაყაშვილი, მთარგმნელები), საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), თბილისი: „იმპრესი“.
5. ლასხიშვილი, გ. (1992). მემუარები, ქართული მემუარული ლიტერატურა. თბილისი: „საქართველო“.
6. მანსვეტაშვილი, ი. (1936). მოგონებანი, ნახული და გაგონილი. ტფილისი: ფედერაციის გამომცემლობა და სტამბა.  
[http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/7457/5/Manswetaschwili\\_Iakob.pdf](http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/7457/5/Manswetaschwili_Iakob.pdf)
7. მგალობლიშვილი, ს. (1938). მოგონებანი. ტფილისი: ფედერაციის გამომცემლობა და სტამბა.
8. ნინიძე, მ., ამირხანაშვილი, ი. (რედ.), (2017). ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე. თბილისი: „მთაწმინდა“.  
[http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia\\_Chavchavazi\\_Cxovrebis\\_da\\_Shemoqmedebis\\_Matiane.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia_Chavchavazi_Cxovrebis_da_Shemoqmedebis_Matiane.pdf)
9. ნინიძე, მ., გიგაშვილი, ქ., (2018). ტექსტოლოგია. სახელმძღვანელო სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის, თბილისი: „პრინტჯეო“.

10. სურგულაძე, რ., იბერი, ე. (2003). მასობრივი კომუნიკაცია. თბილისი: „ენა და კულტურა“.
11. ფორჩხიძე, ბ. (2018). ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ჩარკვიანი, გ. (2014). ნაგერალა (ჩანაწერები). თბილისი: „ინტელექტი“.
13. ჭავჭავაძე, ი. (1867). გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები. ამონაბეჭდი გაზ. „დროების" 1867 წ. N33-დან, ტფილისი.
14. ჭავჭავაძე, ი. (რედ.). (1887). დამაკვირდი: აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი. თბილისი: დაბეჭდილია „ივერიის“ რედ. მიერ.
15. ჭავჭავაძე, ი. (1892). თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა. (ტ. 1-4). ტფილისი: ქართველთა ამხანაგობის სტამბა.
16. ჭავჭავაძე, ი. (1914). ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. (ტ. 1). ტფილისი: მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა.
17. ჭავჭავაძე, ი. (1925-1929). ნაწერების სრული კრებული, პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. 1-10, ტფილისი: ქართული წიგნი.
18. ჭავჭავაძე, ი. (1991). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 5). თბილისი: „მეცნიერება“.
19. ჭავჭავაძე, ი. (1997). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 6). თბილისი: „მეცნიერება“.
20. ჭავჭავაძე, ი. (2005). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 7). თბილისი: „ილიას ფონდი“.
21. ჭავჭავაძე, ი. (2007ა). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 8). თბილისი: „ილიას ფონდი“.
22. ჭავჭავაძე, ი. (2007ბ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 9). თბილისი: „ილიას ფონდი“.
23. ჭავჭავაძე, ი. (2007გ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 10). თბილისი: „ილიას ფონდი“.

24. ჭავჭავაძე, ი. (2007დ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 11). თბილისი: „ილიას ფონდი“.
25. ჭავჭავაძე, ი. (2007ე). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 12). თბილისი: „ილიას ფონდი“.
26. ჭავჭავაძე, ი. (2007ვ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 13). თბილისი: „ილიას ფონდი“.
27. ჭავჭავაძე, ი. (2007ზ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 14). თბილისი: „ილიას ფონდი“.
28. ჭავჭავაძე, ი. (2007თ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 15). თბილისი: „ილიას ფონდი“.
29. ჭავჭავაძე, ი. (2012). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 17). თბილისი: „ილიას ფონდი“.
30. ჭავჭავაძე, ი. (2018). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (ტ. 16). თბილისი: „ილიას ფონდი“.
31. ჯავახიშვილი, მ. (2005). უბის წიგნაკიდან. გამოსაც. მოამზადეს შიმშიაშვილი, მ., გენძეხაძე, ც. (გამომცემლები). თბილისი: „მერანი“.
32. Bigelow, J. (1885). Thomas Jefferson's early notebooks, Jefferson's financial diary. Harper's magazine. Vol. 70.
33. Brucoli, M. J. (ed.) (1978). The notebooks of F. Scott Fitzgerald. New York, Harcourt Brace Jovanovich.
34. Camus, A. (2010). Notebooks. Chicago, Ivan R. Dee.
35. Coburn, K., Harding, A. J. (eds.) (2002). The Notebooks of Samuel Taylor Coleridge. Volume 5, Princeton.
36. Carnagey, D J., Berg E. (2005). The Art of Public Speaking, Produced by Cori Samuel, Janet Blenkinship and the Online Distributed Proofreading Team at <http://www.pgdp.net>
37. Dillon, M., Bowles J. (2017). Collected writings, New York, Library of America.
38. Endres, M., Pichler, A., Zitte, C., (2013). Noch offen, Prolegomena zu einer Textkritischen Edition der Ästhetischen Theorie Adornos, [https://www.academia.edu/38440610/ Noch offen . Prolegomena zu einer Textkritischen Edition der Ästhetischen Theorie Adornos](https://www.academia.edu/38440610/Noch_offen_Prolegomena_zu_einer_Textkritischen_Edition_der_Ästhetischen_Theorie_Adornos)



39. Home, P., Wood M. (2018). Ales from a master's notebook: stories Henry James never wrote (Contains stories by Colm Toibin, Rose Tremain, Jonathan Coe, Paul Theroux, Amit Chaudhuri, Giles Foden, Joseph O'Neill, Lynne Truss, Susie Boyt and Tessa Hadley), London, Vintage.
40. Nixon, M. (2011). Samuel Beckett's German diaries 1936-1937 London; New York, Continuum.
41. Plachta, B. (2006). Editionswissenschaft, eine Einführung in Methode und Praxis der Edition der neuerer Texte. Philip Reclam jun. Stuttgart <https://www.reclam.de/data/media/978-3-15-017603-0.pdf>.
42. Richter, J. P. (ed.). (1970). The Notebooks of Leonardo Da Vinci. Volume 1, 2, Dover publications.
43. Taylor, R. H. (ed.). (1979). The Personal Notebooks of Thomas Hardy. Palgrave Macmillan.
44. Авалов, З. (1901). Присоединение Грузии к России. Санкт-Петербург.: Типография А. С. Суворина Эргелевъ пер. д. 13.
45. Баева, О. А. (2001). Ораторское искусство и деловое общение. Учеб. пособие, Новое знание.
46. Бёрне, Л. (1869). Сочинения, В 2- х томах, Вейнберг (пер.). (Т. I). Санкт-Петербург
47. Брандес, Г. (1881). Главные течения литературы девятнадцатого столетия. Шродтмана, А. (Пер.). Москва.
48. Гегель, В. Ф. (1847). Курс эстетики или наука изящного. Модестов, В. (Пер.). Санкт-Петербург.
49. Гете, И. В. (1891). Разговоры Гете. Эккерман, (сост.). Аверкиев, Д. В (Пер.). Санкт-Петербург.
50. Довлатов, С. (2016). Записные книжки. Санкт-Петербург: Азбука.
51. Достоевский, Ф. (1883). Полное собрание сочинений. Т. 14, Биография, письма и заметки из записной книжки. Достоевской, А. Г. (изд.). Санкт-Петербург.
52. Кузнецова, Т. И. Стрельникова, И. П. (1976), Ораторское искусство в древнем Риме. Москва: «Наука».
53. Маклеод, Г. (1865). Основания политической экономии. Веселовский, М.П. (Пер.). Санкт-Петербург: изд. Николая Тиблена.

54. Петри, Э. Ю. (1890), Антропология. (Т. I). Санкт-Петербург: Издание Картографического заведения А. Ильина.
55. Пешель, О. (1890). Народоведение. Петри, Э. Ю. (изд.). Санкт-Петербург: изд. А. С. Суворина.
56. Платонов, А. (2000). Записные книжки. Материалы к биографии, Наследие. Москва: Типография "Наука".
57. Седова, Л. Н. (2014). Основы полемического мастерства, учебное пособие. Москва: изд. ХНЭУ им. С. Кузнецца.
58. Спенсер, Г. (1866), Научные, политические и философские опыты. Санкт-Петербург: изд. Н.Л. Тиблена.
59. Тард, Г. (1899). Реформа политической экономии. Санкт-Петербург: изд. В.И. Губинский.
60. Тейлор, Э. (1872). Первобытная культура: исследования развития мифологии, философии, религии, искусства и обычаев в 2-х томах. Д. А. Коропчевский (ред.). Санкт-Петербург: ред. журн. "Знание".
61. Толстой, Л. (1937). Полное собрание сочинений в 90 томах. (Т. 55). Дневники и Записные книжки 1904-1906. Москва: Государственное издательство, Художественная литература.
62. Уорд, Л. (1897). Психические факторы цивилизации. Е. И. Бошняк (Пер.). Москва: изд. ф. ф. павленкова.
63. Цветаева, М. (2000). Записные книжки (<http://tsvetaeva.lit-info.ru/tsvetaeva/zapisnye-knizhki/index.htm>).
64. Цицерон, М. Т. (1972). Три трактата об ораторском искусстве. М. Л. Гаспаров (ред.). Москва: Наука.
65. Чехов, А. (2010). Записные книжки. Записи на отдельных листах. Дневники, URSS, Москва: Наука
66. Шлоссер, Ф. (1869). Всемирная история. (Т. 2). Санкт-Петербург: изд. М.О. Вольф.

### პერიოდული პრესა

1. „დროება“, (1875, 5 თებერვალი, N16). „ილია ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული 3 თებ. თფილ. თავად-აზნაურობის კრებაში“, „დროება“, №16, გვ. 2-3.

2. „დროება“ (1876, 23 მაისი, N50). სხვადასხვა ამბები, გაზეთი „დროება“, 1876, № 50, გვ. 2.
3. „დროება“ (1880, 18 მარტი, N60). ჭავჭავაძე ილია, „ხიზნების საქმის თაობაზედ (ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო)“. № 60, გვ. 1-2.
4. „დროება“ (1881, 16 ივნისი, N123). სხვადასხვა ამბები, გაზეთი „დროება“, 1876, № 50, გვ. 1.
5. „დროება“ (1884, 12 მაისი, N103). კრება თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა, N103, გვ. 1-3.
6. „ივერია“ (1886, 13 აგვისტო, N175). ჭავჭავაძე ილია, „ხიზნების საქმე“, №175, გვ. 1-2.
7. „ივერია“ (1891, 1 ივნისი, N114). ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება, №114, გვ. 1-3.
8. „ივერია“ (1891, 3 აგვისტო, N164). თავ. მამია გურიელი (ფაზელი), №164, გვ. 1.
9. „ივერია“ (1892, 20 მაისი, N103). ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება, №103, გვ. 2-3.
